

გათე ქაპანიშვილი

უესვესკეი  
ნაოსუცთან

„ლიტერატურა და ხელოვნება“  
თბილისი.

საქართველოს სახალხო არტისტის ბათუ კრავეიშვილის მოვლენებში ასახულია ჩვენი დროის საოპერო ხელოვნების ღირსშესანიშნავი მოვლენები და ფაქტები. დახასიათებულია საქართველოს, რუსეთის, სხვა მოძვე რესპუბლიკების და უცხოეთის ხელოვნების მოღვაწეთა საკმაოდ ფართო წრე. მუსიკისა და თეატრის მოღვაწეთა დახასიათებისას ავტორი სწორ პროფესიულ შეფასებებთან ერთად, გვაწვდის საყურადღებო ცნობებს მათი ბიოგრაფიებიდან. ამ მემუარულ მოქმედებს ავტორი გზადაგზა აჯამებს თეორიული მსჯელობით და დასკვნებით ვოკალური და საოპერო ხელოვნების სწავლების მეთოდის შესახებ.

რედაქტორი                    პავლე ხუჭუა

მე დავიბადე 1914 წლის 16 დეკემბერს, დაბა (ამჟამად ქალაქ) სამტრედიისში.

ამიერკავკასიის რკინიგზის ეს პატარა საკვანძო სადგური ძველ-თაგანვე მნიშვნელოვან გზაჯვარედინს წარმოადგენდა. იგი აურაცხელი გზებით უკავშირდებოდა სვანეთს, რაჭას, ლეჩხუმს, გურიასა და სამეგრელოს, საიდანაც პარასკეობითა და კვირაობით სამტრედიისაკენ ზღვა ხალხი მოედინებოდა სავაჭროდ. ჩამოჰქონდათ თიხის ჭურჭელი: დოქები, ქოთნები, სურები, ხის კოვზები, საცრები და სხვა. მოდიოდა ურმების თვალუწვდენი ქარავანი ათასნაირი ხილეულითა და ბოსტნეულით დატვირთული. სამტრედიის ბაზარში გაისმოდა გამყიდველთა შეძახილები:

- თავსაბანი მიწა!
- წურბელა, წურბელაა!
- აბა აქეთ, დაშაქრული მსხალი!
- მყავე კიტრი!
- ფართლეული!
- ნისიად! ნაღდ ფულზე...

ბაზრის კუთხეში თავს იყრიდნენ ქალები და, მამაკაცების შეუმჩნევლად, ფერ-უმარილს ყიდულობდნენ ან დარცხვენით კითხულობდნენ სად იყიდება გუნდა-ლახუსტაკი. ზონის გზით განუწყვეტლივ მოედინებოდა ხალხით სავსე დილიყნები, ეტლები, ცალცხენიანი საზიდრები და ჭილოფგადაფარებული ურმები ზედ ჩამომსხდარი მგზავრებით.

რიონზე დილიდან საღამომდე მუშაობდა ბორანი, რომელსაც გაღმა-გამოღმა უამრავი ხალხი გაჰყავდა და გამოჰყავდა. იდგა ღრფანცელი და ორომტრიალი. ქებთან განუწყვეტელი რიგი იყო გაბმული. ფეხშიშველა, ნახევრად ტიტველი ებრაელი ბიჭები, დოქით ხელში, დარბოდნენ, პატარა ჭიქებით წყალს ყიდდნენ და თან გაჰკიოდნენ:

- ცივი კიბულა! ცივი კიბულა ორკაპიკად!...

ასეთი დარჩა ჩემს მეხსიერებაში ძველი სამტრედიის ბაზრობა. სალამოს კი, როცა შებინდებოდა, სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული ადგილობრივი ახალგაზრდობა რკინიგზის სადგურის ბაქანზე იყრიდა თავს. ისინი მატარებლებს ხვდებოდნენ ან მათ მოლოდინში მეგობრებთან დასეირნობდნენ და როცა ყველა მატარებელს გააცილებდნენ, კმაყოფილები შინ ბრუნდებოდნენ.

სამტრედიელებს კიდევ ერთი სასეირნო ადგილი ჰქონდათ. ეს იყო რკინიგზის ხიდი, რომელიც სადგურს გადაჰყურებდა. ხიდზე მოსეირნენიც მატარებლებს აცილებდნენ და შემდეგ ნელ-ნელა სახლებისაკენ მიემართებოდნენ.

ჩემს დროს სამტრედიაში მხოლოდ ორი, რკინიგზის და ქალაქის კლუბი არსებობდა. ბიძაჩემს, ნიკოლოზ კრავეიშვილს, აუშენებია ქალაქის კლუბი, რომელიც შემდეგ ვანო სტურუას სახელს ატარებდა. სწორედ ამ კლუბში პირველად ვნახე ჩვენი თეატრალური ხელოვნების დიდი მოამაგე, მსახიობი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე ვალერიან გუნია და მისი დასის მიერ გამართული სპექტაკლები. ეს იყო 1928 წელს, ზაფხულზე. ვ. გუნია ბებერ ლომს ჰვავდა: ბრგე, დინჯი, ბოხი ჩამჭდარი ხმით, შავი სათვალეებით და ქალარა თმებით.

ამ დასში ბევრი ნიჭიერი მსახიობი შედიოდა. ზოგი მათგანი ქართული სცენის მშვენიება და სიამაყე იყო, როგორც მაგალითად: ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ნინო დავითაშვილი და სხვები. დასმა მაყურებელს რამდენიმე წარმოდგენა უჩვენა. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ამ შესანიშნავ მსახიობთა თამაშმა, მათ მიერ შექმნილმა სახეებმა.

ამ კლუბშივე პირველად მოვისმინე პროფესიონალი მომღერალი, ძლიერი ხმის პატრონი დოლონაძე. მისი გასტროლების დროს ქუჩებში ავრცელებდნენ სარეკლამო ფურცლებს, რომლებშიაც ეწერა: „მოისმინეთ მომღერალი დოლონაძის ფენომენალური სიძლიერის ხმა! მაღალი ნოტების აღების დროს დოლონაძის ხმას შეუძლია ჩააქროს შუქი და ქერში ჩამოკიდებული ქალები შეარხიოს!“... ამ სენსაციური ცნობების შემდეგ ყველა შეეცადა ღირსეულად დახვედროდა საოცარ სტუმარს.

სალამოს კლუბის დარბაზი ხალხით გაივსო. სამტრედიის მცხოვრებთა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ყოველ ახალს და საინტერესო კულტურულ ღონისძიებას ხალხისით ხვდებოდნენ.

კონცერტი დაიწყო, სცენაზე გამოჩნდა იტალიიდან ახლად დაბრუნებული, კარგი გარეგნობის და ძლიერი ხმის მქონე ქართველი მომღერალი. მაგრამ ისეთი არაჩვეულებრივი და საზღაპრო, როგორც ამას რეკლამა იუწყებოდა, ვერაფერი შეიმჩნეოდა.

კონცერტის პირველი განყოფილების ბოლოს, წამყვანმა გამოაცხადა, რომ მომღერალი მორიგ ნომრად შეასრულებს მ. ბალანჩინაძის რომანსს „ოდესაც გიცქერ“. რომანსის შესრულების დროს ბოლო, მაღალი კულმინაციური ნოტი მომღერალმა ხანგრძლივი ფერმატოთი აიღო. ამ დროს, მოულოდნელად, ქერზე ჩამოკიდებული ქალი შეირხა და დარბაზში ყრუ ხმაური გაისმა; ხალხმა ზევით აიხედა და დაინახა, რომ სამტრედიის ახალგაზრდობას, რომელიც ქანდარაზე მოკალათებულიყო, თურმე ჭალისათვის წინასწარ ბაწარი გამოება და როცა მომღერალმა ეს მაღალი ნოტი აიღო, მათ, ხუმრობით, ჭალი დაარხიეს — აქაო და, როგორც რეკლამა იუწყებოდა, დოღონაძეს მართლაც ისეთი ძლიერი ხმა აქვს, რომ მისი ხმისაგან ქერში ჭალებიც კი ქანაობენო. ატყდა თავშეუკავებელი ხარხარი. მეორე დღეს თვითონ დოღონაძე იცინოდა და ამბობდა — ეს ჩემი შეცდომაა, სამტრედიისში ასეთი რეკლამის გავრცელება როგორ შეიძლება, ეგ ხომ უცნაური ქალაქიაო?

დოღონაძის შემდეგ, სამტრედიას, იტალიიდან ახლად დაბრუნებული ვ. ქაშაკაშვილი ესტუმრა. მაღალი ვოკალური კულტურის მქონე მომღერლის კონცერტები ნამდვილ სასწავლო პროგრამად იქცა ჩვენთვის, ახალგაზრდობისათვის. იგი მღეროდა ზუსტად, მუსიკალურად, საინტერესოდ გადმოსცემდა ნაწარმოების აზრსა და ხასიათს, მის სტილსა და ფორმას, მღეროდა არაჩვეულებრივი ტემპერამენტით და დასამახსოვრებელ მუსიკალურ სახეებს ქმნიდა.

სალამოს, კონცერტის დაწყებამდე, ბავშვები კლუბისაკენ გავქანდით. ვალერიანი ადრე მოსულიყო. იჭდა სამსახიობო ოთახში და ნოტებს ათვალიერებდა. ჩვენ ოდნავ ღია კარებიდან მივჩერებოდით მას. როგორც კი შეგვამჩნია — დაგვიძახა. ჩვენც სიამოვნებით შევეცვივდით მასთან. მომღერალს სანდომიანი სახე ჰქონდა, მოძრავი მრგვალი თვალებით, ოდნავ ფართო ცხვირით და კიდევ უფრო ფართო, მსხვილი ტუჩები. შავი კოსტუმი ეცვა, გულის ჭიბეში თეთრი ქათქათა ცხვირსახოცი მოუჩანდა. ყილეტის ქვედა ჭიბეში დიდი ოქროს საათი ედო. რომლის ძეწკვი ლამაზად ბრწყინავდა შავი ტანსაც-

მლას ფონზე. ქაშაკაშვილმა ჯიბიდან საათი ამოიღო. ღილაკს თითი დააჭირა და უცნაური რეკვა შემოგვესმა.

— შეილება, ასეთი საათი არ გინახავთ? ასეთი საათი მარტო მომღერლებს აქვთ, მომღერლები საათსაც ასწავლიან სიმღერასო! მან კვლავ გადაწვია ისრები და საათი კვლავ ამღერდა. შემდეგ მოგვიბრუნდა და ღიმილით გვითხრა: ბიჭებო! სამტრედიის „რაშკები“<sup>6</sup> განთქმულია, აბა ერთი ახლად გამომცხვარი რაშკები მომიბრებინეთო, ფული გამოგვიწორდა და თან დაგვაბარა — მაგ ფულით რამდენიც მოვიდეს, იმდენი მომიტანეთო. ჩვენც გამოვართვით ფული, თავპირის მტვრევით გავიქეციით ალია თათრის ფურნეში და სამიოდე წუთში 15 ცალი ცხელ-ცხელი „რაშკი“ მოვუბრებინეთ.

ქაშაკაშვილმა ახლა ჭის ცივი წყალი მოგვეთხოვა და ჩვენც დაუზარებლად შევუსრულეთ ეს თხოვნაც. როდესაც ვალერიანი ჭამას შეუდგა, ჩვენ მის წინ ჩიტებივით ჩამოვსხედით და გაკვირვებულნი შევცქეროდით მის მაღიან ჭამას; ორიოდე წუთში 15 ცალი „რაშკი“ აღარსად ჩანდა... როდესაც მომღერალმა ნამცხვრებს მთელი ღოჭი წყალიც დააყოლა — თქვენ გაიზარდენით — გვითხრა და ყველანი მაყურებელთა დარბაზში შეგვიყვანა. სადამო ჩინებულად ჩატარდა, ხალხი დიდხანს სცენიდან არ უშვებდა მომღერალს.

შემდეგში, როცა გავიზარდე და საოპერო სცენაზე საკმაოდ დავვაჟიაცდი, ვალერიან ქაშაკაშვილი ხშირად მეტყოდა ხოლმე: „ბიჭო, ისე ნუ მომკლავ, რომ შენ რიგოლეტო არ გამღერო ჩემებურადო“. როდესაც ეს სიტყვები მაგონდება — უნებურად სინანული შემიბყრობს ხოლმე, რომ არ მივიღე მისი რჩევა და ერთხელაც არ მივედი მასთან.

ვ. ქაშაკაშვილი დიდხანს ემსახურებოდა ჩვენს საოპერო სცენას, როგორც შესანიშნავი ბარიტონის პატრონი და კარგი მსახიობი. მან შექმნა დაუფიწყარი სახეები — რიგოლეტო, ყერმონი, რენატო და სხვა. სამწუხაროდ სულ მალე მის ხმაში რალაც ბზარი გაჩნდა, რას შემდეგაც, ყველას გასაკვირველად, მან გამოაცხადა, რომ იგი ერთი წლის მეცადინეობის შემდეგ მაყურებლის წინაშე წარსდგება, როგორც დრამატული ტენორის პარტიების შემსრულებელი.

თავის საქმეში დახელოვნებულმა მომღერალმა მოამზადა და მაღალი ოსტატობით შეასრულა რადამესის პარტია ოპერა „აიდაში“.

<sup>6</sup> „რაშკებს“ ეძახდნენ რქის მავვარ ნამცხვარს (რუსული „როკოკი“).

ეს იყო ბარიტონის პარტიებდან დრამატული ტენორის პარტიებზე გადასვლის ექსპერიმენტი. ხმის ახალმა, ტენორულმა ყდერადობამ, სასამღერო „საიდუმლოებათა“ უხადო აღქმამ, ფრაზის შეგროვებამ მომღერალს გამარჯვება მოუტანა, რადამესის შემდეგ ქაშაკაშვილმა ვერდის „ოტელოში“ ოტელოს პარტია შეასრულა. სამწუხაროდ მან დიდხანს ვერ შეძლო ტენორის პარტიების მღერა და კვლავ ბარიტონის პარტიებს დაუბრუნდა. როგორც ჩანს, ნერვებმა ვეღარ გაუძლო სხვადასხვა რეგისტრებზე გადასვლა-გადმოსვლას; იოგება მოიღალსენ და ხმის აპარატს შესამჩნევი ხარვეზები შეეპარა. გარდა ამისა მომღერლის ფსიქიკაზე ძალიან იმოქმედა ხმის იერის შესამჩნევმა შეცვლამ, მომღერალმა განიცადა ფსიქიური ტრავმა და სამუდამოდ დატოვა სცენა.

1930-იანი წლებიდან ვ. ქაშაკაშვილმა პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო. მას, როგორც პედაგოგს, უექველი დამსახურება მიუძღვის მშობლიური სამუსიკო კულტურის წინაშე. იტალიაში შესანიშნავი პედაგოგების მეთოდებზე აღზრდილ მომღერალს აბსოლუტურ სიზუსტემდე ჰქონდა დაყვანილი იტალიური სიმღერის ათვისების ხერხები, სიმღერის მანერა. ხმის წარმართვა, ბგერათა ორგანიზება, მუსიკალური ფრაზის გააზრება და სხვა. ყოველივე ამას ზედ ერთვოდა მისი თავდავიწყებული სიყვარული თავისი საქმისადმი და ზეადმიანური ენერჯია. თამამად შეიძლება ითქვას, ქაშაკაშვილს რომ საუკეთესო ხმის თანდაყოლილი მასალა ჰქონოდა, იგი იმდენად სწორად მღეროდა, რომ მას შეეძლო მსოფლიო მასშტაბის მომღერალი ყოფილაყო.

ვ. ქაშაკაშვილი შედარებით ახალგაზრდა გარდაიცვალა, ყოველთვის უკმაყოფილო და ბედზე მომჩივანი. მისი მძლავრი ბუნება რაღაცას ესწრაფოდა, ყოველთვის რაღაც ჰქონდა საოცნებო, ოცნებები კი აუსრულებელი რჩებოდა. იგი დაიღალა ციებით და ექსპერიმენტებით. მას რომ დასცლოდა, იგი კიდევ ბევრ სასიქადულო მომღერალს გამოუზრდიდა მშობლიურ საოპერო სცენას.

სანდრო ინაშვილის სახელი მაშინ გავიგე. როდესაც იგი იტალიიდან დაბრუნდა. არ დარჩენილა არც ერთი ქართული ჟურნალ-გაზეთი, რომ სამშობლოში სანდროს დაბრუნება არ გამოეცხადებინა.

პრესის ფურცლები მისი ფოტო-სურათებით იყო აჭრელებული. ახლაც თვალწინ მიდგას ბრწყინვალე აღნაგობის ვაჟკაცი ტორეადორის როლში. სანდრო ინაშვილი პირველად ამ სურათით გავიცანი. თქვენ წარმოიდგინეთ რა ამბავი ატყდებოდა სამტრედიისში, როდესაც გამოცხადდა, რომ ს. ინაშვილის კონცერტი ნახევრად დანგრეულ კლუბში ჩატარდებოდა! ამ კონცერტში მონაწილეობდნენ: ა. ჭუმბურიძე, ვ. მრავალი და კონცერტმეისტერი ა. შ. მელიქ-ფაშაევი (შემდეგში გამოჩენილი დირიჟორი). სამტრედიის ახალგაზრდობა, ტრადიციის მიხედვით, გამოჩენილ შომღერალს თეატრის შესასვლელთან ელოდა. საღამოს 8 საათზე ის და მელიქ-ფაშაევი მოვიდნენ; სანდრო და მისი თანამგზავრი კლუბს რომ მოუახლოვდნენ, შედგნენ; კლუბის შესასვლელთან თხრილი იყო, რომელშიაც წყალი საკმაო სიძლიერით მიედინებოდა. თხრილზე ვიწრო ფიცარი გაედოთ და უჩვევი ადამიანისათვის მასზე გავლა ძნელი საქმე გახლდათ. სანდრომ მიიხედ-მოიხედა და გვკითხა:

— ბავშვებო, კულისებში სხვა შესასვლელი ხომ არ არის? ჩვენ უარს ნიშნად თავი გავაქნიეთ და სანდროც იძულებული გახდა სახელდახელოდ გადებულ „ხილზე“ გადასულიყო. გადასვლის წინ მელიქ-ფაშაევს რაღაც უთხრა, ორივეს გაელიმა და ის იყო სანდროს მეორე ნაბიჯი უნდა გადაედგა, რომ ფიცარი ამოყირავდა და ჩვენი სასიქადულო სტუმარი წელამდე ტლაპოში ჩავარდა. სანდროს ჯერ სიცილი აუტყდა, მაგრამ როცა მისი მშველელი მელიქ-ფაშაევიც მას მიჰყვა, მაშინ კი ისტერიული ხარხარი დაიწყო. მათი შემყურე ჩვენც გულიანად ვიცინოდით.

— ეს რა მოგვივიდა? ჯიბეებში ბაყაყები შეგვიძვრება! აბა, ბიჭებო! — მოგვმართა სანდრომ. — გვიშველეთ, მოგვეხმარეთ!

ჩვენ შორის ყველაზე ღონიერი და მოხერხებული ჯონა ჩომახიძე იყო. სანამ ჩვენ გამოვერკვეოდით, ის უკვე კიბეს მოათრევდა. როგორც იყო ორივენი ამოვიყვანეთ თხრილიდან. ამ დროს ახლო მცხოვრებლებმაც შეიტყვეს ეს ამბავი. სტუმრები შეიყვანეს სახლებში; გაწმინდეს, დაასუფთავეს და ისე გამოუშვეს. ამ შემთხვევას გამო კონცერტი გვიან დაიწყო. სანდრო ინაშვილი ყოველი ნომრის დაწყების წინ სულ შარვალზე იყურებოდა; შარვალი კარგად არ გამშრალიყო და ეს აწუხებდა.

კონცერტმა ბრწყინვალედ ჩაიარა. ხალხი სანდროს დიდხანს არ უშვებდა სცენიდან. დღიდან პირველი შეხვედრისა სანდრო გადაიქ-



ცა ჩემს სათაყვანო მომღერლად. შემდეგში, როდესაც თბილისში გადმოვედი სასწავლებლად, ხშირად ვუსმენდი მას სხვადასხვა ოპერებში და საქართველოს ბულბულის — ვანო სარაჯიშვილის გულს თანაზიარი სანდრო ჩემში ყოველთვის დიდ ალტაცებას იწვევდა.

სანდრო ინაშვილი ნახევარი საუკუნე ემსახურა მშობლიურ მუსიკალურ კულტურას და ეს 50 წელი სავსეა შრომით, განცდითა და სიხარულით. ნახევარი საუკუნე უმწიკვლოდ ემსახურო, ესიყვარულო იმ დიდ საქმეს, რომელსაც ვოკალური ხელოვნება ქვია: არც ისე ადვილი საქმეა!

ჩვენი სახელოვანი მომღერალი ეკუთვნის იმ ბედნიერ ადამიანთა მცირე რიცხვს, ვისაც თავისი მგზნებარე ნიჭის მოწოდება შრომითა და ბრძოლით სრულ გამარჯვებამდე მიუყვანია. ჩვენს წინაშე იდგა ადამიანი, რომლის მოღიძარი სახე გაზაფხულის ღიმილს მოგვაგონებდა, ადამიანი, რომლის მჩქეფარე გული 50 წლის მანძილზე დაუღალავად ემსახურებოდა მშობლიური მუსიკალური კულტურის აყვავებისა და აღმავლობის უკვდავ საქმეს და იგი განუწყვეტლოვ მისთვის ძგერდა.

როცა ვუყურებდით სანდროს ხანდაზმულ, მაგრამ მუდამ ახალგაზრდული ეშხით სავსე სახეს, უნებლიეთ მოგაგონდებოდათ ვ. მაიაკოვსკის სიტყვები:

У меня в душе ни одного седого волоса,  
И старческой нежности нет в ней,  
Мир, огромный мощью голоса,  
Иду красивой, двадцатидвухлетней.

დიახ, სანდროს ბრწყინვალე ხელოვნებაში არც ერთი ჭალარა არ ერია, მისი მუდამ მცინარი თვალები იუბილეს დღესაც ჩვეული სიძლიერით აფრქვევდნენ ცეცხლს.

ვის არ სმენია სანდროს ბრწყინვალე წარმატებები, რაც მას წილად ზედა იტალიასა და ესპანეთში. როგორც ცნობილია, ესპანელები ბავშვობიდანვე გატაცებულნი არიან კორიდათი. ამ სპორტული სანახაობის მთავარი გმირია ტორეადორი, რომელმაც მახვილით უნდა განგმიროს უკიდურესობამდე გაღიზიანებული და გახლებული ხარი. აქედან გასაგებია ესპანელთა განსაკუთრებული ინტერესი ტორეადორ ესკამილიოს პარტიისადმი ბიზეს „კარმენში“. ამ ოპერაში ბარიტონის, და ისიც, უცხოელი მომღერლის გამოსვლა მისთვის

პეტად რთულ გამოცდას წარმოადგენს. ერთი არასწორი ექსტი, ახ  
ოღნავ შესამჩნევი ცრუ მოძრაობა და მომღერალმა უნდა დატოვოს  
სცენა. ამ როლში ინაშვილის გამოსვლა მადრიდის საოპერო სცენაზე  
ქართველი მომღერლის ტრიუმფად იქცა. მადრიდის გაზეთები აჭრე-  
ლებული იყო ინაშვილ-ტორეადორის ქება-დიდებათ. ეს იყო დიდი  
და სავსებით დამსახურებული გამარჯვება ჩვენი ქვეყნის შვილისა.  
ამის შემდეგ სანდროს მრავალ წინადადებას აძლევდნენ გაქნილი იმ-  
პრესარიოები სამხრეთ ამერიკაში გასტროლების გასამართავად, მაგ-  
რამ მშობელი ქვეყნის ძაბილი არ აძლევდა მოსვენებას და ეს იყო  
მიზეზი იმისა, რომ ახალგაზრდული, დაუშრეტელი ძალით და შმაგი  
სიყვარულით გამოეშურა სანდრო მშობლიურ საქართველოსაკენ.  
მოვიდა სანდრო, საყვარელი სანდრო, მოვიდა: დინჯი, ლამაზი, ახო-  
ვანი, მოღიპარი, ეშხით სავსე. ამ მომხიბვლელ ადამიანში ჭარბად  
იყო მოცემული ჯადოსნური ძალა ქართველი ვოკალისტის, მსახიო-  
ბის, რომელმაც თავისი დიდი და ლამაზი ცხოვრება ერის მუსიკალუ-  
რი აღორძინების დიდ საქმეს შესწირა. იუბილეს დღეს კი ვის შეეპა-  
რებოდა ეჭვი, რომ 70 წლის „ქაბუკი“ 40 წლისა არ იყო? ჩვენთვის,  
მისი მაღალი ნიჭის თაყვანისმცემლებისათვის, სანდრო მუდამ 40  
წლის ფრთებგაშლილი ტორეადორი იყო და ასეთივე დარჩა ჩვენს  
პენსიერებაში...

გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში, ქართლ-კახეთში, სვანეთსა  
თუ თბილისში — ყველგან ისმოდა მისი მოღულუნე ბარიტონი:

„ლალე, ლალე, დივლი-დალა-ლალე.

შავთვალწარბავ, კობტა გოგოვ,

შენ კი გენაცვალე“.

მან 50 წლის მანძილზე, მარად შეყვარებულმა, აღფრთოვანებით  
უმღერა შავთვალწარბა კობტა გოგოს.

პირველ მძლავრ შთაბეჭდილებას, რომელიც მე სანდრო ინაშვი-  
ლისაგან მივიღე, დღესაც არ დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელო-  
ბა. სანდრო — საოპერო მომღერალი და სანდრო — ადამიანი ჩემთ-  
ვის განუყოფელ მთლიანობაში დარჩა. იგი ყველგან და ყოველთვის  
უპირველესად არტისტი იყო. მის ახოვან და წელგამართულ ფიგურ-  
ას შორიდანვე შენიშნავდით ქუჩაში: ნიადაგ კობტა, ტანზე მორგე-  
ბული, გემოვნებით შეკერილი კოსტუმი, სუფთად წვერგაპარსული,  
ღირსებით სალამის მომცემი. მთელი მისი გარეგნობა მეტყველებდა

ამას, რომ იგია არა „უბრალო მოკვდავი“, არამედ ზელოვნების ქუ-  
რუმი. მისი ეს გარეგნობა, ყოველთვის „ფორმაში“ ყოფნა, არისტო-  
კრატიული თავაზიანობა დემოკრატიულ უშუალობასა და გულისხმი-  
ერებასთან ერთად მისაბამ მაგალითს წარმოადგენდა ჩვენთვის, ახალ-  
გაზრდებისათვის.

ჩემდა სამწუხაროდ, სცენაზე მე არ მომისმენია ვანო სარაჯიშვი-  
ლი, მაგრამ, როგორც მისი ხმის ორიოდ გრამჩანაწერისა და მის თა-  
ნამედროვეთა გადმოცემებით ჩანს, სარაჯიშვილი „რომანტიკული“  
ტიპის მომღერალი იყო. ყოველთვის როდი იცავდა მუსიკალური  
ტექსტის სიზუსტეს, დინამიკურ ეფექტებს და ლოგიკას, ისე, რო-  
გორც ამას კომპოზიტორები მოითხოვდნენ. მის მიერ ხმის მოქცევა,  
ტემპის შენელება-აჩქარება ხშირად ნებისმიერი, მაგრამ ყოველთვის  
გულწრფელი და ემოციურად დამაჯერებელი იყო. ინაშვილს კი ახა-  
სიათებდა საავტორო მუსიკალური ტექსტის ზუსტი დაცვა, კომპო-  
ზიტორის ჩანაფიქრისადმი უაღრესად სერიოზული, პასუხისმგებლო-  
ბით მოპყრობა. ამავე დროს, მისი შესრულება გამთბარი იყო ერთი  
შეხედვით შეუმჩნეველი, მაგრამ საკმაოდ ღრმა ემოციურობით. ამას  
დაუმატეთ უკიდურესად თავშეკავებული, მოძრაობის მხრივ ძუნწი,  
მაგრამ გმირის შინაგან სამყაროსთან შეთანხმებული სცენური მოქ-  
მედება და თქვენ მიიღებთ სანდრო ინაშვილის, როგორც საოპერო  
არტისტის, სრულ სახეს, დიდი ძალით რომ გვიზღავდა და გვიზი-  
დავდა ახალგაზრდა მომღერლებს.

ამგვარად, ისეთი გამოჩენილი მომღერლების მოსმენამ, როგორიც  
ვ. ქაშაკაშვილი და ს. ინაშვილი იყვნენ, ისეთი პროფესიული დრამა-  
ტიული დასის ხილვამ, რომელსაც ვ. გუნია ხელმძღვანელობდა, მე:  
ჯერ კიდევ ყრმას, ჩამინერგა ქართული თეატრისადმი დიდი სიყვა-  
რული. სამტრედიოში ყოფნის დროს კიდევ არ მქონდა გადაწყვეტი-  
ლი დრამის მსახიობი გავმზადარიყავი თუ ოპერისა.

დღეაღმე კი აკვნიდანვე ჩამძახოდა — ჩემი ბათუ ექიმი უნდა  
გამოვიდესო, ასე თუ ისე, ერთი რამ ნათელი იყო — რაღაც პროფე-  
სია უნდა ამერჩია; ამისათვის კი საჭირო იყო სამტრედიიდან თბი-  
ლისში გადმოსვლა.

ერთ დღეს ჩემი სურვილი გავანდე დედას, რომელმაც აღმითქვა,  
მამას დავიყოლიებო. მამაჩემი ჯერ დიდ უარზე იდგა, შემდეგ კი დამ-  
თანხმდა და იმავე საღამოს ბიძაჩემს, ნ. კრავეიშვილს, წერილი მი-  
წერა.

1927 წელს მე სასწავლებლად გადავედი თბილისის მე-14 შრომის სკოლაში. აღსრულდა დიდი ხნის ნატურა: თბილის-ქალაქი, თავისი სიდიადით. მომჩაქადობებლად მეტყველებდა და მითრევდა ჩემთვის მომხიბვლელ ცხოვრებაში.

თბილისის მე-14 სკოლაში სწავლის წლებმა განსაკუთრებული გავლენა იქონია ჩემს შემდგომ არტისტულ მოღვაწეობაზე. მე დიდხანს ვიყავი ისეთი ადამიანის მძლავრი ზეგავლენის ქვეშ, როგორც იყო ჩვენი იმჟამინდელი პედაგოგი კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც გერმანულ ენას გვასწავლიდა. ყოველი მისი გაკვეთილი, ამა თუ იმ საგნის, მოვლენის თუ გარემოს მიმართ გამოთქმული ღრმა აზრი და შეხედულება ახალ ცხოვრებისეულ სინამდვილეს სრულიად ახლებურად გადამიშლიდა ხოლმე.

მაშინ მწერალთა კავშირში ხშირად იმართებოდა დისპუტები, პოეტებისა და მწერლების ცხარე კამათი ლიტერატურაში ახალ იდეურ მიმდინარეობათა ირგვლივ და სხვა. ამის შემდეგ სკოლის დერეფანში ხშირად მისაუბრია პატივცემულ კონსტანტინესთან, მისი დახმარებით გამირკვევია ბევრი რამ, რაც იქ, დისპუტების დროს, ჩემთვის ბუნდოვანი და გაუგებარი იყო.

სკოლაში ჩამოყალიბებული გვქონდა ლიტერატურული წრე: სადაც ახალგაზრდები ხშირად ვკითხულობდით რეფერატებს და ჩვენი მწერლობის დიდ გზას კვალდაკვალ მივყევოდით. ძლიერ მიყვარდა და მიტაცებდა მშობლიური ლიტერატურა, ჩვენი ეროვნული კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი. ქართული ლექსის მაცოცხლებელი სურნელება ხომ დღესაც ისეთივე ძალით მიყვარს და მიტაცებს, როგორც მაშინ, ახალგაზრდობისას.

ტკილია ბავშვობა. ბავშვობის დროინდელი სურათების აღდგენა, ყოველი ახალი მოვლენა, პირველად განცდილი და შეგრძნობილი, მთელი სიცოცხლის მანძილზე წარუშლელად რჩება მეხსიერებაში და სიკვდილამდე თან სდევს ადამიანს. ასეთ შთაბეჭდილებათა დაუსრულებელი მორევი, რომელმაც სამუდამოდ შთანთქა ჩემი პირველი ბავშვური შთაბეჭდილებების სიუხვე, საოპერო თეატრი იყო.

მაგონდება 1927 წელი, როცა ახლად ჩამოსული ტლუ ბიჭი, პირველად მიმავალი რუსთაველის გამზირზე, თუ როგორ შევეფეთე დიდი ხნის ნანატრად ქცეულ ლამაზ შენობას. ჩემთვის არავის უთქვამს, რომ ეს საოპერო თეატრია და მეც არავისთვის მიკითხავს, გული

კი მიგრაცია, რომ ეს ის შენობა იყო, სადაც მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე უნდა განმეცადა ბედნიერება და იმდენივე გულის ტკივილი.

მე ის მოულოდნელად გავიცანი. მარადიული სიყვარულით შევიყვარე, დაუშვებობრდი, და დღეს, როცა ამ მოგონებას სიამით ვტკბები, სულიერად მასთან ვარ და მას ვესაუბრები...

ჩემო თეატრო! ზოგჯერ ყველაზე უტკბესო, ზოგჯერ კიდევ მწარე და დაუნდობელი.

ყველაზე უტკბესო მაშინ, როცა შენს კედლებში მომუშავე ხელოვანი იშვიათადაა თავისი თავით კმაყოფილი, ნაადაგ შრომობს, თავისი ნიჭის, უნარისა და ოსტატობის დაუსრულებელ ზრდასა და გაღრმავებაზე ზრუნავს; მწარე და დაუნდობელი იმის მიმართ, ვისაც თეატრში მუშაობა თვალწარმტაც წალკოტში გასეირნებად მიუჩნევია, ვინც ორიოდვე წარმატებითი გამოსვლით თავს ოლიმპის მწვერვალზე გრძობს, შენ კი ხელოვნისაგან მტკიცედ მოითხოვ: „ან ყველაფერი, ან არაფერი!“, შუალედი — დილეტანტობაა. დილეტანტობას კი არაფერი აქვს საერთო ხელოვნებასთან!...

დრო მოდიოდა... მიღმა დარჩა ოცნებებით სავსე დღეები, ახალგაზრდული გატაცებანი. ცხოვრებამ სულ სხვა მიმართულება მომცა: 1931 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, აბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჩავირიცხე. ამ უმაღლეს სასწავლებელში მოწყობა ჩემთვის დიდ სიხარულად იქცა. ჩემი, და განსაკუთრებით დედაჩემის სანუკვარი ოცნება აღსრულდა. ამ დროისათვის მე უკვე განცდილი მქონდა სიმღერის მომაჯადოებელი ძალა და ამიტომ, სადღაც, გულის სიღრმეში, ახალგაზრდულ მისწრაფებათა სასწორს ეს უკანასკნელი თავის სასარგებლოდ ხრიდა...

მიუხედავად ამისა მე ბეჯითად, კეთილსინდისიერად ვეუფლებოდი სამედიცინო მეცნიერების საფუძვლებს. ბრწყინვალე მეცნიერ-პედაგოგთა შემადგენლობა, რომელიც იმ დროს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს ამკობდა, შთამაგონებლად მოქმედებდა ყოველ სტუდენტზე. როგორც ცნობილია, წამყვან პედაგოგებს შორის იყვნენ: გამოჩენილი თერაპევტი მიხეილ წინამძღვრიშვილი, მუსიკის დიდი მოტრფიალე. მან ერთ-ერთ საჯარო ლექციაზე, რომელიც ყოფილი მიხაილოვის საავადმყოფოს დიდ სააქტო დარბაზში მიმდინარეობდა, მამღერა კიდევ სტუდენტების წინაშე. მას მოსწონდა ჩემი ხმა. იმ დღეს მთელი თავისი სალექციო დრო ხელოვნების სწორ-

უპოვარ ძალაზე და მის ბევრ ამაგდარ წარმომადგენლებზე მოგონებას მოანდომა.

— მეც ძლიერ ვიყავი გატაცებული მუსიკით და არცთუ ისე ცუდად ვუკრავდი ვიოლინოზე, — განაცხადა პროფესორმა, — ისე როგორც ახლა. ბათუ, მეც პარალელურად მუსიკალურ განათლებას ვანდომებდი დროს, მაგრამ საბოლოოდ მედიცინამ დამძლია, აქ კი არ ვიცი (და მე ვადმომხედა), როგორც ვატყობ, მომღერლობა იმარჯვებს, თუმცა ჩემი საგნის მიმართ ბათუს გულგრილობას ვერ დაეწამებ. ასეთივე იყო მხცოვანი მეცნიერი და დიდი ადამიანი, პროფესორი ალექსანდრე ნათიშვილიც, რომლის ფასდაუდებელი ყურადღება არასოდეს არ მაკლდა. ამ სიკეთით სავსე გარემოს ისიც ავსებდა, რომ ჩემს ირგვლივ ბრწყინვალე ნიჭითა და შრომის უნარით აღსავსე ახალგაზრდობა სანუეყარ პროფესიას ეუფლებოდა. ამ ახალგაზრდათა ჩემდამი კეთილმა, მეგობრულმა ყურადღებამ ბევრი რამ შემძინა ინსტიტუტში სწავლების პერიოდში, ლექციებზე თუ ჯგუფური მეცადინეობის დროს ყოველთვის ერთად ვიყავით და ზედმეტი დრო, რომელიც ხელოვნების დაუფლებას მიჰქონდა ჩემგან, მათი მეგობრული დროის დანაზოგით ნაზღაურდებოდა. ასეთები იყვნენ ამჟამად მედიცინის მეცნიერებაში გამოჩენილი ადამიანები: ნინო ჯავახიშვილი, მათიკო ტყემალაძე, ვახტანგ შანიძე და ალექსი ჩაჩანიძე. ყველაზე დიდი და ხანგრძლივი მეგობრობა მე ანატოლი ტოგონიძესთან მაკავშირებდა. ის ჩემთვის ძმაც იყო და მეგობარიც, თანამებრძოლიცა და თანამოაზრეც. რაც მთავარია ხელოვნებისადმი ჩემი ლტოლვა და თავდავიწყებული სიყვარული მასაც ახარებდა და ყველაფერს აკეთებდა, რათა მე ამ მიმართულებით სახელოვანი გზისათვის მიმეგნო. დღეს კი, როცა მის ვაჟს, თბილისის კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტს თენგიზ ტოგონიძეს ვუყურებ. უნებლიეთ მაგონდება ჩემი და მამამისის ახალგაზრდობა, ჩვენი მისწრაფებანი და სურვილები, რომლითაც სავსე იყო ის შორეული დღეები და რომლისთვისაც ახლა ის და მასავით ახალგაზრდები იბრძვიან.



დროებით უკან დავიხევ და მკითხველის ყურადღებას ერთ მნიშვნელოვან ფაქტს მივაქცევ, რამაც ჩემს ცხოვრებაში და პროფესიული მეობის დადგენაში გადამწყვეტი როლი შეასრულა.

საშუალო სასწავლებლის დამთავრებამდე. მეცხრე კლასში ყოფნის დროს, სასკოლო გუნდის ერთ-ერთ მეცადინეობას დაესწრო გიორგი ხახანაშვილი და მიხეილ კაჭელაშვილი\*. მათ მოეწონათ ჩემი ხმა და კონსერვატორიის პროფესორ ე. ა. ვრონსკისთან მიმიყვანეს.

ქართული ვოკალური ხელოვნების ამაგდარი მოღვაწე, შესანიშნავი არტიტი, მომღერალი და პედაგოგი, სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ე. ა. ვრონსკი იყო და მარად დარჩება ჩვენში, როგორც უანგარო მოღვაწე, რომელმაც თავისი შინაარსიანი სიცოცხლე ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს შეაღია.

საკმარისი იყო ოდნავ მაინც დაახლოებოდიოთ მის პიროვნებას და მისგან განშორება შეუძლებელი ხდებოდა. იგი მთელ თავის ცოდნას, არტიტულ ცეცხლს, გამოცდილებას, დროისა და ენერჯიის დაუზოგველად, თავის მოწაფეებს ანდომებდა. მაგონდება როცა პირველად ვრონსკისთან მიმიყვანეს (პროფესორი ვრონსკი კონსერვატორიის მოპირდაპირე სახლში ცხოვრობდა). მის წინაშე სუნთქვა-შეკრული ვიდექი. როგორი მოულოდნელი წუთები იყო ჩემთვის, როცა ჩემს წინ აღიმართა კეთილად მოღიმარი ადამიანი, თავაზიანად შეგვიპატიჟა ოთახში. გამომკითხა სადაურობა. სად ვცხოვრობდი და როდესაც შინაურული საუბრით გამათამამა, ინსტრუმენტთან მიმიყვანა, თვითონ როიალს მიუჯდა; მეგონა. მე მამღერებდა. ავლელდი, გასაქცევად მოვემზადე. თავში გამიელვა: ვთხოვ ცოტა ხანს ჰაერზე გამიშვას და გავიპარები-მეთქი, მაგრამ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მისი სიმღერა მომესმა. იგი მღეროდა ლამაზი ტემბრით. როცა სიმღერა დაასრულა, აკომპანიატორს მიუბრუნდა და უთხრა:

— აბა, ჰკითხეთ ბათუს, რას გვიმღერებს.

მისი სიმღერით წათამამებულმა მე აკომპანიატორის შეკითხვას აღარ დავუცადე და ვუთხარი — მურმანის არიას ვიმღერებ-მეთქი.

— მურმანის? — გაიკვირვა პროფესორმა. — როგორ? საიდან? ვინ გასწავლა?

მე სიტყვა არ დავამთავრებინე და წახალისებულმა ცოცხლად ვუპასუხე: — აბესალომის და მურმანის ღუეტის სიმღერაც შემიძლია-მეთქი. მას გაეცინა, მომიახლოვდა, მხრებზე ხელი გადამხვია.

---

\* მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელები.

თვალეში ჩამაცქერდა და, დიდი ხნის დუმალს შემდეგ, თბილი ხმით მითხრა:

— ჩემო კარგო, აუცილებლად იმღერებ. მე ეკვი არ მეპარება, რომ შენ მურმანის არიას იმღერებ. მაგრამ ჭერ, უპირველეს ყოვლისა, მინდა გავიგო...

აქ მე ველარ მოვითმინე და სიტყვა შევაწყვეტინე — როგორ თუ ვიმღერებ, მე ხომ გითხარით, უკვე ვიმღერე-მეთქი.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, — ღიმილით შემაჩერა მან, — თუ ასეა, მოგისმენთ.. მიუჯდა პიანინოს და... დო, რე, მი, რე, დო, რე, მი, რე მამეორებიანა. მე სულ დამეკარგა შიში და თამამად ვმღეროდი სავარჯიშოებს.

ვრონსკიმ კმაყოფილების ნიშნად გადამკოცნა. ასე დაიწყო ჩემი მასთან მეცადინეობა. ბევრჯერ ამიცრუვდა გული, რადგან გამები მოსაწყენად მეჩვენებოდა; კვირაობით გადავიკარგებოდი ხოლმე, მაგრამ ბოლოს მაინც მის კარებთან ვიყავი ატუზული და ბოდიშს ვიხდიდი გაკვეთილების გაცდენისათვის.

მასხოვს, შემოდგომის ცივი დილა იყო. მე ფოთის ქუჩაზე, ჩემს უფროს დასთან, ვცხოვრობდი. ხელმოკლეობა ჩემზე ცუდად მოქმედებდა. დილით ადრე ავდექი, გაკვეთილები გავიმეორე, ჩანთაში წიგნები ჩავაწყვე, თან მამისაგან ფულს ველოდი და ყური გარეთ მქონდა — ფოსტალიონის მოსვლა არ გამომპარვოდა. კარებზე დააკაკუნეს... მე სიხარულით კარებს მივაშურე, მაგრამ ფოსტალიონის ნაცვლად მომესმა ალერსიანი, ნაცნობი ხმა:

— ბათუ!?

საქციელი წამიხდა.

— ევგენი ალექსის ძევ, თქვენ როგორ შეწუხდით?!

ჩემი პედაგოგი იდგა და მიყურებდა. საშინლად შემრცხვა, თავი ჩავლუნე.

— რატომ გააცდინე გაკვეთილები? შეუძლოთ იყავი, არა?

მე პასუხი ვერ გავეცი, რადგან გამრჭირდა ამ კეთილშობილი კაცის წინაშე მეცრუა, იგი მიმიხვდა...

— არა უშავს რა! არაფერია, არაფერი! მეც მასხოვს ჩემი ახალგაზრდობა, ეს შენდაუნებურად მოგდის. მე ვიცი, შენ ძლიერ გიყვარს სიმღერა. ვიცი, რომ შენ არასოდეს არ მიატოვებ შენს საყვარელ საქმეს. მე ეგ მჭერა. აქეთ მეგობარი მყავს, მასთან ვიყავი და შენც გინახულე.



მე ვერაფერი ვუპასუხე. უსიტყვოდ ვიდექი, რადგან ისედაც თავგანააბნეულს ჩემი მცირეოდენი რუსული სულ გადამავიწყდა. კიდევ მოხრა რამდენიმე თბილი სიტყვა და წავიდა. მეორე დღიდან ვლავ განვაგრძე მეცადინეობა.

როგორც არ უნდა გიყვარდეს სიმღერა, ძნელია ახალგაზრდა დაწყვები მომღერლისათვის იმ მტკიცე რეჟიმის დაცვა, რომელიც აუცილებელი პირობაა ვოკალისტის წარმატებისათვის. ამიტომ იყო, რომ გაკვეთილებს ხშირად ვაცდენდი, თანაც საშუალო სკოლის დამამთავრებელი წელი მიწურულს უანლოვდებოდა.

ამავე დროს გატაცებული ვიყავი სამედიცინო ინსტიტუტში მოწყობის ფიქრით. ჩემში ჭიდილი იყო. ხშირად ვმორდებოდი აზრს, რომ მომღერალი გამოვსულიყავი.

ბავშვობიდანვე დედამ ჩამინერგა მედიცინისადმი სიყვარული. მჯეროდა, რომ ექიმობა, სხვა პროფესიასთან შედარებით, უფრო კეთილშობილური და ჰუმანური იყო, რადგან იგი ემსახურებოდა ადამიანის სიცოცხლის საქმეს.

მაგრამ ხელოვნებას ისეთი დიდი ძალა აქვს, რომ მთლიანად აპყრობს ადამიანის პიროვნებას და თუ მან ერთხელ იგემა სცენა და კულისები, მას ვერასოდეს ვეღარ მოსცილდება. ვაი მას, ვისაც ჭკუასთან ჭიდილში მაინც ხელოვნება აურჩევია და ამ უკანასკნელს კი მისთვის იმედი არ გაუმართლებია. ასეთი ადამიანი საშუალოდ რჩება მის მონობაში და ნებისყოფა არ ყოფნის სხვა გზას დაადგეს. რა უსუსურიც არ უნდა იყოს მსახიობი, იგი მაინც პატივმოყვარე ხდება. საკუთარი არტისტული მონაცემები მას გაზვიადებულად ეჩვენება და სჯერა თავისი ცოდნისა და ნიჭის. ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანები, დიდი წვალებისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ, სანუკვარ მწვერვალს ვერ აღწევენ, თავზე ვერ იდგამენ სახელოვანი შემოქმედის გვირგვინს და მაინც გული ერჩით, თავს იმშვიდებენ სხვისი შემოქმედების დაწვრილებითი განხილვა-გარჩევით, რაც სუბიექტური შეგარძნების ფარგლებს არ სცილდება. ამ შემთხვევაში მეტად ცალმხრივნი არიან და ყოველი ნიჭიერი ადამიანის შესახებ მსჯელობის დროს ტენდენციურობას იჩენენ.

ასეთია იმ ადამიანთა ხვედრი, რომელთაც თავისი საშუალო ნიჭით სასახლო ვერაფერი გაუკეთებიათ. საუბედუროდ, რამდენადაც მცირეა მაღალი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები, იმდენად მეტია უნიჭოთა რიცხვი. ასეთ ხალხს მაინც სჯერა, რომ ცალკეული,

მათდამი მტრულად განწყობილი, პიროვნებების წყალობით ვერ მი-  
აღწიეს წარმატებას, თორემ ნიჭი... ნიჭი უტყუარი ჰქონდათ!...

ე. ა. ვრონსკიმ თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა ქ. ბათუმში  
დაიწყო და მისდა საბედნიეროდ მას, როგორც პედაგოგს, ბედმა პირ-  
ველ დღესვე გაუღიმა. მისი პირველი მოწაფე — ქართული ვოკალუ-  
რი ხელოვნების მომავალი ვარსკვლავი დ. ანდლულაძე გახდა. ვრონ-  
სკის ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის:

— დ. ანდლულაძის ჩემთან მოხვედრამ ან, უფრო სწორედ, მის-  
მა აღმოჩენამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩემს პედაგოგიურ  
მოღვაწეობაში.

დ. ანდლულაძე იმთავითვე გამოირჩეოდა თავისი ძლიერი და  
ლამაზი ტემბრის ხმით. იგი შთაგონების წყარო გახდა ახალგაზრდა  
პედაგოგისა. ვრონსკი მთლიანად მიეცა ამ ბრწყინვალე მონაცემების  
მქონე მომღერლის აღზრდისა და დახელოვნების საქმეს. მეცადინე-  
ობა ინტენსიურად გრძელდებოდა, ხოლო მასშტაბები დიდი მოცუ-  
ლობის ხელოვნებისათვის თანდათან დიდ გზას მოითხოვდა; ეს გზაც  
გამოჩნდა და ვრონსკი, თავისი მოწაფეთურთ, თბილისში ჩამოვიდა.

დავით ანდლულაძესთან ერთად მე ბევრი სპექტაკლი მიმღერია,  
ბევრჯერ შევხვედრივარ მას, უკვე ჭარმაგ აქტიორს. შემოქმედების  
სარბიელზე იგი უშრეტე ენერგიითა და სიმძლავრით ახორციელებ-  
და დრამატული ტენორის ურთულეს პარტიებს.

ჯერ კიდევ სტუდენტი, მოსკოვში მოკრძალებით მივედი დავით-  
თან, მესახელებოდა და, გარდა ამისა, მინდოდა კიდევ უფრო ახლოს  
მენახა, გაცნობოდი სახელოვან ქართველ მომღერალს.

შემდეგში მე ბედნიერება მქონდა დ. ანდლულაძის გვერდით ჩვენი  
საოპერო სცენის ჭაპანი მეწია. ჩვენ გვიხდებოდა ერთად გამოსვლა  
ოპერებში: „კარმენი“, „აბესალომი“, „დაისი“, „ჯამბაზები“, „ოტე-  
ლო“, ბევრჯერ განმიცდია მისი, როგორც შესანიშნავი პარტნიორის  
მოზღვავებული ხმისა და ტემპერამენტის ძალა.

დ. ანდლულაძეს იშვიათად თუ დაერღვეოდა კონტაქტი ღირი-  
ეორთან; შემღერებებს მღეროდა სრული ხმით. არ სწამდა არავითა-  
რი „ნახევარი დატვირთვა“.

— სპექტაკლის მზადყოფნისათვის ყოველთვის წინასწარ უნდა  
გასინჯო ძალები, — იტყოდა დავითი; ამისათვის კი საჭიროა რეპე-  
ტაციებზე იმღერო მთელი ხმით და ითამაშო გულთ.

ასეთი იყო ჩვენი გამოჩენილი საოპერო მომღერალი იმ დიდ საქ-

მეში, რომელსაც მან მთელი თავისი სიცოცხლის სამი მეოთხედი შესწირა.

დ. ანდლულაძე შესანიშნავი, პრინციპული ხელოვანი, თეატრისათვის, მისი სიწმინდისათვის თავდადებული მებრძოლი იყო. ვერ იტანდა შემთხვევითობით განებივრებულ როგორც მომღერლებს, ისე ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მოხვედრილ „საქმონებს“. ვერ იტანდა აგრეთვე უდისციპლნო მუშაკებს. მახსოვს, ერთხელ, „ოტელოს“ დადგმაზე მუშაობის დროს, არც რეჟისორი, არც მსახიობები მოსულნი არ ვიყავით, ის კი უკვე სამუშაო კოსტუმში ყველას გვიცდიდა. რაკი უფროსი ამხანაგი ასეთ დიდ შრომით დისციპლინას ამქლავებდა, დანარჩენებიც თავის დროზე მოდიოდნენ ხოლმე. ასეთი მახსოვს დავით ანდლულაძე როგორც მომღერალი, ხელოვნების მსახური და მოქალაქე. თუ არა უცნაური შემთხვევა, ის კიდეც დიდხანს ემსახურებოდა ჩვენს სცენას. ამჟამად იგი თბილისის კონსერვატორიის პროფესორია. მან გამოზარდა მომღერალთა ახალგაზრდა თაობა, რომელთა შორის მკვეთრად გამოირჩევიან ზურაბ ანჯაფარიძე და ნოდარ ანდლულაძე.

ვრონსკის მოსწავლეთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს ულამაზესი ხმის მქონე დავით ბადრიძეს, რომელმაც საოპერო სცენაზე საკმაოდ დიდი ხნის მოღვაწეობის პერიოდში, თავისი შემოქმედებითი ღრმა კვალი დატოვა. ბადრიძე მაშინ გამოვიდა დიდი თეატრის სცენაზე, როდესაც გამოჩენილი რუსი მომღერლები ი. კოზლოვსკი, ს. ლემეშევი და ჟადანი თავიანთი არტისტული მოღვაწეობის ზენიტში იმყოფებოდნენ.

ლირიკული ტენორის პარტიებში დ. ბადრიძემ თავიდანვე გამოამქლავა მაღალი ოსტატობა და თავისებურად აღიქვა საოპერო გმირთა მუსიკალურ-სცენური სახეები.

დ. ბადრიძე საყოველთაოდაა ცნობილი მთელ საბჭოთა კავშირში აგრეთვე როგორც კამერული მომღერალი. წელთა მანძილზე იგი ბრწყინვალე წარმატებით გამოდიოდა ჩვენში და უცხოეთში მრავალფეროვანი საოპერო და სარომანსო რეპერტუარით.

ბოლო წლებში დ. ბადრიძე ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის კონსერვატორიაში, სადაც მას მიჰყავს ვოკალური კლასი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ვრონსკის მოწაფე დავით გამრეკელი, რომლის არაჩვეულებრივი სილამაზის ტემბრის ხმას ყველა

აღტაცებაში მოჰყავდა. სადაც კი არ უმღერია მას, თბილისში თუ მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე. ყველგან სცენის ნამდვილი მშვე-  
ნება იყო.

ვრონსკისავე დახმარებით ფეხი აიდგა და ვოკალურ ხელოვნებას დაეუფლა ნადეჟდა ხარაძეც. ნ. ხარაძემ თავისი მომხიბვლელი აქტი-  
ორული ეშხით და შესანიშნავი კოლორატურით ქართველ მაყურებ-  
ლებში აღიარება და სიყვარული დაიმსახურა. მისი როზინა, მიუზე-  
ტა, ვიოლეტა, პერიკოლა, თინათინი („თქმულება ტარიელზე“) და  
სხვა საოპერო გმირი ქალები სანიმუშოდ იყო განსახიერებელი.

ვრონსკის კლასში აღიზარდნენ: გივი ყიფიანი — ლამაზი ტემბ-  
რის ბარიტონი, ჰერტრუდა შმალცელი — ძლიერი დრამატული სოპ-  
რანო, რომელიც ე. გოსტენინასთან ერთად, მრავალი წლის მანძილზე  
წამყვან როლებს ასრულებდა „აბესალომში“, „პიკის ქალში“, „აი-  
დასა“ და სხვა ოპერებში; ნარ ოვანესიანი — ხავერდოვანი ბანი,  
დღეს მოძვე სომხეთის რესპუბლიკის სახალხო არტისტი და ერევნის  
საოპერო თეატრის მშვენება; შალვა ცირდილაძის შესახებ ზღაპრუ-  
ლი ამბები მსმენია: მისი „კედლის გამკვეთი“, ფოლადისებური და  
თან ხავერდოვანი ბარიტონი ბრწყინვალე მომავალს უქადდა ახალ-  
გაზრდა მომღერალს. მაგრამ მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ მან  
დაჰკარგა თავისი იშვიათი ხმის თვისებები, თუმცა არაერთხელ უმ-  
ღერია მას მთავარი პარტიები „თავად იგორში“, „აბესალომში“, „ქე-  
თო და კოტეში“ და სხვა; ვლ. ხამაშურიძე (ბანი) ათეული წლების  
განმავლობაში სახასიათო როლების უბადლო შემსრულებლად ითვ-  
ლებოდა. იგივე ითქმის შალვა ვაშალომიძის (ტენორი) შესახებაც,  
რომელიც დღემდე განაგრძობს თეატრის სცენაზე მუშაობას. მეტად  
სასიამოვნო ხმის მქონე იყო ლირიკული ტენორი გიორგი ლომიძე,  
რომელსაც არ დასცალდა თეატრში ხანგრძლივი არტისტული მოღ-  
ვაწეობა. გაცილებით მეტ ხანს და წარმატებითაც გამოდიოდა ლი-  
რიკული ტენორის პარტიებში ნიკოლოზ ბოკუჩავა, რომელიც ამჟა-  
მად ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბილისის კონსერვა-  
ტორიაში.

ე. ა. ვრონსკის მოწაფე იყო აგრეთვე ვასილ ლაზარეს ძე ხმა-  
ლაძე.

ერთხელ, ვრონსკის ოჯახში სამეცადინოდ მისულმა, შევაძინე,  
რომ ვრონსკის მეუღლე — ელისაბედ იაკობის ასული ვრონსკისა და  
ამ ოჯახის ახლობლები ფუსფუსებდნენ და სახელდახელოდ რაღაც

გეგმებს ადგებდნენ. შე თავი უხერხულად ვიგრძენი და ევგენი ალექსის ძეს ვუთხარი:

— თქვენ ძლიერ დაკავებული ბრძანდებით, და თუ ნებას მომცემთ, სხვა დროს გამოვივლი-მეთქი. ევგენი ალექსის ძეს გაეღიმა.

— იცი რა, ძვირფასო ბათუ? ხვალ ჩემი მოწაფე ვასილ ხმალაძე პირველად მღერის ჟერმონს საოპერო თეატრში და გვინდა აღვნიშნოთ მისი „ნათლობა“ ჩვენს სცენაზე.

— დაჯექით, გეთაყვა! — მომმართა ევგენი ალექსის ძემ; ცოტა დრო კიდევ დასჭირდება ამ ამბის მოგვარებას და შემდეგ ჩვენც შევუდგებით მეცადინეობას.

მეორე საღამოს დიდძალი ხალხი მოაწყდა თეატრს. ხმალაძე უკვე საკმაოდ ცნობილი იყო როგორც ულამაზესი ხმის პატრონი და ჰქვიანი მომღერალი. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ სცენაზე მის პირველ გამსოვლას თბილისის მაშინდელი მელომანები დიდი ინტერესით მოელოდნენ. თეატრში მეც ვიყავი და ყველაზე დაბალფასიანი ბილეთით ქანდარაზე მოვიკალათე.

დაიწყო „ტრავიატას“ მეორე აქტი და სცენაზე გამოჩნდა ახოვანი. ჰქვიანური თვალებით მომზირალი, გზააბნეული შვილის ბედის მაძიებელი მამა.

ხალხი ხმალაძის გამოჩენას ტაშის გრილით შეხვდა. პირველსავე ფრაზაში მან გამოავლინა ლამაზი ხმა და გააზრებული თამაშის უნარი. მომღერალი ამ აზრობრივ ხაზს ბოლომდე ლოგიკურად ავითარებდა და პირველი გამოსვლაც დიდი წარმატებით დაგვირგვინდა. ეს იყო 1932 წლის შემოდგომაზე. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ვასილ ხმალაძე საოპერო სცენას არ მიკარებია, ბევრი თეატრის მოყვარული, ერის მოჭირანახულე დიდხანს ეძებდა აფიშებში შესანიშნავი ხმისა და მუსიკალური ნიჭის მქონე მსახიობის გვარს, მაგრამ ამოდნის, თავისი მაღალი შეგნებით, თავისთავისადმი მკაცრი მომთხოვნელობით და მუსიკისადმი ღრმა სიყვარულის გრძნობით. საოპერო სცენიდან — კონსერვატორიაში პედაგოგად გადავიდა. მას შემდეგ უკვე 35 წელია ხმალაძე უმწიკვლოდ ემსახურება მომავალ ვოკალისტთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

მისი, როგორც პედაგოგის, აღზრდის მეთოდოლოგია უბრალო და გასაგებია. ის შორსაა სწავლებაში ყოველგვარი უცხო შენაძენი. იაფფასიანი ხერხებისაგან. ახალბედა მოსწავლეს ხმას იგი მართავს ისე, როგორც ამ ახალგაზრდის ხმის ხასიათი, მისი ბუნებრივი მონა-

ცემები მოითხოვს. მთავარ ყურადღებას აქცევს ხმის სწორ და ბუნებრივ წარმართვას და მთელ მის არქიტექტონიკას კლასიკური სოლო-სიმღერის ცნობილ ნორმატივებს უფარდებს.

ვ. ხმალაძე — განათლებული, ღრმა გააზრების და ახლის მაძიებელი პედაგოგია. მის დიდ მუსიკალურ ცოდნას, გამოცდილებით მდიდარ პრაქტიკას ზედ ერთვის ღრმა ინტელექტი. იგია თავმდაბალი და კეთილმოსურნე მეგობარი და მოქალაქე.

ევგენი ალექსის ძე ვრონსკი პირველი შეხვედრისთანავე მოსწავლეს მოკრძალებითა და შეკავებული ღიმილით იღებდა. მის პედაგოგიურ თვისებათა სიუხვეში თავმდაბლობა, უბრალოება და მორიდებულობაც შედიოდა. ბინაში შესვლისთანავე ჩვენ, მისი მოწაფეები, შინაურულად ჩამოვსხდებოდით ხოლმე სკამებზე. მეცადინეობის დაწყების წინ ის ყოველთვის გამოგვკითხავდა ჯანმრთელობას, თუ როგორ გვეძინა, ღვინო ხომ არ დაგვიღევია ზედმეტი, ხომ არ გვინერვიულია რაიმე მიზეზის გამო და სხვა. შემდეგ, თუ ყველაფერი რიგზე იყო, იწყებდა მეცადინეობას. მეცადინეობის პროცესში ის თითქმის ყოველთვის მოლიმარი, კმაყოფილებით სავსე ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. გვაწყებინებდა გამების მღერას ყოველთვის პირველი ოქტავის დო-დან და მეორე ოქტავის რე-მი-ბემოლამდი აგვიყვანდა (აქ რა თქმა უნდა ბარიტონები მყავს მხედველობაში). პირველ სავარჯიშოდ ყველაზე მოკლე გამას იძლეოდა, ნოტათა დასახელებით: დო-რე-მი-რე, დო-რე-მი-რე-დო. ამის შემდეგ: დო-რე-მი-ფა-სოლ-ფა-მი-რე-დო. ან კიდევ: — დო-დო (ზემო ოქტავის და შემდეგ დაღმავალი სვლით) — სი-ლა-სოლ-ფა-მი-რე-დო და ასე შემდეგ. მე დღეს, როცა თვით ვეწევი პედაგოგის მძიმე შრომას, ვრწმუნდები, რომ ვრონსკის ეს საწყისი გამები ხმის და სიტყვის მთლიანობაში ახალგაზრდა მომღერალს უმუშავებს საჭირო ვოკალურ თვისებებს, ხმის გამოვლინებასთან ერთად ავარჯიშებს მას სიტყვის მკაფიოდ გამოკვეთაზე. ამის შემდეგ ვრონსკი ისევ ხმას უბრუნდებოდა, კონკონეს და სხვა სავარჯიშო პიესებს გვამღერებდა. ხმის ფორმირებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ბარიტონისათვის დამახასიათებელი დიაპაზონი კარგად ჰქონდა შესწავლილი, რადგან თვით მას ბარიტონი ჰქონდა, მაგრამ სიძნელეთა ახსნა-განმარ-

ტებას მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკულად. თავისი ხმის ჩვენებით იძლეოდა. ბანის გასაღებში მოცემული რე ან მი-ბემოლი სრულიად ესატყვისებოდა მართებულ ნორმებს, ხოლო გარდამავალი მი და განსაკუთრებით ფა. როგორც ახლა მაგონდება, არ იყო მართებული და არ ექვემდებარებოდა სოლო სიმღერის გარდუვალ წესებს. ფა ბარიტონისათვის უმრავლეს შემთხვევებში ყველაზე „სუსტი ადგილია“; ამიტომ პედაგოგი მის მომზადებას ადრე უნდა შეუდგეს, სახელდობრ რე-დან მოყოლებულა მი-ბემოლი ე. წ. ნახევრად მოხუროლ მდგომარეობაში უნდა ავილოთ, მი უკვე უნდა მოხუროთ და ამავე პოზიციით შევყვეთ ფა-ს. ფა-დიეზს, სოლს და ასე შემდეგ.

ვრონსკი ამ ნოტების ასეთ რეგისტრულ დეტალიზაციას არ აზღენდა, მაგრამ საერთოდ თავის მიზნებს აღწევდა. დღეს კი მის მიერ ამ ნოტების (მი და ფა) ჯეროვნად აღების წესი ჩემი აზრით ექვს იწვევს. ისინი საკმარისად მოუხუროავი, ნახევრად ღიანი მეჩვენებოდა, ამიტომ არ უღერდნენ სრულფასოვნად, კონცენტრირებულად თავმოყრილნი ერთ წერტილში. სამაგიეროდ ვრონსკის ჰქონდა ერთი შესანიშნავი, ძნელად საპოვნი თვისება: სიმღერის არაჩვეულებრივი სისადავე და ვეებერთელა არტისტიზმი, შესრულების თავშეკავებული მანერა, მაღალი კულტურა და ნაწარმოების არსში ღრმად ჩაწვდომის უნარი. ევგენი ალექსის ძე თვლიდა, რომ სუნთქვა სიმღერის ერთ-ერთ საყურადღებო და მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. სუნთქვა — მოტორულ მექანიკაა და ის ბუნებრივად როგორც ლაპარაკის ისე სიმღერის დროსაც ადამიანში სასიცოცხლო მოვლენათა თანამგზავრია, მაგრამ არაა ძირითადი და წამყვანი ფაქტორი ვოკალში. როცა მომღერალი „მოკლე სუნთქვით“ მღერის, ამის მიზეზი იმ აპარატში უნდა ვეძიოთ, სადაც ხმა ყალიბდება. მე ვიცი შემთხვევა, როცა ჩვენი დროის ერთ-ერთ გამოჩენილ მომღერალს ორჯე ფილტვში პნევმატორაქსს უკეთებდნენ, ე. ი. სასუნთქი ორგანოები მძიმე მდგომარეობაში ჰქონდა, მაგრამ მომღერალი შესანიშნავად ფლობდა სუნთქვას და სამღერი აპარატის სრულყოფილ მდგომარეობაში ყოფნის გამო მისი ხმა მშვენივრად უღერდა. სუნთქვის გამოვლინება — ხმის აპარატის სწორად და მართებულად წარმართვის შედეგაა. ამიტომ პირველ ყოვლისა მომღერალმა უნდა იზრუნოს ხმის სწორ ფორმირებაზე, მის სწორ, არაძალისმიერ მართვაზე, სიტყვების, სასიმღერო მელოდიასთან ერთად, გამომსახველობაზე. მაშინ მომღერლისათვის ესოდენ ძირითადი და ყოვლის მომცველი ძალა

თავისთავად გასაპირობებს სწორი სუნიტქვის საკითხს. ასეთი აზრის იყო პროფ. ე. ა. ვრონსკი და ამ აზრს ვინიარებ მეც.

იოგების მიერ წარმოშობილ ბეგრებს სილამაზეს და ლაზათს გულ-მკერდისა და თავის რეზონატორები აძლევენ. როცა მომღერალი ხმის გამამდიდრებელ ორ ძირითად ძალას მიაგნებს და შემდეგ სიმღერის პროცესში მას დიაპაზონის დაძლევის ხმის ფერადოვნების ძნელ საქმეში გადაიტანს, მაშინ თავისი პროფესიული მომზადება შეიძლება ნაწილობრივ მიღწეულად ჩათვალოს. მაგრამ ხმის სრულყოფილი ქდერადობა ჯერ კიდევ როდი ნიშნავს ვოკალური ხელოვნების აბსოლუტურ დაუფლებას. მომღერლის საშემსრულებლო არსენალში ხმა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. რომლის მეოხებით უნდა ხდებოდეს გმირთა მხატვრული სახის გახსნა. მათი შინაგანი სამყაროს — ტანჯვის, ლხენის, გმირობის, თუ სასოწარკვეთილების, ე. ი. ყოველივე იმის რეალისტურად გამოსახვა, რაც აღამიანის შინაგან სამყაროში სუფევს; როცა ხმა, თავისი გამომსახველობით, ამ დიდ ვნებათა სრულყოფილ ასახვას მიაღწევს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომღერალმა მიაღწია სანუკვარ მწვერვალებს.

გამოვდივარ რა ე. ა. ვრონსკის სწავლების სწორი მეთოდიდან, სიმღერაში ჩემი დიდი გამოცდილების საფუძველზე შემიძლია განვაცხადო, რომ მომღერლის სუნტქვის საკითხზე, რაზეც ასე ბევრს მსჯელობენ, წერენ და სადისკუსიოდ ხდიან, არ არის ძირითადი. ის მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი სასიცოცხლო ძალაა, რომელიც ისევეა საჭირო სიმღერაში, როგორც საუბრის დროს და იმდენადაა ყურადღების ღირსი, რამდენადაც სუნტქვა და სასუნტქი ორგანოები მომღერლის ფსიქო-ფიზიკურ დატვირთვას სიმღერის დროს სათანადოდ უნდა პასუხობდეს, აგრეთვე ჩასუნტქვისა და ამოსუნტქვის პროცესებს. ხანმოკლე იქნება ეს თუ ხანგრძლივი, ინტენსიურად აწარმოებდეს, ხმის სწორ მართვას, სიძნელეთა დაძლევას და გამომსახველობას ემსახურებოდეს. რაც შეეხება სუნტქვის განვითარებას საზოგადოდ; ეს აუცილებელია იმდენად. რამდენადაც ხელს შეუწყობს მომღერლის საერთო მდგომარეობას; სუნტქვის განვითარება კი გარკვეული სავარჯიშოების გამოყენების მეოხებით უნდა ხდებოდეს იმ ანატომიური კანონების დაცვით. რაც ქალისა და მამაკაცის ბუნებრივ სუნტქვას შეესატყვისება. ამ ბუნებრივი კანონების დაცვით უნდა ხდებოდეს სუნტქვისა და სასუნტქი ორგანოების გავარჯი-



შება. რაც ხელს შეუწყობს ვოკალისტის სწორ და ბუნებრივ განვითარებას.

არ შემიძლია არ მოვიგონო ორი ადამიანი — თბილისის სახ. კონსერვატორიის კამერული კლასის პედაგოგები პროფესორები დ. შვედოვი და მარია კამოევა, რომელთა გულმოდგინე შრომით და დაუზოგავი ენერგიით ჩვენ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები, მუსიკალურ საფუძვლებს ვეფუძლებოდით. დიმიტრი შვედოვი და მარია კამოევა თავიანთი ნატიფი ხელოვნებით აღრმავებდნენ ჩვენში მუსიკალური აზროვნების მასშტაბებს. ხვეწდნენ ჩვენს გემოვნებას და გვაახლოვებდნენ მუსიკალური კულტურის კლასიკოსებთან — გვინერგავდნენ კამერული მუსიკის ცოდნასა და სიყვარულს. ჩვენი კონსერვატორიის კურსდამთავრებულ ვოკალისტთა ათეული თაობა მადლიერებით მოიგონებს ამ ღვაწლმოსილ ადამიანებს. მეც ისე, როგორც ბევრი სხვა, დიდად ვარ დავალებული დიმიტრი შვედოვის და მარია კამოევას უანგარო შრომით.

კოლეგებს შორის, ჩემს მეხსიერებაში, საოცარი ძალით აღიბეჭდა გროვნული საოპერო სცენის ნიჭიერი მომღერალი ქალი ეკატერინე სოხაძე. საკმარისია მოვიგონო იგი დეზდემონას როლში, რომ ჩემს წინაშე დიდი ძალის ნიჭი აკიაფდეს. მე ახლაც მახსოვს რეპეტიციებზე მიღებული შთაგონებით სავსე, გულის სიღრმიდან გრძნობათა სიუხვით ამოფრქვეული ულამაზესი ხმა, რაღაც უცნაური, უჩინარი ძალით მოოქროვილი. მის ამაღლვებელ ხმას და სცენურ ეშხს, სამწუხაროდ დიდხანს არ უცოცხლია სცენაზე, მაგრამ. დარჩა ჩვენი სცენის შექმერ ვარსკვლავად.

არ დამავიწყდება მისი ტატიანა ოპერაში „ევგენი ონეგინი“. ხშირად დამეიწყებია, რომ ჩემს წინაშე მსახიობი ქალია. მე, მის ონეგინს, თავი პუშკინის ტატიანას წინაშე მყავდა წარმოდგენილი. იგი თავისი თავშეკავებული, გულუბრყვილობით სავსე სცენური მოქცევით მთლიანად მიპყრობდა და ჩემს ქცევასაც უჩვეულოს, მაღალსა და „პუშკინისეულს“ ხდიდა.

ასეთივე ბუნებრიობით იყო აღსავსე მისი მიქაელა, ანკარა, როგორც დილის ცვარი. მახსოვს, მე მაშინ ახალგაზრდა ტორეადორი ვიყავი. როცა სცენაზე მის ღვთაებრივ სახეს ვუყურებდი — გულზე ვსკდებოდი: ნუთუ შეიძლება ეს, უმანკოებით სავსე ქალი უარპყო და „ქაჯი“ კარმენი შეიყვარო-მეთქი? ეს გამოწვეული იყო სოხაძის მიერ მიქაელას როლის უბადლო განსახიერებით. როცა მიქაელა-

სახაძე ჯარისკაცთა წინაშე თავის ამბავს ყვება, იგი საოცრად დაბნეული და შემკრთალია, მაგრამ მისი არტისტული ზომიერება მხოლოდ თავსაფრის ლაკონიურად ორჯერ გასწორებაში გამოიხატებოდა. ის ამის შემდეგ თითქოს „უმოძრაოდ“, მაგრამ შინაგანი ცეცხლითა და დაძაბულობით, უმაღლეს ცხოვრებისეულ „სიმართლეს“ აღწევდა.

ასეთივე შესანიშნავი იყო იგი ნედაში („ჯამბაზები“) — ქალური ვნებითა და ელვარე ტემპერამენტით აღსავსე. მასთან პარტნიორობა ნიადაგ ზრდიდა ჩემში არტისტულ სიახლეთა დაპყრობის გრძნობას, მახალისებდა და ცხოვრებისეულ სიმართლეს მახლოვებდა.

აქვე მინდა აღვნიშნო ღვთაებრივი ხმით დაჯილდოებული მერი ნაკაშიძის სასცენო მოღვაწეობის ღირსშესანიშნავი ფურცლები.

მერი ნაკაშიძე, თავისი ხმის სილამაზით, იშვიათი მოვლენა იყო ჩვენს სცენაზე. მის მიერ შექმნილი ჯალდა, ვიოლეტა, მარო დიდხანს დარჩება აქტიორული მშვენიერების მისაბამ მაგალითად. მისი ხმის არაჩვეულებრივი სითბო მზის სხივთა ძალის თანაბრად ათბობდა მსმენელს.

განსაკვიფრებელი ტემბრალური სილამაზე, სიწმინდე და, განსაკუთრებით მაღალ რეგისტრში — ხმის მოქნილობა და გამომსახველობა — ყველა ამ თვისებებს იგი მაღლა აპყავდა, როგორც შეუღლებელი ხმის პატრონი.

მინდა მოვიგონო აგრეთვე ჩვენი თეატრის პირველი მეცო-სოპრანო, უმშვენიერესი და უმდიდრესი ხმის პატრონი ნადეჟდა ცომაია. იგი ათეული წლების მანძილზე ასრულებდა სხვადასხვა ხასიათისა და ეროვნული საოპერო გმირ ქალთა როლებს. ინტენსიურად იყო ჩაბმული თეატრალურ ცხოვრებაში. მას შესრულებული აქვს ქართველ, რუს და დასავლეთ ევროპელ კომპოზიტორთა მეცო-სოპრანოსათვის დაწერილი პარტიების უმრავლესობა. მის ლამაზ, ხავერდოვან მეცო-სოპრანოს ბევრი ამაღელვებელი ფურცელი ჩაუწერია ჩვენი საოპერო ხელოვნების დღიურებში. იგი ერთნაირი შემართებით მღეროდა ლენინგრადის კიროვის სახელობის საოპერო თეატრისა თუ მშობლიურ სცენაზე. მაღალმომთხოვნი ხელოვანი ყველგან ერთნაირად ავალეებდა თავის თავს რთულ ამოცანებს, რათა მტკიცედ დაეცვა ქართული ვოკალური სკოლის ღირსშესანიშნავი ტრადიციები.

არ შემიძლია დავივიწყო კიდევ ერთი ღვაწლმოსილი მომღერალი

ქალი, რომელმაც თავისი შესანიშნავი მონაცემები ვერ გაშალა ისე, როგორც მისი ხმის ძალა უკარნახებდა, მაგრამ საკმაოდ მტკიცედ აღბეჭდა მისი სახელი ჩვენი თეატრის ისტორიაში. ეს გახლავთ თამარ ლაპიაშვილი — შესანიშნავი სოპრანო, რომელიც თავისი ხმის სილამაზეს მეტწილად მაღალ ფარდებში ამჯღავნებდა. ლაპიაშვილთან — მაროსთან მე ბევრჯერ მიმღერია კიაზო და დიდი კმაყოფილებაც მიგრძენია მისი ხმის სითბოსაგან.

ჩვენი თეატრის დეაწლმოსილ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ნიკოლოზ ბელაქნელი. თეატრში რეპერტუარის სიმრავლითა და სიმძიმით დატვირთული, ვალმოხდილი მომღერალი.

ნიკოლოზ ბელაქნელი დიდხანს სწევდა დრამატული ტენორის ჭაპანს და გვერდში ედგა დავით ანდლულაძეს. იგი მრავალი სპექტაკლის მონაწილეა. დაუზარებლად, პასუხისმგებლობის გრძნობით და მაღალი პროფესიონალიზმით ეწეოდა ბელაქნელი გულმართალ შემოქმედებით მუშაობას.

ოპერებში „ბაში-აჩუკი“, „კარმენი“, „აიდა“, „ჯამბაზები“ თუ „აბესალომ და ეთერი“ — ყველგან მთელი პასუხისმგებლობით მღეროდა წამყვან პარტიებს.

ათეული წლები გადაიტანა დაულაღვი, ზეადამიანური შრომით ჩვენს თეატრში პეტრე ამირანაშვილმა. მისი ჩაუქრობელი აქტიორული ცეცხლი დღესაც ანთია სცენაზე და ახალგაზრდული შემართებით განაგრძობს მწვერვალიდან მწვერვალზე სიარულს ეს ჭეშმარიტი შემოქმედი ადამიანი.

35 წლის მანძილზე იყო თეატრის წამყვანი ძალა, ზურგით ატარო სირთულით დამძიმებული სეზონები, იყო ჩაბმული საერთო თეატრალური ცხოვრების ფერხულში, იღწვოდე სიახლისათვის, თან ინარჩუნებდნენ ვოკალური ხელოვნების მრავლისმომცველ სპეციფიკას, — ძალიან ფართო და ღრმა მასშტაბებს მოითხოვს მომღერლისაგან. ამ მოთხოვნებს კი სავსებით აკმაყოფილებს ჩვენი მარად ჭაბუკი პეტრე.

პეტრე ამირანაშვილი თანაბარი პასუხისმგებლობით და შემოქმედებითი სიძლიერით ასრულებს დრამატულ თუ ლირიკულ პარტიებს. მას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ფართო დიაპაზონის შემსრულებელი.

30 წლის მანძილზე პეტრე ამირანაშვილს და მე ერთად გვიწევია

შემოქმედებითი ჭაპანი და გაგვიზიარებია ბევრი სიხარული და სინანული.

მაღალი მოქალაქეობრივი შეგრძნებისა და ღირსების, ლამაზი ტეპბრის, ვაჟკაცური გარეგნობის მქონე ადამიანი და მომღერალი — აი როგორი იყო და დარჩა ჩემში მარად დაუვიწყარი გრიგოლ გრიგორაშვილი. სადაც არ უნდა ყოფილიყო: სცენაზე თუ ადმინისტრაციულ სამუშაოზე — იგი ყველგან ერთნაირად იმსახურებდა პატივისცემას და მეგობრულ სიყვარულს. გრიგორაშვილი მართალი, კაცური კაცი იყო. თეატრის სპეციფიკურმა ორომტრიალმა მასზედ მძიმედ იმოქმედა; იგი ადრე წავიდა ჩვენგან. მის მიერ შექმნილი სახეები: დონ ბაზილიო, ენგიჩარი და სხვა დიდხანს დარჩება თეატრის ისტორიაში. საოპერო სცენაზე ჩვენი ერთად მოღვაწეობის წარსულიდან მინდა მოვიგონო ერთი დაუვიწყარი შემთხვევა.

ერთხელ „სვეილიელ დალაქში“ ფიგაროს ვმღეროდი. დონ ბაზილიოს — გრიგოლ გრიგორაშვილი, როზინას — ნ. ხარაძე, ხოლო გრაფს — მ. ყვარელაშვილი ასრულებდა. როდესაც დონ ბაზილიო სცენაზე მეორედ შემობრუნდა, მიზანსცენის თანახმად მე მას ფეხი დავუდე და დონ ბაზილიო წავაქციე. როგორც ჩანს გრიგორაშვილი მართლა წაიქცა და ისე წაიქცა, რომ აღარ დაადგა საშველი მის ადგომას. გაოგნებული დავჩერებოდი შუა სცენაზე გაშოტილ დონ ბაზილიოს და მიკვირდა რატომ არ დგება-მეთქი. თურმე გრიგორაშვილს წაქცევის დროს გუმოზი (მიწებებული ცხვირი) მოსძვრა და იმის ძეხნაში იყო, ბოლოს როგორც იქნა, ცხვირი იპოვა, მაგრამ ვედარ მიიწება და სიცილი აუტყდა. გრ. გრიგორაშვილი ძალიან სერიოზული მომღერალი იყო, მისი სიცილი იმდენად გადამდები გამოდგა, რომ ნ. ხარაძე — როზინას ისტერიკა დაემართა, მე და ყვარელაშვილი კუთხეში მივდექით და სიცილისაგან ვიგულებოდით. მალე ჩვენი სიცილი გადაედო ორკესტრს, შემდეგ მაყურებელთა დარბაზს და ფარდის დაშვებამდე მთელი მოქმედება სიცილ-ხარხარში დავამთავრეთ.

კონსერვატორიაში სწავლების წლებიდან მაგონდება ერთი საინტერესო ეპიზოდი, დაკავშირებული სახელოვან ქართველ მომღერალ ნიკო ქუმსიაშვილთან.

შემოდგომის შემზარავი ქარი მოსვენებას არ მაძლევდა. განსაკუთრებული სიმძაფრით იგი დიდუბეში იგრძნობოდა. ბაღნარებითა და ხეებით გადაბურული ქალაქის განაპირა ნაწილი ქარის ტალღებ-

თან შეჯახებაში რალაც უცნაური შიშის გრძნობას ბადებდა ადამიანში.

მე ფანჯარასთან ვიჯექი და ბავშვური ალტაცებით საღამოს მოახლოებას ვუცდიდი.

მეორე დღეს განჯაში ნიკო ქუმსიაშვილის კონცერტი იყო დანიშნული. მე მასთან ერთად უნდა გავმგზავრებულიყავი კონცერტში მონაწილეობის მისაღებად. მოზღვავებულ სიხარულს, ცოტა არ იყოს, იმ შემოდგომის ცივი ქარი ანელებდა, მაგრამ ახალგაზრდობის უსაზღვრო ძალა ბუნების ყოველგვარ სტიქიაზე უფრო ძლიერია. კარგად დაღამებულში მივადექი რკინიგზის სადგურს. ბაქანზე გაფაციცებით ვეძებდი ნიკოს, ის კი არსად ჩანდა. ალბათ ავდრის გამო იგვიანებს— ვფიქრობდი ჩემთვის.

მატარებლის გასვლას ხუთი წუთილა აკლდა. მოუთმენლობამ იმატა და ვაგონების გასწვრივ დავიწყე სირბილი, თან ვყვიროდი: „ბატონო ნიკო, ბატონო ნიკო!“... როცა ყველა ვაგონებს ჩამოვუარე და ისევ ჩვენს დანიშნულ ადგილთან მოვედი, ვაგონის კიბესთან დავინახე ბოხოზის ქუდიანი, ნაბად მოსხმული ბრგე ვაჟაკი. უცნობმა უცბად ჩემი ყურადღება მიიპყრო, მაგრამ მასხედ დაკვირვების თავი არ მქონდა. მე გაშმაგებით ისევ ჩემს, თანამგზავრს დავეძებდი და კვლავ გავიძახოდი: „ბატონო ნიკო, ბატონო ნიკო!“.. მოულოდნელად ნაბდიანი კაცი შემომეპასუხა: — გეყოფა, შვილო, დღევანდელს ნიკოს უკვე დაავიანდა, მატარებელი ერთ წუთში დაიძვრება, შენც რომ არ დარჩე — შედი ვაგონში!...

— მე უმისოდ, ბატონო, ვაგონში ვერ შევალ,— მივმართე უცნობს და უცბად... სირცხვილისაგან გაწითლებულმა, უკანასკნელი სიტყვები გადავეყლაპე.

— ბატონო ნიკო, ეს— თქვენ?! როგორ წარმოვიდგენდი, რომ ნაბდიანი კაცი, რომელსაც რამდენჯერმე ავუარ-ჩავუარე; თქვენ იქნებოდით!?

ნიკომ გულიანად გადაიხარხარა, ხელი ჩამომართვა, გადამეხვია, მომიწონა დროზე მოსვლა, ორივენი ვაგონში შევედი. კუბეში პიანისტი ქალი მარგარიტა ანდრონიკაშვილი აღელვებული გველოდებოდა. ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა განჯას მივატანეთ. მგზავრობა არ შეგვიტყვია, ნიკოს მთაში გამოხდილი არაყი — „უიპიტაური“ წამოეღო საკმაო რაოდენობით და ჩვენ სტუმარმიუკარებელ შემოდგომის ღამეს სათანადო მასპინძლობა გავუწიეთ.

ღამე სასტუმროს მსგავს ფიცრულში გავატარეთ; მეორე დღეს კი კლუბისმავგარ შენობაში კონცერტი გავმართეთ. კონცერტმა შესანიშნავად ჩაიარა. ნიკომ ბრწყინვალედ იმღერა თერთმეტიოდენ ნაწარმოები ქართველ, რუს და დასავლეთ ევროპელ კომპოზიტორთა შემოქმედებიდან.

ნიკოს ერთი, დიდად დასაფასებელი თვისება ჰქონდა: ერთი შეხედვით ეს, არცთუ არტისტული გარეგნობის ვაჟკაცი სიმღერის დაწყებისთანავე, მომხიბლავად გეჩვენებოდათ. ეს — ისაა, რასაც სტანისლავსკიმ „მსახიობის ეშნი“ უწოდა.

სწორედ „სტანისლავსკისებური“ ეშნით სავსე ქართველი ვაჟკაცი, ბრწყინვალე მომღერალი, იმ ღამეს სიმღერით მთვრალი, ბევრ ტკბილ და თბილ სიტყვას ჩემი მისამართითაც ამბობდა, ხოლო როცა აბესალომის და მურმანის ღუეტი ვიმღერეთ, ნიკო ხალხის წინაშე მამაშვილურად გადამეხვია და გადამკოცნა.

მესამე დღეს, უკან მომავალნი, როცა ყარაიზის ველებს მოვეუახლოვდით, ნიკომ ბოლიში მოგვიხადა, მალლობით დაგვემშვიდობა და ერთ პატარა გაჩერებაზე დაგვეტოვა. თურმე ის, სანდრო ინაშვილი და ლეონ ისეცკი წინასწარი შეთანხმებით სანადიროდ უნდა გასულიყვნენ ერთად და აქ ჰქონდათ დათქმული შეხვედრა.

მახსოვს კონსერვატორიის მეორე სართულის XIV კლასში, სადაც ე. ა. ვრონსკი თითქმის შეუცვლელად მეცადინებდა სტუდენტებთან, შემოვიდა სტუდენტთა „რისხვა“ — კონსერვატორიის მაშინდელი კომენდანტი ანდრეი ჟილიაევი, (კაცი, რომლის სახეზე არც ერთხელ ღიმილის ნასახიცი არ შემიმჩნევია) და მისთვის ჩვეული უკმეხი მიმართვით ამცნო ე. ა. ვრონსკის, რომ სტუდენტი ბ. კრავეიშვილი მცირე ხნით გამოსულიყო გაკვეთილიდან ფრიად სასწრაფო საქმის გამო. მე პროფესორის ნებართვით დავტოვე კლასი. ა. ჟილიაევა პირველ სართულზე ჩამიყვანა და ნიკო ქუმსიაშვილს წარმადგინა. ნიკომ ხელი ჩამომართვა და მითხრა:

— მომავალ კვირას ქუთაისი შემოქმედებით საღამოს მიწყობს, ეტყობა ვაჟკაცურ შეხვედრას აპირებენ ქუთათურები. მე მინდა ახალგაზრდა ვოკალისტთა სახელით შენ წამოხვიდე და მიიღო მონაწილეობა ჩემს კონცერტშიო.

მართალია, პირველად კი შევეკრთი, დიდი მომღერლის შემოქმედებით საღამოზე ჩემი მონაწილეობა მაშინებდა, მაგრამ ბედნიერე-

ბად მივიჩნიე ღირსებით სავსე მიწვევა და ბავშვური სიშმაგით დავე-  
თანხმე ნიკოს.

ქუთაისი ხომ ჩემი ბავშვობის საოცნებო ქალაქი იყო, ყველაზე  
დიდი და ყველა ქალაქებზე ლამაზი! ამ ქალაქში ბობოქრობდა ლადო  
მესხიშვილის მოზღვავებული ნიჭი. სწორედ ამ ქალაქში ვნახე, ჯერ  
კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, უშანგის ცეცხლოვანი თვალენი,  
რომლებიც დღესაც წინანდებურად ანათებენ ჩემში, როგორც მარად  
ჩაუქრობელი სხივი. აქ, ამ ქალაქში მღეროდნენ ჩვენი პოეზიის  
სწორუპოვარნი — აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, და ჩვენი მუსიკალური  
კულტურის სიამაყე — ზაქარია ფალიაშვილი.

ახლა ამ სანატრელ ქალაქს ეწვია ჩვენი დროის გამოჩენილი ქარ-  
თველი მომღერალი, ვოკალური ხელოვნების ოსტატი, თავისი ქვეყ-  
ნის პატრიოტი, ახალგაზრდების მეგობარი და მათ მომავალზე  
მზრუნველი, გულმართალი ვაჟკაცი ნიკო ქუმსიაშვილი.

ქუთაისი განსაკუთრებულად შეხვდა ნიკოს — ამაყი მთების  
შვილს, მაისის სურნელოვანი ია და ვარდი გადააფრქვია, სიყვარუ-  
ლით და ალერსით შეამკო.

პირველ დღეს „გრანდ ოტელში“ გავათიეთ ღამე. დილიდან კი  
მოსვენება არ ჰქონდა ნიკოს და მის ადმინისტრატორს — ყველა  
ბილეთს სთხოვდა, მუდარით მიმართავდნენ როგორმე მოხვედრილი-  
ყვნენ კონცერტზე. სანამ შეეძლო, ნიკო ყველას აკმაყოფილებდა.  
ზოგს ბილეთით, ზოგს საშვით, მაგრამ როცა ყველაფერი შემო-  
ელა—შემდეგ დამალვაც იკადრა.

კონცერტის დაწყების წინ, ძველი დრამატული თეატრის ირგ-  
ვლივ. ხალხის დინებას ბოლო არ უჩანდა. ნიკოს და ჩვენი კონცერ-  
ტის მონაწილეებს მილიციის მეოხებით საშუალება მოგვეცა შევსუ-  
ლიყავით შენობაში. კონცერტი დაიწყო. ნიკო იმ საღამოს რაღაც  
არაჩვეულებრივი ძალით და ეშხით მღეროდა, მღეროდა განუწყვეტ-  
ლივ ორი საათის განმავლობაში. კონცერტის მეორე განყოფილება-  
ში რა არ შეასრულა ნიკომ: რადამესის პირველი არია, რომელსაც  
მაშინ ნიკო ისე მღეროდა, რომ ალბათ ყველა გამოჩენილ მომღე-  
რალს შეშურდებოდა. კავარადოსსა და ელეაზარს, დონ ხოზესა და ნა-  
დირს, აბესალომსა და მალხაზს და კიდევ ვინ მოთვლის იმ არიებისა  
და რომანსების დაუსრულებელ რიცხვს, რომლითაც ასიამოვნა ბედ-  
ნიერი მსმენელი ამ დიდმა ოსტატმა. ბოლოს კი მე, 18 წლის ჭაბუკს,

მკონდა ბედნიერება ნიკოსთან ერთად მემღერა აბესალომისა და შურმანის ღუეტი.

ხალხი დიდხანს არ ტოვებდა დარბაზს. როგორც იქნა გამოვედით „სამშვიდობოზე“, მაგრამ ვაი ასეთ გამოსვლას: ხალხის ცალკეული ჯგუფები ხან საით წაგვიღებდა და ხან საით, რათა მაღალი ხელოვნებით გახურებული გულები ქუთათური სტუმართმოყვარეობით გაეგრილებინათ. ძნელია იმის გახსენება თუ იმ ღამეს სად ან ვისთან ვიყავით, ის კი მახსოვს, რომ „გრანდ ოტელს“ დილით დავბრუნდით. მეორე დღესაც არ უჩანდა ბოლო მიპატიეებებს; როგორც კონცერტის წინ, ბილეთების გაცემის დროს, ისე ახლაც ნიკოს დამალვა მოუხდა.

საღამოთი კი გულდაწყვეტილებმა დავტოვეთ „იატაკქვეშეთი“, რადგან მეორე დღეს ნიკოს თბილისის საოპერო სცენაზე სპექტაკლი ჰქონდა სამღერი.

ჩემი პირველი დებიუტი მშობლიურ სცენაზე 1937 წლის ოქტომბერში შედგა ოპერა „დაისში“. ცნობილია, რომ ეს ოპერა მოითხოვს არა მარტო დიდ ვოკალურ მონაცემებს, არამედ ცეცხლოვან ტემპერამენტს, გააზრებულ სიმღერას, და რაც მთავარია, დიდ აქტიორულ ზომიერებას. ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა მომღერლისათვის, ამ დიდი ამოცანის გადაჭრა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჩემს გვერდით, როგორც მზრუნველი მშობელი და დამრიგებელი, ალ. წუწუნავასთან და ევგ. მიქელაძესთან ერთად, არ ყოფილიყო ნიკო ქუმსიაშვილი, რომელმაც ჩემთან ერთად ყველა რეპეტიცია და შემდეგ სპექტაკლიც დიდი გულისხმიერებითა და სიყვარულით ჩაატარა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ნიკომ დაიცადა, ყველას მოლოცვებს მოუსმინა და შემდეგ თვითონ დეტალურად გამიჩიია მთელ სპექტაკლში ჩემი მიღწევები და ნაკლი.

ჩემი პირველი წარმატება იმ ღამესვე ოპერის პირდაპირ მდებარე რესტორანში აღინიშნა, ხოლო მესამე დღეს ლადო კავსაძემ თავის ოჯახში ჩემს დებიუტთან დაკავშირებით საღამო მოაწყო, სადაც სიხარულით აღელვებული ვისმენდი ჩემი უფროსი მეგობრების გულწრფელ მოლოცვებს, ქუმსიაშვილის გარდა ამ საღამოს ესწრებოდნენ: სანდრო ინაშვილი, ალ. წუწუნავა, ლ. ისეცი, გ. ქურბული, ეკ. სოხაძე, ზ. სვანიძე, ვ. ხამაშურიძე და სხვები.

კიდევ ბევრის მოგონება შემეძლო წარსულის ეპიზოდებიდან, რომელნიც დაკავშირებული არიან დიდ ხელოვან ნიკო ქუმსიაშვილ-



თან — ადამიანთან, რომლის მთელი ცხოვრება აღსავსე იყო ბრძოლით მშობლიური ვოკალური კულტურის აყვავებისა და მისი დაავაკაცებისათვის.

ჩემი სტუდენტობის დროს, როცა ჩემს ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად ვიწყებდი გამოსვლას ხელოვნების დიდ სარბიელზე, სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო კლასში მეცადინეობა მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა.

სტუდიურ მეცადინეობებს ატარებდნენ მაღალი კულტურისა და მხატვრული გემოვნების მქონე პედაგოგები: ნიკო შიუკაშვილი, აკ. ფაღავა, შ. აღსაბაძე, ვ. ყუშიტაშვილი, მიხეილ ჯაფარიძე და სხვანი. მუსიკალურ მხარეს ხელმძღვანელობდნენ: შ. თაქთაქიშვილი, დ. შვედოვი, შ. აზმაიფარაშვილი, ნინო ლაფერაშვილი, მიხეილ გრიგორიევი და სხვები.

ჩვენი სასიქადულო მასწავლებელი ნიკო შიუკაშვილი გვასწავლიდა სიტყვის მკაფიოდ წარმოთქმას, მის ლოგიკურ აღქმას და სიტყვის ან წინადადების სწორად გამოთქმის ხერხებს. გვიტარებდა პრაქტიკულ მეცადინეობებს, გვავარჯიშებდა სპეციალურად შედგენილ ენის გასატეხებზე, მაგ.:

თეთრი მტრედი, თეთრ საყდარში  
ფრთა თეთრი და ფრთა ფარფატი...

ენის ეს სავარჯიშო მეთოდურ ხასიათს ატარებდა. იგი ვეშველოდა დიქციის გამომუშავებაში. ნიკო შიუკაშვილი ხშირად მიმართავდა ხოლმე უკვდავი რუსთაველის პოემას.

მაგ.:

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა.  
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ეითა გმირსა“.

ეს სტროფები ჩვენ რამდენჯერმე უნდა გაგვემეორებინა და ყოველი სიტყვა გაძლიერებული ხაზგასმით წარმოგვეთქვა; განსაკუთრებით ხმოვანებისათვის უნდა გაგვესვა ხაზი და მახვილი პირველზე უნდა გაგვეკეთებინა. მუსიკალური ნაწარმოების ტექსტსაც ასევე ვამუშავებდით: ჯერ ტექსტის მკაფიოდ გამოთქმაზე ვმუშაობდით, ზეპირად დავისწავლიდით, შემდეგ კი ვმღეროდით. ასეთი მეთოდით მუშაობდა მოსწავლეებთან ნ. შიუკაშვილი და მის შრომას კარგი შედეგიც ჰქონდა მის მიერ აღზრდილი მომღერლები გამოირჩეოდნენ. 3. ბ. კრავიშვილი

ნენ მკაფიო და აზრიანი დიქციით. ნიკო შიუკაშვილი დიდ მოღვაწეობას ეწეოდა დრამატურგიაშიც. იშვიათი იყო ისეთი თეატრალური სეზონი, რომელიც ნ. შიუკაშვილის პიესებით არ ყოფილიყო დამშვენებული.

საოპერო სტუდიამ როსინის „სევილიელ დალაქზე“ დაიწყო მუშაობა. შემღერებებს ატარებდა მოსკოვიდან მოწვეული მუსიკოსი, კონცერტმეისტერი მიხეილ გრიგორიევი. გრიგორიევი მეტად მშრომელი ადამიანი იყო და ძალას არ ზოგავდა დირიჟორის რანგამდე ასულიყო. „სევილიელ დალაქში“ ორი ფიგარო ვიყავით: დ. გამრეკელი და მე, როზინა — ნ. ხარაძე და მ. ნაკაშიძე; დონ ბაზილიოს როლში გ. გოგიჩაძე და გ. გრიგორაშვილი ემზადებოდნენ. გრიგორაშვილი პარალელურად ბარტოლოს პარტიასაც ასრულებდა. სასცენო ოსტატობაში ჩვენთან მუშაობდა საფრანგეთიდან ახლად დაბრუნებული რეჟისორი ვ. ყუშიტაშვილი.

ვ. ყუშიტაშვილი საფრანგეთიდან დიდი სახელით დაბრუნდა და ერთ-ერთი საინტერესო დადგმით აქაც დაამტკიცა თავისი მაღალნიჭიერება და ოსტატობა. დ. გამრეკელს და მე თითქმის ყოველდღე გვინიშნავდა სადამოს დამატებით საათებს, რათა დილით დადგენილი მიზანსცენები მტკიცედ შეგვესწავლა. საოპერო ხასიათების გახსნაში ვ. ყუშიტაშვილს ბადალი არ ჰყავდა. ძლიერი მხატვრული ალღო ჰქონდა. ძალიან უყვარდა ჟესტი, ლაკონიური მოძრაობა, ზომიერებით სავსე სისხარტე. ფიგარო მან გახსნა როგორც ყოფითი ტიპაჟი და მის ხასიათში უბრალო ადამიანის დამახასიათებელი ელემენტები შეიტანა.

დრამატურგი მიხეილ ჯაფარიძე, რომელიც დიდხანს აქტიორად მუშაობდა მარჯანიშვილის თეატრში, ამავე დროს გრიმის უბადლო ოსტატი იყო. ის ჩვენც სიამოვნებით გვიზიარებდა თავის გამოცდილებას და გვასწავლიდა გრიმის რთულ და თავისებურ ხელოვნებას. ხშირად გვესაუბრებოდა აქტიორის დიდ მორალზე. განათლებული კაცი იყო და მხატვრულ ლიტერატურას კარგად იცნობდა. მ. ჯაფარიძე ჩემს მენსიერებაში დარჩა როგორც პატრიოტი და სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი. იგი იყო თავმდაბალი, სპეტაკი მოქალაქე და კარგი მეგობარი.

მინდა მოვიგონო ჩემი ახალგაზრდობის დროს უკვე ცნობილი ხელოვანი, ახმეტელისა და მარჯანიშვილის თანამებრძოლი, მათი ტრადიციების თანაზიარი, ბევრი შესანიშნავი სპექტაკლის ავტორი, მუ-

შა ახალგაზრდობის სტუდიის მასწავლებელი და ერთ-ერთი სულის-ჩამდგმელი შოთა აღსაბაძე აღსაბაძე კარგი პედაგოგი და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რეჟისორია. მისი უშუალო ნიჭის ზემოქმედების ქვეშ ბევრჯერ მიმუშავია. მისგან ყოველთვის დიდი ცოდნა მიმიღია და სულიერი აღმავლობა განმიცდია.

შოთა აღსაბაძემ ჩვენს თეატრში დადგა ოპერა „აბესალომ და ეთერი“. აღსაბაძის და მხატვარ ირაკლი გამრეკელის მიერ შექმნილი სპექტაკლი „აბესალომ და ეთერი“, დადგმის სრულყოფით და გაფორმების ჭეშმარიტი სიღიაღით, ქართული საოპერო ხელოვნების შედევრი იყო. მანამდე და შემდეგშიაც, „აბესალომ და ეთერს“ ჩვენს სცენაზე, სამწუხაროდ, ასეთი სრულყოფილი დადგმა აღარ ღირსებია. ქართული ბუნების ზღაპრული პაეროვნება, მზით გამთბარი მთა და ველი, ლეგენდარული ბროლის ციხე, ქართული დარბაზი და მისი მიდამო ირაკლი გამრეკელს დიდი მხატვრისათვის დამახასიათებელი სრულყოფითა და ამაღლევებელი ფერებით ჰქონდა გადმოცემული. აქ ჩანდა არა მარტო მშობელი მხარის დიადი გარემო, არამედ, რაც მთავარია, ზ. ფალაიშვილის უკვდავი მუსიკის სიღიაღე და ეროვნულობა. სწორედ ამასვე ემსახურებოდა რეჟისორის ყოველი ჩანაფიქრი, რაც მომღერლებს და სცენაზე მოქმედებას ეხებოდა: ხასიათები, განშორებები, შეზვედრები, სიხარული, გლოვა, თუ სიყვარულის ამაღლევებელი გრძნობები.

მე ამ დადგმაში ვიმღერე მურმანის პარტია. შ. აღსაბაძე მურმანის ხასიათს ხსნიდა ადამიანური საწყისებიდან. მურმანსაც ისე შეუყვარდა ეთერის ღვთაებრივი სახე როგორც აბესალომს, ისიც ისევე აღინთო უჩვეულო, პირველად განცდილი ვნებით, როგორც აბესალომი, მაგრამ.. ახალგაზრდა მეფისწულის წინაშე იგი უძლური აღმოჩნდა. ამიტომ იგი იძულებული გახდა მიემართა ბნელი ძალებისათვის. აი როგორ ხსნიდა აღსაბაძე მურმანის ბუნებას, მის სცენურ აქტიორულ სახეს, ასეთივე იყო ჩემი მურმანიც.

შემდეგ შოთა აღსაბაძეს მე შევხვდი არჩილ კერესელიძის „ბაში-აჩუკზე“ მუშაობის დროს. აქაც აღსაბაძე მისთვის ჩვეული სიღრმით, მდიდარი ფანტაზიით და ტემპერამენტით მოვიდა.

ჩვენს სცენაზე აღსაბაძემ შესანიშნავად განახორციელა რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე“. მინდა მოვიგონო შესანიშნავი მუსიკოსი, ანსამბლის არაჩვეულებრივი შემგრძობი, აკომპანიატორი ქალი ნინო ლაფერაშვილი, რომლის მკაცრ, მომთხონ ნებისყოფას

ბევრი კეთილი და სასარგებლო საქმე გაუკეთებია ჩვენთვის, მომღერლებისათვის.

აკაკი ნესტორის ძე ფაღავა — უაღრესად განათლებული ქართველი რეჟისორი, — დიდხანს მუშაობდა რუსეთში და დიდი რუსი რეჟისორის და თეატრის რეფორმატორის კ. სტანისლავსკის სისტემის მიმდევარი და თაყვანისმცემელი იყო.

სტანისლავსკი ა. ფაღავას თავის მეგობრად სთვლიდა და მიწერ-მოწერაც ჰქონდა მასთან.

ფაღავას — ამ შესანიშნავ თეატრალურ მოღვაწეს, — დიდი ამაგი მიუძღვის ქართული თეატრალური ხელოვნების აღორძინების საქმეში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების სფეროში აკ. ფაღავა მრავალი სასარგებლო საზოგადოებრივი საქმის წამომწყები და მესვეური იყო.

ბირველად მას შეგვხვდი სტუდენტობის დროს, კონსერვატორიაში, შემდეგ დრამატულ სტუდიაში. მასწავლიდა თეატრის ისტორიას და სამსახიობო ოსტატობას.

1934 წელს მისი უშუალო ხელმძღვანელობით ოპერის თეატრის სცენაზე დაიდგა მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“, ლიბრეტოს თარგმანი მასვე ეკუთვნოდა. ოპერას დირიჟორობდა შ. აზმაიფარაშვილი, სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა მხატვარმა ნადარეიშვილმა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: გ. ყიფიანი, მ. ნაკაშიძე, ნ. ხარაძე, ვ. მებუქე, გ. ლომიძე, ს. კუხიანიძე, თ. კანდელაკი, მე და კიდევ სხვები. სპექტაკლი მაღალ მხატვრულ დონეზე ჩატარდა და მაყურებელმა გულთბილად მიიღო მისი მონაწილენი.

ფაღავა დღენიადაგ იბრძოდა რათა ქართულ საოპერო სცენაზე დასავლეთ ევროპის კლასიკოს კომპოზიტორთა ნაწარმოებები ქართულ ენაზე შეესრულებინათ. თვითონ მან ოპერა „ბოჰემის“ ლიბრეტო ქართულად თარგმნა, მაგრამ, როგორც გადმოგვცემენ, უცხოურ ოპერებს ქართულ ენაზე წარმატება არ ჰქონიათ.

მახსოვს ერთხელ, როდესაც მე ლენინის ქ. № 63-ში ვცხოვრობდი, ჩემთან მოვიდა აკაკი ნესტორის ძე, გადაღლილი მეჩვენა, მაგრამ ჩვეული ხალისით მაგრძაზე დამიწყო ტორეადორის კუბლეტები, რიგოლეტოს და ჰამლეტის არიების ქართული თარგმანები და მთხოვა შემესრულებინა. თან დასძინა — თუ ამ თარგმანებს წარმატება ექნებათ, მაშინ ოპერებს მთლიანად ვთარგმნიო.

მე სასწრაფო უ შევისწავლე ქართული ტექსტები და სპექტაკლებ-

ზე, ბისზე გამოძახების დროს, ქართულად შევასრულე. მაგრამ ქართულ ენაზე შესრულებამ მსმენელზე სასურველი შთაბეჭდილება ვერ დატოვა.

1934 წელს, მოსკოვის ქუჩებში გამოკრული აფიშები იუწყებოდნენ, რომ უახლოეს დღეებში, სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორებდა ქართველი დირიჟორი ევგენი მიქელაძე. როგორც იყო ქანდარის უკანასკნელ რიგში ბილეთი ვიშოვე და კონცერტის დღეს კონსერვატორიის დიდი დარბაზისაკენ გავეშურე. კონცერტის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე უკვე ჩემს ადგილზე ვიჯექი და მოუთმენლად ველოდი სახელოვანი თანამემამულის გამოჩენას. ორკესტრის არტიტებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს, კონფერანსიემ გამოაცხადა, რომ ორკესტრი ევ. მიქელაძის დირიჟორობით პ. ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიას შეასრულებდა. მოსკოველი მაყურებელი თუმცა ნდობით, მაგრამ ერთგვარი თავშეკავებითაც შეხვდა ამ განცხადებას. მაგრამ აი, სცენაზე გამოჩნდა რაინდული სახის სანდომიანი და ახოვანი ფიგურა. მაყურებლის განწყობილება უცებ შეიცვალა. ევ. მიქელაძე თავაზიანად მიესალმა ხალხით სავსე დარბაზს, შემდეგ ორკესტრს, სადირიჟორო წკეპლა მალლა ამართა და თითქოს ყველა რაღაც ჯადოსნურ რკალში მოემწყვდა. დარბაზმა სუნთქვა შეკრა, და დაძაბული მუსიკის ჰანგებს მიენდო. ეს იყო ჯადოსნური ხელოვანის გამოცხადება დარბაზში.

კონცერტის დასასრულს იფეთქა ოვაციებმა, ორკესტრის არტიტები ხმაურით ულოცავდნენ დირიჟორს დიდ წარმატებას; მაყურებელი ფეხზე ამდგარი ოთხჯერ, ხუთჯერ, ათჯერ იძახებდა უნიკიერეს ახალგაზრდა დირიჟორს.

ამ საღამოს პირველად გავიცანი ევგ. მიქელაძე. მეორედ მე მას თბილისში შევხვდი და ეს შეხვედრა თითქოს ჩემს ბედს სწყვეტდა. 1937 წლის 15 მარტს დანიშნული იყო ჩემი სოლო კონცერტი (ლიდერაბენდი). მე მაშინ მეხუთე კურსის სტუდენტი ვიყავი. კონცერტის პროგრამა ჩემთვის, როგორც სტუდენტისათვის, მეტად რთული იყო; ბუნებრივია მეც და ჩემი პროფესორი ვრონსკიც ძალიან ვღელავდით; ჩემს მღელვარებას აორკეცებდა მაყურებელთა დარბაზში მსხლომი სტუმრები, რომელთა შორის ევგ. მიქელაძეც იყო. სიმღე-

რის დროს ის ღიმილით ამომხედავდა ბოლმე და მამხნეებდა. კონცერტის დასასრულს ვიმღერე მაზეპას ცნობილი არია „ო, მარია“ და მხურვალე აპლოდისმენტებმა მიმაცილეს კულისებამდე. იქ კი ჩემი პედაგოგი და თვით ევგ. მიქელაძე შემომეგებნენ. მიქელაძემ გამარჯვება მომილოცა და ჩემს პროფესორს მიმართა: „თქვენი მოწაფე ხვალ 11 საათზე თეატრში მომიყვანეთ“.

ამგვარად ჯერ სტუდენტობა არ მქონდა დამთავრებული, რომ ჩემთვის უკვე ფართოდ იღებოდა ქართული საოპერო თეატრის კარი.

ევგ. მიქელაძემ ჩემი პროფესორი და მე ღირექტორთან შეგვიყვანა. ის-ის იყო დამთავრდა მოლაპარაკება თეატრში ჩემი მიღების შესახებ, კაბინეტიდან გამოვედი და აღარ ვიცოდი სიხარული და მღელვარება როგორ გამომეხატა, რომ დავინახე პატარა ტანის კაცი, ხშირი უკან გადავარცხნილი, დიდი შავი თმებით, ძლიერი და მრავლისმეტყველი თვალებით. უცნობის მაღალი შუბლი, წვრილი ხაზებით დასერილი, თავისებურად სიჯიუტეს და ნებისყოფას გამოხატავდა.

— ღმერთო! გავიფიქრე მე. ეს კაცი სადღაც მინახავს!

— რაო, ახალგაზრდავ? — ჩურჩულით შემეკითხა ის, მე მივჩერებოდი მას და მისი ვინაობის გამოცნობაზე ვფიქრობდი. პასუხი რომ არ გავეცი გაუკვირდა, — რაო, უარი გითხრეს თუ?

— არა, ბატონო, ჩამრიცხეს. — უცბად ვიცანი თუ ვინც იყო და ისე ვიყვირე, რომ მან ყურებზე ხელები დაიფარა და სიცილით მითხრა:

— ეგ ხმა სცენაზე დახარჯე, ასე ყვირილში ნუ შემოიღევო. მე სიხარულისაგან ისე დაბნეული ვიყავი, რომ ძლივს ვიცანი ქართული საოპერო ხელოვნების დიდი ამაგდარი, ჩვენი სასახელო რეჟისორი, მოუსვენარი და მუდამ მოფუსფუსე ალ. წუწუნავა. მე ბოდის მოხდით, მოწინებით უკან დავიხიე და სანამ რაიმეს ვიტყოდი, ის უკვე დერეფნის ბოლოში გასულიყო. თვალი გავაყოლე მას და გონების თვალწინ გამიელვა მოგონებამ: ბავშვობაში სამტრედიის ქუჩებში გამოკრულმა აფიშებმა „ორი მონადირე“, დადგმა ალ. წუწუნავასი, „ვინ არის დამნაშავე“ რეჟისორი წუწუნავა და სხვა. ამავე აფიშებზე აღბეჭდილი იყო ამ ადამიანის დასამახსოვრებელი და ორიგინალური ფოტოსურათი.

ალ. წუწუნავა კონსერვატორიის სტუდენტთა ძალებით „აბესალომ და ეთერის“ დადგმაზე მუშაობდა. მე მას თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი კონსერვატორიაში. როგორც რეჟისორს მე მას შევხვდი

ბიზეს ოპერა „კარმენზე“ მუშაობის დროს. ვმღეროდი მორალესის პარტიას, ეს იყო ჩემი პირველი პარტია საოპერო სცენაზე, მას შემდეგ მე მეორე პარტია არასოდეს აღარ მიმღერია, მაგრამ ჩემი მეხსიერებიდან არ წაიშლება რეპეტიციები, როდესაც მე ვიდექი წუწუნავას წინ და დიდი პასუხისმგებლობით ვასრულებდი ამ როლს. მიხაროდა დიდი ხელოვანის ყოველი შენიშვნა, ხარბად ვუსმენდი მის საინტერესო, აზრიან საუბარს და ვფიქრობდი: ალბათ უფრო მეტი შემიძლია და იმიტომ არ კმაყოფილდება მიღწეულით-მეთქი.

იმავე წელს დამნიშნეს „დაისში“, კიაზოს პარტიაზე. კიაზოს როლზე მუშაობა ორ დიდ ხელოვანთან მომიხდა: ეს როლი მუსიკალურად შემასწავლა დირიჟორმა ევგ. მიქელაძემ, ხოლო სცენურად — ალ. წუწუნავამ.

ჯერ შევდრკი, მეგონა კიაზოს ვოკალური და სცენური სახის სიძნელებები ჩემთვის დაუძლეველი იქნებოდა. მაგრამ მიქელაძის დაეინებული მოთხოვნით დაეიწყე ამ პარტიაზე მუშაობა. „დაისის“ დადგმა ეკუთვნოდა ალ. წუწუნავას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დადგმამ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი მოიპოვა არა მარტო ჩვენში, არამედ ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც.

1937 წ. დეკადაზე „დაისის“ დადგმამ ბევრი ქება-დიდება დაიმსახურა როგორც პრესაში, ისე მაყურებლებში. „დაისის“ რეპეტიციებს ყოველთვის სიამოვნებით ვიგონებ.

პირველ რეპეტიციაზე ალ. წუწუნავამ რეჟისორული ექსპოზიცია გაგვაცნო. შემდეგ დაწვრილებით დაახასიათა თითოეული პერსონაჟი და დეტალურად ილაპარაკა მათ ბუნებასა და ხასიათებზე. განსაკუთრებით ბევრი ილაპარაკა კიაზოსა და მალხაზზე, თვალნათლივ გააელო ამ პერსონაჟთა შორის პარალელი და დაგვანახა მათ შორის განმასხვავებელი ნიშნები. ამის შემდეგ შევუდექით როლებზე პრაქტიკულ მუშაობას. როგორც კი კიაზოს კოსტუმი ჩავიცვი, გვერდზე მოვიგდე შავი ნაბადი, ხელში მათრახი დავიჭირე და მტკვრის სანაპიროდან სვეტიცხოვლის ეზოში ამოვეარდი, რაღაც ბუნებრივი აღტკინება ვიგრძენი. მძლავრად ჩავჭიდე ხელი ცანგალას და შევძახე:

— „უბედურების მორბელო!“

მაგრამ აქ წუწუნავამ შემაჩერა და მითხრა:

— მართალია, კიაზო ფიცხია, ვაჟაკია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელი სცენა ჯირითით შემოირბინო და ამით გვიჩვენო

ვაკაცობა და ძალა. ეს სწორი არ არის. ადამიანი რაც უფრო ძლიერია, მით უფრო ღიანი და თავშეკავებულიაო.

მესამე მოქმედებაში კვლავ დავიმსახურე შენიშვნა. საქმე იმაში იყო, რომ მე მომეტებულად მოძრავი ვიყავი სცენაზე და როგორც კი თვითკონტროლს ვკარგავდი, მაშინვე ჩემი მოქმედება ფაციფუცში გადადიოდა, ეს კი არ მოსწონდა რეჟისორს. ერთხელ რეპეტიციის დროს წუწუნავამ ფეხებზე ქვეები მომბაა. როდესაც მარომ სცენა გადაირბინა და ელოდა რომ უკან განრისხებული კიაზო გამოეკიდებოდა, მე არსად ვჩანდი; ფეხებზე მობმული ქვეები იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ სირბილი ვეღარ შევძელი. ამით რეჟისორმა ცოტათი კალაპოტში ჩამაგდო და შემდეგში სცენაზე ზედმეტად მოძრაობას საგრძნობლად მოვუკელი.

მეშაობის პროცესში წუწუნავა დისციპლინის მოყვარული, მომთხოვნი და მკაცრი იყო. იგი მასობრივი სცენების დიდი ოსტატი იყო, დეტალურად ამუშავებდა გუნდის ყოველი წევრის მოქმედებას და იძლეოდა შესანიშნავ ტიპაჟთა მთელ გალერეას.

იგი იყო დიდი ფანტაზიის რეჟისორი, ნიჭისა და ვაკაცობის თავანისმცემელი, ეროვნული კულტურის ჭირისუფალი, დიდი მოქალაქე და პატრიოტი. ჰქონდა იუმორის დიდი გრძნობა. ხშირად ჩვენ თვალწინ შეთხზავდა რაღაც ამბავს და ისე დამაჯერებლად გვიამბობდა, რომ ყველანი სიცილით ვიხოცებოდით. მე და პეტრე ამირანაშვილი ვუგებდით, რომ ესა თუ ის ამბავი იმ წუთში გამომცხვარი იყო. დაგვიძახებდა და გვეტყოდა ხოლმე:

— როდესაც რამეს ყვები და ხალხი ხელში გვყავს, არ შეიძლება კაცი გასცე. თქვენ ეშმაკები ხართ და მიმიხვდებით, მაგრამ სხვებს არ უნდა გააგებინოთო.

მე ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს იმით, რომ ჩემი სამსახიობო მოღვაწეობა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ორი დიდი ხელოვანის — ევგენი მიქელაძისა და ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით დაიწყო. კერძოდ ალ. წუწუნავას მითითებების მიხედვით მოვამზადე მთელი რიგი პარტიები, როგორცაა: ავთანდილი („ამბავი ტარიელისა“), ონეგინი, გოჩა („დარეჯან ცბიერი“), ტორეადორი („კარმენი“) და სხვა. აქვე მინდა აღვნიშნო კონცერტმეისტერი ტატიანა ღუნენკოს ღვაწლი. ისიც, როგორც თეატრში მომუშავე ნიჭიერი კადრების უმრავლესობა, ევგ. მიქელაძემ მოიყვანა. მიქელაძე ძალიან ენდობოდა ღუნენკოს, ყველა ახალგაზრდა მომღერალს მასთან აგზავნიდა და



როცა ახალ ოპერაზე იწყებდა მუშაობას, მაშინაც კი მას მიმართავდა ხოლმე. როდესაც მორალესის პარტია ჩავაბარეთ მიქელაძეს, მან ყველაფერი მოიწონა, გარდა ერთი თანხმომავანი ასოსი (ш): ვერა და ვერ გამოვთქვი სიტყვა (Что ищете, красotka). მიქელაძე დიდ ყურადღებას აქცევდა დიქციას. მეცადინეობის დროს ხშირად იტყოდა ხოლმე — უსიტყვო მომღერალი მუნჯ ადამიანს ჰგავსო. ტ. დუნენკო მიქელაძის მუსიკალური ჩანაფიქრის შესანიშნავი შემსრულებელი იყო. იგი დღემდე მიქელაძის საქმის და ნიჭის ერთგული თაყვანისმცემელია. ისე, როგორც ყველა ჩვენგანი, ვისაც ერთხელ მაინც განუცდია მიქელაძის დიდი ნიჭის განუმეორებელი ზემოქმედება, დაუვიწყარია იგი, როცა პულტთან შთაგონებით აღიმართებოდა. მიქელაძეს ყოველთვის ზეპირად მიჰყავდა ოპერები, აგრეთვე სიმფონიები და სხვა დიდი მუსიკალური ფორმის ნაწარმოებები. მისი ფენომენალური მეხსიერება, მუსიკალური ნიჭი და აზროვნების მასშტაბურობა ცნობილი იყო არა მარტო ჩვენში, არამედ იმ, საგასტროლოდ ჩამოსულ დიდ მუსიკოსთა შორისაც, რომლებიც ხშირად, მისივე მოწვევით, თბილისში ჩამოდიდნენ. ვაი, რომ მას არ დასცალდა თავისი დიდი თვითყოფადი ნიჭის მსოფლიო ასპარეზზე გამოშუქება...

მორალესის უმნიშვნელო პარტიის შემდეგ ევგ. მიქელაძემ ოპერა „დაისში“ კიაზოს პარტიის შესწავლა დამაკისრა. ამ პარტიასაც დუნენკოსთან გავდიოდა. დებიუტის დღეს საშინლად ვღელავდი. ამ დღეს, ე. მიქელაძე, ყველასათვის სამწუხაროდ, ჩვენს შორის აღარ იყო! არ ვიცოდი როგორ მოვრეოდი თავს. სპექტაკლი დაიწყო. ალ. წუწუნავა კულისებში იდგა და მამხნევებდა. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ III მოქმედებაში სირბილით გავიჭვარი სცენაზე და ზედ შუა ადგილას მოვადინე ზღართან.

— „ფუი, შეგარცხვინა ღმერთმა!“ — მომადხა წუწუნავამ კულისებიდან და ზურგი შემაქცია. მე როგორც წავიქეცი — იმავე მდგომარეობაში დავრჩი და ისე განვაგრძე სიმღერა. ეს კი მოეწონა და მითხრა:

— ყოჩაღ! კარგად გამოდი მდგომარეობიდანო.

ევგენი მიქელაძეს ბევრი მოწაფე არ ჰყოლია. მის მოწაფეთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა დიდიმ მირცხულავა. მისი სადირიჟორო ტექნიკა, მუსიკალობა და შრომის სიყვარული მას შესანიშნავ მომავალს უქაღდა.

დღეს დღიმი მიტყხულავა ჩვენი თეატრის წამყვანი დირიჟორაა. მია მიერ მუსიკალურად მომზადებული სპექტაკლები ყოველ-ოვან ვაჰიორჩევიან მაღალმხატვრული დონით და პროფესიული მო-მზადებებით; მას ახასიათებს ზუსტი ურთიერთობა სოლისტებთან, კუნდთან და ორკესტრთან.

აქვე მომიხდება მოგონებათა ქრონოლოგიის დარღვევა და მკი-თხველის ყურადღებას მივაპყრობ მოსკოვის სამედიცინო ინსტი-ტუტში სწავლების პერიოდს.

1934 წლის სასწავლო დღეები ახლოვდებოდა. მოსკოვში წასვლის და იქ მეცადინეობის სურვილი მოსვენებას არ მაძლევდა. მშობლებ-თან წინასწარი დავიდარაბის შემდეგ შევუდექი გამგზავრებისათვის სამზადისს. მთავარი და ხელის შემშლელი გარემოება — ხელმოკლე-ობა იყო, თუმცა დიდ სურვილს ესეც ვერ აღუდგა წინ. და აი. ჩქა-რი მატარებელი უკვე მოსკოვისაკენ მიმაქროლებს. უკან, შორს, დაუსრულებელ ტრამალებს იქეთ, მრჩებოდა საყვარელი მიწა, ლა-რიბი სახლი, შრომით მოღლილი მშობლები და ორი და.

როგორც იქნა მოსკოვს მივალწიე. ამ დიდ ქალაქში უბრალო ნა-ცნობიც კი არ მყავდა. მატარებლიდან პირველსავე შემხვდურ ტრამ-ვაიში ჩავჯექი. უმიზნოდ მოვიარე უზარმაზარი ქალაქის ქუჩები და დადლილ-დაქანცულს რონოდაში ჩამექინა. შუალამისას, როდესაც ტრამვაი პარკში უნდა წასულიყო, კონდუქტორმა გამომადვიცა. შე-მკრთალმა ჩემოდანს ხელი დავავლე და დაუფიქრებლად ტრამვაი-დან გადმოვხტი. დიდხანს უმიზნოდ დავეხეტებოდი, უცბად ერთ-ერთი სახლის სახურავიდან კვამლის ბოლი შევამჩნიე. შემოდგომის სუსხით გათოშილი, ინსტინქტურად ავყევი რომელიღაც სახლის კი-ბის საფეხურებს, სხვენის კარები შევალე და გონება დაკარგულს მუხლები მომეკვთა.

ბურანში ჩამესმა როგორ მომცვიდნენ უცხო ადამიანები და როგორ ჩამაწინეს საწოლში. ოდნავ გავთბი თუ არა ღრმად ჩამეძი-ნა და ქართულად ნათქვამი ყურმოკრული ორიოდე სიტყვა სიზმარ-ში ჩავიყოლიე. დილით გამოირკვა, რომ ბედს ჩემს თანამემამულე ქართველ სტუდენტებთან მივეყვანე... ეს იყო ბედნიერი შემთხვევა; რომელმაც მიხსნა საშინელი სასოწარკვეთილებისაგან — დამიბრუ-

ბა სულიერი სიმბნევე და კვლავ წამართა მომავლისათვის ბრძოლისაკენ. მომავალში ეს გზაც სავსე აღმოჩნდა მიხვეულ-მოხვეული ძნელად სავალი გზებით, მაგრამ ყველაფერი ეს შეეძლო გადაელახა ახალგაზრდულ, გამარჯვებისათვის მებრძოლ გულს.

ახალგაზრდა ადამიანი სწრაფად ექცევა განცდათა გარემოცვაში და ასევე სწრაფად იღლება შთაბეჭდილებათა სიუხვით. საკმარისია მან ერთი კარგად დაისვენოს, რომ ღრუბლებიდან ვაცრილ ცასავით განიწმინდოს მისი შინაგანი სამყარო. დილა აღრჩან ჩემს ქართველ მეგობრებთან — კოპალიანთან და შონიასთან ერთად. მოსკოვის ყველა სამედიცინო ინსტიტუტებს შემოვუბრინეთ, პირობებს ვგებულობდით და იქ მეცადინეობის და მოწყობის გეგმებს ვადგენდით.

ჩემი მოწყობის სიძნელეები თანდათან მატულობდა. ადგილის უქონლობის გამო ვერ მოხერხდა ჩემი ვერც პირველ და ვერც მეორე სამედიცინო ინსტიტუტში მოწყობა. გადიოდა დრო. ჩრდილოეთის შემოდგომა იწურებოდა და ზამთრის სიმკაცრით შეშინებული ადამიანები გაფაციცებით ემზადებოდნენ მასთან შესახვედრად. ქალაქში სინესტემ დაისადგურა, სახლების ფანჯრები მიიხურა, სითბო სანატრელი გახდა.

სხვენზე ყოფნა აუტანელი შეიქნა. ინსტიტუტშიც ჯერ კიდევ არ ვიყავი მოწყობილი. ყველაფერი ეს აუტანელს ხდიდა ჩემს ცხოვრებას. როგორც კი მზე გამოანათებდა და მისი სხივები თავზე დამადგებოდა, მაშინ კვლავ მებადებოდა მომავლის, გამარჯვების რწმენა და სიხარულით გათოშილ სხეულში ღვთაებრივ სიმშვიდეს ვგრძნობდი. როგორც ყვავილს დილის მზის სხივთა სიუხვე; ისე მასხივოსნებდა მეც გათენება. რაღაც კმუნვა, ალბათ უბედობით გამოწვეული, თუმცა მტანჯავდა, მაგრამ სულის სიახალგაზრდავე, ბავშვური ცეცხლი, რომლითაც სავსე იყო ჩემი ყოველი კუნთი, ბრძოლისაკენ მომიწოდებდა და მოსვენებას არ მძლევდა. როცა ამ აღგზნებულ მდგომარეობაში მყოფი სამედიცინო ინსტიტუტის კარებს უკანასკნელად გაღლაწყვეტილი ვემშვიდობებოდი. კვლავ ბედნიერმა შემთხვევამ მისხნა. გზაზე შემომხვდა ჩემი დიდი მეგობარი მიხეილ სააკაშვილი. მას გაუკვირდა ჩემი აქ ამ მდგომარეობაში ყოფნა; შემდეგში მისი უშუალო მონღომებით, გულისხმიერი, ძმურა დახმარებით მე მოვეწყვე ჯერ III, შემდეგ კი — I სამედიცინო ინსტიტუტში.

სწორედ 1935 წლის გაზაფხულზე მთელ ინსტიტუტს მოედო ცნობა, რომ მოსკოვის სამედიცინო საზოგადოებრიობას სურს საზე-  
ნიპოდ აღნიშნოს გამოჩენილი რუსი თერაპევტის კანჩალოვსკის 35  
წლის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ღირსშესანიშნავი  
თარიღი. მთელი I სამედიცინო ინსტიტუტი საგანგებოდ ემზადებო-  
და ამ დიდი მეცნიერის სადღესასწაულო დღისათვის. მზადდებოდა  
ოფიციალური ნაწილი, რომელზედაც სიტყვებით და მოგონებებით  
უნდა გამოსულიყვნენ გამოჩენილი მეცნიერნი. კონცერტში მონაწი-  
ლეობა უნდა მიეღო მოსკოვის ცნობილ მსახიობებს. ინსტიტუტის  
ღირექტორმა ოპენჰაიმმა დამიბარა და მითხრა:

— შენ ჩვენი ინსტიტუტი კარგად გიცნობს, კარგი ხმის პატრო-  
ნი ხარ, გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ კონცერტში. მე რა თქმა  
უნდა სიამოვნებით დავეთანხმე ღირექტორს, მაღლობაც გადავუხა-  
დე მოწვევისათვის და განარებულმა, ჩემს ყველაზე ახლობელ ძმა-  
კაცს — მ. სააკაშვილს ვახარე ყოველივე. იგი კმაყოფილებით და სი-  
ხარულით შეაგდა ამ ამბავს და დამარიგა — ხვალინდელი დღე მე-  
ტად საპასუხისმგებლოა, იცოდე, თავი უნდა ისახელო. დავემზეი-  
დობე ჩემს მეგობარს და ტრამვით გავწიე გორკის ქუჩისაკენ, სადაც  
ნე და ილიკო სუხიშვილი ნახევრად ბნელ ოთახში ვცხოვრობდით.  
უკეთ ამ ოთახში ი. სუხიშვილი ცხოვრობდა, მე კი მასთან ვიყავი შე-  
ხიზნული. მისვლისთანავე ილიკოსაც გავუხიარე ჩემი სიხარული.  
ილიკომ მაშინვე გადმოიღო თავისი პიჟაკი და შემომთავაზა კონ-  
ცერტზე ჩასაცმელად. შარვალს კი ვერაფერი ვერ მოვუხერხე. სხვა  
გზა არ იყო — ისევ ჩემი ძველი სასომიხდილი შარვლით უნდა გა-  
მოვალდიყავი ესტრადაზე. მთელი დამე შარვლის მოწესრიგებაში  
გაეატარე. გავწმინდე, გავალამაზე და გავაუთავე. საღამოს ასე გა-  
მოწყობილი გამოვეცხადდი. პირველად ვიმღერე ოპერა „იოლანტა-  
დან“ რობერტის არია. დარბაზმა მქუხარე ტაშით დამაჯილდოვა.  
ამით გათამამებულმა მეორედ მოვინდომე სიმღერა, მაგრამ ბოლომ-  
დე არ გამიღიმა ბედმა და კონცერტზე წარმატებისაგან მიღებულ სი-  
ხარულს, უნებურად ჩრდილი გადაეფარა. ბისზე ჯერ ვიმღერე ჩაი-  
კოვსკის რომანსი: „Средь шумного бала“ და ბოლოს თავადი  
იგორის არია. წარმატებით ფრთებშესხმულს სრულიად დამავიწყდა  
ჩემი ძველი შარვალი და როცა ერთი მაგრად შევისუნთქე, შარვალი  
ტანზე გადამასკდა. სიმწრის ოფლმა დამასხა, მზად ვიყავ ფანჯრი-  
დან გადავხტარიყავი, მაგრამ რა შექნა? მაყურებელთა დარბაზიდან

ურიცხვი თვალი მომჩერებოდა. სცენიდან გაპარვა სანუკვარი ნატვრა იყო. ისლა მოვისახრე, რომ წელში გავიმართე, ხელები თათქოს შემთხვევით უკან ავიფარე, უკან-უკან წავედი და დავტოვე სცენა. აჰ წუთებში სცენა ჩემთვის ჯოჯოხეთი და რალაც კომპარული გარემოცა იყო.

კულისებში მ. სააკაშვილი, ი. სუნიშვილი და ორი იქაური მეგობარი — გოლენკო და უმიკოვი მომვარდნენ, ყველა მიმტყიცებდა, რომ მაყურებელს ჩემი შარვლის „ტრაგედია“ არ შეუმჩნევია. შილოცავენენ წარმატებას და მამხნევენდნენ. მე კი დარღისაგან აღარ ვიყავი. ცოტა ნაშინ დავმშვიდდი, როცა მეორე დღეს თვით ოპენჰაიმმა მომილოცა და მისი ბრძანებით საერთო საცხოვრებელში ცალკე ოთახი გამომიყო. აგრეთვე ერთდროულად დახმარების სახით 500 მანეთი მომცა.

1935 წელს დავამთავრე მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტი. ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორის — ოპენჰაიმისა და გამოჩენილი თერაპევტის — კონჩალოვსკის ჩემდამი კეთილშეგობრული დამოკიდებულების გამო მე ექიმთა საერთო სავალდებულო განაწილებისაგან გამანთავისუფლეს და მათივე შუამდგომლობით ვიმპლირეხე დიდ თეატრთან არსებულ საოპერო სტუდიაში მისაღებად.

ამ სტუდიაში თავიდანვე ვერ გამოიჩინა თავი როგორც მომავლისათვის საიმედო წამოწყებამ და მალე დაიშალა. ამის შემდეგ გულმა სამშობლოსაკენ გამომწია; მეც აღარ დავაყოვნე და საქართველოსაკენ გამოვეშურე.

1936 წლის გაზაფხულზე დიდმა თეატრმა გამოაცხადა ახალგაზრდა მომღერალთა საკავშირო კონკურსი. ეს კონკურსი დაემთხვა მოსკოვში სსრ კავშირის კონსერვატორიების ვოკალური ფაკულტეტების სტუდენტთა საჩვენებელ სემინარს, რომელიც მოსკოვის სას. კონსერვატორიის მცირე დარბაზში ტარდებოდა.

აქ ჩამოვიდნენ ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, ერევნის, ტალინის, მინსკის კონსერვატორიების ვოკალური ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტები და სიმღერის გამოჩენილი პედაგოგები. ჩვენი კონსერვატორიის წარგზავნილთა ჯგუფში (პროფ. ე. ვრონსკის ხელმძღვანელობით) შედიოდნენ: ნ. ხარაძე, დ. გამრეკელი, ნ. ოვანესიანი, გ. შმალცელი, შ. ვაშალომიძე, აკომპანიატორი ირინა გლეხოვა და მე, მონაწილეობა კონკურსში მხოლოდ მე მივიღე. მიმღი-

ბი კომისიის თავმჯდომარე იყო დიდი თეატრის მთავარი დირიჟორი ს. სამოსული. პირველი და მეორე ტური, რომელიც დიდი თეატრის ბეთპოვენის სახელობის დარბაზში მიმდინარეობდა, წარმატებით განვლეს. როცა მესამე ტურში უნდა მიმედო მონაწილეობა, უცნაური რამ შექმნეს.

მოსკოვში ამ დროს შევიბრებაზე ჩამოვიდა ესპანელი ბასკების მსოფლიოში სახელმწიფოებრივი ფეხბურთელთა გუნდი. ამ გუნდის ჩამოსვლამ მოსკოვში ბევრ სპორტის მოყვარულს აუბნია გზაკვალი, მათ შორის მეც. ამ გაუგონარი აუიოტაუით აღზნებულმა ვამჯობინე ფეხბურთის მატჩის ნახვა, ვიდრე მესამე ტურში მონაწილეობის მიღება. ეს მატჩი უფრო მალეღვებდა, ვიდრე დიდ თეატრში მოხვედრა. მთელ მოსკოვში გავრცელებულმა სპორტულმა „ციებ-ცხელებამ“ მეც შემიპყრო და სტადიონისაკენ გავწიე.

სწორედ იმ დღეს, 3 საათზე, როცა დიდი თეატრის სცენაზე უნდა მემღერა, დინამოს სტადიონის წინ, უბილეთობის გამო, ვიტანჯებოდი. გამვლელ-გამომვლელს შევთხოვედი ერთ ბილეთს, მაგრამ ვინ რას მომცემდა, როცა თითქმის მთელი მოსკოვი აქ იყო. იმედს არ ვკარგავდი. უცბად დავინახე ა. შ. მელიქ-ფაშაევი, დ. სულხანიშვილი, დ. გამრეკელი, აკაკი ძიძიგური და სერგო გოცირიძე. მე სასწრაფოდ მელიქ-ფაშაევს პორტფელი გამოვართვი, მ. სულხანიშვილს კი წითელი გალსტუკი კისრიდან ჩამოვხსენი.

— რად გინდა. ბიჭო? ხომ არ გავიყდი? მეუბნებოდნენ ისინი.

— ნამდვილად გავიყდები, თუ დღეს სტადიონზე ვერ მოვხვდები, — ვუთხარი მე მათ. ილიაში ამოვიდე აღექსანდრე შამილის ძე მელიქ-ფაშაევის ნოტებით სავსე პორტფელი, მითო სულხანიშვილის წითელი გალსტუკი ყელზე გამოვისკვენი, თმები ავიჩეჩე და ჩქარი ნაბიჯით გავწიე მთავარი შესასვლელისაკენ. იქ, რა თქმა უნდა, შემაჩერეს:

— თქვენი ბილეთი?

— „ბილეთო?“ გავიკვირვე მე. ესპანო მინდორატო, შესვლეთო... ვიო-ვიო ესპანო“ და რაღაც აბდა-უბდა; „ესპანო, ესპანოს“ ყვირილი მოკრთე. ვხედავ, მილიციის პოლკოვნიკი პირდაპირ ჩემსკენ მოდის, მხევს ხელს და მამშვიდებს:

— ნუ ღელავთ, ამხანაგო, ნუ ღელავთ!

მე თითქოს ვერაფერი გავიგე, მხრები ავიჩეჩე, ხელებით ვუმტყაყებ, რომ სტუმრად ჩამოსული სხვა ესპანელები შევიდნენ და

მე დავრჩი. პოლკოვნიკმა მილიციის სერჟანტი იხმო და უთხრა:

— ამხანაგო!... წაიყვანე ეს (აქ ცუდი სიტყვა იხმარა) და ესპანელებთან დასვით.

მეც „ესპანურად“ მადლობა გადაუხადე და გახარებული, სერჟანტს გავყევი. უკან ჩვენები მომდევდნენ და ქართულად მომქაზოდნენ:

— შე ეშმაკო, ეს რა ჰქენი, რა მოახერხეო!

მთელი თამაშის განმავლობაში შეშინებული ვიჯექი: ოინს არ მიმიხვდნენ და გარეთ არ გამომიყვანონ-მეტქი, მაგრამ ბასკების ბრწყინვალე თამაშმა ყველაფერი დამავიწყა.

მეორე დღეს მე და აკაკი ძიძიგური დიდი თეატრის ღირექციის კარებთან სამოსუდმა გავგაჩერა.

— თუ არ ვცდები, თქვენ კრავეიშვილი უნდა იყოთ, ის კრავეიშვილი, რომელიც გუშინ მესამე ტურზე არ გამოცხადდა?

— დიახ! მე გახლავართ.

— ეს მითხარით — არ გაინტერესებთ, 22 წლის ახალგაზრდაც, დიდი თეატრის კედლებში მოხვედრა? ამ ხნის ხომ ჯერ არავინ შემოსულს კონკურსით ჩვენთან?

— როგორ არა, მე ძალიან დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ რა ვქნა. ავად გავხდი.

— როგორ? ავად?... ხა... ხა... ხა.. გადაიხარხარა სამოსუდმა.

— თქვენ, მგონი ფეხბურთის თამაშის დროს კარგად იყავით? ისიც ვიცი, თუ როგორ შეხვედით! ეს კი ნამდვილად საოცარია, ამისათვის ყოჩაღ! შესანიშნავი აქტიორული ნიჭი და მოსაზრება გამოგიჩენიათ. შესანიშნავი! ჩვენ დღეს ბევრი გვაცინა ალექსანდრე შამილის ძემ. ყოჩაღ! ყოჩაღ! იცოდეთ მოდით თეატრში. შემოღვამაზე ესედაც ჩაგრიცხაეთ! ხელი ჩამომართვა. აკაკი ძიძიგური და მე (არ მახსოვს საით მივიჩქაროდით). სწრაფად დავეშვიით თეატრალური მოედნისაკენ. აქ უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი სპორტული გატაცება ბავშვობიდანვე დაიწყო. სამტრედიის რკინიგზის შეიდწლიან სკოლაში რომ ვსწავლობდი, ტანვარჯიშს გვაწავლიდა ლეჟავა (სახელი არ მახსოვს); გვამეცადინებდა გატაცებითა და საქმის დიდი სიყვარულით. ხშირად გავყავდით „სტაროსელსკის მოედანზე“ და ფეხბურთს გვათამაშებდა. ეს მოედანი ქალაქიდან ორი კილომეტრით იყო დაშორებული. თბილისისკენ მიმავალი რკინიგზის მარჯვნივ მდებარე-

ობდა. ასწლოვანი ჰადრებით შემოჯარულ მოედანს მწვანე მოლის ხალიჩა ფარავდა.

ხშირად სასკოლო, რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა გუნდებიდან „ნაკრები“ დგებოდა და სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ „ნაკრებ“ გუნდს ეთამაშებოდა.

მახსოვს ერთხელ ქუთაისის „ნაკრები“ გვესტუმრა, რომელსაც ცნობილი სპორტსმენი გივი კილაძე ხელმძღვანელობდა. ჩვენი „ნაკრები“ სულ ახალგაზრდებისაგან შედგებოდა, რომელთაგან გამორჩეოდნენ ჩემი ახლო მეგობრები ბორის თადუმაძე, საშა ყუფარაძე და რკინიგზის გუნდიდან ჟორა კახიანი. ჩვენი გუნდი ქუთაისისაზე სუსტი იყო და, რა თქმა უნდა, თამაში წაგაგეთ.

ამის შემდეგ მე აღარ ვმონაწილეობდი თამაშებში, მაგრამ ინტერესი სპორტისადმი, კერძოდ ფეხბურთისადმი მულამ თან მდევდა.

1936 წელს დაიბადა დიდი ქართული ფეხბურთი. საყოველთაო იყო ფეხბურთით გატაცება და გულშემატყვიერობა, ყველას პირზე ეკერა: ბორის პაიჭაძე, შოთა შავგულიძე, ჯორბენაძე, ჭეჭელავა, გავაშელი, პანიუკოვი, ფროლოვი, დოროხოვი და სხვა. ესენი იცავდნენ ჩვენი ფეხბურთის ღირსებას ცნობილ თამაშში ბასკებთან. ეს იყო დაუვიწყარი შეჯიბრი. ბასკებისაგან გონებაში ჩამრჩა და ახლაც თვალწინ მიდგას ლანგარა, თავისი ვეფხვისებური სწრაფით, რომელიც შესანიშნავად ფლობდა ბურთს. საერთოდ ბასკები თამაშობდნენ საოცრად შეთანხმებულად, გააზრებულად და შესანიშნავად იყენებდნენ ბურთის გადაცემის ყველა საშუალებას.

ბასკებთან თამაშით მოსკოვშიც დავტკბი და თბილისშიც. თუ ბასკებთან ლანგარა ბრწყინავდა, თბილისის „დინამოდან“ ჩვენი იმედი და სიხარული ბორის პაიჭაძე გახლდათ. ბორისი იმ პერიოდში სპორტული მიღწევების ზენიტში იყო და მისი მოედანზე გამოსვლა უჩვეულო აღფრთოვანებას იწვევდა. სხარტი, ელვასავით სწრაფი და მოქნილი ბორისი ნამდვილი არტისტიზმით თამაშობდა. აი სწორედ ამით ხიბლავდა და ატყვევებდა ყველას იგი.

მას „ღმერთმა მისცა ის, რაც მთავარია სპორტსმენისათვის და რომელსაც ვერავითარი ტექნიკის სრულყოფით და ფიზიკური სიმძლავრით ვერ შეიძენ“. ეს „ის“ არის შემოქმედი ადამიანის ეშხი და მიმზიდველობა. ამიტომ უწოდეს მას როგორც ჰემმარიტ შემოქმედს რუმინეთში „ფეხბურთის კარუზო“, უწოდეს სრულიად მართებულად. ბორისი მოედანზე კარუზოს ძალით ამღერებული ფეხ-



ბურთელი აქტორი იყო. ის ბურთის საოცარი სიმსუბუქით ამუშავებდა, ფლობდა და წარმართავდა. არავის არ ახსოვს მისი უხეშობა მოედანზე.

დღეს როცა ვუყურებ ჩვენი დროის დიდოსტატ პელეს — უნებურად ბორის პაიჭაძე გამახსენდება და ბევრ საერთოს ვპოულობ მათ შორის. აი სწორედ ეს ეშხი და ლაზათი აკავშირებს ამ ორ დიდ ფეხბურთელს. ეს განსაკუთრებული არტისტიზმია, რომლითაც განსხვავდებიან ისინი დანარჩენთაგან.

იმ წლებში, როცა ბორის პაიჭაძე ასეთ დიდ ჰიმოვნებას და სიხარულს ჰგვრიდა მაყურებელს, იმრავლა ფეხბურთის თაყვანისმცემლებმა და გულშემატკივრებმა. ეს „სენი“ ჩვენი ოპერის თეატრშიც შემოიჭრა. ევგენი მიქელაძის „ღირიფორობით“ ჩამოყალიბდა მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდი: დაცვა პეტრე ამირანაშვილი და დავით გამრეკელი, ნახევარდაცვა: პეტრე ნიჟარაძე და გიორგი მარგივევი, თავდასხმის ხუთეული (მაშინ ბრაზილიური სისტემა სად იყო), რომელშიც შევდიოდით მე, მარჯვენა გარემარბი ევგენი მიქელაძე, მარცხენა გარემარბი ოდისეი დიმიტრიადი, მეკარე ვინ იყო არ მახსოვს. შევიძინეთ საჭირო ინვენტარი და ვეწვიეთ ახლანდელ „ქარიშხალას“ სტადიონს, მაშინ კი სრულიად ტრიალ მინდორს. იდგა ორი კარი, ბადეები, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა. გასახდელად ერთ პატარა ფიცრულს ვიყენებდით. ჩვენს გარდა მოედანზე სხვა მოყვარულთა გუნდებიც გადიოდნენ „წვრთნას“. ერთ-ერთი გახლდათ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთა გუნდი, რომლის ორგანიზატორი და კაპიტანი პიერ კობახიძე იყო.

მახსოვს, ერთ კვირა დღეს, პიერის უშუალო ინიციატივით სათანადო მომზადების შემდეგ ამ მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ ოპერის თეატრისა და მარჯანიშვილის თეატრის „მსახიობ-ფეხბურთელთა“ გუნდები.

ამ „სპექტაკლმა“ უამრავი მაყურებელი მიიზიდა. თამაშს დაესწრნენ: ნატო ვაჩნაძე, იოსებ გრიშაშვილი, ნიკოლოზ შენგელაია, ვეროკო ანჯაფარიძე, მიხეილ ჭიაურელი, ნიკო გოცირიძე, უშანგი ჩხეიძე... ყველას ვინ ჩამოთვლის. მსაჯად მოწვეული გვყავდა ჩვენი კონსულტანტი ბორის პაიჭაძე.

თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მივედით, ჩავიცვით, მოვეწყეთ, უკვე ყველა მზად ვართ და აღმოჩნდა, რომ გიორგი მარგივეს ბუცები არ ჰქონდა. იქვე მაყურებელთა შორის მოძებნეთ

კაცი, რომელსაც ბუცები ეცვა. გამრეკელი გამოეცნაურა ახალგაზრდას და თხოვა ბუცები მარგიევისათვის ეთხოვებინა. მარგიევმა სანაცვლოდ თავისი ახალი ფეხსაცმელი ჩააცვა ახალგაზრდას (სხვათა შორის მარგიევს ბუცებითვე მოუხდა სახლში წასვლა, რადგან იმ ახალგაზრდამ მისი ფეხსაცმელი არჩია გაცვეთილ ბუცებს).

დაიწყო თამაში — ძნელია მისი აღწერა. ძალიან საინტერესო იყენებ განსაკუთრებით გამრეკელი და ამირანაშვილი, რომელთაც უჭირდათ სირბილი. პეტრე ნიქარაძე საერთოდ ცუდად ხედავდა და სათვალთ თამაშობდა. მიქელაძე მშვენივრად თამაშობდა, მაგრამ ბურთს იმარტოხელებდა და არავის აძლევდა კარში დარტყმის საშუალებას. როგორც კი მივიღებდი ბურთს და მივიწვევდი მოწინააღმდეგის კართან, ყვიროდა — მე აქ ვარ! მეც ვაწვდიდი, მაგრამ ბურთი ან გვერდით, ან კარს ზევით მიდიოდა, რაშიც მე გამოვდიოდი დამნაშავე, ცუდად მომაწოდეთ!

გიორგი მარგიევი კი თამაშის დროს უსაშველო მსჯელობას მოჰყვებოდა. და ასე ამგვარად ჩვენს გუნდს წარმატება არ ჰქონია.

ჩვენი გუნდი მალე დაიშალა, აღარ ვთამაშობდით, მაგრამ სიყვარული და გატაცება ფეხბურთისადმი და საერთოდ სპორტისადმი არ გამნელებია. ყოველთვის მიტაცებდა და ახლაც მიტაცებს ისეთ სპორტსმენთა გამოსვლები, რომელთათვის ეს უბრალო შეჯიბრი ან საკუთარ შესაძლებლობათა დემონსტრაცია კი არა, არამედ შემოქმედებაა, ხელოვნების დონემდე აყვანილი.

ხელოვნების იმუშაებს და სპორტსმენებს ერთი ძირითადი თვისება გვაკავშირებს — ემოციები. უემოციო ხელოვანი და სპორტსმენი ვერასოდეს ვერ მოახდენს გავლენას მაყურებელზე.

განა გროსმაისტერ მიხეილ ტალის ანთებული თვალები თამაშის დროს, მისი ტემპერამენტი, სახის მიმიკა, მშფოთვარე სული არტისტიზმით არ არის სავსე? ემოციებით არაა გამთბარი ნონა გაფრინდაშვილი ჭადრაკის დაფასთან; სცენაზე მისი დინჯი, მაგრამ თავისებური „გასეირნება“?

დიდ სპორტსმენთა შემოქმედებითი მასშტაბების მამოძრავებელი ძალა არის ემოციები, ინტელექტი, ინტუიცია და თანდაყოლილი ეშხი, რითაც ბუნება ადამიანებს არცთუ უხვად აჯილდოებს.

ასევეა სპორტის სხვა სახეობაშიც. განა „პროფესორად“ აღიარებული ვახტანგ ბალავაძე ან გივი კარტოზია გარდა ბრწყინვალე

ტექნიკისა არ ფლობდნენ ოლიმპიურ სიღინჯეს, ზომიერ ტემპერა-  
მენტს, ემოციებს, ეშხსა და ლაზათს?

ვინც თავის ნიჭს, ძალას და მომხიბვლელობას ხალხის წინაშე  
ამჟღავნებს და მათ სიამოვნებასა და განწყობილებათა სიწმინდეა  
ემსახურება, გარდა ძირითადი სპეციფიკური თვისებებისა აგრეთვე  
იშვიათი თვისებებს — არტისტიზმის — მატარებელიცაა.

●  
მოსკოვიდან მალე დავბრუნდი თბილისში. მაშინ თბილისის  
ფილარმონიის საზაფხულო თეატრში საზღვარგარეთელ მომღერალ-  
თა კვარტეტი გამოდიოდა. შესვენების დროს ჩემთან ცნობილი დრა-  
მატურგი გიორგი მღვივანი მოვიდა. მე მისი დის, თამარის (ჩემი ახ-  
ლო ამხანაგი ვრონსკის კლასიდან) საშუალებით ვიცნობდი მას. ხე-  
ლი ჩამომართვა, ფერმკრთალი, ხმელი კაცი გამაცნო და მითხრა:

— გაიცანი, კინო-რეჟისორი დ. რონდელი. მე გაგონილი მქონ-  
და ეს გვარი, მაგრამ თვით არასოდეს შენახა.

— ნამდვილი ლაზარიაა! — თქვა რონდელმა.

— არა. ბატონო, მე ბათუ მქვია!

— ვიცი. ვიცი. — თქვა რონდელმა.

— ეგ სულ სხვაზე ფიქრობს, — ჩაერია ლაპარაკში გიორგი;

— კინოფილმის გადაღებას აპირებს და ჰოვარდი გვირის შემ-  
სრულებელს, რომელსაც სახელად ლაზარია ჰქვია, იმას დაეძებს.

— მერე მე რა შუაში ვარ? — ვიკითხე გაკვირვებულმა. რონ-  
დელმა ხელი მომხვია და მითხრა:

— შენ უნდა გათამაშო ლაზარიას როლი.

ამგვარად, საცდელი გადაღების შემდეგ, მთელი 1936 წელი ლა-  
ზარიას შევწირე კინოში.

ფილმი, რომელშიაც მე მონაწილეობა მივიღე, რონდელის და  
ქართული კინემატოგრაფიის უტყუარი გამარჯვება იყო. მან დ.  
კლდიაშვილის გმირების ბრწყინვალე ეკრანიზაცია მოახდინა.

არ შემიძლია არ მოვიგონო სახასიათო როლების ისეთი შესა-  
ნიშნავი ოსტატი, როგორც იყო და არის შ. ბეჟუაშვილი. მან ბევრი  
კარგი პრაქტიკული ხასიათის დარიგება და მითითება მომცა. ხში-  
რად მასწავლიდა როლის გახსნის საშუალებებს, ტექსტის გამოთქმის  
ხასიათს და სხვა. ჩემდამი ასეთი ყურადღება და გულისხმიერება

გამოიჩინეს აგრეთვე არკადი ხინთიბიძემ, შალვა ხონელმა და ჩემმა მუღამ სიყვარულით და პატივისცემით მოსაგონარმა პარტნიორმა, ნიჭიერმა ქალმა დუდუხანა წეროძემ. სხვათა შორის, მას შესანიშნავი ხმა ჰქონდა, მაგრამ ხმის დამუშავებას კინო მსახიობობა არჩია.

ამ სურათთან დაკავშირებით არ შემიძლია არ მოვიგონო შესანიშნავი ქართველი მხატვარი დავით კაკაბაძე. ყოველი შეხვედრა მასთან ჩემთვის ძვირფასი იყო, მიფაჩივებდა მხატვრულ გემოვნებას. ამ ფილმმა დამაახლოვა ჩვენს სასიქადულო კომპოზიტორთან ანდრია ბალანჩივაძესთან, რომლის ნიჭით და მაღალი მუსიკალური ალღოთი სავსეა ფილმის მთელი შინაარსი. კინოსტუდიაში მუშაობის შემდეგ ისევ თბილისში დავრჩი და 1937 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დასში ჩავირიცხე.

მეორედ დიდი თეატრის სცენის კარებს 1939 წელს მივაღებე.

დიდი თეატრის ისტორიის ფურცლებზე ბევრი საინტერესო, შინაარსით სავსე სტრიქონების ამოკითხვა შეიძლება. მისი წარსულის მდიდარი შემოქმედება, კომპოზიტორების, მხატვრების, მომღერლების განვლილი გზა დღესაც ბევრ კარგს და მისაბამ ფაქტებზე მიგვიბრუნებს. ყოველივე ახალი და ღირსშესანიშნავი — ამ კულტურის დიდ სამქედლოში იჭედებოდა. რუსული საოპერო მუსიკის ძლიერებამ, გარდა პეტერბურგისა აქ აიდგა ფეხი. მომღერალთა ხმის ძალა აქედან ედებოდა მსოფლიოს ქალაქებს.

ბევრმა გამოჩენილმა ხელოვანმა აქ მიიღო მხატვრული ნათლობა.

დიდი თეატრი — რუსული საოპერო კულტურის ნამდვილი სავანე იყო და არის დღესაც. მისი ნამოქმედარი, მის მიერ განვლილი გზა — ეს მთელი სკოლაა ხალხის მუსიკალურად აღზრდისა, მისი სულიერი სამყაროს აღორძინებისა და გათვითცნობიერების რთულ და საპატიო საქმეში.

ძნელად მოიძებნება მსოფლიოში მილანის „ლა სკალას“ შემდეგ ისეთი თეატრი, როგორც მოსკოვის დიდი თეატრია, რომელსაც თავისი მასშტაბების მიხედვით საქვეყნოდ აღიარებული მიღწევები ჰქონდეს და საოპერო ხელოვნების განვითარებაში ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის დონემდე იყოს ასული.

ამ თეატრში ჩემი მისვლისას აქ მოღვაწეობდნენ ძველი თაობის სახელოვანი დირიჟორები: შტეინბერგი, პროფ. ჩუგუნოვი, ნებოლსინი, მელიქ-ფაშაევი და მთავარი დირიჟორი სამოსლუდი; კონცერტ-

მეისტერები: პოგრიბოვი, სტუჩევსკი, ვასილაევი, გოლუბკინი და სხვანი. რეჟისორებად, სხვებთან ერთად, მუშაობდნენ ჩვენი თანამემამულეები — ტიციან შარაშიძე და მიხეილ კვალიაშვილი.

მღეროდნენ ბარიტონები: გოლოვინი, სლივინსკი, ნორცოვი, პოლიტოვსკი, პროკოშევი; ლუბჩენკო, სელივანოვი, ვორობიოვი, სავრანსკი, მინეევი, გ. ყიფიანი; ტენორები — კოზლოვსკი, ლემეშევი, ალექსეევი, ჟადანი, ხანაევი, ბოლშაკოვი და ბადრიძე. ბანები: რეიზენი, პიროგოვი, მიხაილოვი, რედიკულცევი და ჩვენი თანამემამულეები — დიმიტრი მკედლიძე და სერგო გოცირიძე; სოპრანოები: კრუჯლიკოვა, შპილერი, მეჟრაუპი, ძერჟინსკაია, სლივინსკაია, მოხოვა. კოლორატურული სოპრანოები: ბარსოვა, ბოროვსკაია; მეცო-სოპრანოები მაქსაკოვა, დავიდოვა. მხატვართა შორის მუშაობდა ჩვენი თანამემამულე კარლო კუკულაძე.

დიდი თეატრი, ყველა თეატრთა შორის, მეტად სახელოვანი. დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობების და მაღალი მხატვრული ღირსების მქონე ორგანიზმი იყო. იგი ახალგაზრდა ძალებისათვის დიდ სკოლას წარმოადგენდა. განა „ხოვანშინაში“ რეიზენის დოსითეოსი, „ფაუსტში“ ჟადანის ფაუსტი, „ტრავიატაში“ ბარსოვას ვიოლეტა ან „ივან სუსანიში“ პიროგოვის სუსანინი სკოლა არ იყო?!

მარკ რეიზენი, თავისი მაღალი ვოკალური კულტურით, ხმის ფართო მოცულობით და ლამაზი ტემბრით, არაჩვეულებრივი სცენური გარეგნობით დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებდა ჩემში. მისი ღოსითეოსი, მეწისქვილე („ალიდან“), თუ სუსანინი, — რუსული საოპერო სცენის მშვენიერად შეიძლება ჩაითვალოს. მის ხმაში, სიმღერის არსში მძაფრად იყო შერწყმული ტემბრალური სიუხვე და მხატვრული ზომიერება. თუ ალექსანდრე პიროგოვი თავის, თითქოს სტიქიურად მოზღვაებულ, ბგერებს ძირითადად გმირის ვოკალური სახის გახსნისათვის იყენებდა, რეიზენი ამ მხრივ გაცილებით მეტი მუსიკალურ-ემოციური მრავალფეროვნებით გადმოგვცემდა თავისი გმირების სახეებს. იყო როლები, სადაც ალექსანდრე პიროგოვის ქარიშხლისებრი სიმღერა ემთხვეოდა კომპოზიტორის გააზრებას; ასეთი დამთხვევა ხდებოდა როცა პიროგოვი „თავად იგორში“ გალიცკის მღეროდა; ჭეშმარიტად განუმეორებელი იყო იგი ამ როლში: მისი ხმის კუნთმაგარი, ძლევამოსილი ტალღები მთლიანად ასახავდა გალიცკის აღვირახსნილი, თავდაუქერელი ცხოვ-

რებით გამოწვეულ უბამსობას. უზნეო, ყოველგვარ მორალს მოკლებული გალიცის სცენური სახის დამაჯერებლად გადმოცემა მხოლოდ პიროგოვისებურ ძალას შეეძლო; ასეთივე ძლიერი იყო მისი ბორისი. აქ პიროგოვი სიზუსტით გადმოგვცემდა მუსორგსკის ბორისის ღრმა შინაგანი და სცენური კონტრასტებით სავესე ცხოვრებას. მისი ბორისი — მძლავრი ნებისყოფის ზვიადი მეფე და ამავე ღროს შვილებს მოყვარული და მზრუნველი მამა იყო. პიროგოვის მოქარბებული ემოციები შესანიშნავად ემთხვეოდა გმირის ხშირად მშფოთვარე სულს.

მახსოვს ბორისის მიერ შვილის მიმართ ნათქვამი ფრაზა: „Царевич, повинуйся!“ ამ ფრაზას იგი ისეთი სიძლიერით გამოთქვამდა, რომ დარბაზში მსხდომთ ტანში ჟრუანტელი უვლიდა. ასეთი ზემოქმედება ხალხზე მხოლოდ დიდ ხელოვანს შეუძლია. არ ყოფილა შემთხვევა, რომ პიროგოვს ამ სცენაში ტაში არ მოეწყვიტა. ის იდეალურად გრძნობდა მუსიკალური ფრაზის სიმძაფრეს და, გამოყოფდა რა სიტყვას თავისი მკაფიო დიქციით, მაყურებელში უძლიერეს აღზნებას იწვევდა.

დიდი თეატრის იმდროინდელ წამყვან, ნიჟიერ მომღერალთა შორის არ შეიძლება არ ვახსენო ვერა დავიდოვა.

ვერა ალექსანდრეს ასულ დავიდოვას პირველად 1934 წელს მოვეხსმინე; მაშინ მოსკოვში ახლად ჩასული ვიყავი. იგი დიდი თეატრის სცენაზე კარმენის როლში ვნახე. მისი მჩქეფარე ტემპერამენტი ახლაც თვალწინ მიელავს. მოძრავი და გამომსახველი, ლალი, ეფექტური სიმღერის მანერა დაუსრულებლად ხიბლავდა მაყურებელს.

განააკუთრებით მიჩნდა მათ მიერ მაღალი ხელოვნებით შესრულებული ამნერისი გავიხსენო. იგი ნამდვილი მეფური სწორუპოვრობით აქანდაკებდა ამ როლს. ვნებიან, ამაყ სულში საოცარი ძალის სიყვარული მაღალ აქტიორულ ოსტატობაში მეღავენდებოდა. ის ნამდვილ ვაჟკაცურ შემართებას აღწევდა „გასამართლების“ სცენაში. ელვის სისწრაფით ედებოდა მისი ხმის მღელვარებით სავესეტალლა მაყურებელთა დარბაზს და ატოკებდა ადამიანთა გულებს.

დაუვიწყარია მის მიერ შექმნილი ლუბაშა „მეფის საცოლეში“ — რუსი ქალის კლასიკური სიმშვენიერე, სიმღერის წმინდა რუსული, ხალასი ეროვნული ხასიათი. ამ როლში დავიდოვა მართლაც რომ შეუდარებელი იყო.

1942 წლიდან მოყოლებული მე ბევრჯერ შევხვედრივარ მას

ჩვენს სცენაზე, განსაკუთრებით „კარმენში“ და ყოველთვის მისი აქტიორული მომხიბვლელობის ზეგავლენის ქვეშ ვყოფილვარ. მისი ძლიერი არტისტული ტემპერამენტი, აქტიორული ტექნიკა, სცენა-სადმი უსაზღვრო სიყვარულით გამთბარი გული უმაღლესად იმამდე და მისი მაგიური ძალის მორჩილად მნდიდა, ამ იღუმალ ძალაში იგრძნობოდა არა მარტო ქალური სარწმინდე, არამედ შეუ-დრეკელი ძალაც — სწორედ ისეთი ძალა, როგორც რჩეულ მსა-ნიობ ქალთა ერთეულებში შევიმჩნევია, სახელდობრ ფატმა მუხტა-როვასა და ზინაიდა პალში.

დიდი თეატრის სცენაზე დეაწლმოსილი, მდიდარი პრაქტიკული ვოკალურ-სცენური გამოცდილების მქონე მომღერალი ქალი ვ. დავიდოვა დღეს, თავის მეუღლესთან — ცნობილ საოპერო მომღე-რალთან დიმიტრი მქედლიძესთან ერთად — ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის კონსერვატორიაში, სადაც იგი სიმ-ღერის კლასს ხელმძღვანელობს.

დიდი თეატრის საოპერო სცენაზე, ხანგრძლივი დროის განმავ-ლობაში, შექურ ვარსკვლავივით კიაფობდა ჩვენი დროის გამოჩენი-ლი მომღერალი ივანე სიმონის ძე კოზლოვსკი. იგი არა მარტო ნი-ჭიერი, გულთბილი და ემოციური ვოკალისტი იყო, არამედ ვანო სარაჯიშვილის დიდი თაყვანისმცემელი, ქართველი ხალხის ერთ-გული მეგობარი და შესანიშნავი ადამიანიც.

გასულ წლებში ი. კოზლოვსკი თბილისელთა უსაყვარლესი მო-მღერალი იყო. მის მოსასმენად რამდენიმე დღით ადრე იძენდნენ ბი-ლეთებს. როგორც მისგან მსმენია, თბილისში პირველად ლელი ჯა-ფარიძემ ჩამოიყვანა. ჯაფარიძე იყო მრავალმხრივ განათლებული ქართველი ინტელიგენტი. თბილისის საოპერო თეატრის ნაამაგდა-რი. ხშირად იწვევდა რუსეთიდან გამოჩენილ მომღერლებს და ამით თეატრის ცხოვრებაში სიახლე და ხალისი შექქონდა. გარდა კოზ-ლოვსკისა, მისი ინიციატივით იყვნენ მოწვეულნი ა. პიროგოვი, რეიზენი, სტეპანოვა, მიგაი, გოლოვინი და სხვები. ხშირი იყო სპექ-ტაკლები, სადაც ერთად მღეროდა შესანიშნავი სამეული: მიგაი, სტეპანოვა და კოზლოვსკი. ბრწყინვალე იყო მათი შესრულებით „რიგოლეტო“, რომელიც მსმენელთა განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა. ხშირად ბევრ მათგანს საბილეთო სალაროებთან დამეები უთენებია. მაშინ მე მეთოთხმეტე საშუალო სკოლის მოწაფე ვიყა-ნი. მახსოვს ისეთი საღამოებიც, როცა კოზლოვსკი ხელში აყვანილი

გამოჰყავდათ თეატრიდან. როცა ახლა ეს ამბავი კოზლოვსკის მოვაგონე, მან მითხრა — ეს სენსაციური ამბავი სიზმარივით მახსოვს!

კოზლოვსკი თბილისის ხშირი სტუმარი იყო. არა მარტო როგორც გასტროლიორი, არამედ, როგორც ჩვენი კულტურის მეგობარი. მას თბილისში მრავალი ოჯახი მეგობრობდა; ისე ლებულობდნენ მას, როგორც თავისიანს და ახლო ნათესავს. კოზლოვსკის დღემდე ახსოვს და პატივისცემით იგონებს ჩვენი თეატრის მშვენიერებას, კოლორატურულ სოპრანოს ოლღა ნინუა-ცაგურიას.

ოლღა იყო შესანიშნავი მომღერალი და ნიქიერი პიანისტი, — იგონებს კოზლოვსკი. მე მომისმენია კონცერტი მისი შესრულებით. სადაც იგი პირველ განყოფილებაში გამოსულა როგორც კამერული მომღერალი, მეორე განყოფილებაში კი როგორც პიანისტი.

კოზლოვსკი მეგობრულ საუბარში ხშირად იგონებდა საოპერო თეატრის დირექტორს ლელი ჭაფარიძეს, რომელსაც თეატრის მხლოდ ფინანსური მხარე კი არ აინტერესებდა. არამედ მხატვრულ მხარესაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის ოცნებობდა ქართულ საოპერო თეატრის შექმნაზე და ისიც კარგად ესმოდა, რომ ამ საქმის მოგვარება შეუძლებელი იყო ეროვნული კადრების აღზრდის გარეშე. ლელი ჭაფარიძე ეროვნული საოპერო თეატრის მხურვალე პროპაგანდისტი იყო.

1950 წელს კოზლოვსკი მთელი თვით ჩამოვიდა თბილისში გასტროლებზე. იმღერა ლენსკის, ალფრედის, ფაუსტის, სინოდალის, პარტიები და სოლო კონცერტი.

ამავე დროს თბილისში, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ჩამოვიდა დონატ დონატოვი. სარეჟისორო სამმართველოს უფროსის დირიჟორ მიხეილ ბორჩხაძის ოთახში ვიჯექი. შემოვიდა ლამაზი გარეგნობის, ნატიფი გემოვნებით ჩაცმული ახალგაზრდა კაცი და ბორჩხაძეს წარუდგა. ბორჩხაძემ მე გამაცნო და თან სტუმარს უთხრა:

— ამჟამად თბილისში კოზლოვსკის გასტროლებია, კარგი იქნება თუ ცოტა ჩანს თავს შეიკავებთ, კოზლოვსკის გასტროლები, ვფიქრობ. თქვენ ხელს შეგიშლითო!

-- არა, დაუდევრად უპასუხა დონატოვმა. — თქვენ მაგაზე ნუ დარდობთ. მე მაგით ხელი არ შემეშლება.

-- მაშ გამოვაცხადოთ თქვენი სპექტაკლებიც? შეეკითხა გოცებუელი ბორჩხაძე.



— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — აჩქარებით წარმოთქვა დონატოვმა და ხელში ქათქათა თეთრი ხელთათმანი შეათამაშა, — „ოტელო“; „აიდა“, „კარმენი“, „ტრავიატა“ და სოლო კონცერტა.

— კეთილი! დაეთანხმა ბორჩხაძე და განციფრებულმა მე ვად-  
მომხედა.

— მაშ, ასე! — თქვა დონატოვმა და დაგვემშვიდობა.

— ვინ არის ეს მეტიჩარა? ხედავ რა თავისთავში დარწმუნე-  
ბული ხებრეა? — გაბრაზებით ჩაილაპარაკა ბორჩხაძემ.

კოზლოვსკის სპექტაკლები მაღალ მხატვრულ დონეზე ტარდებოდა. მისი დიდი ოსტატობა კულმინაციამდე აღწევდა, ხალხით სავსე დარბაზი მხურვალე ოვაციებით გუგუნებდა. მაგრამ რასაც დონატ დონატოვი აღწევდა ეს საოცრება იყო... ხმა? საშუალო. გარეგნობა — ჰოლივუდის კინო-ვარსკვლავისა, სიმღერის მანერა ცრუ — იტალიური, ფრაზირება — „თავისუფალი მხატვრის“, სცენურობა — უსათუოდ ნიჰით გამთბარი. საერთოდ როგორც საოპერო მომღერალი — საშუალო. მაგრამ მიუხედავად ამისა, ფანტასტიკურ წარმატებას აღწევდა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სპექტაკლის შემდეგ ყველა პროფესიონალი მსმენელი მას მიწასთან ასწორებდა. მაგრამ ივივე პირნი მეორე დღესაც მოიჩქაროდნენ თეატრისაკენ და ოვაციებით, შეძახილებით და მქუხარე ტაშით ხელეზს იმტვრევდა. ქალიშვილების უწყვეტი ნაკადი ქუჩაში ტრანსპორტის მოძრაობას აჩერებდა. სასტუმრო „თბილისის“ წინ. სადაც დონატოვი ცხოვრობდა. მუდამ ზღვა ხალხი იყრიდა თავს.

იყო შემთხვევა, რომ სასტუმროს წინ მოზღვავებულ ხალხს დონატოვმა ღია ფანჯრიდან ნეპოლური სიმღერაც კი უმღერა.

ერთხელ კოზლოვსკი და მე დონატოვს დირექციის ლოჯიდან ვუხმენდით. ყვავილების ჯარი შემოაეოდა სცენას. ტაშთან ერთად ისმოდა მაყურებელთა ისტერიაული კივილი. ასეთი რამ არასოდეს არ მენახა არც ჩვენს და არც სხვა თეატრში.

მე შევეკითხე კოზლოვსკის: ამიხსენით, გეთაყვა. რას ნიშნავს ყოველივე ეს?

— ბათუ, იცი რა? — მითხრა მან, — დონატოვზე როგორც მომღერალზე, ლაპარაკი ძნელია და თითქმის შეუძლებელიც. მაგრამ რაღაც შინაგანი ძალა და ეფექტური გარეგნობა, ეგზოტიკური ნიუანსები მაღალი ძალით მოქმედებენ მაყურებელზე. ასეთივე რამ ხდებოდა ამ ოცი წლის წინათ ჩემს მიმართაც. მოსკოვში. როცა მე

ახალგაზრდა ვიყავი. გაივლის ცოტა დრო და ვნახოთ რა იქნება. აი მაშინ ვილაპარაკოთ დონატოვზე. როგორც ხელოვანზე.

მართლაც, გაიარა რამდენიმე წელმა და დონატოვი ხელოვნებას ჩამოშორდა, კოზლოვსკი კი დღევანდლამდე დარჩა როგორც ვოკალური ხელოვნების უნიჭიერესი წარმომადგენელი.

ვოკალური ხელოვნების გენიამ ფეოლორ შალიაპინმა თავის ქალიშვილს, ირინას, საზღვარგარეთიდან მოწერა: „მე რუსეთში ძლიერ მომწონს ვანია კოზლოვსკი, გადაეცი მას, ჩემი პატივისცემით სავსე კეთილი სურვილები და სალამი“.

კოზლოვსკის თბილისში ყოფნის დროს მე მასთან თითქმის ყველა სპექტაკლი ვიმღერე. კონცერტზე, კოზლოვსკის სურვილით, ერთად შევასრულეთ ქართული რომანსები: „მხოლოდ შენ ერთს“, „ისევ შენ და ისევ შენ“; შემდეგ ეს რომანსები მოსკოვში ჩავწერეთ გრამფირფიტებზე. თბილისში გასტროლების დამთავრების შემდეგ კოზლოვსკისთან ერთად გავემგზავრეთ ქ. გორში, სადაც შესანიშნავად შეგვხვდნენ რაიონის მცხოვრებნი და ხელმძღვანელობა. კოზლოვსკის პატივსაცემად გაიმართა ბანკეტი, ვახშამზე მას საჩუქრები მიართვეს. აღფრთოვანებულმა კოზლოვსკიმ მაშინ ბევრი იმღერა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ჩვენს დუეტებს. რომელთაც კოზლოვსკი და მე ქართულ ენაზე ვასრულებდით. რუსეთში წასვლის წინა დღეს კოზლოვსკიმ, ჩემი და აპოლონ ყიფიანის თანხლებით, ყვავილების თაიგულებით შეამკო ვ. სარაჯიშვილის. ნინუაცაგურიას და ალექსანდრე სულავეზის. სალამოს მე და ა. ყიფიანმა ი. კოზლოვსკი გორამდე გავაცილეთ. გორში მას შემოეგება ქალაქის დელეგაცია და დიდი საჩუქრებით გაისტუმრა.

ამგვარად, ი. კოზლოვსკის მე ვიცნობ როგორც სცენაზე. ისე პირად ცხოვრებაშიაც. ი. კოზლოვსკი შეუდარებელი პარტნიორია სცენაზე. იგი სრულ ურთიერთობაშია მოქმედ პირებთან, აქვს სცენის შესანიშნავი ალლო და ზედმიწევნით იცავს მუსიკალურ და სცენურ სიზუსტეს. მაგალითად, ონეგინისა და ლენსკის დუეტში, რომელშიაც ბედისაგან განწირული ლენსკი იწყებს: „Враги“... კოზლოვსკი, თავისი ღრმად მუსიკალური საშემსრულებლობა გააზრებით. დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს როგორც მაყურებელზე. ისე პარტნიორზედაც.

მახსოვს, როდესაც ამ ადგილს ვუახლოვდებოდით, იგი ვარინდებულნი, თითქოს მძიმე წინათგრძნობით შეპყრობილი, გაქვავებუ-

ლი იდგა და ოთხ პიანოზე, სრულიად ჩამქრალი ხმოვანებით იწყებდა სიმღერას. ამ დროს მეც მოზღვავებული გრძნობებით ვივსებოდი, თანდათან ვზრდიდი მოწოლილი ხმის ტალღას, შემდეგ კი, ისევ პირველ საწყისიდან გამომდინარე, ჩურჩულით ვამთავრებდი ამ გენიალური უბრალოებითა და უშუალოებით დაწერილ ღუეტს.

კოზლოვსკი ხმის ტემბრულ ცვალებადობას ოსტატურად უთავსებდა მის მიერ შექმნილ გმირთა შინაგან ხასიათს, მათ ბუნებას. მას არ ჰქონდა დიდი მოცულობის ხმა, მაგრამ ლამაზი ტემბრის გამკვეთი ხმა იდეალურად ჟღერდა. ერთ ფოკუსში კონცენტრირებული ხმა სავსე იყო ემოციურობით და შემოსილი მახვილი - გონიერებით. მისი ჰერცოგი „რიგოლეტოდან“ დღესაც არ კარგავს ბრწყინვალეობას და ალბათ კიდევ დიდხანს იცოცხლებს, როგორც ამ როლის ბრწყინვალე შემსრულებელთა თანატოლი.

კოზლოვსკი რომ დიდი ოსტატია, ამას ისიც ამტკიცებს, რომ უცხო ადამიანისათვის არაჩვეულებრივად ძნელი შესასრულებელი ქართული ვოკალური მუსიკის კოლორიტი მან განსაცვიფრებელი სიზუსტით შეითვისა. მის მიერ შესრულებული „თავო ჩემო“, ვანო სარაჯიშვილის, ნიკო ქუმსიაშვილის და დავით ბაღრიძის შემდეგ. შეიძლება ერთ-ერთ უბრწყინვალესად მივიჩნიოთ. მისმა ხალასმა ნიჰმა შესანიშნავად ამოქარგა ქართული მელოსის დამახასიათებელი მელოზმები, განსაკუთრებული ჩუქურთმები. ძლიერია კოზლოვსკი აგრეთვე ქართული რომანსების შესრულებაში. მის მიერ ჩემთან ერთად ღუეტში ნამღერი ანდრია ყარაშვილის „ისევ შენ და ისევ შენ“ და ქალაქური რომანსი „მხოლოდ შენ ერთს“ კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ კოზლოვსკი უაღრესად ემოციური, გრძნობიერი და ფართო გაქანების მომღერალია.

ღრმად ჩაჯდა ჩემს მეხსიერებაში ძერჯინსკაიას ლიზა („პიკის ქალიდან“), მაქსაკოვას ლუბაშა („მეფის საცოლედან“), შპილერის ტატიანა თუ კრუგლიკოვას ეთერი, ჟადანის ფაუსტი, ლემეშევის ალფრედი თუ სლივენსკის ონეგინი. განა ყველა ესენი არ ქმნიდნენ ჩვენი დროის საოპერო ტრადიციებს, არ აყალიბებდნენ საოპერო მღერის სწორ გაგებას? განა ამ შესანიშნავ ხელოვანთა მოსმენა, მათთან ყოველდღიური შეხვედრა არ გამოიწვევდა ახალგაზრდა მომღერლებში მისწრაფებას მათი შემოქმედებითად ათვისებისა და დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნებისაკენ, განა ეს არ ამდიდრებდა მათ სულიერ სამყაროს? რა თქმა უნდა ეს ასე იყო.

დიდი თეატრის შესანიშნავი კოლექტივი, თავისი მაღალ პროფესიული შემოქმედებით, ჩემთვის და მრავალი სხვა ახალგაზრდა მომღერლისათვის, მთელი სკოლა იყო.

1937 წლის ოქტომბერში პირველად ვიმღერე თბილისში კიანჯას პარტია ფალიაშვილის უკვდავ ოპერაში „დაისი“.

1938 წელს მცირე უსიამოვნების გამო, დავტოვე თეატრი. ამ შემთხვევამ საშუალება მომცა მომეველო რუსეთის უამრავი ქალაქი, მომესინჯა ჩემი შესაძლებლობანი საკონცერტო ასპარეზზე. 1939 წელს ლენინგრადს მიმავალი, შევჩერდი მოსკოვის ერთ-ერთ სასტუმროში. დავურეკე ჩემს ძველ მეგობარს მომღერალს ს. გოცირიძეს, რომელსაც გავაცანი ჩემი ლენინგრადში გამგზავრების მიზანი. მან მიჩნია მეც მემღერა იმ დღეს საგანგებოდ მოწყობილ კონკურსში, რომელშიაც ორასამდე მომღერალი იღებდა მონაწილეობას. დღის 2 საათზე მირეკავს დიდი თეატრის დასის გამგე თედორე პეტროვი. მან დეტალურად გამაცნო კონკურსის პირობები და მთხოვა მივსულიყავი დიდი თეატრის ფილიალში. იქ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. პარტერი სავსე იყო კონკურსში მონაწილეებით და „ხოვანშჩინის“ რეპერტიციისაგან უკვე თავისუფალი გუნდისა, ორკესტრისა და სოლისტების მთელი შემადგენლობით. სულგანაბული აღევნებდა დარბაზი თვალყურს მომღერალთა საგამოცდო გამოსვლებს. პარტერის წინ, ცენტრში, მაგიდასთან ღირიყორ სამოსუდის ირგვლივ ყიურის წევრები ისხდნენ. დრო მიდიოდა, ღელვა თანდათან მატულობდა. უეცრივ ჩემდა მოულოდნელად პეტროვმა ჩემი გვარი გამოაცხადა, თან დაუმატა — ყიურის წინაშე გამოვა თბილისიდან ახლახან ჩამოსული ახალგაზრდა მომღერალი ბარიტონიო. დარბაზში რაღაც უცნაური ძალით გაიჭრა ჩემი გვარის გამოცხადება. სცენაზე ცოტათი აღელვებული გამოვედი, მაგრამ საკმარისი იყო სიმღერის დაწყება — „ო, მარია“, — რომ ყველაფერი დამავიწყდა და მთლიანად სიმღერაში ჩავიძირე.

ჩემდა საბედნიეროდ მოხდა ის, რაც ჩემამდე კონკურსზე არავის ღირსებია: დავამთავრე თუ არა მაზეპას არიის შესრულება, დარბაზში მქუხარე ოვაციათ იფეთქა, სწრაფად მოედო მთელ დარბაზს და შეძახილებში გადაიზარდა: ზოგი „ბრავოს“ ყვიროდა, ზოგი კიდევ „შეკვეთებს“ მაძლევდა; გაისმოდა შეძახილები: „ელეკი“, „ფიგარო!“. სამოსუდმა თხოვნით მიმართა დარბაზს რომ აპლოდისმენტებისაგან თავი შეეკავებინათ, მაგრამ ელექციის არიის შესრუ-

ლების შემდეგ ტაში კიდევ უფრო მეტის სიძლიერით მოედო დარბაზს. კონკურსი დამთავრდა. მსახიობებით, ორკესტრანტებით ვარშემორტყმული თავს უბედნიერესად ვგაჩნობდი. ყველას სიხარულისა და კეთილგანწყობილების გამომსახველი ღიმილით უბრწყინავდა სახე. საჭებარ სიტყვებს მეუბნებოდნენ. ხალხში ერთი ადამიანი შევამჩნიე, რომელიც ცდილობდა ჩემამდე მოსვლას, მაგრამ, რადგან გრძნობდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, შორიდან ღიმილით კოცნას მიგზავნიდა. როცა შესაძლებლობა მიეცა და ახლოს მოვიდა — ხელი ჩამომართვა და პირველი, რაც მითხრა, იყო: „მე თქვენ სიამოვნებით გრიცხავთ დასში“. ეს იყო ადამიანი, რომლის ნება და ზეგავლენა ათეული წლების მანძილზე მბრძანებლობდა ამ თეატრის კედლებში. მას ბევრი გამოჩენილი მომღერალი აღუზრდია და როგორც მომსწრენი ამბობენ ძალიან ძუნწი იყო ქებაში. ეს გახლდათ დიდი თეატრის ფილიალის ყოფილი ბატონ-პატრონი, წარსულში დიდი მეცენატი, უკვე ღრმა მოხუცი სერგეი ივანეს ძე ზიმინი, რომელიც ჯერ კიდევ ჭირისუფლობდა თავის ყოფილ თეატრს.

დიდ თეატრში ჩემს მუშაობას რომ ვიგონებ, შეუძლებელია გვერდი ავუარო თანამემამულეს, მაშინდელი დიდი თეატრის რეჟისორს, მიხეილ გიორგის ძე კვალიაშვილს. 1940 წელს მე პირველმა რუსულად, რუსულ სცენაზე ვიმღერე მურმანის პარტია.

დიდი თეატრის სცენაზე პირველად აუღერდა ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის უკვდავი ქმნილება „აბესალომ და ეთერი“, როგორც მის რეპერტუარში შემავალი საოპერო ნაწარმოები. ეს ისტორიული დღე ქართული სამუსიკო ხელოვნების მატთანეში შევიდა როგორც ეროვნული მუსიკის ფართო აღიარებისა და მსოფლიო ასპარეზზე გამოსვლის დღე.

ქართული ოპერის ამ დიდმა მუსიკალურმა მოვლენამ ფართო პოპულარობა მოიხვეჭა მოსკოვის მსმენელთა შორის. მაყურებელი გულთბილად ღებულობდა სპექტაკლს და თეატრი ყოველთვის სავსე იყო მაყურებლით.

„აბესალომის“ მონაწილეებმა შეიყვარეს სპექტაკლი (რეჟისორი რუბენ სიმონოვი და მიხეილ კვალიაშვილი), და ყოველი მათგანი სიხარულით ასრულებდა თავის როლს. შესანიშნავი სახეები შექმნეს ხანაევმა (აბესალომი), შპილერმა (ეთერი), სელივანოვმა და ვორობიოვმა (მურმანი), პორფიმენკომ (მარჩი), ზელეზინსკი

(თანდარუხი), რედიკულაცევმა (აბიო) და ა. შ. დიდი შთაგონებით დირიჟორობდა სპექტაკლს ა. მელიქ-ფაშაევი.

1940 წლის შუა სეზონში გამოცხადდა ახალგაზრდა მომღერალთა კადრების საკავშირო დათვალიერება. დათვალიერებისათვის დიდმა თეატრმა მე მურმანის როლით წარმადგინა. დადგა სპექტაკლის დღეც. იმ დღეს აბესალომს ბოლშაკოვი მღეროდა. სცენაზე გასვლისთანავე მთავრობის ლოჟაში შევნიშნე ი. ბ. სტალინი და თითქმის მთელი პოლიტბიურო. ავღელდი, მაგრამ ძალა მოვიკრიბე და სიმღერა დავიწყე. ერთ-ერთი მუსიკალური ფრაზის დამთავრების შემდეგ მე სცენის შუაგულში მდინარეზე უნდა გადავმხტარიყავი და იქ ეთერს წინ ფარად უნდა აღვმართოდი. როგორც კი მდინარეს თავს გადავევლე, უცხად მღელვარებისაგან წელამდე წყალში ჩავვარდი. წარმოიდგინეთ, რომ ამ „მდინარის“ დინება მაგარი იყო და ძლივს შევიკავე თავი. მეორე ფრაზა ამ მდგომარეობაში ვიმღერე. ხოლო, როცა უნდა „წყალ-წისქვილ-ქვიშა“ მემღერა და შემდეგ სცენა უნდა დამეტოვებინა — ბოლშაკოვს თვალით ვანიშნე, მან ხელი მომაშველა და წყლიდან ამომიყვანა. ამ ამბავს არავითარი კურობოზული ზემოქმედება არ მოუხდენია მსმენელებზე. მართალია, დასველდი, მაგრამ სცენაზე ამ დროს ბნელოდა და ჩემი სისველეც შეუმჩნეველი დარჩა. ყველაფერი კარგად მიდიოდა. კულისებში მელიქ-ფაშაევი შემოვიდა და შემაქო, აღნიშნა არიის კარგი შესრულება. წყალში ჩავარდნაზე კი ბევრი იცინა. მესამე მოქმედებამაც შესანიშნავად ჩაიარა.

დაიწყო მეოთხე მოქმედება. დუეტამდე რამდენიმე ფრაზას შემადლებულ ადგილზე ვმღეროდი, ხოლო ფრაზას „მეფეს ვახლავარ“ ქვევით. ავანსცენაზე, ავადმყოფი აბესალომის წინ ვასრულებდი. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. აი ბოლშაკოვმა დაიწყო ცნობილი დუეტი. დუეტის დამთავრებისთანავე, როგორც კი ორივე, მე და აბესალომი, ჩავებით ერთად სიმღერაში, სტალინი წამოიწია, მისთვის ჩვეული სიღინჯით ულვაშებზე ხელი გადაისვა და კვლავ დაჭდა. ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა, რომ დუეტის ბოლო ტაქტში ბოლშაკოვი არ გაჩერებულიყო. მას სიტყვები დაავიწყდა! მე შევკრთი, მაგრამ მივხვდი რა, რომ ჩემი გაჩერება ყველაფერს მოსპობდა, უფრო გააფთრებული განვაგრძე სიმღერა. უნებლიეთ ყველა ჩემსკენ იხედებოდა. ორკესტრი, მელიქ-ფაშაევი, მთავრობის ლოჟა — ყველა იმის შიშში იყო — მეც არ გავჩერე-

ბულიყავი, მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დასრულდა. დამაწრეთ დიდხანს არ შეუწყვეტიათ აპლოდისმენტები. მარჯვენა ლოყაში იდგა სტალინი, ტაშს უკრავდა და ილიმებოდა.

მეორე დღეს ყველა გაზეთი — „პრავდა“, „იზვესტია“, „კომსომოლსკაია პრავდა“, „მოსკოვსკი რაბოჩი“ და სხვები ერთხმად აღნიშნავდნენ სპექტაკლის მაღალ ღირსებას, მის შესანიშნავ დადგმას და მონაწილეთა სამაგალითო საშემსრულებლო ოსტატობას. ზევრს წერდნენ კერძოდ ჩემზედაც, მაქებდნენ და დიდ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ. მნიშვნელოვანი წვლილი ჩემს მაშინდელ გამარჯვებაში, ისე როგორც მთელი იმ სპექტაკლის დადგმაში. რა თქმა უნდა, მიხეილ კვალაშვილს მიუძღოდა. ამ სპექტაკლის დამდგმელად აფიშები რ. სიმონოვს აცხადებდნენ, მაგრამ სინამდვილეში სპექტაკლი დადგმული იყო მ. კვალაშვილის მიერ. ჩემთანაც რეპეტიციებს ის გადიოდა. მან ძალიან კარგად იცოდა სპექტაკლის ყოველი დეტალი, მისი მუსიკალური და სცენური გეგმა და შესანიშნავადაც ახორციელებდა ამას შემსრულებელთა მეოხებით.

მელიქ-ფაშაევი, რომლისთვისაც კარგად იყო ცნობილი ეს ოპერა, ღრმად გრძნობდა „აბესალომის“ სიდიადეს და დიდი სიყვარულით ეპყრობოდა ამ ოპერის პარტიტურას. მახსოვს მესამე აქტის ერთ-ერთ შემღერებაზე, ყველანი გაგვაჩერა და აღგზნებული სიტყვებით მოგვმართა:

-- იცით, ფალაშვილი ნამდვილად გენიალური კომპოზიტორია! მე როცა მესამე აქტს ვდირიჟორობ, ყოველთვის რაღაც შეუცნობ სულიერ მღელვარებას განვიცდი. ეს იმოდენა დრამატიზმის გამომხატველი აქტია, რომ მე ნამდვილად ჯერ ვერ ვალწევ მის სრულყოფილ გახსნას და შესატყვის შესრულებას!..

დიდ თეატრში ყოფნის პერიოდიდან მინდა მოვიგონო მართალი. გულწრფელი, მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე ქართველი რეჟისორი ტიციან შარაშიძე. მე მახსოვს მის მიერ დადგმული „იოლანტა“, რომელიც ბრწყინვალე წარმატებით მიდიოდა დიდი თეატრის სცენაზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მის მიერ დადგმული მოცარტის „დონ ჟუანი“, რომელმაც მუსიკალური თეატრის მკოდნეთა და მოსკოვის ფართო საზოგადოებრიობის ერთსულოვნად მაღალი შეფასება დაიმსახურა. მე მასთან მუშაობის საშუალება არ მომეცა. მაგრამ მქონდა ბედნიერება მოსკოვში, ჩემი ავადმყოფობის დროს.

მისი მშობლიური, მეგობრული ალერსი და მხარდაჭერა მეგრანთ. ის ჭეშმარიტი ხელოვანი და ნამდვილი, გულისხმიერი მეგობარი იყო.

ასეთს იცნობდა მას მთელი დიდი თეატრის იმდროინდელი კოლექტივი.

როგორც ზემოთ ვთქვი, 1934 წლის აგვისტოში, მოსკოვს ჩავვედი და თან ოცნებით სავსე ახალგაზრდული გული ჩავიტანე. ჩემს წინ გადაიშალა მოსკოვის თეატრალური ცხოვრება, თეატრალური მოედანი, დიდი თეატრი, მცირე თეატრი, მეიერჰოლდისა და თაიაროვის საინტერესო შემოქმედება.

ეს ის წელი იყო, როდესაც მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ სიმფონიურ კონცერტებში საყოველთაო აღიარება ჰპოვა ევგ. მიქელაძემ. ეს ის წელი იყო, როდესაც თავის იუბილეზე ლ. სობინოვმა უკანასკნელად იმღერა ლენსკის პარტია და სამუდამოდ დატოვა დიდი თეატრის კედლები.

მე გავეცანი მეიერჰოლდის უცნაურობებით აღსავსე ხელოვნებას, თაიაროვის. კამერული თეატრის სპექტაკლებს, სტანისლავსკის და ნემიროვიჩ-დანჩენკოს ეპოქალურ დადგმებს. სულგანაბული თვალს ვადევნებდი კაჩალოვის, მოსკოვინის, ხმელიოვის, ლივანოვის, ელანსკაიას აქტიორულ სიცოცხლეს სცენაზე და მაოცებდა მათი შთაგონებული თამაში. ვისმენდი და აღტაცებაში მოვყავდი ა. პიროგოვს, მ. რეიზენს. ი, კოზლოვსკის, ლემეშევს, ძერჟინსკაიას, დავიდოვას, გოლოვინს და სხვებს.

მთელ ჩემს ახალგაზრდულ ცნობისმოყვარეობას, გარდა სამედიცინო ინსტიტუტისა, მთლიანად ნთქავდა ხელოვნება. რამდენი ღამე მითენებია შთაბეჭდილებებით მოქანცულს და ვინ იცის ოცნებას სად არ გაუტაცია ჩემი არსება! ხელოვნება ჯადოსნური ძალით თავისაკენ მიზიდავდა და მეც მთელი არსებით მისკენ მივისწრაფვოდი.

მოსკოვი — გრანდიოზული ქალაქია და მრავალფეროვანი ცხოვრების დიდი მესაიდუმლეც. ამ ვრცელსა და უსაზღვრო ქალაქში ეგრე ადვილად ყველაფერს ვერ მისწვდები. დრომ და შრომამ უნდა გაგზარდოს და დაგავაჟყაცოს, რათა განახორციელო სანუკვარი ოცნებანი. მაშინდელი სამხატვრო და დიდი თეატრის ყოველი სპექტა-



კლი ჩემთვის, ნამდვილი აკადემია იყო. მახსოვს ლ. ტოლსტოის „აღდგომა“: რომელიც სამხატვრო თეატრის ფილიალში იღვმებოდა. ავტორის ტექსტს კაჩალოვი კითხულობდა. კაჩალოვი პირდაპირ სიტყვის ჯადოქარი იყო; დაუფიწყარია მისი ხმის მომზიბლავი ტემბრი, სირბილე. ეშხი, პირადი მიმზიდველობა და უზადო ვაჟაკობა. სწეულის არაჩვეულებრივი აღნაგობა, პლასტიკური გარდასახვის განსაკუთრებული უნარი ამ მსახიობს ჩემს აზროვნებაში რაღაც ზღაპრულ მითამდე ზრდიდა. ასეთი შთაბეჭდილებით დაიწყო ჩემი კაჩალოვისადმი დიდი თაყვანისცემა, რომელიც ბოლომდე შემჩრა.

კაჩალოვი პირადად გავიცანი 1940 წელს მოსკოვის მახლობლად მდებარე აჯარაკზე, ბარვიხაში. უჩვეულოდ წყნარი და მშვიდი შემოდგომა იდგა. მოსკოვში ბევრჯერ მინახავს წვიმიანი, თოვლ-ჰყაპიანი, ნესტიანი შემოდგომა, მაგრამ იმ წელს ის სადამო განსაკუთრებული იყო. იმ წყნარ საამო სადამოს პიროგოვი, ბარსოვა, ლეპეშინსკაია, პოგრიბოვი და მე მივაღეჭით მწვეანეში თეთრი ვარდით ჩარგულ ბარვიხას.

სიხარულით შემოგვეგებნენ მასპინძლები. პირველნი, ვინც მე იქ დავინახე, იყვნენ ლეგენდად ქცეული მფრინავი ქალები — რასკოვა და გრიზოლუბოვა. რასკოვა იყო პატარა ტანის, მოხდენილი, მოკრძალებული ნაზი ქალი. თუ არ სამხედრო ტანსაცემელი, ისე ვერც კი წარმოიდგენდით ამ ქალის გმირობას. გრიზოლუბოვა უფრო მკაცრი გამომეტყველების მეჩვენა, სიტყვაძუნწი, აზრიანი, მაგრამ უფრო ცოცხალი და ცვალებადი. იგი ტანით რასკოვასთან შედარებით ზორბა იყო, თუმცა სახის ნაკვთები და აღგზნებული თვალები მისი ტანის სიმძიმეს არ შეესატყვისებოდნენ.

მარინა რასკოვა ბავშვობიდანვე გატაცებული ყოფილა მუსიკით, მეცადინეობდა ფორტეპიანოს კლასში ძმები რუბინშტეინების სახ. მუსიკალურ სასწავლებელში. გააჩნდა შესანიშნავი ხმა, არაჩვეულებრივი სმენა და მუსიკალობა. ბავშვს აქტიორული მონაცემებიც ჰქონია და თურმე თავიდანვე სცენისაკენ ისწრაფოდა. მღეროდა ბავშვთა ვუნდში, სოლისტად. მარინა რომ წამოიზარდა და 16 წლის გახდა, დაუწყია ხმაზე მუშაობა თავის დეიდა ტანიასთან. ის ხშირი სტუმარი ყოფილა საოპერო თეატრებისა, სადაც ისმენდა „ბოჰემას“, „სევილიელ დალაქს“, „მინიონს“ და სხვა ოპერებს.

— მე ბევრი არაა ვისწავლე და არა მარტო ვმღეროდი, არამედ როიალზე ვუკრავდი კიდევც, — ჰყვებოდა მარინა და ანთებული თვა-  
5. ბ. კრავეიშვილი

ლებით შემოკვცქეროდა. მუსიკა დღესაც. ცის ლაქვარდში. თუ მიწაზე. — განაკრძობდა რასკოვა. — განუსაზღვრელად ავსებს ჩემს სულსა და გულს. ჩემს რთულ საქმეში — ფრენაში, თუ მოტორთა გუგუნში ყველგან მუსიკაა, ხოლო ყოველ სიტყვაში კი სიმღერა, რომელიც ჩემს განუყოფელ, ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, ყველა ძნელ საქმეში მახლისებს და გზას მიკვლევს. დღეს მე და ჩემი კოლეგა განსაკუთრებული სიხარულით ველოდით დიდი თეატრის მსახიობთა ჩამოსვლას ჩვენთან და რომ ჩამოდით მადლობას გიძლევით.

ასეთი ნაზი და უბრალო იყო მარინა რასკოვა იმ მშვენიერ საღამოს ბარვინაში, არაჩვეულებრივად ქალური და ჰაეროვანი. შემდგომში მან. თავისი ვაჟკაციური შემართებით, ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა სამამულო ომის ისტორიაში როგორც სამშობლოსათვის თავდადებულმა გმირმა.

კონცერტის დაწყებას კარგა ხანს პირი არ უჩანდა. ზოგი ხალხი ანად საუბრობდა და ჩაის შეექცეოდა, ზოგი კი დინჯად სეირნობდა კეებერთელა ვესტიბიულში. ამ დროს, შორს, მოკვარი თვალი კოზლოვსკის; იგი უცნობთან ერთად დასეირნობდა. მე ვლელავდი, მაინტერესებდა როდის დაიწყებოდა კონცერტი; ამიტომ თავაზიანად ბოდიში მოვუხადე რასკოვას, ივანე სიმონის ძეს დავეწიე და ვკითხე — ხომ არ იცით როდის დაიწყება კონცერტი?

— ო, ჩემო ბათუ! მხიარულად მითხრა კოზლოვსკიმ, — რატომ ვიჩქარით, ასე უკეთესია, ხომ ხედავ რამდენი დამსვენებელია აქ, — და მიმითითა მოსეირნე ხალხზე. ამ დროს მოგვიანლოვდა კაჩალოვი. კოზლოვსკიმ წარმადგინა. მე მის გამოწვდილ ხელს სწრაფად ჩავავლე ორივე ხელი და ვუთხარი:

— კაჩალოვი ყოველთვის იყო და იქნება ჩემი სათაყვანო აქტიორი-მეთქი. — კაჩალოვმა გამიღიმა, ჩაფიქრდა და თითქოს რაღაცას იგონებოდა, თქვა:

— ქართველები ეშხით სავსენი არიან, მე ძალიან მიყვარს ეს ხალხი, მათი უნიკიერესი შვილი — კ. მარჯანიშვილი ჩემი სათაყვანებელი რეჟისორია. მე მასთან ბევრი კეთილი მოგონებები მაკავშირებს. ახლა, როცა ამ ახალგაზრდის ცეცხლოვან თვალებს ჩავყურებ, თითქოს ჩემს წინაშე კონსტანტინე მარჯანიშვილი დგასო. ამ დროს, შეგავუფებელი ხალხი, დარბაზისაკენ დაიძრა და ჩვენც წყნარი საუბრით ხალხის დინებას მივყევით.

— ალბათ კონცერტს იწყებენ! თქვა კაჩალოვმა, — მინდა აუცილებლად წინა რიგში დავჯდე. მისმა სურვილმა ცოტა არ იყოს შემაკრთო — ასეთი დიდი ავტორიტეტის წინაშე სიმღერა, ისიც რუსული ნაწარმოებებისა, მეძნელებოდა; მაგრამ ახალგაზრდულმა სითამამემ თავისი გაიტანა და, როდესაც პირველ ნომრად გამომაცხადეს, თავისუფლად გამოვედი სცენაზე, თუმცა სცენა კი არა — ეს იყო დიდი დარბაზი, რომლის სიღრმეში იდგა როიალი. მისგან, დაახლოებით 2 მეტრის დაშორებით, 50-დე მსმენელი იჯდა. აქ იყვნენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები, გამოჩენილი პირები. კაჩალოვს პირველი რიგის ცენტრალური ადგილი აერჩია და გულდასმით ისმენდა კონცერტს.

მე მაშინ ვიმღერე მაზეპას ცნობილი არია „ო, მარია“. ვმღეროდი მთელი არსებით, გატაცებით, ხმა შემორჩილებოდა და მასზედ საფიქრი არა მქონდა. მთავარი იყო გულით განმეცადა მუსიკალური ფრაზა და სიტყვისათვის სიცოცხლე შთამებერა.

მთელი ჩემი საშემსრულებლო უნარი დავძაბე, დავუმორჩილე ვოკალურ ხაზს. ვცდილობდი ტექსტი სწორად გამომეთქვა, სწორად დამესვა მახვილები. არიის შესრულების დროს ხშირად გადავხედავდი ხოლმე კაჩალოვს, მის მაღალ შუბლს, ღრმად ჩასმულ ჭკვიან თვალებს, მაგიური ძალით ერთ წერტილს რომ მისჩერებოდნენ. დროდადრო ღრმად ამოისუნთქავდა და ისევ თვალმოუშორებლად შეჰყურებდა ერთ წერტილს. არია დავამთავრე, ორ პიანოზე ჩავიმღერე „О, Мария, как я люблю тебя“ და ცოტა ხანს დავრჩი ამ მდგომარეობაში. გაისმა ძლიერი აპლოდისმენტები, კაჩალოვი ხალხთან ერთად უკრავდა ტაშს და თან გვერდით მჯდომ სტუმარს კმაყოფილების ნიშნად თავს უქნევდა. როდესაც ტაშისცემა მიწყნარდა, კაჩალოვმა თავისთვის, მაგრამ გასაგონად წარმოთქვა „Да! Малышк умеет любить!“ — ყველამ გაიცინა და ისევ ტაში გაისმა. მე მეორე ნომრისათვის ვარჩევდი ნოტებს, რომლებიც იქვე როიალზე მეწყო. უცბად ჩემს წინ აღიმართა კაჩალოვი, თავისი ჩამოწეწილი თმებით, ლმობიერი ხმით და ხალხს მიმართა:

— გთხოვთ მაპატიოთ, ჩვენს ახალგაზრდა ბარიტონს მინდა ვთხოვო შეასრულოს ჩემი საყვარელი ნაწარმოები — ალეკოს კავატინა. კაჩალოვის სურვილი ხალხმა აიტაცა და ცხოველი აპლოდისმენტებით მიიღო. მეც აღარ დავაყოვნე და ნოტები როიალის პიუპიტრზე გადავშალე. როიალთან ცნობილი კონცერტმეისტერი ს. პოგ-

რებოვი იქდა. მან ბრწყინვალედ შეასრულა არიის ღრმა და გამომსახველი შესავალი, შემდეგ მე დავიწყე „Весь табор спит“. საკმარისი იყო ეს ფრაზა მემღერა, რომ კაჩალოვმა ადგილზე რაღაც უცნაურად შეტოკდა, შემდეგ წამოიწია ზეზე, ისევ გაიჩინდა და სმენად ბქცა. დავამთავრე თუ არა კავატიანა, კაჩალოვი ადგილიდან წამოიქრა, მოვიდა, გადამეხვია და კოცნა დამიწყო:

— ბრავო. „ბრავო, კარგია, ძალიან კარგია! შენი ხმის ხასიათშია და შესანიშნავად გრძნობ მის მრავალსახიერებას. ვინ იცის, ჩემო კარგო, რამდენი რამ მომავონეთ ამ კავატიანით? ყოჩაღ, ყოჩაღ!

მე კი, სიხარულისაგან გაოგნებული, ვერ გამოვრკვეულიყავი და აღელვებული მივჩერებოდი ამ დიდ მსახიობს. უზომო ბედნიერებას ვგრძნობდი, როცა ვხედავდი ჩემი სიმღერით თუ რა დიდი, თუნდაც წუთიერი, კმაყოფილება მივანიჭე სცენის ამ უდიდეს ოსტატს, დრამატული ხელოვნების ჯადოქარს — კაჩალოვს, რომლის ყოველი სიტყვა სამხატვრო თეატრში ტაშის გრიალში მიდიოდა და ფეხზე წამომდგარი საზოგადოება, როგორც ერთი ადამიანი, აღფრთოვანებისაგან ყვიროდა. ჩემს შემდეგ ო. ლეპეშინსკაიამ რაღაც ტექნიკურად რთული ცეკვა შეასრულა და საერთო აღტაცება გამოიწვია. იგი პიროგოვმა შეცვალა. მან იმღერა გალიცკის ცნობილი კუბლეტები ოპერიდან „თავადი იგორი“ და პ. ჩაიკოვსკის რომანსი „Ночь везумные“ პიროგოვს დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან, მაგრამ მას მეტი აღარაფერი უმღერია. პიროგოვი შეცვალა ბარსოვამ, რომელმაც შეასრულა ალიაბიევის ცნობილი „ბუღბუღი“. კონცერტის დასასრულს სცენაზე გამოჩნდა ბრწყინვალე ვოკალისტი ივ. კოზლოვსკი, რომელიც იმ წლებში მოსკოვის ახალგაზრდობას კერპად ჰყავდა მიჩნეული. როგორც ყოველთვის, კოზლოვსკი მხურვალე სიყვარულით მიიღეს და დიდხანს აღარ გაუშვიათ იგი სცენიდან. კოზლოვსკის დიდი ფორმის ნაწარმოებები არ უმღერია, მაგრამ რომანსებისა და სიმღერების შესანიშნავი შესრულებით ყველანი მოაჯადოვა. კონცერტი დამთავრდა, მაგრამ საზოგადოება არ დაშლილა, ჯერ კიდევ ერთმანეთს უზიარებდნენ კონცერტისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს. ჩემთან მოვიდნენ გმირი ქალები გრიზოდუბოვა და რასკოვა და ალერსიანად შემაქეს. კაჩალოვმა მოლოცვის ნიშნად ხელი მაგრად ჩამომართვა და მითხრა — „ბრავო. ბრავო!“ ამ დროს მოგვიახლოვდა კოზლოვსკი და ყველანი ერთად ვანშამზე მიგვიწვიეს. კაჩალოვი, გმირი ქალები, საბჭოთა კავშირის

სახ. არტისტი ცარიოვი და მე ერთად დავსხედით. კაჩალოვი მხი-  
არულ ხასიათზე იყო, ოხუნჯობდა, იცინოდა, ნაცნობებს ეხუმრებო-  
და, დიდი ხელოვნების ამაყი ქურუმი ღღეს უფრო ამაყობდა. —  
ხედავთ? — მიმართა მან ყველას, — რა უკვდავების წყაროა ხელოვ-  
ნება, როგორ ყველანი მოგვმართა, აგვამალა, ფრთები შეგვასხა?  
ო, ეს ყოვლისშემძლე ხელოვნება! მან აიღო შამპანურით სავსე ჭიქა  
და თქვა:

— მე მინდა შევსვა ხელოვნების სადღეგრძელო!

სუფრაზე ზოგი ყავას, ზოგი ჩაის და შოკოლადს შეექცეოდა,  
კაჩალოვი კი მხოლოდ შამპანურს სვამდა და კარგადაც შეზარ-  
ხოშდა. მე ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა და შევეკითხე. —  
რატომ მაინცადამაინც ალეკოს კავატინის შესრულება მთხოვეთ?

— О, ГОЛУБИКИ! მითხრა მან, — ამ კავატინასთან არის და-  
კავშირებული ბევრი რამ ჩემი აქტიორული ცხოვრების ისტორიიდან  
და სახელდობრ ჩემი სცენაზე ფეხის აღმაც. დიდი აქტიორის ასეთ-  
მა განცხადებამ ყველანი დაგვაინტერესა და ვთხოვეთ ეამბნა.

— მე პირველად სიმღერით ვიყავი გატაცებული, — დაიწყო  
კაჩალოვმა, ბევრს ვმეცადინებდი; ჩემი პირველი სცენური დედა-  
ენა სიმღერა იყო. ვინ იცის რამდენი ჯათა ჩავალიე ალეკოს კავა-  
ტინის შესწავლას, მაგრამ ვაგლახ! მომღერლობა არ ყოფილა ჩემი  
ბედი!

მისმა ჩივილმა ერთგვარად გამაკვირვა. მინდოდა შემეხსენე-  
ბინა, რომ იგი დრამატულ ხელოვნებაში ოლიმპოს მწვერვალზე  
ავიდა, მაგრამ იგი სათქმელს მიმიხვდა და შემაჩერა:

— ყოველთვის გახსოვდეთ: პირველი სიყვარული და პირვე-  
ლი ნაბიჯები ხელოვნებაში ყველაზე ძლიერი განცდაა. როცა იძუ-  
ლებული ვიყავი შემეწყვიტა სიმღერის გაკვეთილები — ყველაფერი  
შემგავრდა, ყოველივე არარაობად მეჩვენებოდა. სიმღერა ღღესაც  
ჩემი თანამგზავრია. ხშირად მეუბნებიან — სიმღერით გიყვარს მო-  
ნოლოგების კითხვაო. დიად, ეგ ჭეშმარიტებაა; ამიტომ იყო რომ  
ღღეს მე ძალზედ ვისიამოვნე, როცა რახმანინოვის ალეკოს კავატინას  
ვისმენდი. ალეკო ჩემს წინ აღსდგა, მე ხშირად, ძალიან ხშირად ვუმ-  
ღეროდი ამ არიას კოტე მარჯანიშვილს — ის მუსიკის დიდი მოყვა-  
რული იყო. კოტე ჩემი დიდი მეგობარი და მასწავლებელი გახლდათ.  
არაჩვეულებრივი ნიჭის ადამიანი — ვისაც მასთან უმუშავია და უგრ-  
ძენია ამ დიდი ადამიანის ღრმა შინაარსი, მას ჩაუქრობელი ცეცხლი

ჯადასდებია და ისიც მასავით ანთებულა. კოტე მარჯანიშვილის დავიწყება ყოვლად შეუძლებელია. იგი ხშირად გვიამბობდა ხოლმე თავის ქვეყანაზე, მის მწერლობაზე, პოეტებზე. კოტე სიამაყით აღნიშნავდა, რომ გორკი, მაიაკოვსკი, მათზე ადრე — პუშკინი, გრიბოედოვი და ლერმონტოვი საქართველოს ლამაზმა ბუნებამ აღაფრთოვანა და შთააგონა მათ პოეტური შემოქმედების ძვირფასი მარგალიტები. ქართველი „ცისფერყანწელებიც“ დიდი პატივისცემის ღირსნი არიანო, — კაჩალოვმა ზეპირად წაიკითხა ერთი რომელიღაც „ცისფერყანწელის“ ლექსი, რომელიც კოტე მარჯანიშვილს უსწავლებია მისთვის. მე თვალებში ცრემლი მომერია. კაჩალოვმა უფრო ხმამაღლა თქვა:

— კოტე მარჯანიშვილი იყო უდიდესი რეჟისორი — რეფორმატორი; ის ახლის ძიების კოცონზე დაიწვა და ჯერ კიდევ ჯან-ლონით სავსემ დააობლა არა მარტო ქართული, არამედ საბჭოთა თეატრიო. დიდხანს, ხალისიანად, ენაწყლიანად საუბრობდა კაჩალოვი კოტე მარჯანიშვილზე. მე რა თქმა უნდა სიამაყით ვივსებოდი. შუა ღამე გადასული იყო, როცა სუფრა დაეტოვეთ, ერთმანეთს გულთბილად გამოვეთხოვეთ და მოსკოვისაკენ გამოვეშურეთ.

კაჩალოვი მიყვარდა როგორც მსახიობი და როგორც ადამიანი. მასთან საუბრის შემდეგ თითქოს ცხოვრების კიბეზე ერთი საფეხური მალა ავდიოდო.

მეორედ კაჩალოვს მოსკოვის სვეტებიან დარბაზში გამართულ კონცერტზე შევხვდი. მან სხვათა შორის მკითხა, თუ რაზე ვმუშაობდი. მე დავესახელე მურმანისა და ელევკის პარტიები და ისიც დავესძინე, რომ ელევკის პარტიისა მეშინია-მეთქი. მან გამამხნევა და მითხრა, — თქვენთან ტექსტზე დიდი სიამოვნებით ვიმუშავებო.

შაბათი დღე იყო. კაჩალოვს მე და ს. პოგრეხოვი სახლში ვესტუმრეთ. მან გულთბილად მიგვიღო, გვესაუბრა რახმანინოვზე, შალიაპინზე, კუპრინზე, ჩეხოვზე, გორკიზე და მრავალ სხვა გამოჩენილ ადამიანზე. საუბარში კვლავ გაიხსენა კოტე მარჯანიშვილი და ერთ-ერთ მის საუკეთესო დადგმას — „ურჩილ აკოსტას“ — შეეხსო. მოიგონა უშანგი ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, შალვა ღამბაშიძე და თქვა — ეს ბრწყინვალე სპექტაკლი და ბრწყინვალე შემსრულებლები არიანო. კოტე მარჯანიშვილი შესანიშნავი სიტყვაკაზმული თამადა იყო, სუფრასთან ოხუნჯობა უყვარდაო. შემდეგ კაჩალოვმა სუფრასთან მიგვიწვია და კონიაკით და ჩაით გაგვიმასპინძლდა. ამ

საღამოს მან დეტალურად გამიჩინა ელექციის პარტია. რამდენჯერმე გულდასმით მომისმინა, მისწორებდა ფრაზას და ცალკეული სიტყვების გამოთქმას. მუსიკალურ ფრაზაში აღნიშნავდა მთავარ აზრს და ინტონაციურად სწორ მანერებს მასშევილებდა. ჩემს სიცოცხლეში კაჩალოვს მხოლოდ ორჯერ შევხვდი. როგორც მსწავლებელს და როგორც მეგობარს, და ორივე შეხვედრიდან იმდენი რამ სასარგებლო მივიღე, რომ დღესაც მკვებავს და მიტაცებს მისი საუბარი და რჩევა-დარიგებანი.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გავიხსენო ო. კნიპერ-ჩეხოვას სიტყვები ვ. კაჩალოვის შესახებ: „შეიძლება ბედნიერად ჩათვალოს თავი ყველამ, ვისაც თავის ცხოვრებაში, ერთხელ მაინც უნახავს და მოუსმენია კაჩალოვი, დიდი არტისტი, რომელსაც შეეძლო ადამიანის სულის შერყევა და აღელვება“.

თითქოს არც მკეროდა, რომ მე იმ დიდ ადამიანს ველაპარაკებოდი, რომელმაც, თავისი მოღვაწეობის უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში, დიდი მსახიობის ლეგენდარული სახელი მოიხვეჭა.

კაჩალოვი — საბჭოთა თეატრალური ხელოვნების მშვენიერა, ბალხის საყვარელი და სასიქაღვლო არტისტი და ბუმბერაზი ოსტატი იყო, რომლითაც სამართლიანად ამყობს რუსი ერი.

1941 წლის ივნისში მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. დიდი თეატრი ევაკუირებული იქნა ქ. კუიბიშევში. მე ჩემი მშობლების დაჟინებითი თხოვნით სამშობლოში გავემგზავრე. თითქოს ჩაიშალა ოცნებები, დაინგრა დიდი გზა, რომელზედაც ეს-ეს იყო შევდგი ფეხი. მახსოვს, როდესაც გერმანელებმა პირველად დაბომბეს მოსკოვი, სწორედ მაშინ დიდ თეატრში სამოსული ჩემთან „ბორის გოდუნოვის“ რეპეტიციას გადიოდა. რეპეტიცია ჩაიშალა. სინათლე გამოითიშა და სცენაზე შემზარავი სიჩუმე ჩამოწვა.

ჩამოვედი თბილისში, სადაც ოპერის თეატრი სავსე იყო რუსეთის და უკრაინის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული მომღერლებით. მალე მე ჩემს მშობლიურ თეატრში ჩავირიცხე სოლისტად. ომის პირველ წელს მრავალი გამოჩენილი ხელოვანი იქნა ევაკუირებული საქართველოში, მათ შორის კაჩალოვიც.

კაჩალოვი ხშირად გამოდიოდა ესტრადაზე მონოლოგებით, პუშკინის ლექსებით. მაშინ მე, თბილისში საკუთარი ბინის უქონლობის გამო, მოკლებული ვიყავი საშუალებას კაჩალოვისათვის ნაქები ქართული სტუმართმოყვარეობა გამომეჩინა. ერთ საღამოს ფილარპონი-

ის ბაღში შემხვდა როგორც ახლობელ ადამიანს, მეგობარს: ჩემი გვერდით იღვა მომღერალი გივი ყიფიანი და ჩვენი შეხვედრის სცენამ ისიც ააცრემლა. მეორე დღეს დილით კაჩალოვი მცხეთაში წავიყვანე, საღამოს კი ფუნეკულიორიდან გადმოვცქეროდი ჩვენს ლამაზ თბილისს, შემდეგ მთაწმინდას მივაშურეთ. არ დაჰავიწყდება ის დღე: კაჩალოვი გრიბოდოვის საფლავთან შეჩერდა, დიჩოქა, პირჯვარი გადაიწერა და გულთბილი სიტყვით მიმართა დიდი რუსი პოეტის ნეშტს.

1944 წლის 13 მაისს მოსკოვში ქართული პოეზიის საღამო ჩატარდა. სვეტებიანი დარბაზი ხალხით იყო გაკედლილი. ამ დღესაც ჩვეული პათოსით ხვდებოდა ქართული პოეზია სტუმრებს. საღამოში მონაწილეობდნენ: ს. ჩიქოვანი, დ. შენგელაია, გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ა. მაშაშვილი, კ. კალაძე, კ. ჭიჭინაძე, ბესო ჟღენტი, ვ. დერჟავინი, ნ. ზვიაგინცევა, ბ. პასტერნაკი, ნ. ტიხონოვი, და სხვები. აქ იყვნენ ქართველი შემსრულებლები და სამხატვრო თეატრის არტისტები: კაჩალოვი, თარხანოვი, ლივანოვი, ქართველი მსახიობები: ქ. ჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, დ. ბადრიძე, ე. სოხაძე, დ. გამრეკელი, პ. ამირანაშვილი, ნ. ცომაია, ბ. ჭიაურელი, ტ. დუნენკო, გ. მაჭუტაძე და მე. ეს იყო ქართული პოეზიის ყველაზე დიდი საღამო, რაც კი ოდესმე ჩატარებულა მოსკოვში. მე გაფაციცებით დავეძებდი კაჩალოვს, მაგრამ არსად ჩანდა. დამთავრდა ოფიციალური ნაწილი და კაჩალოვი ჩვეული სიღინჯით, მოცინარი თვალებით, კულისებში შემოვიდა. მე პირველი მივვარდი მას და გადავეხვიე. დიდხანს სიყვარულით მიცქეროდა და მითხრა — დავაეკაცებულხარო. შემდეგ ბოლიში მოიხადა — ცოტათი შემაგვიანდა, თავს კარგად ვერ ვგრძნობ, ამ ბოლო დროს ჯანმრთელობა მღალატობსო. მართლაც, მიმქრალივით იყო, სახეზე თითქოს მწუხარება ეხატა, აღარ ემჩნეოდა ის სიმტკიცე, დამაჯერებლობა და ქედუხრელი სიამაყე, რომელიც ასე მაჩადოებდა უწინ. იმ საღამოს ქართველი პოეტების ლექსების თარგმანები წაიკითხა. მეორე დღეს მასწავლებელთა სახლში შევხვდი, ბევრი ვთხოვე, მაგრამ ბანკეტზე არ დარჩა. გული მეტკინა, წინათგრძნობამ დამასევდიანა — რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, რომ კაჩალოვი ფილტვების კიბოთი ლოგინად ჩავარდნილიყო. მალე გარ-



დაიცვალა და ჩემში დარჩა მისი ნათელი ხსოვნა ისევე წმინდალ-  
აღალად, როგორც მისი უბადლო ხელოვნება იყო.

1942 წელია. სამამულო ომის ქარცეცხლი კიდევ უფრო მატუ-  
ლობდა და საშინელი ძალით მძვინვარებდა. თუმცა თბილისიდან  
შორს იყო ცეცხლის ხაზი, მაგრამ ომის ქარიშხალი აქაც გვწვდებოდა.  
ამ მდგომარეობამ ბევრი გამოჩენილი მომღერალი ჩამოიყვანა  
ჩვენს ქალაქში. ჩვენს საოპერო თეატრში თავი მოეყარა დიდი თე-  
ატრის, კიევის, ხარკოვის და სხვა თეატრების შესანიშნავ ძალებს.  
თბილისში მღეროდნენ ისეთი ბრწყინვალე მომღერლები, როგორც  
იყვნენ: ტენორი კიპარენკო-დომანსკი. ბანი — ჩასტი, დრამატულ-  
სოპრანო — გუეოვა, დიდი თეატრის მეცო-სოპრანო დავიდოვა, ბა-  
რიტონი გრიშკო. ცოტა მოგვიანებით — ტენორი მ. კუსევიციკი. ამ  
მომღერალთა მძლავრ ნაკადს ემატებოდა ჩვენი თეატრის არანაკლებ  
ღირსშესანიშნავი ძალები. ყველა ეს ერთად აღებული ჰქმნიდა უბრ-  
წყინვალეს საოპერო კოლექტივს; ჩვენს სცენაზე მღეროდნენ: დ. ან-  
დლულაძე, დ. ბადრიძე, ნ. ბელაქნელი, ლ. კავაძე, შ. სანაძე, მ. ყვა-  
რელაშვილი, ა. ჩაკალიძე, შ. ვაშალოშიძე, ს. ინაშვილი, ვ. ქაშაკაშ-  
ვილი, პ. ამირანაშვილი, დ. გამრეკელი, გ. ვენაძე, ზ. სვანიძე, შ. ცირ-  
დილაძე, ვ. ხამაშურიძე, ლ. ისეციკი, ვ. შარაშიძე, გ. გრიგორაშვილი,  
დ. მჭედლიძე, გ. გოგიჩაძე, ს. გოცარიძე, ე. სოხაძე, ნ. ხარაძე, მ. ნა-  
კაშიძე, ე. გოსტენინა, ტ. შარატა-დოლიძე, ი. ფალიაშვილი, ნ. ცომა-  
ია, თ. ლაპიაშვილი, ე. ეპიტაშვილი, ქ. შათირიშვილი, მ. გაბუნია.  
რ. გელოვანი, ეკ. ხიჯაკაძე, შ. თაბუკაშვილი და სხვები. იდგმებოდა  
დასავლეთ ევროპის, რუსული და ქართული საოპერო კლასიკის შე-  
დევრები. თეატრისადმი ინტერესი დიდი იყო. ყველა სპექტაკლი სავ-  
სე იყო ხალხით. დირჟორებად მუშაობდნენ: სტოლერმანი, აზმაიფა-  
რაშვილი, დიმიტრიადი. მირცხულავა, კილაძე, ბუხბინდერი, სტასე-  
ვიჩი.

ყოველი ახალი ოპერის დადგმა, ასეთი საუკეთესო ძალებით,  
დიდ მოსწრაფებას იწვევდა თეატრისადმი.

რეპერტუარის მრავალფეროვნება კიდევ უფრო ამახვილებდა  
სპექტაკლებისადმი ინტერესს. თეატრის ხელმძღვანელობამ დასვა  
საკითხი კლასიკური ოპერეტების დადგმის შესახებ. მალე კოლექტი-

ვის მხარდაჭერით დაიწყო მზადება ი. შტრაუსის ცნობილი ოპერე-ტისა „ბოშათა ბარონი“. მუსიკალური ხელმძღვანელობა დაეწალა მოსკოვიდან ახლად ჩამოსულ დირიჟორ სტასევიჩს, რომელიც დიდი ენერჯითა და ენთუზიაზმით შეუდგა ოპერეტის მზადებას. შედგა სადაღმგო ჯგუფი ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით. წუწუნავამ სამხატვრო საბჭოს წარუდგინა თავისი დაღმგის ექსპოზიცია, დააკომ-პლექტა შემსრულებლები და შეუდგა მუშაობას. მხოლოდ ძალზე გართულდა თვით ბოშათა ბარონის შემსრულებლის შერჩევა. პირველად დასახელებული იყვნენ გრიშკო, კიპარენკო-დომანსკი, ამათთან ერთად მეც ვიყავი დასახელებული, მაგრამ ზოგიერთი სამხატვრო საბჭოს წევრის აზრით, ჩემი ამ როლზე დანიშვნა მიზანშეწონილად ვერ მიიჩნიეს, რადგან ძალზე ახალგაზრდა ვიყავი და ეექვებოდათ. დავძლევდი თუ არა მის ტექსტუალურ და მუსიკალურ სირთულეს.

ასე იყო თუ ისე, სტასევიჩის დაჟინებით, მე შევეუდექი ოპერე-ტის შესწავლას. ძლიერ ჩქარა დავამუშავე ჩემი როლის მუსიკალური და სცენური მხარეები და რეპეტიციებისათვის ყველაზე ადრე ვაყავი მზად. ერთხელ ჩვენს მეცადინეობას დაესწრო კიპარენკო-დომანსკი, მომისმინა, შემაქო და თქვა: მე დღეიდან ვწყვეტ მუშა-ობას, შეგიძლიათ არ მიმილოთ მხედველობაში. თუ რაიმე დამეჭე-რება, ყველა ჩემს კოლეგებს ვურჩევ. ჩემსავით ხელი აიღონ ამ როლზე, რადგან ბათუს ეს როლი ძლიერ უხდება, თითქოს მასზე-დაა ზეგამოჭრილი ბარინკაის მუსიკალურ-სცენური სახეო. სტასევი-ჩიც ამავე აზრის იყო. იგი მარტო იმას ფიქრობდა.— როგორმე და-ემტკიცებინა ზოგიერთისათვის, რომ მისი არჩევანი სწორი იყო. რო-გორც კი კიპარენკო გვერდზე გადაა, რეჟისორმა, ამ პარტიის მომ-ზადებაში, თავისი ყურადღება მთლიანად ჩემზე გადმოიტანა.

შადიოდა დრო და მუშაობის ტემპები თანდათან მატულობდა. „ბოშათა ბარონში“ დაკავებული იყვნენ: ე. გოსტენინა, ნ. ხარაძე, ლ. კავსაძე, ნ. ელიოზიშვილი, ი. მოლჩანოვი, ვ. გოლუბევა, ი. ფალიაშ-ვალი და სხვები.

პირველი სპექტაკლი დიდი წარმატებით ჩატარდა. მეორე. მე-სამე და მომყოლ სპექტაკლებზე ბილეთები ერთი კვირით ადრე იყო გაყიდული. ტენორისათვის დაწერილი პარტია გარკვეულ სიმძნე-ებს მიქმნიდა. მაგრამ მოვეუნახე რა შესატყვისი სიმსუბუქე, რაც ოპერეტის მელოდურობას შეეფერებოდა, გამოვწახე საშუალო, ზო-

მიერებით შეფერადებული ხმოვანება და ამით ავსწიე თათქოს დაუძლეველი ტვირთი.

საერთოდ უნდა შევნიშნო, რომ ოპერეტა, თავისი სპეციფიკით, მსახიობ-მომღერლებისაგან მოითხოვს გაცილებით მეტ დატვირთვას, როგორც სცენურად, ისე — ვოკალურად, ვიდრე ოპერა; ოპერეტაში საქმე გვაქვს ტესიტურულ სირთულეებთან, ხმის ორმაგ დატვირთვასთან, რაც გამოწვეულია მღერასთან ერთად, — სალაპარაკო დიალოგში მონაწილეობითაც. ამას ერთვის მომეტებულა, ვიდრე ოპერაში, სხეულის მოძრაობა, ქესტის და მიმიკის სირთულე და მრავალფეროვნება. ყოველივე ეს ზედმეტად ტვირთავს ოპერეტის მონაწილე მსახიობ-მომღერალს. ამიტომ ზოგიერთი მომღერალი და სერიოზული ხელოვანი ცდება, როცა ფიქრობს, თათქოს ოპერეტაში როლების შესრულება სიძნელეს არ წარმოადგენს. რა თქმა უნდა, უნიჭო აქტიორი არც ოპერაშია დასაშვები და არც ოპერეტაში. მაგრამ სცდებიან ისინი, ვისაც ჰგონიათ, რომ ოპერისათვის გამოუსადეგარი მომღერალი თათქოს ოპერეტაში გამოდგება. უნიჭო საოპერო აქტიორი ოპერეტაში შესაძლოა სულ არაარაობამდე დავიდეს; ოპერაში მარტო კარგი ხმით მაინც შეიძლება ფონს გასვლა, ოპერეტაში კი მარტო ეს როდი კმარა; აქ ხმასთან ერთად, საჭიროა კარგი სცენური ნიჭი, მაღალი აქტიორული ტექნიკა და გმირთა სახეების ბუნებრივად გადმოცემის უნარი.

სცენის დიდოსტატები — სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანიენკო, მათი სახელობის მოსკოვის თეატრში, ოპერებთან ერთად, განსაკუთრებული სიფაქიზით და პასუხისმგებლობით ქმნიდნენ საოპერეტო სპექტაკლებსაც. ჩვენი გამოჩენილი თანამემამულე კ. მარჯანიშვილი, მოსკოვში მუშაობის დროს, ხშირად დგამდა ოპერეტებს (მაგ. „ღამურა“ და სხვ.). თანამედროვეობის გამოჩენილი საოპერო რეჟისორი ფელზენშტეინი ახლაც ხშირად მიმართავს ამ ჟანრს და ბევრ საოპერეტო დადგმას ახორციელებს თავის თეატრში. მრავალი გამოჩენილი აქტიორი — მომღერალი მღეროდა და დღესაც მღერის ოპერეტაში; ასე მაგ.: შალიაპინი, ვ. სარაჯიშვილი, ალექსეო, ვიალტევა, მაქსაკოვი, დნებროვი და უზუნოვი — ბევრჯერ ჩართულან საოპერეტო რეპერტუარში.

ჩვენს სპექტაკლში შესანიშნავი სახეები შექმნეს ელისაბედ გოსტენინამ (რომელიც ასრულებდა ბარინკაის — ამ მოხეტიალე ბოშათა ბარონის — სატრფოს როლს). მან არაჩვეულებრივი ქალური

ემს-თ და მიმზიდველობით სძლია ეს რთული პარტია. თავისი კოლორატურული ტექნიკით და მოხდენილი გარეგნობით ძალიან კარგი იყო ნ. ხარაძე. მას ახასიათებდა მოძრავი ხმა, სხეულის პლასტიკურობა და თავისი ცოცხალი, გამომსახველი სცენური მოქმედებით დიდ შემოქმედებით წარმატებას აღწევდა.

ამ უანრში შესანიშნავი არტისტი იყო ლადო კავსაძე. ის წინათაც დებულობდა მონაწილეობას ოპერეტებში, როგორც წამყვანი პარტიების შემსრულებელი. „ბოშათა ბარონში“ კი იგი ზუპანის სახასიათო როლს ასრულებდა. ლ. კავსაძე შესანიშნავი ტაქტის მქონე აქტიორი იყო. თავის პატარა მოცულობის ლამაზ ხმას იგი საოცრად თავისუფლად და მოქნილად იყენებდა, შესანიშნავად ფლობდა სალაპარაკო მეტყველებას, სცენაზე იყო უშუალო და ბუნებრივი, რითაც დამაჯერებელ სახეს ქმნიდა.

ძალიან კარგები იყვნენ თავიანთ როლებში ნ. ელიოზიშვილი და ნ. მოლჩანოვი. თავიანთი აქტიორული გამოცდილებით ისინი დიდად უწყობდნენ ხელს წარმოდგენის წარმატებას. მინდა აგრეთვე აღვნიშნო სცენური ექსპრესიით აღსავსე მომღერალი ქალი — მარო სუხიაშვილი, რომლის მიერ შექმნილი ძველი ბოშა ქალის — ციპრას სახე დაუფიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

სამამულო ომის პერიოდში ჩვენს თეატრს რამდენჯერმე ესტუმრა საოპერეტო უანრის ბრწყინვალე წარმომადგენელი, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანიჩენკოს თეატრის წამყვანი სოლისტი, რუსეთის სახალხო არტისტი ვლადიმერ კანდელაკი. წინათ იგი სწავლობდა თბილისში, ე. ვრონსკის აღზრდილი იყო, მაგრამ შემდეგში გადავიდა მოსკოვში და იქ მოღვაწეობდა. ვლადიმერ კანდელაკი ნემიროვიჩ-დანიჩენკოს საყვარელი მოწაფე იყო. ის ხშირად თავის ასისტენტობას ანდობდა მას, როგორც თავის თეატრში, ისე მოსკოვის სახ. კონსერვატორიაში. კანდელაკი ხშირად დგამდა სპექტაკლებს კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში. ერთხელ, თბილისში ჩამოსვლის დროს, ვლ. კანდელაკმა შეასრულა „ბოშათა ბარონში“ ზუპანის პარტია. იგი, ისე როგორც კავსაძე, შესანიშნავი იყო ამ როლში, რომლის გახსნაში მან ბევრი რამ თავისი, ორიგინალური და იუმორისტული შეიტანა.

სწორედ ვლ. კანდელაკის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დაიბადა აზრი ე. ოფენბახის პოპულარული კომიკური ოპერის — „პერიკოლას“ დადგმის შესახებ. პერიკოლა მოსკოვში, ნემიროვიჩ-დანიჩენ-

კოს დადგმით, დიდი წარმატებით მიდიოდა. ამ სპექტაკლმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახ. თეატრში. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ „პერიკოლა“ ჩვენი თეატრის სცენაზედაც დაიდგა.

ვლ. კანდელაკი შეუდგა სპექტაკლის მზადებას. მხატვრად იტალიიდან ახლად ჩამოსული პლატონ ცესევიჩის ვაჟი მოიწვიეს. მის მიერ წარმოდგენილმა მაკეტმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მისივე ესკიზებით თეატრი შეუდგა მუშაობას. პიკოლოზე დანიშნული ვიყავი მე, პერიკოლაზე — ნაღვედა ხარაძე, ტიისა შარატა-დოლიძე და იულია ფალიაშვილი, მეფეზე — ვლ. კანდელაკი, ს. გოცირიძე და გ. გოგიჩაძე. ცეკვები დადგმული იყო ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ. ბალეტში მონაწილეობდნენ მ. ბაუერი, იასინსკაია, როსჩიპკინა, მარინა გოგიჩაიშვილი და სხვები.

ოფენბახის „პერიკოლა“ მძლავრ, გამძლე სასიმღერო ძალას მოითხოვს. ეს ნაწარმოები თითქოს მეტი სიძნელებითაა აღსავსე, ვიდრე „ბოშათა ბარონი“. მაგალითად, პიკოლოს მაღალი ტენორული ტესიტურა და სცენური სიტუაციები ბევრად უფრო რთული და მრავალსახიერია, ვიდრე ბარინკაის პარტია. თუ ბარინკაი — ერთ სწორბაზოვან ხასიათს წარმოადგენს, პიკოლო სავსეა ხასიათის ხშირი და მიზეზიანი ცვლებადობით: ერთ შემთხვევაში — პიასტრის მძებნელი, იშვიერი და ქუჩაში მოხეტიალე, მეორეში — პერიკოლას სიყვარულით გამთბარი და ბედნიერი, მესამე შემთხვევაში — სიყვარულის ძალით იმედგაცრუებული და თავის ჩამოსახრჩობად თავგანწირული. მასში გადანასკვეულია სხვადასხვა სახის ცხოვრებისეული და მსოფლშეგრძნებითი ელემენტები. ამიტომ ახალგაზრდა აქტიორისათვის ასეთი რთული, ცვლებადი კონტრასტებით გამორჩეული როლის დაძლევა ძნელი იყო. დიდი კმაყოფილებით ვაგონებ ვლ. კანდელაკის რეჟისორულ-აღმზრდელობით მუშაობას, რითაც მან ჩემი სცენური მოღვაწეობის პირველ წლებში შემოქმედებითი სიახლით სავსე სამყარო გადამიშალა. პიკოლოს მრავლისმომცველი ხასიათის დაძლევამ შემდგომში მე ბევრად გამიადვილა საოპერო ხელოვნების რთული გზა, საოპერო სცენური სახეები გაცილებით ადვილად დასაძლევნი შეიქნა.

კანდელაკი მოსკოველი სცენის დიდი ოსტატების ღირსეული მოწაფე იყო. მათი მაღალი სასცენო ხელოვნება ახლო და გასაგები იყო ამ ნიჭიერი მოსწავლისათვის. ამიტომაც იყო, რომ კანდელაკმა

დიდი აღმზრდელობითი ზეგავლენა მოახდინა თბილისის საოპერო თეატრის მთელ დასზე. „პერიკლას“ დადგმა თბილისში ერთხმად იქნა აღიარებული როგორც ბრწყინვალე სპექტაკლი.

ჩვენი თეატრის ხშირი სტუმარი იყო ვეაკუაციაში მყოფი მსცოვანი, დიდი რუსი მსახიობი ქალი ე. ა. იაბლოჩინა. ის თითქმის ყოველ სპექტაკლს ესწრებოდა თავის პატარა დისშვილთან ერთად; ხშირად, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, სცენაზე ამოდიოდა მაღლობისა და ქების სათქმელად.

— ასე ნიჭიერად განსახიერებული სპექტაკლი მე დიდი ხანია არ მომისმენიაო, — ამბობდა იგი. — მე ეს სპექტაკლი ჯერ კიდევ ჩემი ახალგაზრდობის პერიოდში ვნახე და გულში მქონდა ჩარჩენილი. ეს იყო კისლოვოდსკში, სადაც უკვდავი შალიაპინი ორჯერ ვნახე მეფის როლში, ხოლო ვიალცევას განუმეორებელი ხმა კი რამდენჯერმე მომისმენია. მას შემდეგ, ასეთი დიდი კმაყოფილებით ეს სპექტაკლი არსად, არც ერთი თეატრის სცენაზე არ მინახავსო.

სამივე პერიკლა შესანიშნავი იყო; ყოველი მათგანი თავისებურ სახეს ქმნიდა. ვლ. კანდელაკის დამსახურება სწორედ იმაში გამოიხატებოდა, რომ მან სამივე ნიჭიერ მსახიობ ქალს, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ინდივიდუალური თვისებები მოუწახა და პერიკლას სცენურ სახეს სარჩულად დაუდო. ხარაძე ქმნიდა უაღრესად ცხოველყოფელ, აღზნებული ტემპერამენტით სავსე ქალიშვილის სახეს, რომელიც ცოტად თუ ბევრად ცხოვრებას უკვე იცნობდა. შარატა-დოლიძე უფრო თავშეკავებულს, გულჩათხრობილს, უთქმელს, მაგრამ ნდობით სავსე გოგონას თამაშობდა. იულია ფალიაშვილი კი პატარა, გულუბრყვილო, მიამიტი და დუხჭირ ცხოვრება გამოვლილი სევდიანი ქალიშვილის პორტრეტს ქმნიდა. საბოლოოდ ისინი ერთი სცენური ჩანაფიქრით იკვებებოდნენ, მაგრამ გამოსახვის საშუალებანი ინდივიდუალური ჰქონდათ.

ამ სპექტაკლმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. თეატრის მატერიალური დონე საგრძნობლად ამაღლდა. ოპერეტებს უამრავი ხალხი აწყდებოდა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მაყურებლები საორკესტრო ბარიერს აწყდებოდნენ. ბევრჯერ მაყურებლის თეატრიდან გასაყვანად სახანძრო რაზმს იშველოებდნენ. თეატრის და მისი მახლობელი სახლის კედლები და სადარბაზო შესასვლელები ავსებული იყო ჩემდამი კეთილი სურვილებით აღსავსე წარწერებით.

ეს ორი სპექტაკლი დაახლოებით ორმოცდაათჯერ წავა და დარბაზი ყოველთვის ხალხით იყო გაჭედული. მე ყველა ამ სპექტაკლში ვღებულობდი მონაწილეობას.

თბილისის კინოსტუდია ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს“ გადაღების საშაღისში იყო. სცენარზე მუშაობდნენ რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი და პოეტი სიკო ფაშალიშვილი. ჩვენი თეატრიდან საცდელ გადაღებაზე თითქმის ყველა ტენორი გამოიძახეს. გადამღები ჯგუფის ასისტენტი ჭანკოტაძე ჩემთანაც მოვიდა და მიმიწვია საცდელ გადაღებაზე. პირველად განზრახული ჰქონდათ ჩემი გადაღება არა კოტეს, არამედ თავადი ლევანის როლში. კოტეს როლზე ანდრო კობალაძეს ამოწმებდნენ. სტუდიაში გამოცხადებისთანვე ტანზე თავად ლევანის კოსტუმი მომარგეს და გრიმიც როლის შესატყვისი გამიკეთა. გადამღებ აპარატთან იდგა ქართული კინემატოგრაფიის ვეტერანი, შესანიშნავი ხელოვანი დიღმელოვი. საცდელი გადაღების შედეგები სახარბუელო არ აღმოჩნდა. დამდგმელმა ჯგუფმა კვლავ განაგრძო საცდელი გადაღებები: იღებდნენ ხან დრამის, ხან ოპერის მსახიობებს; ზოგჯერ უბრალოდ ხალხში ეძებდნენ შესაფერ ტიპაჟს. ვ. ტაბლიაშვილის პროფესიულ თვალს და გამჭრიახ გონებას უნდა ეუბნადლოდეთ, რომ იგი არ გაჰყვა ძველ გზას, როგორც ამ 30-40 წლის წინათ რეჟისორები შემთხვევით შერჩეულ ტიპაჟებს იყენებდნენ კინოსურათებში. მან კარგად იცოდა, რომ, მას შემდეგ, რაც კინოხელოვნება დრამატულ თეატრს დაუახლოვდა, უფრო მაღალი მხატვრული ღირსების მქონე გახდა იგი. ამიტომ ტაბლიაშვილმა უარყო ტიპაჟის ძებნა ქუჩაში და გადაწყვიტა ფილმში მონაწილეობის მისაღებად მოეწვია პროფესიული, მაღალი ოსტატობის მქონე მსახიობები. ვ. ტაბლიაშვილმა, როდესაც ჩემი კოტეს როლში გადაღება გადაწყვიტა, იმ დათმობაზე წავიდა, რომ კოტეს რთული ვოკალური პარტია, რომელიც ტენორისათვის არის დაწერილი, ბარიტონს მისცა სამღერლად. მან თავისებურად აღიქვა „ქეთო და კოტეს“ სახეები და ავტორისეული გააზრება ცოტათი შეცვალა, სწორად და საინტერესოდ გახსნა კინოში გმირთა სულიერი სამყარო.

თუმცა კინოსურათის მონაწილეთა შემადგენლობის საბოლო-

ოღ დადვენამ დიდი დრო წაიღო, მაგრამ ბოლოს, ტაბლიაშვილის დაჟინებული მოთხოვნით, შერჩეული შემადგენლობა დაადგინეს და რეჟისორები ფილმის გადაღებას შეუდგნენ. დაიწყო გრძელი და აძნელებებით სავსე გზა: გრიმისა და ტანსაცმლის შერჩევა, ტექსტზე მუშაობა, მიზანსცენების დადგენა და დახვეწა, კოტეს ვოკალური პარტიის ჩემს ხმაზე (ე. ი. ბარიტონზე) მორგება, ზოგი ადგილების ტრანსპონირება და ა. შ.

ვახტანგ ტაბლიაშვილმა და შალვა გედევანიშვილმა ახალგაზრდული მგზნებარებით დაიწყეს მუშაობა; ცუხიდან-ცუხში დარბოდნენ და სათანადო მითითებებს იძლეოდნენ. გრძნობდნენ, რომ პოპულარული ქართული ოპერის ასეთი, რეჟისორულად თავისებური გადაწყვეტა, როგორც ეს მათ პქონდა მოფიქრებული, რეჟისორ-დაპდგმელისაგან მეტად საზრიან, მუყაით და დაფიქრებულ საქმიანობას მოითხოვდა. რეჟისორმა ფილმს სიახლე, სიღრმე და მასშტაბურობა მიანიჭა.

დამდგმელებმა ორიგინალურად გადაწყვიტეს მრავალი ადგილი. ასეთია მაგალითად, ყარაჩოხელთა სცენა, რომელიც თამამად შეიქლება ჩაითვალოს ფილმის უბრწყინვალეს ეპიზოდად. რაოდენი გამოგონებლობა, როგორი ორიგინალობაა გამოვლენილი ყარაჩოხელთა ბუნების მაღალ პოეტურად გადმოცემაში. ეს შესანიშნავი ტილოა, ნიჭიერი მხატვრის მიერ დაწერილი ყარაჩოხელები გზიბლავენ თავიანთი სიღინჯით, სიდარბაისლით, გულმართლობით და ომანიანობით, სხვისი დარდისა და ვარამის გაზიარებით.

ქეთოს როლში მედია ჯაფარიძე უმანკოების, ახალგაზრდული მისწრაფებების, სიმშვენიერისა და უშუალოების განსახიერებაა. მისი აქტიორული ბუნება და ადამიანური თვისებები ძლიერ ახლოს აღმოჩნდა ქეთოს სახისათვის. ამიტომაც მედია ჯაფარიძის ქეთო რომ მაყურებელს ატყვევებს თავისი მიმზიდველობით და სიფაქიზით.

შალვა დამბაშიძე ქეთოს მამის როლში — ერთ-ერთი შესანიშნავი-სახეთაგანია ქართულ კინემატოგრაფიაში. ამ როლში მძაფრად გამოჰქლავნდა დამბაშიძის უტყუარი სამსახიობო ნიჭი. მის მიერ მარჯანიშვილის თეატრში, სპექტაკლ „სოლომონ მექლანუაშვილში“ შექმნილი სოლომონ ისაკიჩ მექლანუაშვილი ენათესავება მაკარის სახეს. ამით მან ფიქსაცია გაუკეთა იმ ბრწყინვალე ნამუშევრებს,



რომელიც დრამატული თეატრის სპეციფიკის გამო უნდა დაკარგულიყო.

ჩვენმა სახელოვანმა მსახიობმა ქალმა თამარ ჭავჭავაძემ გონება-მანვილი, მოხერხებელი ხანუმას როლში დაუვიწყარი სახე შექმნა.

მეტყველი და ცოცხალი სახეებია ნიკო და სიკო ქართული სცენის ოსტატების — ვასო გოძიაშვილისა და გიორგი შავგულიძის უბადლო განსახიერებით.

გარდა დიდი ბუნებრივი აქტიორული ნიჭისა, გიორგი შავგულიძე შესანიშნავი ამხანაგი და იუმორით დაჯილდოებული პიროვნება იყო. ფილმის გადაღების დროს, ჩვენს ყოველდღიურ დაძაბულ მუშაობაში, მას ხალისი შემოჰქონდა და ბევრჯერ სიცილით გვაგებდა.

ერთხელ, გადაღების დროს, ცხელი დღე იდგა. როგორც კი გიორგი სტუდიაში მოვიდა, მაშინვე შემომჩივლა — გრიმის გაკეთება და კოსტუმის ჩაცმა ძალიან მეზარებაო. იმ დღეს თამარ ჭავჭავაძე შეუძლოდ ყოფილა და ამის შესახებ მარტო გიორგის სცოდნია. მან თავისი ტანსაცმელი გაიძრო, ხანუმას შლეიფიანი კაბა გადაიცვა, გაზეთი აიღო და იქვე მოლზე ხის ჩრდილში წამოწვა. მე კი გამაფრთხილა ხმა არ ამოიღოო. დიდი დრო გავიდა. შალვა გედევანიშვილმა ნერვიულობა დაიწყო, მე განვებ შევეკითხე: რაშია საქმე, რატომ გადაღებას არ ვიწყებთ?

— როგორ დავიწყო, როცა გიორგი შავგულიძე ჯერ არ მობრძანებულაო. გავიდა კიდევ ნახევარი საათი.

— შალვა ბატონო, მართალია შავგულიძე არ ჩანს, მაგრამ ვერც თამარს ვხედავ-მეთქი.

— როგორ გეკადრებათ, ბათუ! თამარი რამდენი ხანია მოსულია. აგერ იქ ხის ქვეშ, გაზეთის კითხვაში მგონი ჩასძინებია კიდევ.

კიდევ ნახევარი საათი იცადეს. ახლა კი უკვე ვ. ტაბლიაშვილიც განერვიულდა და შალვას შეეკითხა:

— უორამ ხომ იცოდა, რომ დღეს ნიკოს, ხანუმას, კოტეს და მისი სცენები უნდა გადაგველო?

— იცოდა, როგორ არ იცოდა, — უპასუხა შალვამ.

— მაშ რაღა ჯანდაბა მოუვიდა! — ახლა კი იყვირა ვახტანგმა. უცბად ხის ჩრდილიდან შავგულიძემ თავი წამოყო და წამოიძახა:

— მართლა დამძინებია და დამავიწყდა მეთქვა: თამარის ქალი-

შვილმა ტელეფონით შემატყობინა — დედას სიცხე მისცა და გადა-  
ღებაზე ვერ მოვაო. ატყდა სიცილი, რომელიც ხარხარში გადაიზარ-  
და და გაჯავრების თავი აღარავის ჰქონდა.

თავადი ლევანის როლში გადაიღეს ჩემი კოლეგა, ქართული  
საოპერო სცენის ლომგული პეტრე ამირანაშვილი, რომელიც ათეუ-  
ლი წლების მანძილზე ერთგულად და სახელოვნად ემსახურებოდა  
ქობლიურ ხელოვნებას.

გ. შავგულიძე, პეტრეს და მე რომ ერთად დაგვინახავდა, გვეტ-  
ყოდა ხოლმე:

— ბიჭო, ვ. ტაბლიაშვილმა სად მოგნახათ ბიძა და ძმისშვილის  
როლებში ორი ბარიტონი ერთად? ალბათ იცის რა ძალიან გიყვართ  
ერთმანეთიო!

პეტრემ მისთვის ჩვეული ნიჭით და ენერგიით მშვენივრად შეა-  
რულა თავადი ლევანის როლი.

ეპიზოდურ როლებში მონაწილეობდნენ ქართული სცენის ოს-  
ტატები: ვ. ანჯაფარიძე, ც. წუწუნავა, ა. კვანტალიანი, ს. ყორჯო-  
ლიანი, მ. დავითაშვილი, ს. ზაქარაძე, ი. ტრიპოლსკი და სხვა. ფილ-  
მი მუსიკალური იყო, კომპოზიტორ არ. კერესელიძემ მოხდენილად  
გამოიყენა ვ. დოლიძის საოპერო მუსიკა და ახალი მასალით გაამდიდ-  
რა იგი. ამგვარად ფილმი „ქეთო და კოტეს“ გადამღები ჯგუფი და-  
კომპლექტებული იყო მაღალკვალიფიციური მსახიობებით და შე-  
დეგიც კარგი გამოდგა. ფილმმა შემოიარა მრავალი ქვეყანა და  
ყველგან დიდი მოწონება და წარმატება დაიმსახურა. ეს იყო ჩვენი  
სასიქადულო რეჟისორის ვ. ტაბლიაშვილის დიდი და დამსახურებუ-  
ლი გამარჯვება კინემატოგრაფიაში.

კინოფილმ „ქეთო და კოტეს“ გადაღების შემდეგ ვ. ტაბლიაშ-  
ვილს მე ოპერის თეატრში შევხვდი ოპერებში: „დაისი“, „დიდოსტა-  
ტის მარჯვენა“ და „აბესალომ და ეთერი“, რომელთა დადგმა მას  
ეკუთვნის. „დაისი“ და „აბესალომ და ეთერი“ არა ერთხელ იყო  
დადგმული ოპერის სცენაზე სხვადასხვა რეჟისორების მიერ. შ.  
მშველიძის ოპერა „დიდოსტატის მარჯვენას“ პირველი დადგმა მას  
ეკუთვნის და მეც ამ ოპერაში მეფე გიორგის სახის პირველი ინ-  
ტერპრეტატორი ვიყავი. მეფე გიორგის სახე, ისე როგორც ეს საო-  
პერო სპექტაკლი მთლიანად, სეზონის და პირადად ჩემი შემოქმე-  
დების დიდ გამარჯვებად იქნა აღიარებული. იგი მე ვ. ტაბლიაშვი-  
ლის უშუალო კონტროლის ქვეშ შევქმენი.

1939 წლიდან, როცა მოსკოვის დიდი თეატრის დასში ჩაპრიცხეს, 1941 წლის შემოდგომამდე მე, კრემლში გამართულ თითქმის ყველა დიდ და ღირსშესანიშნავ შეკრებათა მონაწილე ვიყავი:

ერთხელ, დიდი თეატრის დასის გამგემ ფეოდორ პეტროვმა თავის კაბინეტში შემიყვანა და მითხრა:

— ბათუ, დღეს საღამოს 6 საათისათვის ჩაცმული დამხვდი, მანქანა გამოგივლის, შენ და ნატალია შვილერი — ორივენი კრემლში მოხვალთო. პეტროვს ჩემი პროგრამა დავუტოვე და სახლში წამოვედი. იმ პერიოდში ფინეთის ფრონტზე ცხარე ბრძოლები მიდიოდა. ქვეყანა დაძაბული იყო. თუ არ განსაკუთრებული შემთხვევა მთავრობა დიდი ზეიმებისა და დარბაზობების მოწყობისაგან თავს იკავებდა.

სრულ 6 საათზე ჩემი სახლის წინ მანქანა გაჩერდა, მანქანაში ნატალია შვილერი მელიოდა. ორივენი მივედით კრემლში და გიორგის დარბაზში შევედით. მსახიობებმა ჩვენთვის განკუთვნილ ოთახში მოვიყარეთ თავი. იქ შემოქჷონდათ ჩაი, ნამცხვარი და ტკბილეული. ბოლოს გამოვიდა ერთი ამხანაგი და განაცხადა — კონცერტი ერთ განყოფილებად წავა, კონცერტს გილელსი დაიწყებსო. შემდეგ მიუბრუნდა კოზლოვსკის და უთხრა: — გიტარის აკომპანიმენტთან (აკომპანიატორია კრამსკოი) მხოლოდ ერთ ნომერს იმღერებ, დანარჩენს კი შეასრულებ როიალის თანხლებით. მე არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ მთავრობის კონცერტებზე, გილელსის, ოისტრახის, რეიზენის და კოზლოვსკის გვერდით (გარდა დიდი გუნდებისა და საცეკვაო კოლექტივებისა), საესტრადო, მსუბუქი მუსიკალური ნომრების შემსრულებლებს მიეღოთ მონაწილეობა. იმ დღეს კონცერტზე მე შეხუთე ნომრად გავედი. რაღაც უცნაურმა მღელვარებამ შემიპყრო. ამ მდგომარეობაში ვიმღერე რობერტის არია ჩაიკოვსკის „იოლანტადან“. რობერტის არიის შემდეგ ვიმღერე დ. არაყიშვილის „ურმულზე“. ესტრადიდან ჩამოვედი და სუფრისაკენ გავსწიე, სადაც ჩემი უფროსი მეგობარი, დიდი თეატრის წამყვანი მომღერალი მაქსიმ დორმიდონტის ძე მიხაილოვი დაჭინახე და მის გვერდით დავჯექი. ჩვენს სუფრას უსხდნენ აგრეთვე გამოჩენილი მსახიობი ქალი ე. გოგოლევა და ცნობილი მხატვარი ს. გერასიმოვი; მათ მომილოცეს კონცერტზე წარმატება და ჩემი მომავლის სადღეგრძელო შესვეს. საღა-

მო არ იყო ხალხმრავალი, მაგრამ ყველა ხალხიანად და მხიარულად გამოიყურებოდა. ღვინომ თავისი გაიტანა და თანდათან დარბაზში ხმაურმა და ჭიქების წკარუნმა იმატა. მიხაილოვი თავის სტიქიაში აღმოჩნდა და მის მაგიდაზე რომ გამოცალა არყის ბოთლები, მეზობელი მაგიდებიდან დაიწყო გადმოლაგება. შემდეგ მიხაილოვი ჩვენს მაგიდასთან გადმოჯდა და საინტერესო და ცხოველი ბაასი გაიმართა... აღფრთოვანებულმა მიხაილოვმა „Многая лета“ წამოიწყო. იგი ისეთი გატაცებით მღეროდა და ისე მძლავრად მიიწევდა მაღალ რეგისტრში, რომ დაჭიმულობისაგან მოხარშულ კიბოს დაემსგავსა. ბოლოს თავისი სიმღერა შექაზილით დაამთავრა. მისმა მოულოდნელმა ამღერებამ და უცნაურმა ქცევამ სიცილი გამოიწვია. ამგვარად ყველამ მოილხინა და სიცილად და სიმღერად გადაიქცა. მხოლოდ ერთი კაცი, რომელიც დარბაზის შუაგულში იჯდა, ვის თვალებსაც შეუძინეველი არაფერი არ რჩებოდა, მისთვის ჩვეული სიდარბაისლით ღინჯად იჯდა და როდესაც ბახუსი ყველას ზომაზე მეტად მოერია, იგი უსიტყვოდ წამოდგა. ეს კი საკმარისი გახდა, რათა დარბაზი მყისვე დაწყყნარებულიყო.

სტალინმა სკამები გვერდზე მისწია და ჩვენსკენ წამოვიდა. მას ჩემს ახლოს უნდა ჩაევლო, მაგრამ შეჩერდა, შემომხედა და ხმამაღლა თქვა:

— Простите за мою слабость. Откуда пришел мой земляк? Хочу узнать.— ეს თქვა და სავსე ჭიქით ხელში პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა.

— სადაური ხარ, ბიჭო? — მკითხა მან ქართულად.

— სამტრედიელი გახლავართ, — ვუპასუხე.

— სადაური? — ღიმილით გამიმეორა კითხვა.

— სამტრედიელი!

— სამტრედიელი! — გულიანად გაიცინა მან. მე საქცრელი წამიხდა.

— შე ყოფაძალო! სამტრედიიდან აქ რამ ჩამოგიყვანა? — განაკრძობდა სიცილს სტალინი.

— რა ვიცი, ბატონო! — დამნაშავესავით წავილულულე მე და გულში თავს ვიწყევლიდი — რა ჯანდაბად ვახსენე ეს სამტრედია-მეთქი.

— Налейте вина! — თქვა სტალინმა და ჭიქა ქართული ღვინით შემეღვსა.

— ყოჩაღ შენ, იცოცხლე ათასი წელი! — მითხრა მან და ჭიქა მომიჯახუნა.

მადლობა გადაუხადა და ჭიქა გამოვცალე. შემდეგ შევნიშნე, რომ დარბაზში მყოფნი გარს შემომხვეოდნენ და ცნობისმოყვარეობით მეკითხებოდნენ — ისეთი რა თქვი, რომ სტალინი ასე გულიანად იცინოდაო.

გაოგნებული ვიდექი, მეც ვერ გამეგო თუ რა ვთქვი სასაცილო. ხალხის მოზღვავებულ ტალღას სტალინი ჩემვან ნელ-ნელა შორს მიჰყავდა. მე ვხედავდი მის წინ აღმართულ ადამიანთა სიყვარულით სავსე სახეებს, რომლებიც სუნთქვაშეკრული მისჩერებოდნენ მას.

ჩემს მეხსიერებაში დარჩა საბჭოთა კავშირის გმირ მფრინავთა გრომოვისა და კოკინაყის კლდესავით აღმართული ფიგურები, გრიზადუბოვასა და რასკოვას სტალინისადმი აღმოდებული მზერა.

სტალინი დინჯად, ალერსით მიესალმა ყველას ესტრადაზე, პიატნიცკის სახელობის გუნდს მადლობა გადაუხადა, ცალკეულ სოლისტებს ხელი ჩამოართვა და ხელოვნების მუშაკთა წინსვლის სადღეგრძელო შესვა.

უცბად აღექსანდრე პიროგოვმა, სერგეი ლემეშევმა სიმღერა წამოიწყეს. მათ მაქსიმ მიხაილოვიც შეუერთდა. გამოჩენილი რუსი მომღერლების ამღერებას მთელი თვალუწვდენი დარბაზიც შეუერთდა და ყველა სიმღერად იქცა.

მე კი ვიდექ და კვლავ იმაზედ ვფიქრობდი, თუ რა ვთქვი ისეთი, რამაც სტალინი ასე გულიანად გააციანა....

შემდეგ სასულე ორკესტრმა ჩვენებური ქართული მთიულური საცეკვაო დაუკრა. ესტრადაზე ლეპეშინსკაია გამოხტა და ცეკვა დაიწყო. მისი თვალები მე მომჩერებოდა. შეეკრთი, ერთი ნაბიჯი გადავდგი. მაგრამ უცბად წინ ს. ბუდიონი გადამეფარა, შეიქრა სცენაზე და რუსული ბუქნა დაუარა. ლეპეშინსკაია მაინც ჩემაკენ იყურებოდა და მიღიმოდა. იგი მიწვევდა გავყოლოდი ცეკვაში, მაგრამ მოხდა უცნაური რამ: სტალინი წამოიწია, ბუდიონი გააჩერა და წრიდან გაიყვანა.

— შე ბებერო! გზა ახალგაზრდებს დაუთმო! მერე მომიბრუნდა და დამიძახა:

— აბა, მოდი ახალგაზრდავ!...

მე აღარ დავაყოვნე და რაც ვიცოდი და არ ვიცოდი -- ყველა-  
ნაირი ილეთი გამოვიყენე. მგონი ყველაფერი მშვიდობიანად დამთავ-  
რდა. რადგან ლეპეშინსკაიასათვის ფეხზე ფეხი არ დამიდგია და არც  
ცეკვის დროს დავჯახებივარ. ყველა კმაყოფილი დარჩა.

სამამულო ომის მძვინვარება კიდევ არ იყო ჩამქრალი, რომ 1944  
წლის შემოდგომაზე, საქართველოს დედაქალაქს, წყალტუბოში სამ-  
კურნალოდ მიმავალი ორა დიდი რუსი ხელოვანი ესტუმრა. ეს იყო  
რუსული ვოკალური ხელოვნების მშვენიება — ანტონინა ვასილის ას-  
ული ნეყდანოვა და მისი მეუღლე, გამოჩენილი რუსი დირიჟორი, დი-  
დი თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი ნ. ს. გოლოვანოვი. რამდე-  
ნი რამაა ამ ორ სახელთან დაკავშირებული! ნეყდანოვა დიდი და გა-  
ნუმეორებელი შალიაპინის ტოლფარდი თანამოდგაწე იყო რუსეთის  
საოპერო ხელოვნების ფართო სარბიელზე. მან, თუმცა ცოტათი მოგ-  
ვიანებით. მაგრამ ისეთი სიძლიერით ასწია პირველი სპექტაკლის  
ფარდა, რომ მისი, ტრიუმფებით აღსავსე, სპექტაკლები იმ დღიდან  
ოქროს ასობით ჩაიწერა რუსული საოპერო ხელოვნების მატრიანეში.

ნეყდანოვას მიერ შექმნილი სახეები — ლიუდმილა, ტატიანა,  
თოვლია, ვოლხოვა, მართა, როზინა, ჯილდა, ლაკმე და სხვა კლასი-  
კურ ქმნილებებად იქცა, ხოლო მის მიერ განსახიერებული საოპერო  
როლები — მუსიკისმცოდნეთა დაკვირვებული ანალიზისა და შეს-  
წავლის საგნად.

ანტონინა ნეყდანოვა რუსეთის გენიალურ ხელოვანთა მხარის  
დამამშვენიებელია. იგი ეროვნული საოპერო ხელოვნების ისტორიის  
ფურცლებიდან საერთო მოვლენად გადაიზარდა და მის ნაკვალევზე  
ასობით მომღერალი ქალი მიიწევს წინ საკაცობრიო კულტურის  
მწვერვალთა დასაპყრობად.

საყურადღებო მოვლენა იყო დირიჟორი გოლოვანოვიც. მისი  
სადირიჟორო ხელოვნება მაღალი პრინციპულობით დიდხანს ემსახუ-  
რებოდა მშობლიურ მუსიკას. მისი საყვარელი კომპოზიტორები უმ-  
თავრესად მუსორგსკი და რიმსკი-კორსაკოვი იყო. მან ბევრი ახლე-  
ბური გაგება შეიტანა ამ კომპოზიტორების საოპერო ნაწარმოებთა  
შესრულებაში. თბილისში ჩამოსვლისას ნეყდანოვა და გოლოვანო-  
ვი სასტუმრო „თბილისში“ დაბინავდნენ. მე იმ ხანებში, ბინის უქონ-

ლობის გამო, იმავე სასტუმროში ვიმყოფებოდი. ჩემდა საბედნიეროდ, მათ სწორედ ჩემს გვერდით ნომერში მოუხდათ ცხოვრება.

ორი დღის შემდეგ სიმფონიური ორკესტრის ინსპექტორი მაძია კანიაჩი მიბარებს ფალაჩონიაში და მეუბნება:

— ხომ იცი რომ ჩვენს ქალაქში სტუმრად არიან ნეუდანოვა და გოლოვანოვი.

— ვიცი. ისინი სწორედ ჩემს გვერდით ნომერში ცხოვრობენ!

— მერე?

— მერე მე ხომ არ შეგვარდები და არ ვეტყვი — ბედნიერი ვარ, რომ თქვენს გვერდით მიხდება ცხოვრება-მეთქი.

— სწორედ ასე უნდა მოქცეულაყავი, რადგან დღეს, გოლოვანოვთან საუბრის დროს, როცა ორი კონცერტის დირიჟორობა ვთხოვეთ, მან არჩევანი შენზე შეაჩერა; — ბ. კრავეიშვილი მინდა სოლისტადო! შენ რას იტყვი?

— რა უნდა ვთქვა! დიდი სიამოვნებით მივალე მონაწილეობას, — ვუბასუხე და საჩქაროდ პროგრამა ვიკითხე.

— მაზეპას და რობერტის არიები უნდა იმღერო. — მოთხრა მა-შიამ. მე რა თქმა უნდა დავთანხმდი.

მეორე დღეს სრულ 2 საათზე, გოლოვანოვი, ნეუდანოვასთან ერთად, სახელმწიფო საოპერო თეატრში იყო. გოლოვანოვი მივიდა ორკესტრთან. მიესალმა მას და ხელში სადირიჟორო წყვლა აიღო. ჯერ თავისი რეპერტუარი გააჩა. გაწმინდა, ფორმაში მოიყვანა და მხოლოდ შემდეგ მიმიწვია მე, ხელი ჩამომართვა და შეუდგა მაზეპას არიის („ო.მარია“) შესავლის რეპეტიციას. სხვათა შორის მან ამ შესავალს ყველაზე დიდი დრო მონადღომა. მაზეპას არიის ორკესტრთან მთლიანი შემღერება შედარებით იოლად ჩატარდა. იგი ჩერდებოდა და ასწორებდა ორკესტრის ხმოვანებას. შიგადაშიგ ორკესტრის წევრებს საჭირო ტემპსა და დაკვრის ინტონაციურ სიზუსტეზე მიუთითებდა. ბოლოს, როგორც იქნა, შეგვავერთა მე და ორკესტრი და კმაყოფილებას ნიშნად მადლობა გადაგვიხადა.

რეპეტიციის დამთავრების შემდეგ გოლოვანოვმა მომხვია ხელი, პარტერისაკენ წამიყვანა და იქვე მჭიდრო ანტონინა ვასილის ასულთან წარმადგინა. ნეუდანოვა ახოვანი. საკმაოდ მოსული ტანის ქალი იყო. ჩვენ რომ დაგვინახა სკამიდან წამოდგა, ღიმილით ხელი გამომიწოდა და თან დასძინა, — თქვენ დღეს ხმას ალაგ-ალაგ იძლეოდით, მაგრამ მე მაინც გამოვიტანე შთაბეჭდილება, რომ თქვენ შე-

სანიშნავი ხმა გაქვთ და მაზეპას არიას ძლიერ სახიერად ასრულებდითო.

— აბა თქვენ იცით, ხვალ რა სიმალლეზე ჩაატარებთ კონცერტს. თქვენს შემდეგ ამავე პროგრამას სერგეი ივანეს ძე მოგაი მღერისო.

ეს მე არ ვიცოდი და ელდასავით მეცა: მიგაი — ეს ხომ ჩაიკოვსკის ნაწარმოებთა სწორუპოვარი შემსრულებელია! რას ვიზამდი. ცოლ-ქმარი თეატრიდან გამოვაცილე და დროებით დავემშვიდობე. მეორე დღეს, სავსე საოპერო თეატრი მქუხარე ოვაციებით მიესალმა ბენუარის ლოქაში მსხდომ მსოფლიო ვოკალური კულტურის ბრწყინვალეებით მოსილ მომღერალ ქალს ა. ვ. ნეჟდანოვას. კონცერტის წინ შესავალი სიტყვით გამოვიდა მუსიკისმცოდნე პავლე ხუჭუა, რომელმაც დამსწრეთ მოკლედ გააცნო გოლოვანოვის შემოქმედებითი მოღვაწეობა.

სტენაზე გამოჩნდა გოლოვანოვი, თავისი საქმის დიდი ოსტატი. ჯიუხი და რამდენადმე მრისხანე მუსიკოსი; მრისხანე იმიტომ, რომ მან შესრულების სიზუსტის დაცვაში კომპრომისები არ იცოდა.

კონცერტის პირველი ნაწილი შესანიშნავად ჩატარდა. ჩვენმა ორკესტრმა კარგად აუღო ალლო გოლოვანოვის მუსიკალურ თავისებურებას და მისი მკაცრი მომთხოვნელობა მთლიანად დააკმაყოფილა.

მეორე განყოფილებას მე ვიწყებდი. პირველად ვიმღერე „ო, მარია.“ ეს არია მე ძლიერ მიყვარდა. მას ჩემთვის ბევრჯერ მოუტანია გამარჯვების სიხარული, მაშინაც კი, როცა დიდი თეატრის კარები პირველად შევადე. ახლაც წარმატება მხვდა წილად. დავამთავრე თუ არა არიის შესრულება, ისევ ის განმეორდა, რაც მაშინ მოსკოვში დიდ თეატრში გამართული კონკურსის დროს. გოლოვანოვი ტაშს მიკრავდა, მკოცნიდა და მეხვეოდა. მე არც გოლოვანოვს, არც მაყურებელს ყურადღებას არ ვაქცევდი და მხოლოდ ნეჟდანოვას მეტყველ სახეს შევყურებდი. იგი ღიმილით ტაშს მიკრავდა და ჰეროვან კოცნას მიგზავნიდა. ეს იყო ყველაზე დიდი ჭილდო ჩემთვის იმ საღამოს.

კონცერტი დამთავრდა. ჩაცხრა ღელვათა ტალღები, მაგრამ ნეჟდანოვას ღვათებრივი, გულში ჩაჰწვდომი ხმით წარმოთქმული ქება და აღერსი დღესაც მახსოვს: Молодец, чудесно! Просто чудесно! Мазепа — прелесть! Браво, Бату! Браво и еще раз браво!



ნეყდანოვა და გოლოვანოვი ქართულ სტუმართმოყვარეობას ძლივს აუდიოლენენ. ამ სასურველ სტუმრებს ხან საღ პატივებდნენ და ხან საღ. დილით სასტუმროში გოლოვანოვი მეძახის და მაჩვენებს სიას: გეთაყვა. მიჩიე, ვისთან წავიდე სტუმრად, ვისი მიპატიება მივიღო? მე ცნობისმოყვარეობით გადავხედე საქმაო ოდენობით ჩამოწერილ გვარებს და, რადგან აზრის მოხვევა არ ვკადრე, ვუთხარი: თუ დრო და განწყობილება ხელს არ გიშლით, ესენი ყველა ძალიან კარგი ზალხია და ყველასთან სანატრელი სტუმარი იქნებით-მეთქი.

სწორედ იმ დროს ჩვენმა შესანიშნავმა მომღერალმა ქალმა ეკატერინე სოხაძემ დარეკა. ეკატერინესთან ჩვენ აუცილებლად უნდა შევიაროთ — ბრძანა ანტონინა ვასილის ასულმა. „ხო“, „ხო“ — უტყვირებული ქართული აქცენტით დაუმოწმა გოლოვანოვმა. მე გამეცინა, ვიცოდი რომ „ხო, ხოთი“ მე მაჯავრებდა. იმ საღამოს გოლოვანოვი და სხვა ჩვენი გამოჩენილი თეატრალური მოღვაწენი საღლადად ქართულ სუფრას ვუსხედით. თავისივე სახლში სუფრას ე. სოხაძის მეუღლე ნაკო თუშიშვილი თამადაობდა. მას შესანიშნავი ტაქტიკა და სიღინჯით მიჰყავდა სუფრა. შეისვა ქართული და რუსული კულტურის, ჩვენი სტუმრების, განუყრელი მეგობრობის და სხვა საღდეგრძელოები. ვმღეროდით, ვოხუნჯობდით და პატივსაცემ სტუმრებს ქართული ჩვევებით ვახალისებდით: გოლოვანოვი და მისი მეუღლე ქართულმა ხალხურმა მრავალხმიანმა სიმღერებმა მოხიბლა.

უკვე ღამის 2 საათი გადასული იყო, როცა სტუმრები დაიშალნენ. მე ჩვენ სახელოვან სტუმრებთან ერთად სასტუმროში დავბრუნდი. მეორე დღეს წვეულება მერი ნაკაშიძის ოჯახში გაგრძელდა. აქ იყვნენ: სანდრო ინაშვილი, ალექსი მაჭავარიანი, ანდ. ბალანჩივაძე, მიხეილ კვალიაშვილი და ბევრი სხვა გამოჩენილი მოღვაწე. ჩვენი სტუმრები უკვე შინაურულად და თამამად გრძნობდნენ თავს. მათ, როგორც უნიკიურესმა ადამიანებმა, ალღო აუღეს ჩვენებური სუფრის თავისებურებას და ისინიც. თითქოს ჩვენს ზნე-ჩვეულებას შეზარდილნი, ჩვენსავით იქცეოდნენ.

ვიდრე სუფრას მივუსხდებოდით, ნეყდანოვას ვთხოვე თავისი ცხოვრების წარსულიდან ჩვენთვის რაიმე საინტერესო ეამბნა. სიამოვნებით დამეთანხმა. თუმცა არათანამიმდევრულად, მაგრამ მეტად საინტერესოდ მოგვითხრო თავისი შინაარსიანი ცხოვრებიდან ზოგი რამ. პირველყოვლისა, რა თქმა უნდა, შალიაპინზე და სობინოვზე

ვევსაუბრა. სცენურად დინჯი და მოკრძალებული, სობინოვი უფრო სიმღერით იყო გატაცებული. შალიაპინი—პირიქით, სცენური დეტალების ძიებაში ნახულობდა სწორ ვოკალურ ფერებს. სობინოვი ღვთაებრივი გარეგნობის და დიდი ერუდიციის პატრონი იყო. საკმარისი იყო მისი გამოჩენა სცენაზე, რომ მყისვე მაყურებლის სიმბათიას იმსახურებდა. მაგრამ გამოჩნდებოდა თუ არა შალიაპინი, მაგიური ძალით იპყრობდა არა მარტო მაყურებელს, არამედ. სცენასაც და პარტნიორებსაც. ასეთები იყვნენ ეს სცენის ქურუმები!

მე მათთან ბევრი განუმეორებელი, სინეტარით სავსე წუთები გამიტარებია როგორც სცენაზე, ისე ცხოვრების დიდ მანძილზე — ასე დაამთავრა თხოობა ანტონინა ვასილის ასულმა. ცოტა ხნით ოთახში ღუმილი გამეფდა, რაც მასპინძელთა შეძახილმა დაარღვია. ყველას სუფრასთან გვიწვევდნენ.

გოლოვანოვი იგონებდა წარსული ცხოვრების ფურცლებს, ჩვენს თანამემამულეთა მოსკოვში ჩასვლას და დიდი თეატრის სცენაზე მოღვაწეობას. მან მოიგონა სანდრო ინაშვილის ჩასვლაც და სობინოვთან ერთად „ევგენი ონეგინში“ გამოსვლა. მოიგონა სხვა ბევრი ქართული ვოკალისტი, რომელთაც სხვადასხვა დროს უმოღვაწიათ დიდ თეატრში.

ალექსი მაკავარიანმა და ანდრია ბალანჩივაძემ წამოიწყეს გურული „ხასანბეგურა“. შეძლებისდაგვარად ბანს მე ვეუბნებოდი. უნდა გენახათ როგორ აღაფრთოვანა ამ სიმღერამ ნეყდანოვა: პირდაპირ გასაოცარია, რა მოძრავი, მრავალმეტყველი და სასიამოვნო მოსასმენია ეს სიმღერა, — თქვა მან. გახალისებულ და გულაჩუყებულ ნეყდანოვას ვთხოვეთ, მისი სურვილისამებრ, რაიმე ემღერა ჩვენთვის. მან უარი განაცხადა და ანაზღად მეორე სკამზე გადაჯდა. მაშინ გოლოვანოვმა მიმიხმო და ყურში ჩამჩურჩულა: შენ მიდი, მოეფერე და სთხოვეთ, რამდენადაც კარგად ვიცნობ ჩემს მეუღლეს მგონი უარი არ უნდა გითხრასო! მეც. გათამამებულმა, მივედი. ჯერ ხელები დავეუკოცნე, შემდეგ ლოყები და თავდახრილმა შევეხვეწე ემღერა რამე. მოულოდნელად იგი ფეხზე წამოდგა და თავის ქმარს თვალებით ანიშნა ინსტრუმენტთან მისუღიყო. სიჩუმე ჩამოვარდა. ყურადღებადაძაბული თვალეზგაფართოებული ყველა ნეყდანოვას მიჩერებოდა. და აი, გაისმა მისი განუმეორებელი, სიწმინდით აღსავსე ვერცხლისებური ხმა. რა ღვთაებრივი იყო ის ხმა — ადამიანზე მაღლა მდგარი, ზღაპრული! ის მგონი რუსულ ხალხურ სიმღერას

მღეროდა. 80 წელს მიღწეულ ხანდაზმულ ქალს ხმა სრულიად ახალ-გაზრდულად უძღერდა. ბგერაში არც ერთი ქაღარა არ ერია. ყველა თვალცრემლიანი უსმენდა — ასე სცოდნია დიდ სიზარულს, განცდათა სიუხვს, უჩვეულო ძალის გამოცხადებას. სიმღერის შემდეგ ნეყდანოვას ყველა გარს შემოვეხვიეთ, ხელებს ვუკოცნიდით, ვეალერსებოდით. ის კი აღელვებული იყო და ტიროდა. ალბათ მოაგონდა წარსული, ნეტარებით სავსე დღეები და წუთები, ტრიუმფით შემოვლილი დიდი საოპერო სცენები.

გოლოვანოვმა აღნიშნა, რომ ნეყდანოვას დიდი ხანია არ უმღერია, ეს თქვენი დამსახურებაა. თქვენდამი დიდი სიყვარულის გამოხატულებააო.

უცებ ალექსი მაკავარიანი როიალს მიუჯდა და ჩვეული ტემპერამენტით მთიულური დაუკრა. ეგზოტიკური მთიულური ჩამოვუთარე და ანტონინა ვასილის ასულიც გამოვიწვიე საცეკვაოდ. ნეყდანოვა ცეკვავდა აგზნებული და თავდავიწყებული.

ეს იყო დაუვიწყარი სადამო. . .

1945 წლის იანვარს, რამდენიმე ჩვენს ვოკალისტთან და მევიოლინესთან ერთად, მოსკოვს ჩავედი. საშინელი სიცხეების გამო მე უკვე ავადმყოფი ჩავფრინდი მოსკოვში, რადგან უამინდობის გამო თვითმფრინავი 5 დღეს მოუნდა გზას.

დაიწყო ვოკალისტთა კონკურსი. უიუროში ანტონინა ნეყდანოვაც შედიოდა. თურმე გაფაციცებით ელოდა ჩემს გამოჩენას, მაგრამ მე ავადმყოფობის გამო ვერ შევძელი სიმღერა. მარია კამოევამ გადმომცა ნეყდანოვას სურვილი, რომ იგი აუცილებლად მენახა. ნეყდანოვა ისე როგორც საყვარელ შვილს გადამეხვია და გადამკოცნა.

— სადა ხართ? მე ყველას ვუყვებოდი თქვენს შესახებ, ვაჭებდი თქვენს ხმას, ყველას ვამზადებდი, რათა ეგრძნოთ თქვენი ღირსება. ეს როგორ მოხდა, რომ ვერ შესძელით სიმღერა? — შემეკითხა იგი. მე ავუხსენი ამის მიზეზი. ბოლოს მითხრა: — მე ახლა მოგონებებს ვწერ და მთელი თავი თბილისში გატარებულ დღეებს და იქ მიღებულ შთაბეჭდილებებს უნდა მივუძღვნა. თქვენზე მინდა ძალიან ბევრის დაწერაო. შემდეგ მთხოვა, მათთან სახლში მივსულიყავი. ეს იყო და ეს. მე სასწრაფოდ მივაშურე მატარებელს და თბილისში ჩამოვედი. ამის შემდეგ ნეყდანოვას დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი ღრმად მოხუცი გარდაიცვალა. რამდენიმე წლის შემდეგ მას გოლოვანოვიც მიჰყვა.

1949 წელს სოლო კონცერტებით უკრაინას ვეწვიე. კონცერტები ოდესაში დავიწყე. ჩასვლისთანავე ოდესის ფილარმონიის დირექტორმა ზავენ თარუმოვმა (ცნობილი ანტრეპრენიორის ტიგრან თარუმოვის ძმისშვილი) ორი სიმფონიური კონცერტი შემომთავაზა დირიჟორ სტოლიაროვის ხელმძღვანელობით. მეც დავთანხმდი და ფილარმონიის საზაფხულო ბაღის ესტრადაზე საოპერო მუსიკის ორი კონცერტი წარმატებით ჩავატარე. ვიმღერე ჟერმონის, ელეცისა და რობერტის არიები.

მეორე დღეს, რადგან დამხმარე ძალა სოლო კონცერტებზედ არ მყავდა, ზ. თარუმოვმა შემომთავაზა საკავშირო მუსიკოს-შემსრულებელთა ლაურეატის, კიეველი პიანისტის ემილ გურევიჩის შემოერთება. ის სოლო ნომრებსაც დაუკრავს და შენც გაგიკეთებს აკომპანემენტს. მე სიამოვნებით დავთანხმდი. გავიცანი წითური, ბრგე, თავის ნიჭსა და ძალაში დაჯერებული მუსიკოსი. ბევრი ვისაუბრეთ მუსიკაზე, აკომპანემენტის სპეციფიკაზე, ანსამბლის რთულ ურთიერთობაზე.

ჩვენი ერთობლივი კონცერტები კარგად ჩატარდა. ემილი შესანიშნავი მუსიკოსია. მისი ღრმა და შინაარსით სავსე ბგერები ყოველთვის სიზუსტით უახლოვდება კომპოზიტორის ჩანაფიქრსა და მხატვრულ სახეებს. ამიტომაც რომ მასთან ჩატარებული კონცერტები დღესაც ტკბილად მოსაგონარია ჩემთვის.

მე და ემილი დავმეგობრდით. ემილი გულდაწყვეტილი მეუბნებოდა ხოლმე: ნუთუ მე თბილისში არ ჩამოვალ, რათა ჩემი ძალა, ცოდნა და გამოცდილება ქართველ ნიჭიერ ახალგაზრდობას გადაეცეო? ყოველი კონცერტის შემდეგ დამაჯერებლად მიმტკიცებდა, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ თბილისის მცხოვრები უნდა გახდეს. მე თბილისში მინდა დავსახლდე, ჩემი ცხოვრება ახლებურად ავაგო. იგი ქართულ ზნეს და ჩვეულებას დაუუკავშირო, ჩემს შვილებს ქართული ენა შევასწავლო და ამით ამ ქვეყნისადმი, მაღალნიჭიერი ქართველი ხალხისადმი საქმით დავამტკიცო ჩემი გულწრფელი სიყვარული. ამას მეუბნებოდა ეს შესანიშნავი მუსიკოსი მაშინ, როცა ოდესაში ჯერ კიდევ ახალგაზრდული გზნებით ანთებული ვერ გრძნობდა თუ რას უქადდა ბედისწერა. . . იგი მართლაც დასახლდა თბილისში, სადაც თითქოს მყუდრო სავანე იპოვა, ორ ვაჟს ქართული ენა

შეასწავლა, მაგრამ უბედურმა შემთხვევამ საყვარელი უმცროსი ვა-  
ჟიშვილი სიცოცხლეს გამოასალმა. თავისი ვაჟი გურგენიჩმა ქართულ  
მიწას მიაბარა.

სადაც ახლა რუსთაველის სახელობის თეატრის საბილეთო სა-  
ლაროა, ძველად იქ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსგა-  
ვისი პატარა საკონცერტო დაწესებულება იმყოფებოდა. ამ დაწესე-  
ბულებას თავისი მოღვაწეობის მასშტაბების მიხედვით ძლიერ დიდი  
ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. საკმარისია მოვიგონოთ 20-30  
იანი წლების საკონცერტო სეზონები, ჩამოსულ გასტროლიორთა და  
ადგილობრივი საშემსრულებლო ძალები, რომ ცხადად აღვიდგეს  
მეხსიერებაში ამ საკონცერტო დაწესებულების დიდი საქმიანობა  
და მისი ბრწყინვალე ორგანიზატორი ტიგრან თარუმოვი. იგი იყო  
ნატიფი მხატვრული გემოვნებით და არაჩვეულებრივი ადმინისტრა-  
ციული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი.

თარუმოვის მოწვევით თბილისში, იმ ხანებში, ჩამოვიდა გამოჩე-  
ნილი ბანი, თითქმის შალიაპინის თანატოლი პლატონ ცესევიჩი. ცესე-  
ვიჩმა რამდენიმე კონცერტი გამართა საზაფხულო ბაღში (პლენხა-  
ნოვის გამზირზე).

მახსოვს ხალხით გაქედილი ბაღის საზაფხულო თეატრი. რა აღ-  
ფრთოვანებით ლებულობდა მსმენელი ამ შესანიშნავ ხელოვანს!  
ცესევიჩს დიდი მოცულობის და ლამაზი ტემბრის ხმა ჰქონდა. მისი  
სმის ტალღა ცეცხლივით ედებოდა ყურთასმენას და პირველივე  
ნოტის ახმოვანებისას მსმენელი მისი ზემოქმედების ქვეშ ექცეოდა.  
მახსოვს თუ როგორი ქება-დიდებით და წარმატებით ტარდებოდა ამ  
დიდი ხელოვანის საგასტროლო კონცერტები. დიდი ხნის შემდეგ მე  
სცენაზე შევხვდი ცესევიჩს როგორც პარტნიორს. 1942 — 1944  
წლებში თბილისის საოპერო თეატრში მე მასთან „სევილიელ დალა-  
ქში“ და „ფაუსტში“ მივიღე მონაწილეობა. ამ დროს იგი უკვე ხან-  
დაზმული, წარსული დიდების მოგონებებით ბორგავდა სცენაზე.  
ახლა კი მისი ხმა და საერთო ფიზიკური მოქმედება არ იყო შესაფე-  
რი მისი ოდესღაც სხივმოსილი დიდებისა. ცხოვრებაში მიამიტა,  
ნდობით სავსე მოხუცი იყო. ძლიერ უყვარდა ჩემთან და დ. გამრე-  
კელთან საუბარი. ჩვენც თავაზიანად და საკადრისი ყურადღებით

ვეპყრობოდიტ მას, მის ხელოვნებას, მის წარსულს. დიდად აფასებდა იგი ჩვენს მონაცემებს და სულ ჩაგვიჩინებდა—როგორმე იტალიაში მოგვეხერხებია წასვლა. ახლა ჩემი ვაჟი — მხატვარი ჩამოდის იტალიიდან. თქვენ თხოვეთ მთავრობას იქეთ გაგიშვასო. ჩვენ სიამოვნებით ვუსმენდით მის გულუბრყვილო სიტყვებს. მისი. შვილი იმ ხანებში მართლაც ჩამოვიდა იტალიიდან და როგორც ზემოთ მოგახსენეთ ჩვენს თეატრში „პერიკოლა“ გააფორმა.

ტ. თარუმოვის მოწვევით თბილისში სენსაციური წარმატებით მღეროდა ზანგი მომღერალი ქალი ცელესტინა კოლოი. ეს არაჩვეულებრივი, ეგზოტიკური გარეგნობის ქალი პირველხარისხოვან საესტრადო მსახიობთა პლეადას ეკუთვნოდა. მის მოქნილ, პატარა, მაგრამ ულამაზესი ტემბრის ხმას ფილიგრანული ტექნიკა და ზანგური ხალხური კოლორიტი აჩუქურთმებდა. თავისი უშრეტი ტემპერამენტით, სცენური ეშხით და ლაზათით ცელესტინა წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. მახსოვს, კონცერტის შემდეგ, ზღვა ხალხი როგორ ეხვეოდა ამ უმშვენიერეს ზანგ ქალს, და აღფრთოვანებით სახსე კოცნას უგზავნიდა.

თბილისში სწორედ ტ. თარუმოვის დროს ჩამოვიდა მუსიკოს-შემსრულებელთა ისეთი ბრწყინვალე წყება, როგორიც იყვნენ დირიჟორები: ფრიდი, შტირდი, სენკარი, მევიოლინეები: დ. ოისტრახი, ბ. ფიშმანი, პიანისტები: ე. გილელსი, გ. გინზბურგი, მ. იუდინა, ი. ფლიერი და სხვა.

ამ დროს ჩვენი ქართული ესტრადა ახლად იდგამდა ფეხს და დავაჟკაცებამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო სჭირდებოდა. მაშინ უკვე ესტრადის სახელმძღვანელო მსახიობთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ვ. გოძიაშვილი, ე. აფხაიძე, ია ქანთარია, გ. სალარაძე, ს. ჯაფარიძე და ლ. კავსაძე.

ერთხელ კონსერვატორიაში სტუდენტთა კონცერტის დროს კულისებიდან გამომიძახა დაბალი ტანის შავგვრემანმა კაცმა და გამეცნო. თან მთხოვა მასთან მივსულიყავი. ეს იყო ტიგრან თარუმოვი. მეორე დღეს საკონცერტო ბრიგადის წევრი გავხდი, რომელსაც აკ. ვასაძე ხელმძღვანელობდა. ეს ბრიგადა დასავლეთ საქართველოში მიემგზავრებოდა გასტროლებზე. ჩემთვის, სრულიად ახალგაზრდისათვის, ეს საკონცერტო ტურნე საამაყო იყო; თანაც, ყოველგვარი წინასწარი საკვალიფიკაციო გამოცდის გარეშე, თარუმოვმა განაკვე-

თი ც და მინიშნა 80 მანეთის რაოდენობით. ეს დიდ განაკვეთად ითვლებოდა პროფესიონალებისთვისაც კი.

ამ მხატვრულ ბრიგადაში, გარდა თბილისისა, შედიოდნენ ლენინგრადისა და მოსკოვის ესტრადის მსახიობები.

ასე ვეზიარე სულ პირველად საკონცერტო მოღვაწეობას. ამ-ს შემდეგ ბევრჯერ მქონია ბედნიერება სტუდენტობაშივე გამოვსულიყავი სხვადასხვა ხასიათის კონცერტებზე სხვადასხვა ქალაქებში (ბაქო, ერევანი, მოსკოვი და სხვა).

ჯერ კიდევ 1940 წელს. დიდი თეატრის სოლისტების — მომღერალთა და ბალეტის წამყვან არტისტთა — შემადგენლობაში მეც ვიყავი როგორც ერთ-ერთი მონაწილე. ჩვენ ვესტუმრეთ ოდესას; კონცერტი გავმართეთ ამ ქალაქის განთქმულ საოპერო თეატრში. ამავე ქალაქში 5 კონცერტი მივეციტ სხვადასხვა საზაფხულო ესტრადებზე. დიდი თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა კონცერტები ტრიუმფალური წარმატებებით მიმდინარეობდა. ჩვენს ბრიგადაში იყვნენ ოლდა ლეპეშინსკაია, საშა ცარმანი, ტატიანა ტალახაძე, ზელეზინსკი, ხრომჩენკო, მინა შემელკინა და მე. როიალის პარტიას ასრულებდა შესანიშნავი მუსიკოსი ქალი. დიდი თეატრის დირიჟორი ევგენია სლავინსკაია. კონცერტები ერთ თვეს გაგრძელდა.

ამავე წლის ზამთარში მოსკოვის ფილარმონიის ხაზით საგასტროლოდ არხანგელსკს გავემგზავრეთ. ბრიგადაში შედიოდნენ — ბალაშოვი (მხატვრული კითხვა), სმირნოვ-სოკოლსკი, ი. ფლიერი, ილია ნაბატოვი. მ. კოზოლუპოვა და მე. არხანგელსკი სიცივეებით შეგვხვდა. მაგრამ ჩრდილოეთის ამ თვალუწვდენი ტრამალებით გარშემორტყმულ ქალაქს საკმარისად ავსებდა და აცოცხლებდა ადამიანთა ბელოვნებისადმი სიყვარულით გამოთბარი გულები. აქ კონცერტები არაჩვეულებრივი წარმატებით ტარდებოდა.

1946 წელს გამოჩენილ მომღერალ ქალთან, ნინა ვალაცისთან ერთად, საგასტროლოდ გავემგზავრე ბალტიისპირეთის ქალაქებში: კაუნასში, ვილნიუსში. რიგაში. ტალინში, აქედან კუნძულ სარემოში და სხვა.

პირველ განყოფილებაში მღეროდა ნ. ვალაცი, მეორეში — მე. ამ შესანიშნავ ადგილებში ბევრი სიხარულით საცხე დღეები გამიტარებია. ნინა ვალაცი ბრწყინვალე მომღერალი, სიმღერის ნამდვილი იტალიურ მანერას დაუფლებული და შესანიშნავი მეგობრული თვისებებით შემკული ადამიანი ყოველთვის მხარს მიბამდა როგორც

ხელშეწყობის-არტიტი. ამხანაგი და თანამოაზროვნე. ჩვენ თითქმის 25 კონცერტი ჩავატარეთ ერთად და ჩვენი მეგობრული დამოკიდებულება და ამხანაგური გრძნობა არც ერთხელ არ შეზღაღულა. მე ყოველთვის მადლიერების გრძნობით ვიგონებ მას. ქ. ტალინში მრავალი დაუვიწყარი წუთები განვიცადეთ. გვახარებდა ფილარმონიის ღარბაზში კონცერტის მაღალმხატვრულ დონეზე ჩატარება და ტალინელ მეგობრებთან შეხვედრები.

ერთი მათგანი სეპრეს ოჯახია, ფართოდ ცნობილი. ტალინში. სეპრე—ეს შესანიშნავი ადამიანი და საზოგადო მოღვაწე, თბილისში გავიცანი, როცა ჩვენი ქალაქი საბჭოთა წყობილების 25 წლისთავს დღესასწაულობდა. სეპრეს ოჯახის გულწრფელმა, მეგობრულმა მასპინძლობამ ყველანი მოგვაჯადოვა. მათი მეოხებით საშუალება მოგვეცა გვენახა შვეციის საზღვრებთან ახლო მდებარე კუნძული სარემო. სწორედ ამ კუნძულზეა აგებული შესანიშნავი ნაგებობა — ძველისძველი ციხე-სიმაგრე, რომლიც უწინ ესტონეთის მიწის დამცველ ფარად იყო აღმართული. აქ გავეცანით კუნძულის მცხოვრებთა თავისებურებებს. კუნძულის მკვიდრნი საკმაოდ სტუმართმოყვარენი აღმოჩნდნენ. კუნძული ცხოვრობს „პატარა“ მიწის ცხოვრებით. ჩვენ აქ გვიამბეს, თუ როგორ გმირულად იცავდნენ საბჭოთა მეომრები სამამულო ომის პერიოდში ამ კუნძულს, რამდენჯერმე გადავიდა იგი ზღლიდან ხელში. ისიც გვიამბეს, თუ რა ტრაგიკული მომენტებით იყო სავსე ხელჩართული ბრძოლები წყვედიანი ღამის გარემოცვაში, როცა საბჭოთა ჯარისკაცები და გერმანელები ვერ ცნობდნენ ერთმანეთს და ზოგჯერ, შიშის ზარით შეპყრობილნი, თავისივე ძმას, მეგობარს უსპობდნენ სიცოცხლეს. ბევრი კარგავდა გონებას, ბრძოლის ველზე კბილებით დაძიმებული გვამები ეყარა. ამ კუნძულის მოსახლეობას ორი უფასო კონცერტი გავუმართეთ. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დიდი მადლობა გამოგვიცხადა, ხოლო სეპრემ და მისმა ოჯახმა სამუდამო ვალად იღვა ჩვენი პატივისცემა.

ერთი კვირის შემდეგ დავტოვეთ ეს შესანიშნავი მხარე, სეპრეს კეთილი ოჯახი და საქართველოსაკენ გამოვეშურეთ. 1950 წელს მე კვლავ ვესტუმრე ესტონეთს, სადაც ორი სპექტაკლი („ონეგინი“ და „ტრავიატა“) ვიმღერე, ხოლო საკონცერტო ესტრადაზე ოთხი კონცერტი ჩავატარე, მოვინახულე ძველი კეთილი მეგობრები და ნინო ვალაცის მათდამი დაუვიწყარი პატივისცემისა და მეგობრული სიყვარულის გრძნობები გადავეცი.



არ მიყვარს წვიმიანი დღე, განსაკუთრებით ჩრდილოეთში. სუნ-  
თქვა ჭირს, მზით გასხივოსნებული ამინდი სანატრელი ხდება.

ერთ-ერთ ასეთ წვიმიან საღამოს მოსკოვის სასტუმრო  
„მოსკოვი“ დავტოვე და ბელორუსიის რკინიგზის სადგურისაკენ გა-  
ვემგზავრე. საქართველოს სახელმწიფო ცეკვის დამსახურებული  
ანსამბლი ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით  
გერმანიასა და ავსტრიაში მიემგზავრებოდა საგასტროლოდ; მეც  
სწორედ ამ ანსამბლს მივეყვებოდი როგორც მომღერალი.

1949 წლის 31 ივლისს მატარებელმა, ბელორუსიის გავლით,  
საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი გადასერა და გმირი ციხე-  
სიმაგრის — ბრესტის შემდეგ გეზი ბერლინისაკენ აიღო. ოთხი  
დღე-ღამის დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ ბერლინის ნახე-  
რად დანგრეულ სადგურს მივალწიეთ. განვცვიფრდი: ნუთუ ეს ის  
ბერლინია, რომლის სახელის გაგონება, სულ რამდენიმე წლის წინ,  
საბჭოთა ადამიანის გულში ზიზღსა და სიძულვილს ბადებდა? მატა-  
რებელი გაჩერდა. სადგურზე შეგვხვდნენ ადგილობრივი ხელისუფ-  
ლების წარმომადგენლები. შემდეგ გავემგზავრეთ ქალაქის გარე-  
უბანში — კაიზერპოფში. ეს ბერლინის ერთადერთი კუთხე იყო,  
რომელიც ომის საშინელ ქარტეხილებს გადაურჩა. იდგა კაიზერპო-  
ფი უვნებელი, უჭრილობო, თითქოს მის ცას და მის გარემოს უბრა-  
ლო ტყვიაც კი არ შეხებია. ამ უბანში ცხოვრობდა საბჭოების ქვეყ-  
ნიდან ჩამოსული ყველა მოქალაქე.

ქალაქის სწორედ ამ ნაწილში, მყუდრო ქუჩაზე, უვნებლად  
იდგა სახლი, რომელშიაც გერმანიის სამხედრო ნაწილმა ხელი მოა-  
წერა კაპიტულაციაზე და ამით დაასრულა ოცნება გერმანიის მსოფ-  
ლიო ჰეგემონიაზე. იმ დამეს ჩვენთვის განკუთვნილ ოთახებში მოვი-  
სვენეთ. მეორე დღეს გავემგზავრეთ ბერლინის დასათვალიერებ-  
ლად. რამდენიმე წუთის შემდეგ გავედით თვალუწვდენი ქუჩის  
დასაწყისში, ეგრეთ წოდებულ „ფრანკფურტერ ალიაზე“. კაიზერ-  
პოფიდან ამ გზამ ბერლინის მინგრეულ-მონგრეულ ცენტრამდე  
მიგვიყვანა.

ბერლინის ქუჩებზე გადარჩენილი სახლის კედლებზე ჩვენი  
აფიშები გამოჩნდა. ისინი ქართველ მოცეკვავეთა ანსამბლის ჩამოს-  
ვლას იუწყებოდნენ. ომის შემდეგ ეს იყო პირველი კონცერტი. და

აი. 6 აგვისტოს, ბერლინის ცენტრალურ მოედანზე (ლუსტგარტენ) სპეციალურად იქნა აგებული ვეებერთელა სცენა.

ამ სახელდახელო სცენის მოსაწყობად აუარებელი გერმანელი იღებდა. მონაწილეობას. ისინი დიდი მონდომებით, ბეჯითად ეზიდებოდნენ ვეება ფიცარნაგებს. საერთო ენთუზიაზმს თან ერთვოდა ხალხის ინტერესი ქართველი მოცეკვავეებისადმი. ლუსტგარტენის მოედანი ზღვასავით ღელავდა. კონცერტის მოსასმენად 300 ათასამდე გერმანელი მოსულიყო. კონცერტი დაიწყო. სცენის ფართო არენაზე აღიშართა ქართველ მოცეკვავე ვაჟთა მომაჯადოებელი ფიგურები. ისინი მწყობრად, მკაცრი რიტმის ქვეშ ცეკვით გარს უვლიდნენ სცენას და ქართული ცეკვის დამახასიათებელი ილეთებით წარმტაც სანახაობას ქმნიდნენ. ქალ-ვაჟთა ერთობლივი დავლა და ისევ წრის შემოვლა მთელი სცენის გასწვრივ ბრვე ადამიანთა მიერ აგებული „კედლის“ შთაბეჭდილებას ქმნიდა. სწორედ ამ „კედლის“ ფონზე, კულისებიდან სცენაზე შემოცურდნენ ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი. გერმანელები მოიხიბლნენ ცეკვა „ქართულით“. მათი სვლა წყნარ ტბაზე ვედების ნარნარ და თავმოღერილ სვლას ჰგავდა: ქართველი ქალის სინაზის გამომსახველი ხელების შთამბეჭდავი მოძრაობა, სათნოებით სავსე თვალები, ხშირად თავის დახრა ახოვანი ვაჟკაცური ეშხის წინაშე, ყოველივე ეს, ცეკვის გამომსახველ პაექრობაში ტოლს არ უდებდა ვაჟკაცს. ამ საოცარი სიღარბაისლით სავსე ცეკვას სუნთქვაშეკრული, განცვიფრებული შესცქეროდნენ მაყურებლები. ჩვენს მოცეკვავეთა მაღალი ოსტატობა თვალნათლივ ჩანდა მათ რაინდულ მოძრაობებში. საამაყო „ქართული“ გამოხატავდა ქართველი ადამიანის მაღალზნეობას, ქალისადმი პატივისცემას და მის თანასწორუფლებიანობას. ეს ცეკვა ეპიკური და თვითმყოფადია. მისი თავშეკავებული შინაგანი ძალა, თავის სიღრმეში, ერის შორეული წარსულის დიდების მღალადებელია ამიტომ იყო რომ გერმანელმა მაყურებელმა არაჩვეულებრივი აღტაცებით მიიღო ქართველ მოცეკვავეთა ეს პირველი გამოსვლა სცენაზე. ამას მოჰყვა ცეკვა „ხორუმი“ — მკვირცხლი. სწრაფი, უჩვეულო რიტმული ზომის, მშფოთვარე, საბრძოლო გარემოებით გამოწვეული, სწრაფი აზრისა და გამჭრიახ გადაწყვეტილებათა ამსახველი მოძრაობებით, პეროიკული და ვაჟკაცური შემართებით სავსე. ჩვენი ცეკვები მაყურებელში მართებულად იწვევდა აღფრთოვანებას, აღტაცებით სავსე შეძახილებს. კომპოზიცია, როგორც ინდივი-

დუალურ, ისე მასობრივ ცეკვებში, ხელს უწყობდა და ზრდიდა შთაბეჭდილებათა სიუხვეს. მაყურებლის წინაშე იშლებოდა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მატრიანე, ქართველი ხალხის გმირული წარსულის სინამდვილე. „ხორუმი“ ილიკო სუხიშვილის დადგმით ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია ქორეოგრაფიული სრულყოფის მხრივ.

კონცერტის წამყვანი გერმანულ ენაზე აცხადებს შემდეგ ნომერს — „ხევსურულს“. ამ ცეკვას ნინო რამიშვილი და და გივი სურგულაძე ასრულებდნენ. ცეკვაში არაჩვეულებრივი ორიგინალობით მოჩანს ხევსურისათვის დამახასიათებელი თვისებები: კოლორიტული მოძრაობანი, ქალის აშკარა უპირატესობათა გამოვლინება, ქედმალლობა, სიამაყე. ქალის წინ მუხლებზე დაჩოქილი ვაჟი მას გარს უვლის და თან თავიდან მოხდომს ქედს მოძრაობის დროს ქალს შეუხებლად წელზე ავლებს — აქაო და რა მარდი და სწორუპოვარი ვარო! ეს ცეკვა შემსრულებლისაგან ვირტუოზულ ტექნიკას, ტემპერამენტს და არტისტულ ნიჭს მოითხოვს. ხალხის დაუსრულებელი თხოვნით ეს ცეკვა გამეორებით შესრულდა.

მაყურებელში თანდათან იზრდებოდა აღფრთოვანების ტალღა. ყოველი ნომრის შემდეგ — ალტაცება, განცვიფრება და სიხარულის უხილავი ძალა შეძახილებსა და ოვაციებში გადადიოდა.

ასე მოხდა სწორედ მაშინ, როცა ვაჟთა ჯგუფი ყიფინით, თავბრუ დამხვევ ტემპში, ხმლებით ხელში სცენაზე შემოიჭრა და ცეცხლოვანი ტემპერამენტით ელვისებურ მოძრაობაში დაიწყო ერთმანეთის „ჩეხვა“. მე ხალხს მივჩერებოდი და მათი ძლიერი შთაბეჭდილებების გამომხატველი სახეები ნორმიდან გამოსულ ადამიანთა სახეებს მაგონებდა.

მათი ხან შიშით მოხუტული, ხან აღფრთოვანებით გაშლილი თვალები, ხან მოცინარი, ხან შემკრთალი კარიკატურისტ მხატვრის ნამუშევრებს მაგონებდა.

ეს იყო იმ დიდი, ჭერ არნახული შთაბეჭდილებების შედეგი, რომლითაც აღივსო ამ ანსამბლის გამოსვლით გაოგნებული გერმანელი მაყურებელი.

ჩემი სცენაზე გამოსვლის დრო ახლოვდებოდა. კულისებში შევედი და მზადება დავიწყე. ჩემთან შემოვიდა ნელი ჩიქოვანი (კონფერანსიე) და რეპერტუარი შემითანხმა. ნელი ჩიქოვანი გერმანულ ენაზე აცხადებდა ნომრებს, გამოცხადების შემდეგ შემსრულებლე-

ბისა და ნაწარმოების შესახებ მცირე ანოტაციას იძლეოდა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი შესანიშნავად ფლობდა გერმანულ ენას და თავისი ცოდნით მოწონებას იმსახურებდა გერმანელთა შორის. ნ. ჩიქოვანი აკომპანიატორადაც გამოდიოდა. იგი ყველასათვის საჭირო და საყვარელი მეგობარი იყო.

— ბათუ, თქვენ უკვე გამოგაცხადეთ, — მითხრა ნელიმ და ნოტები ხელში აიღო. ორივენი ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში ვიყავით გამოწყობილნი. პირველ ნომრად შევასრულე დ: არაყიშვილის რომანსები — „ვარსკვლავიანსა ღამეს“ და „თეთრია ღამე“. აქ რომანსებს არაყიშვილისავე აბდულ არაბის არიოზოც მივაყოლე. ხალხი არ მიშვებდა სცენიდან. მსმენელთა აღფრთოვანებამ მწვერვალს მიღწია, როცა შუბერტის და შუმანის რომანსები გერმანულ ენაზე შევასრულე. უცბად ხალხიდან შემომესმა ძახილი: „სულიკო“, „სულიკო. „სულიკო“, ამ ხმას მთელი მოედანი შეუერთდა. დამეც, თუმცა მოუშზადებელი ვიყავი, მაგრამ მაყურებელს სურვილი მაინც შევეუსრულე. ამ სიმღერას ვმღეროდი ჩუმი ღიღინით, ნახევარი ხმით. ქართული ცის ქვეშ დაბადებულ „სულიკოს“ მშობლიურ ეშხს და მიმზიდველობას არ ვაკლებდი. „სულიკოს“ სიმღერამ კიდევ უფრო აღაფრთოვანა მაყურებელი და იტყულებული გავხდი კიდევ ერთი ქართული რომანსი იმემღერა. ეს გახლდათ ცნობილი „გენაცვალე“.

ამ სიმღერის გულში ჩამწვდომი თავისებურებანი გასაგები და სიამოვნების მომგვრელი აღმოჩნდა გერმანელებისათვის. ახლაც თვალწინ მიდგას სიხარულით და ღიმილით გამთბარ მსმენელთა თვალები, უშუალო ალერსით რომ მიცქერდნენ.

დამთავრდა პირველი განყოფილება. კეთილის მსურველთა ვეებერთელა ტალღა სცენისაკენ დაიძრა. ჩვენ ხალხით გარშემორტყმულ რკალში მოვექეციით. სურათების გადაცემა, კორესპონდენტთა შეკითხვები, ადგილობრივ მეგობართა მოლოცვები — ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა. ბოლოს. თითქოს ყოველივე რომ მიწყნარდა, ცოტათი მოშორებით ჩვენი ბიჭები და გოგონები ვილაცას გაცხოველებით ესაუბრებოდნენ. ილიკო სუხიშვილმა დამიძახა. მივუახლოვდი, რა მოხდათქო შევეკითხე და ილიკოს მაგიერ შავ-ხუკუჭა თმთანმა ბიჭმა მიპასუხა:

— მე ქართველი ვარ, აქ ბერლინში დაბადებული და გაზრდილი. დღევანდელ დღეს მოუთმენლად ველოდი. დედაჩემი აი იქ ზის, პარტერის პირველ რიგში. იგი ხშირად მიამბობს ჩემს ზღაპრულ

სამშობლოზე. ახლა თქვენ რომ გხედავდით, ყველაფერი ცოცხლად წარმოვიდგინე, რასაც დედა მიამბობდა. ის ერთი წუთით გაუჩინარდა; ცოტა ხნის შემდეგ მან დედა მოიყვანა. ქალი ხმას ვერ იღებდა, გვეხვეოდა თვალცრემლიანი. ბოლოს დამშვიდდა და მოგვიყვა თავისი თავგადასავალი. თურმე ის და მისი ქმარი ომის დაწყების წინ წასულან ბერლინში სასწავლებლად და იქვე დარჩენილან. — ჩემი ქმარი ინჟინერი იყო, ომამდე გარდაიცვალა. მე პედიატრი ვარ და კლინიკაში ვმუშაობ ბავშვთა ექიმად. მე და ჩემი ბიჭი ვცხოვრობთ ობლად. ქართულ მიწას მონატრებულნი. ჩემი გვარია თოდუა, მეუღლე წულუკიძე იყო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ იმ დიდ სიხარულს, რასაც თქვენი ნახვით განვიცდით. ერთხელ აქ, ფილმის გადაღების დროს, ჩვენი ცნობილი რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი ვნახე და იმის შემდეგ დიდხანს ვიყავით მხნედ. ახლა ამოდენა ქართველების ერთად დანახვამ, თქვენმა ხელოვნებამ, ცეკვამ, სიმღერამ სულ გამიხსნა გულის იარები და არ ვიცი, თქვენი წასვლის შემდეგ როგორ გავძლებ. ნინომ უთხრა:

— თუ ასე გენატრებათ საქართველო, სამშობლო თქვენ ალერსით მიგიღებთ.

— ახლა ჩემი შვილი დაამთავრებს სამედიცინო ინსტიტუტს და ჩვენ აუცილებლად ჩამოვალთ საქართველოში, — გვიპასუხა თვალცრემლიანმა დედამ. იმ დღის შემდეგ ბერლინის რომელ თეატრში, მოედანზე თუ კლუბშიც არ უნდა გაგვემართა კონცერტი, დედა და შვილი ყოველთვის ჩვენთან იყვნენ.



გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას გამოვემშვიდობეთ და გადავედით ავსტრიაში. ჩავედით ვენაში. ვენა — შესანიშნავი ქალაქია, ლამაზად დაგეგმილი, მდიდრული ნაგებობებით. განიერი ქუჩებით, ბაღებით, „მშათა სასაფლაოთი“, თეატრებით, საკონცერტო დარბაზებით, კინოთეატრებით. მთავარი ქუჩაა რინგშტრასე. რომელიც ქალაქის ცენტრს სარტყელივით გარს ერტყმის. ამ ქუჩაზეა უნივერსიტეტი, რატუშა, პარლამენტი. აქვეა ოპერისა და დრამის თეატრები, ბაღი, ჩინებული სასაფლაო ბეთჰოვენის, მოცარტის, იოჰან შტრაუსის, იოჰან ბრამსის, შუბერტის და სხვათა ძეგლებით, ქალაქის ცენტრში მეფის ყოფილი სასახლეა.

საბჭოთა მუსიკოსების მიერ ვენის სასაფლაოს ნაზვა ერთგვარ ტრადიციად არის ქცეული. რომელი მათგანი არ იცნობს ამ გენიალურ კომპოზიტორთა შემოქმედებას? მაგრამ სულ სხვა გრძნობებს განიცდის ადამიანი, როდესაც მათ საუკუნო განსასვენ ადგილს ინახულებს. წარმოგიდგებათ მუსიკის მზის — ვოლფგანგ ამადეი მოცარტის ხანმოკლე, მაგრამ ბრწყინვალე შემოქმედებით გასხივოსნებული ცხოვრება და, ამავე დროს, ის აუტანელი, დუბჭირი პირობები, რომლებმაც უდროოდ გამოუღიეს სასიცოცხლო ძალები და ღიადობებში ამოხადეს სული ამ ნათელ გენიას. მოცარტის საფლავზე მონუმენტი აღმართული, რომელსაც აწერია „მოცარტი“, მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ მოცარტის ცხედარი, ოჯახის უმწეობის გამო, დაკრძალვის დღეს ძმათა სასაფლაოს მიაბარეს. შემდეგ, როდესაც მოცარტის ქვრივმა — კონსტანცამ თავისი ქმრის საფლავის ნაზვა მოინდომა (კონსტანცა გასვენების დღეს ლოგინად იყო ჩაყარდნილი), ვერავინ ვერ მიუთითა ზუსტად „დონ ჟუანის“ ავტორის საფლავზე. ასე „დააფასეს“ მოცარტის თანამედროვეებმა ეს შარად გასხივოსნებული მუსიკის „ჰელიოსი“...

სულ სხვა გრძნობებს აღძრავს ბეთჰოვენის საფლავი, სადაც განივენებს მძლავრი, მშფოთვარე სულის გენიოსი, ადამიანის გულის შესაიდუმლე, ხალხთა ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის თავდადებული ხელოვანი და მსოფლიოს მოქალაქე.

იქვე, მათ გვერდით, მარხია „ვალსების მეფე“ — იოჰან შტრაუსი (ვაეი), რომლის მუსიკა ათასობით ვენელს ალაფროვანებდა, ცეკვისა და მზიარულებისაკენ მოუწოდებდა. შტრაუსმა თავის შემოქმედებას ავსტრიული დემოკრატიული ცეკვის — ვალსის მელოდიკურ-ჰარმონიული მიმოქცევები დაუდო საფუძვლად და თავის უშრეტი ფანტაზიისა და ნატიფი მხატვრული გემოვნების წყალობით ეს საყოფაცხოვრებო ჟანრი მაღალპოეტური მოვლენის სიმალემდე აიყვანა.

შესანიშნავია წმ. სტეფანეს ტაძარი — თითქოს მაქმანისებური ნაქსოვიანო, მაღალი, მონუმენტური, გოთური სტილით აშენებული; ფრანც იოსების საზაფხულო რეზიდენცია, სასახლეთა და ქუჩების არაჩვეულებრივი სისუფთავე, საცალფეხო საველოსიპედო პატარა გზები. იგზების გარეთ მოთავსებული პატარა საცურაოები — ტბის მაგვარი გუბეები და ირგვლივ მოლით ამწვანებული მისადგომები. აქ უამრავი ხალხი ბანაობს და მზის აბაზანებს იღებს. ირგვლივ

სიწყნარე და სიმშვიდე. გაგაოცებთ ღუნაიზე ხიდების სამრავლე; ირგვლივ ბაღები, თავისი საოცარი, ფანტასტიკური „ქარუსელებით“, მიწისქვეშა „მატარებლებით“ და სხვა აუარებელი გასართობებით. აქვეა სწვადასხვა ქვეყნის საქონლით სავსე უამრავი მაღაზიები. სადამოთი განცვიფრებული დაფრჩი: ქუჩები ხალხით იყო სავსე. გვითხრეს. ვენის მცხოვრებნი ქალაქის მერის დაბადების დღეს აღნიშნავსო. ჰაერში ელვარებდნენ შუშხუნები, ისმოდა სიცილი, მაგრამ ყოველივე ეს — ზომიერების ფარგლებში. გამოაცა. მათხოვართა საოცარმა ჩაცმულობამ: ფრაკი ბაბთითა და ლაკის ფეხსაცმელებით. თუ არ იცით იქაურ ადამიანთა თავისებურებანი, ვერაფრით ვერ იფიქრებთ, რომ ისინი მათხოვრები არიან. დღესასწაულს ისინიც ასევე მხიარულად აღნიშნავენ. დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს მუხის და ნაძვის ხას ტყე, ქალაქის ერთ ნაწილს რომ ამკობს.

თავისუფალ დღეს ვიყავი ვენის განთქმულ ოპერეტაში, სადაც ვნახე ი. შტრაუსის უკვდავი ოპერეტა „ბოშათა ბარონი“. ძალაან კარგი შთაბეჭდილება დატოვა სპექტაკლმა.

ჩვენი პირველი კონცერტი გაიმართა ვენის ყველაზე დიდ საკონცერტო დარბაზში — კონცერტჰაუზში, რომელიც 2.500 კაცს იტევს. ბილეთები, ჩვენს ჩასვლამდე დიდი ხნით ადრე, გაყიდული იყო არა მარტო პირველ, არამედ ყველა ხუთ კონცერტზე. აქაც ისე, როგორც ბერლინში და საერთოდ გერმანიაში, ხალხი არაჩვეულებრივი სითბოთი და სასოებით გვევლებოდა თავს. ჩვენი გოგონებისა და ბიჭების მოხდენილმა ცეკვებმა — „ქართულმა“, „ხორუმმა“, და „მხედრულმა“ — ყველა მოაჯადოვა. ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. აქაც, ჩვეულებისამებრ, პირველი განყოფილება მე დავამთავრე და ვიმღერე იმდენი, რამდენიც არასოდეს არ მიმღერია. მე და ჩემი აკომპანიატორი — ნელი ჩიქოვანი — ძლიერ დავღალეთ. კონცერტის შემდეგ ჩემთან დარბაზის დირექტორი მოვიდა. მთხოვა ორი ან ერთი წლით დარჩენა და სწვადასხვა სახელმწიფოთა იმპრესარიოებთან კონტრაქტების დადება შემპირდა. მე მაღლობა გადავუხადე და აღვუთქი, რომ დაგფიქრდებოდი. კულისებში განთქმული კინომსახიობი ქალი მარიკა როკი შემოვიდა. აღფრთოვანებულმა ყველა გადაგვკოცა.

ქართული ცეკვის შემდგომი კონცერტები, ხალხში მათდაჰი დიდი ინტერესის გამო, ქალაქის რატუშის წინამდებარე, ხელოვ-

ნურად გაკეთებულ სცენაზე გამოცხადდა. ზღვა ხალხით სავსე მოედანი ტაშის და შეძახილების გრიალში აცილებდა სცენიდან მსახიობებს. მე აქ იოჰან შტრაუსის ნაწარმოებები ვიმღერე. საოცარი და დაუვიწყარია ჩემთვის ზღაპრული წარმატებებით სავსე ეს წუთები. სცენიდან გამოსვლა გაძნელდა. ხალხის რკალით შემორტყმულ დინებებს მივყვებოდი; ეს დინება კი, რალაც ბედად. ჩვენი მანქანისაკენ მიიმართებოდა.

ვინახულეთ ტიროლის მთიანი კუთხე. აქ, ერთ პატარა ქალაქში კონცერტის დროს, მაგონდება ერთი ღირსშესანიშნავი, გულამაჩუყებელი ამბავი: როცა თავად იგორის არიას ვმღეროდი, პარტერში, პირველ რიგში, ქვითინის ხმა მომესმა. როცა არიის შუანაწილს გადავშორდი და დავიწყე ფრაზა: „О, дайте, дайте мне свободу“ მოქვითინეთა ხმები ტირილში გადაიზარდა. დავამთავრე თუ არა არიის შესრულება, ოთხი ახალგაზრდა რუსი მომვარდა კულისებში, მომეხვია, მადლობას მიცხადებდა იმის გამო, რომ „რუსული არიის სიმღერით მშობლიური სული, ჩვენი მამა-პაპათა სამშობლო, დედარუსეთი გაგვიცოცხლო“. ეს ახალგაზრდები დიდხანს დავყვებოდნენ ახლომახლო კონცერტებზე და თუ რუსულს რაიმეს ვიმღერებდი — ყოველთვის თვალცრემლიანი შემოცვივდებოდნენ კულისებში და მადლობას მიხდიდნენ.



კონცერტი გავმართეთ აგრეთვე ავსტრიის ერთ პატარა ქალაქში, რომელიც ამერიკელთა ზონაში იმყოფებოდა. ადგილობრივ მცხოვრებთა ჯარდა, კონცერტს ამერიკელებიც ესწრებოდნენ. კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. როდესაც კიაზოს არია — „დამისხი დამალევი“ — დავამთავრე, მაყურებლებმა ყვირილი მორთეს „ტაუბე, ტაუბე!“ ყველანი განცვიფრებული დავრჩით. კონცერტის შემდეგ თეატრის ერთ-ერთ თანამშრომელს შევეკითხე. — რას ნიშნავს სიტყვა ტაუბე? მან თარჯიმანის საშუალებით სიამოვნებით განმიმარტა:

— ტაუბე ჩვენთვის ძვირფასი და საყვარელი სახელია. ის იყო გამოჩენილი ავსტრიელი მომღერალი, რომელიც უსაზღვროდ უყვარდა ყოველ ავსტრიელს. ინგლისში გასტროლებზე ყოფნის დროს ტაუბე უეცრად სცენაზე გარდაიცვალა. მის ხსოვნას მოწიწებით



ინახავს ჩვენი ხალხი. თუ რომელიმე მომღერალი ძალზედ მოეწონებათ, ალტაცების გამოსახატავად მის სახელს გაიძახიან ხოლმე. მე რაც მახსოვს ეს მეორე შემთხვევაა: რომ გასტროლიორს „ტაუბე“ დაუძახონ. ომის წინა წლებში ასეთი პატივი ერთმა იტალიელმა მომღერალმა დაიმსახურა; ახლა კი თქვენ!...

ერთ დღეს კონცერტი უნდა ჩაგვეტარებინა ავსტრიის რომელიღაც ნახევრად დანგრეულ ქალაქში; ღია ცის ქვეშ, პირდაპირ მინდორზე აღმართულ ესტრადაზე. ჩემი გამოსვლის მოლოდინში კულისებიდან გამოვედი და მინდორში ოდნავ შემალღებულ ადგილზე წამოვჯექი. კონცერტს დიდი წარმატება ჰქონდა. მშვენიერი სალაშო იყო, ირგვლივ თანდათან ხალხი შემოიკრიბა. გვერდით მჯდომმა სიმპათიურმა ქალმა შინაურულად ლაპარაკიც კი გამიბა. ხანდახან რალაცას მეკითხებოდა კიდევ: მეც თანხმობის ნიშნად თავს ვუყრავდი. ის იცინოდა და მხიარულად განაგრძობდა ბაასს. ერთ შეკითხვაზე მე ისევ თავი გავუქნიე; ის შეკრთა და გაკვირვებით დამიწყობა ცქერა. როგორც ჩანს ჩემი თანხმობა გაიოცა. მე გატაცებით სცენას მივჩერებოდი და ჩვენების წარმატება მიხაროდა. უცბად, კონცერტის წამყვანმა — ნელი ჩიქოვანმა — ჩემი გვარი გამოაცხადა. მე უბოდიშოდ წამოვხტი და ესტრადისაკენ გავიქეცი. ეს ქალი გამოემეკიდა უკან. როცა სცენაზე ავედი და სიმღერა დავიწყე, უცნობი წინა რიგში ჩამდგარიყო და ხმამაღლა იცინოდა.

როდესაც სიმღერა დავამთავრე, ის ქალი სცენაზე ამოიჭრა და ხალხს მიმართა: ჩემი ნაცნობი მეგონა. ეს კი ქართველი მომღერალი ყოფილა. ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება ასეთი მსგავსებაო! და ბოდიშს მიხდოდა თავის შეცდომისათვის. ეს რომ გავიგე, მაყურებლებთან ერთად მეც ბევრი ვიცინე და ჩემი ახირებული ნაცნობის საპატივცემულოდ გერმანულ ენაზე შუმანის რომანსი „Ich grolle nicht“ („მე არ ვჯავრობ“) ვიმღერე.

ავსტრიაში უამრავი კონცერტი ჩავატარეთ. თავისუფალ დროს სტუმრად მივდიოდით ფაბრიკებსა და ქარხნებში და მათთვის საშეფო კონცერტებს ვმართავდით. საშეფო კონცერტები ყოველთვის მეგობრულ ვითარებაში ტარდებოდა.

ერთხელ გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ვილჰელმ პიკმა თავისთან მიგვიწვია. ეს სათნო გულისხმიერი ადამიანი გულუხვად დაგვიმთავაშინებდა, ჩვენს პატივსაცემად დიდი ბანკეტი გამართა და გამოჩენილ გერმანულ არტისტთა მონაწილეობით მრავალფერო-

ვანი კონცერტიც ჩაატარა. პიკმა წარმოთქვა სიტყვა, სადაც ქება-  
დიდება მიუძღვნა ანსამბლს, ჩვენს ქვეყანას — საქართველოს.

— საქართველო, — თქვა მან, — დიდი თვითმყოფადი ნიჭის  
ქვეყანაა. იგი ყოველთვის ბრწყინავდა მრავალსაუკუნოვანი წარსუ-  
ლით, ხოლო თავისი გამოჩენილი შეილებით მას მთელ მსოფლიოში  
შეუძლია იამაყოს.

ერთხელ, ავსტრიელი ინტელიგენციის მიწვევით, შეხვედრა გა-  
გვიმართეს; ბევრი სადღეგრძელო შეისვა საერთოდ საბჭოთა კავ-  
შირის და კერძოდ, — ქართული კულტურის სადიდებლად. მათ  
შორის არ შემოძლია არ აღვნიშნო გამოჩენილი ორიენტალისტის  
პროფ. რობერტ ბლაიხსტეინერის მიერ წარმოთქმული სიტყვა ჯერ  
გერმანულად, შემდეგ კი ქართულად. მან ზეპირად წაიკითხა ვაჟას.  
გალაკტიონისა და გრიშაშვილის ლექსები. იგი დინჯად, დარბაისლუ-  
რად ლაპარაკობდა. ლაპარაკის დროს არქაულ სიტყვებს ურევდა. მე  
მას სუფრაზე ცნობილი „გენაცვალე“ ვუმღერე უაკომპანემენტოდ.  
დიდად კმაყოფილი ქართულად მიხდიდა მაღლობას. მეორე დღეს  
სასტუმროში მოვიდა ჩემთან და მის მიერ თარგმნილი დ. კონქაძის  
„სურამის ციხე“ მომიტანა წარწერით: „ბატონ ბათუ კრავეიშვილს  
პატივისცემით. რ. ბლაიხსტეინერი“.

ვარშავა. ისევე, როგორც ბერლინი, საშინლად დანგრეული  
იყო; კონცერტი დრამატული თეატრის შენობაში გავმართეთ.  
ხალხით გაჰყდილი დარბაზი მქუხარე ოვაციებით შეგვხვდა. ყო-  
ველი ნომერი, გავლა თუ ფეხის გასმა, ცერზე შედგომა, ხმლის და  
ფარის შეჯახება — აღტაცების შექანალებში იძირებოდა. მე იმ  
დამეს სცენაზე ჩოხაში ჩაცმული გამოვედი. ვიმღერე ქართული და  
რუსული სიმღერები; ბოლოს შოპენის „შინკარენკა“ პოლონურ  
ენაზე შევასრულე. მეორე დღეს პრესა განსაკუთრებული ქებითა და  
დიდებით გამოეხმაურა კონცერტს. წერილებში ხაზგასმით აღნიშნა-  
ვდნენ ქართულ ტემპერამენტს, მოცეკვავე ქალთა სინარჩარეს და  
მოხდენილობას, შესრულების მაღალ კულტურას და ოსტატობას.  
ბეკდავდნენ წერილებს ჩვენს 'ლიტერატურაზე და კერძოდ ქართულ  
ზელოვნებაზე, ქება-დიდებით იხსენიებდნენ ჩვენს წარსულს და  
აწმყოს.

ვარშავაში რამდენიმე კონცერტის ჩატარების შემდეგ მე მიმი-  
წვიეს პოზნანის საოპერო თეატრში სპექტაკლებში მონაწილეობის  
მისაღებად. პოზნანი — გერმანიის საზღვრებთან ახლო მდებარე

ქალაქია. თეატრის მთავარი დირიჟორი იმ ხანად იყო გამოჩენილი პოლონელი დირიჟორი, პედაგოგი და მუსიკალური მოღვაწე პროფ. ვალერიან ვალერიანის ძე ბერდიაევი (1885-1956).

განათლებით ინჟინერმა (დაამთავრა კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი). მთელი თავისი ცხოვრება მუსიკის ხელოვნებას შესწირა. მუსიკალური განათლება მან ლაიფციგის კონსერვატორიაში მიიღო, სადაც სადირიჟორო ოსტატობას არტურ ნიკიშის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა, ხოლო კომპოზიციის თეორიას — ცნობილი კომპოზიტორის მაქს რეგერის კლასში გადიოდა. ვ. ვ. ბერდიაევი პირველად, როგორც დირიჟორი, გამოვიდა 1906 წელს, ღრეზდენში, შემდეგ ლაიფციგში, სადაც მან უხელმძღვანელა სპექტაკლს — პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“. მისი შემდგომი მოღვაწეობა შიმღანარეობდა რუსეთში. უმთავრესად პეტერბურგის საიმპერატორო საოპერო თეატრში. როგორც გასტროლიორი რუსეთის სხვა ქალაქებსა და უცხოეთშიაც გამოდიოდა.

1925-27 წლებში ბერდიაევი სხვადასხვა დროს მუშაობდა დირიჟორად ლენინგრადის ფილარმონიაში, სრულიად უკრაინის საოპერო გაერთიანებაში, სვერდლოვსკის საოპერო თეატრში და სხვა. ამავე წლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა კიევის კონსერვატორიაში, სადაც მის მოწაფეთა შორის იყო დირიჟორი ნათან რახლინი.

პოლონეთში დაბრუნებისთანავე ბერდიაევი დაინიშნა ვარშავის საოპერო თეატრის მთავარ დირიჟორად და ადგილობრივი კონსერვატორიის პროფესორად, სადაც იგი პოლონეთ-გერმანიის ომამდე მუშაობდა. 1949 წლიდან იგი მოღვაწეობდა როგორც ქ. პოზნანის საოპერო თეატრის მთავარი დირიჟორი და დირექტორი.

სახელგანთქმული პოლონელი მომღერალი ქალი ზ. ვაიდა-კოროლევიჩი თავის მემუარული ხასიათის წიგნში „ცხოვრება და ხელოვნება“ (გამომცემლობა „ისკუსტვო“ 1965 წ.), აღნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პოლონეთში დაიწყო ხელოვნების ინტენსიური აღორძინება. იმართებოდა სიმფონიური კონცერტები, რომლებშიაც მონაწილეობდნენ ცნობილი პოლონელი პიანისტები, მევიოლინეები, მომღერლები და დრამის მსახიობები.

— ბრწყინვალე კონცერტები,—წერს ზ. ვაიდა-კოროლევიჩი, რომელთაც ძირითადად, გამოჩენილი სიმფონისტი, პროფესორი ვალერიან ბერდიაევი დირიჟორობდა, განაწამებ ადამიანებს, ცხოვრების

იმ მძიმე პირობებში, ჭეშმარიტად მაღალმნატვრულ განცდებსა და სიამოვნებას ანიჭებდნენ.

პოზნანში ღამით ჩამოვედი თარჯიმან ქალთან ერთად. წვიმდა, შემოდგომის მომაბეზრებელი უამინდობა სუნთქვას აძნელებდა. მასპინძლები, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების წევრები და საოპერო თეატრის წარმომადგენლები, ყვავილებით შემომეგებენ. მისალმების შემდეგ სასტუმროსაკენ გავსწიეთ. აქ ყველაზე საუკეთესო სასტუმროს „ბაზარი“ ერქვა. მეორე დღით თეატრის ადმინისტრატორის თანხლებით თეატრს ვეწვიე. თეატრში შესვლისთანავე ვალერიან ბერდიაევი შემეგება.

— მე ძალიან მოხარული ვარ, ჩემი ახალგაზრდობის ტკბილად მოსაგონარი ქალაქის — თბილისის მკვიდრი ჩვენი სტუმარი ხართ და ჩვენს თეატრში იმღერებთ. ძლიერ მიყვარს ეს მხარე და მისი ხალხი. მე დიდხანს ვმუშაობდი რუსეთში, იგი ჩემი მეორე სამშობლოა და იმ ქალაქთა შორის, რომლებიც რუსეთში მინახავს, ყველაზე ლამაზი და თავისებური თბილისია. მე იქ „სტელას“ ბაღში ვდირიჟორობდი სიმფონიურ ორკესტრს. ტემპერამენტული და სტუმართმოყვარე ხალხია. შემდეგ მან სპექტაკლის მონაწილე დასი გამაცნო და შემღერებაზე მიმიწვია. თავს ცუდად ვგრძობდი. გაძულებული წვიმიანი ამინდი, მომაკვდინებლად მოქმედებდა ჩემზე, ხოლო წვიმებისაგან გამოწვეული სინესტე ხომ მთლად მსპობდა. შემღერება დავამთავრე. ბერდიაევის მანქანით სასტუმროში გავემგზავრეთ. სასტუმროში მისვლისთანავე თარჯიმანმა ცხელი ჩაი დამალევინა და ცოტათი მოვსულიერდი.

ღილით ბერდიაევი მეუღლითურთ სასტუმროში მეწვია, ჩაი და საუზმე მომიტანა.

— თუ აქ გიჭირთ ყოფნა, ძალიან გთხოვთ, არ მოვერიდოთ. ჩემთან წამობრძანდით. ჩვენთან უკეთ იქნებით. იქ მხოლოდ მე და ჩემი მოხუცი დედაკაცი ვცხოვრობთ.

იმავე საღამოს ვიმღერე „ტრაგიატაში“. ვიმღერე მთელი მონდომებით. ჟერმონის არია გამამეორებინეს. ორკესტრი, გუნდი და სოლისტები, მაყურებლებთან ერთად, დიდხანს მესალმებოდნენ სცენაზე. მომართვეს ცოცხალი ყვავილების თაიგული და სპექტაკლის მონაწილეთა მიერ გარშემორტყმული სასტუმროსაკენ გავემგზავრეთ. იქ შესანიშნავად გაწყობილი სუფრა დავგვხვდა. ღამის სამ საათამდე

სტუმართმოყვარე პოლონელ კოლეგებს შორის ვიმყოფებოდი განცხრომით.

მეორე დღეს სიცხემ 39 გრადუსამდე ამიწია. შეწუხებული მასპინძლები თავს დამტრიალებდნენ. მესამე დღეს „კარმენში“ ვერ ვიმღერე კარგად, სიცხის გამო თავბრუსხვევა მქონდა და ხმაც არ მემორჩილებოდა. სპექტაკლას დამთავრებისთანავე მოიჭრა ჩემთან ბერდიაევი და თავის სახლში მიმიპატიჟა დაყინებით. მიზეზიანობის თავი აღარ მქონდა და ულაპარკოდ გავყევი ბერდიაევს. ორი დღის შემდეგ გამოვმჯობინდი და კრაკოვში გავემგზავრე ანსამბლთან შესაერთებლად. იქ ვიმღერე კონცერტი და შემდეგ, ანსამბლთან ერთად, კვლავ ქალაქ პოზნანს ვეწვიე. კონცერტმა შესანიშნავად ჩაიარა. მე უკვე მიცნობდნენ და მოსვლისთანავე მხურვალედ მიმიღეს.

იმავე საღამოს ბერდიაევმა ი. სუხიშვილს თხოვა, რომ მე კიდევ სამი სპექტაკლი — „ონეგინი“, „ტრავიატა“ და „კარმენი“ მემღერა თეატრში. დღეების შესახებ მოილაპარაკეს და იმავე საღამოს გავემგზავრეთ პოზნანიდან ახლო მდებარე ქალაქში. პოზნანში მეორედ ჩასვლა ნამდვილი ზეიმი აღმოჩნდა ჩემთვის, როგორც საოპერო მომღერლისათვის. როგორც შემდეგ გამომიტყდა ბერდიაევი, მას ძალიან უნდოდა ჩემი მონაწილეობით „ევეგენი ონეგინის“ გაშვება.

— მე, ნახევრად რუსმა ადამიანმა, ასევე ნახევრად რუსეთში გაზრდილმა (მას დედა რუსია ყავდა. ბავშვობაში რუსეთში იზრდებოდა) ვნატრობდი ონეგინის პარტია რუსულად მომესმინა. ვისაც ნამდვილი ხელოვნება თავის სათაყვანებელ საქმედ გადაუქცევია, ის ვერასოდეს ვერ იწამებს გენიალური პუშკინის ტექსტის სხვა ენაზე ამღერებას, განსაკუთრებით ამ ოპერაში. მე უნდა გამოგიტყდეთ, ძვირფასო ბათუ, შეიძლება ჩემს თავზე ბევრს ვილებდე, მაგრამ, პუშკინს მე ამ ოპერაში უფრო მალლა ვაყენებ, ვიდრე მუსიკას. ამიტომ მე დანატრებული ვარ ონეგინის პარტია ორიგინალში ამღერებულ მოვისმინო.

ჩემთან ერთად ტატიანას პარტია ჩეხურ უნაზე უნდა ემღერა ბრნოს თეატრის პრემიერ ქალს ე. ზახოველოვას, შესანიშნავი გარეგნობით და მუსიკალობით დაჯილდოებულს; ლენსკი კი უნდა შეესრულებია პოლონეთის საუკეთესო ლირიკულ ტენორს. ენების ასეთი აღრევა არ მოსწონდა ბერდიაევს, რადგან ხელს უშლიდა გმირების გააზრებულ დიალოგთა სრულყოფილ აღქმას, რაც სპექტაკლის მხატვრულ დონესაც აჭვეითებდა და მაყურებელზე ესთეტი-

კურ ზემოქმედებასაც ანელებდა. მაგრამ ოპერის თეატრში მსგავსი რამ ხშირად ხდება ხოლმე, ამიტომ ეს ჩვეულებრივ მოვლენად მივიჩნიეთ; ბერდიაევმა ყოველგვარი ზომა მიიღო, რათა დროზე დაემზადებინათ ონეგინის კოსტუმები. ხალხით სავსე დარბაზი მოუთმენლად ელოდა სპექტაკლის დაწყებას. ბერდიაევი უკვე პულტან იდგა. მოკლე შესავლის შემდეგ გაისმა ცნობილი კვარტეტი („Слы-хали-ль вы“). ჩემი გამოსვლის დროც მოვიდა. მაყურებელი ტაშით შემხვდა. მეტად ვღელავდი, მაგრამ თავს ვძლიე და პირველივე ფრაზის შემდეგ („Я очень счастлив“) ყოველგვარი ნერვიულობისაგან განვთავისუფლდი და პარტია მოწოდების სიმადლეზე ჩავატარე. დამთავრდა ცნობილი სცენა ბაღში; მსმენელებმა არაჩვეულებრივი ალტაცებით მიიღეს ჩემი ონეგინი. ბერდიაევი ხელებგაშლილი შემომეგება კულისებში, კეთილ სახეზე სიხარულის ცრემლები ჩამოსდიოდა და თან მეუბნებოდა: — მე თქვენს ონეგინში ნამდვილი რუსული სული ვიგრძენიო. ასეთ ღირიყორთან, რომელიც რუსულ მუსიკას ნამდვილი, ხალასი პატრიოტიზმით განიცდიდა, სასიამოვნო იყო მღერა. მე ბევრ გამოჩენილ ღირიყორთან მიმღერია ონეგინის პარტია, მაგრამ ასეთი დიდი შთაგონების, განცდისა და მასშტაბის მქონე ღირიყორთან — არასოდეს.

ბერდიაევი სპექტაკლის დროს ნამდვილი თანეშემწე და ხელისშემწყობი იყო მსახიობისათვის. საკმარისი იყო პატარა ნიუანსის გაკეთება და ის ამ ნიუანსს მომღერალთან ერთად სჭედდა. საკმარისი იყო წუთიერად ფრაზის შენელება ან აჩქარება, იგი ყველაფერს აბსოლუტური სიზუსტით იცავდა. ჩვეულებრივ, ონეგინის ბოლო სცენის შუა ნაწილში „О, не гони, меня ты любуишь“ რუსეთის საოპერო თეატრებში თითქმის ყველგან მდორედ სრულდება. მე, როგორც ეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტთან, ღირიყორ ო. დიმიტრიადთან მქონდა დადგენილი, შედარებით მღელვარებით და აჩქარებულ ტემპში ჩავატარე ეს მონაკვეთი. ბერდიაევი სწორედ ამ მუსიკალური მონაკვეთით დარჩა კმაყოფილი, და თქვა, — დღეიდან ამ ნაწილს მეც ასეთ ტემპში წავიყვანო. ასეთი თავმდაბალი და გულისხმიერი იყო ეს დიდი მუსიკოსი და არაჩვეულებრივი ადამიანი როგორც თეატრში, ისე პირად ცხოვრებაში. ბერდიაევი მე ყოველთვის მემახსოვრება როგორც დიდი არტისტი და მოქალაქე. მისი მოსაზრებებით ხელოვნების შესახებ ხშირად მიხელმძღვანელია და ჩემი მოწაფეებისთვისაც გადამიცია.

— ხელოვნებაში დოგმატი არ არსებობს, — ამბობდა იგი. ხელოვნებაში ყველაფერი კარგი — მისაღებია, ოღონდ მხატვრულად დამაჯერებელი იყოს იგი. თითოეულ მომღერალს თავისი საკუთარი სამყარო აქვს. ამა თუ იმ როლის გახსნის დროს თავის სამყაროს თავისებურად იყენებს. თუ მას როლი თავისებურად, შთაგონებით აქვს გახსნილი, ის ყოველთვის მისაღებია და ასეთი ნოვატორობა კი მისაბაძია, ყოველივე ამისათვის კი საჭიროა საფუძველი, საყრდენი ძალა, რაც მაღალ ნიჭიერებაში უნდა ვეძიოთ.

მისი მსჯელობა და აზრები დღემდე დარჩა, როგორც გზის მაჩვენებელი პროგრამა, როგორც „მანიფესტი“ ჩემი პროფესიის რთულ გზაზე. ბერდიაევი დიდი ხელოვანი და ამავე დროს დიდი მოაზროვნე-მუსიკოსი და მეგობარი იყო. ჩემი იქ ყოფნის დროს მან ოფიციალური მიწვევა მიიღო იტალიიდან „ბორის გოდუნოვის“ დასადაგმელად რომში. ასეთი მიწვევა ყველა ქვეყნის ღირიეორისათვის საწუკვარი ოცნებაა.

ონეგინის შემდეგ ვიმღერე ოპერებში „ტრავიატა“ და „კარმენა“. შემდეგ დავემშვიდობე თეატრის კოლექტივს და თან წამოვიღე ჩემი პარტნიორის (ტატიანას) — ემილია ზახოვალოვას ნაჩუქარი კლავირი (სმეტანას „დალიბორი“) გულთბილი წარწერით: „სიყვარულით გიძღვნი თ ამ კლავირს, ჩემს ბრწყინვალე ონეგინს, რომელმაც ჩემი დაუვიწყარი სიყვარული თან წაიღო“.

დავემშვიდობე პოლონეთის გამოჩენილ მანესტრო ბერდიევს. ცრემლმორეული ბერდიევი გულში მიკრავდა და ყველასთან მოკითხვას და სალამს მატანდა.

რამდენიმე წლის შემდეგ — 1955 წელს — ბერდიევის ხელმძღვანელობით პოლონეთის საოპერო თეატრი საგასტროლოდ მოსკოვს ეწვია. საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისთანავე პირველი დეპეშა მე გამომიგზავნა. გასტროლების დამთავრების შემდეგ კი წერილი მივიღე, რომელშიაც მთხოვდა ჩავსულიყავი არა პოზნანის საოპერო თეატრში, არამედ ვარშავის დიდ თეატრში სპექტაკლებში მონაწილეობის მისაღებად.

ეს იყო ჩემი უკანასკნელი გასაუბრება ბერდიევთან. 1956 წელს იგი გარდაიცვალა და მისი ნეშტი სამუდამოდ მიებარა მშობლიურ მიწას. როგორც შემდეგ ვარშავიდან ჩამოსული კოლეგებისაგან შევიტყვე, ბერდიევის სახელის უკვდავსაყოფად ერთ მუსიკალურ სკოლას მისი სახელი მიენიჭა.

1959 წლის შემოდგომა დაიწყო. სამი ქართველი მომღერალი--  
ნ. ანდლულაძე, თ. მუშკუდიანი და მე — საგასტროლოდ ჩეხოსლო-  
ვაკიაში გავემგზავრეთ. პასუხისმგებლობა დიდი იყო, რადგან ახლა-  
ხან ჩეხოსლოვაკიიდან დაბრუნებული ლ. გოცირიძის, ზ. ანჯაფა-  
რიძის და პ. ამირანაშვილის წარმატებანი უნდა გავგვემტკიცებინა,  
სხივი უნდა მოგვეფინა იმ გამარჯვებისათვის, რომელიც ჩვენმა ნი-  
ქიერმა თანამემამულეებმა თავიანთი ოსტატობით მოიპოვეს.

16 ნოემბერს ჩვენი თვითმფრინავი მოსწყდა თბილისის აეროდ-  
რომს და გეზი მოსკოვისაკენ აიღო. უამინდობის გამო მოსკოვმა  
გვიან მიგვიღო. თბილისის თბილი, მზიანი ამინდების შემდეგ, მოს-  
კოვი თოვლითა და ყინულით გარინდული შეგვხვდა. მეორე დღეს  
უკვე ევროპის გულში — პრალაში — ვიყავით.

პრალა უდიდესი მუსიკალური ტრადიციების მქონე ქალაქია,  
მოცარტის გენიით უქუფენილი. სწორედ ამ ქალაქის შეკვეთით და-  
წერა მოცარტმა ოპერა „დონ ჟუანი“ და მისი პირველი დადგმაც  
აქ განხორციელდა. პრალას არ ასცდენია არც ერთი გენიალური მუ-  
სიკოსის ყურადღება. ის არა მარტო გეოგრაფიულად იყო ევროპის  
გული, არამედ მუსიკალური ცხოვრების სიდიადითაც. ჩვენი საგას-  
ტროლო გრაფიკით პრალის დიდ თეატრში პირველი სპექტაკლი  
გუნოს „ფაუსტი“ იყო. „ფაუსტში“ მონაწილეობა უნდა მიეღო  
ჩვენ სახელოვან ბანს თ. მუშკუდიანს. სამივენი ვლევა ვდით. თენ-  
გიზს წილად ხვდა პრალელებისათვის გაეცნო ქართული საოპერო  
ხელოვნების ძალა. ნ. ანდლულაძე და მე სპექტაკლის დღეს კული-  
სებში ვტრიალებდით, რამდენადაც შეგვეძლო მორალურად ვამხ-  
ნევებდით და ვახალისებდით ამხანაგს. როგორც კი მაყურებელთა  
დარბაზში სინათლე ჩაქრა, ნოდარი და მე პარტერში გავედით. დარ-  
ბაზი ხალხით იყო სავსე. ფარდა გაიხსნა და სცენაზე შემოიჭრა  
ბრგე, ახოვანი ვაჟკაცი. მის გამოსვლას მაყურებელი ტაშით შეხვ-  
და. პირველი მუსიკალური ფრაზიდან დაწყებული მეფისტოფელის  
მთელი პროლოგი რადაც არაჩვეულებრივი აღმავლობით ჩატარდა.  
აღფრთოვანებულმა მაყურებელმა მუშკუდიანი რამდენჯერმე გამო-  
იძახა ფარდის წინ. სპექტაკლის დამთავრებამდე წარმატება არ შე-  
ნელებულა. კოლეგის გამარჯვება — ჩვენი გამარჯვებაც იყო და  
იმ საღამოს ანდლულაძის და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ედო. ჩე-



ზი მაყულებლის წინაშე დიდი წარმატება თ. მუშკუდიანს პირველად ჩვენ მივულოცეთ.

ორი დღის შემდეგ ბიზეს ოპერა „კარმენში“ მე და ნოლარს გვიწვევდა გამოცდის ჩაბარება. წინასწარი შემლერებისას დასის მოწონება დავიმსახურეთ. შემლერებაზე თ. მუშკუდიანიც გვესწრებოდა.

— თუ სპექტაკლი ასე იმღერეთ — ჩვენი მისია ფრიადზე იქნება ჩატარებულიო, — გვითხრა მეგობრულად თენგიზმა. სპექტაკლის დღეს ჩვენ ბედზე ცა დილიდანვე მოიღღუშა. სკრიდა წვიმა, სინოტივე და სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. ქალაქის ქუჩები მოსაწყენი ერთფეროვანი ფერებით შეიმოსა. ჩრდილოეთისათვის ჩვეული ამინდი ჩემში წუხილს ბადებდა. არ ვიცოდი როგორ გამამეყარა გულიდან კაეშანი. გართობის მიზნით მოვიანახულე პრალაში მცხოვრები ჩემი მეგობრები. ამანაც არ მიშველა. კვლავ უხალისოდ დავბრუნდი სასტუმროში. მოწყენილობა რომ გამეფანტა — ავიღე ტელეფონის ყურმილი და ქალის ხმით, ვითომ უცხო ენაზე, თ. მუშკუდიანს გამოველაპარაკე. ვცდილობდი მუშკუდიანი დამერწმუნებინა, რომ მისით ვიყავი მოხიბლული და ვთხოვდი სასტუმროს ფოიეში გამოსვლას. მუშკუდიანმა რა თქმა უნდა ვერაფერი გაიგო, რადგან მე თვითონ არ ვიცოდი რას ვლაპარაკობდი. შემდეგ ისევ შევიცვალე ხმა — ვითომ იქვე მდგომ პორტიეს ვათარგმნინე ჩემი სიტყვები. კვლავ გამოვიცვალე ხმა და დამტვრეული რუსულით თენგიზს ვუთხარი „გასპადინ მუშკუდიანი, ვას ხატიატ ვნიზ, პრიხოდიტ, მალადოი ლედი“.

თენგიზი აღფრთოვანებული დარჩა თავისი წარმატებით და აჩქარებით მომამახა: „ია სეიჩას, ჩერეზ 5 მინუტ სპუშჩუს“... ყურმილი ჩამოკიდა და პაემანისათვის სამზადისს შეუდგა. მე სასწრაფოდ ფოიეში ჩავიბრინე, პორტიეს ყველაფერი ავუხსენი. მან სიცილით მიიღო ჩემი წინადადება, თავის მხრივ ეს ამბავი გაანდო გვერდით მჯდომ სიმპათიურ ქალს და ამგვარად სახელდახელოდ შემზადდა „შეთქმულება“. სწორედ ამ დროს საგანგებოდ გამოწყობილი თენგიზიც გამოჩნდა, რომელსაც თარჯიმნად ნოლარ ანდღულაძე წამოეყვანა. მე უცებ მივიმალე, პორტიე კი მათ შესახვედრად გაეშურა.

— გასპადინ მუშკუდიანი? — ჰკითხა მან!

— და, და, ეტო ია! — ამაყი ბოხი ხმით უპასუხა თენგიზმა.

— ვოტ ლედი, კოტორი ვას ხოტელ.

— ოჩენ პრიატნო! — თქვა თენგიზმა, რომელიც, როგორც ჩანს, კმაყოფილი დარჩა ქალის გარეგნობით. თენგიზმა მას თავაზიანად ნოდარი წარუდგინა. ქალმა ორივეს ხელი ჩამოართვა და ყურებამდე გაწითლდა. ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, ნოდარმა უხერხულობის გასაფანტავად, ქალს იტალიურად რაღაც ჰკითხა. საბედნიეროდ აღმოჩნდა რომ ქალმა იტალიური ენა კარგად იცოდა. სამივენი მაგიდას შემოუსხდნენ და საუბარი გააბეს. კუროზული არაფერი არ მომხდარა. მე მოთმინება დაკვარგე და საფარიდან გამოვედი. როგორც კი მაგიდას მივუახლოვდი, ქალს სიცილი აუტყდა. მე ვითომ და გულმოსულმა თენგიზს და ნოდარს ქართულად ვუთხარი — დალოცვილისშვილმა ალბათ ჩარლი ჩაპლინს მიმამსგავსა რომ იცინის-მეთქი და ერთი ჩარლის ილეთიც გავაკეთე. ამაზე სამივეს ისტერიული სიცილი აუტყდა. ნოდარი და თენგიზი მიჩვეულები იყვნენ ჩემს ხუმრობას და მალე დამშვიდნენ, უცნობი ქალი კი თავს ვერ იკავებდა და განუწყვეტლივ იცინოდა.

— ბათუ, შენი ჰირიმე, წადი, თორემ ეს ქალი ნამდვილად სიცილით მოკვდებაო! — მითხრა ნოდარმა. მე ვითომ ქალზე გაჯავრებული წავედი და თან პორტიე დავარიგე — იმ ლედიმ საიდუმლო არ გასცეს-მეთქი.

სალამოს ექვსის ნახევარზე თენგიზი და ნოდარი ბრწყინვალე განწყობილებით ჩემთან შემოვიდნენ და სამივენი თეატრში წავედით. სპექტაკლი არაჩვეულებრივი წარმატებით ჩატარდა, ოვაციებს და აღტაცებულ შეძახილებს დასასრული არ უჩნდა. გამარჯვებას გვილოცავდნენ სოლისტები, თეატრის თანამშრომლები, ორკესტრის მსახიობები.

მეორე დღეს სასტუმროში პატარა ბარათი მივიღეთ. ის ქალიშვილი მადლობას გვიხდოდა სპექტაკლიდან მიღებული სიამოვნებისათვის, და თან ამხელდა ჩემს მიერ მოხერხებულად მოწყობილ ოინს. ამ პატარა თავაზიანმა ბარათმა ყველანი გაგვახალისა, ჩემი ოინი კი დიდხანს იყო სიცილის მიზეზი.

ამის შემდეგ სამივენი ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა ქალაქებში გაგვანაწილეს. ჩეხოსლოვაკიაში 14 საოპერო თეატრია, მათ შორის უმრავლესობას — დიდი ხნის წარსული აქვს, მაგალითად, პრა-

დის, ოლომოუცის, ბრნოს და ბრატისლავას საოპერო თეატრებს. პრალის შემდეგ სიმღერა მომიხდა ქ. ოსტრავის საოპერო თეატრში. ქალაქში დილის 4 საათზე ჩავედი. მიუხედავად ამისა, სადგურზე შემხვდა ადგილობრივი საოპერო თეატრის ათამდე წამყვანი სოლისტი. მეორე დღეს 11 საათზე უკვე თეატრში ვიყავი შემღერებაზე. ჩემთან ერთად „ტრავიატაში“ მონაწილეობას იღებდა პოლონელი ტენორი, რომელიც ალფრედის პარტიას მღეროდა.

ჩემი ყურადღება სპექტაკლის ორიგინალურმა გაფორმებამ მიიპყრო. ძირითადში სპექტაკლის გაფორმება გადაწყვეტილი იყო სინათლის ეფექტით და საკმაოდ დამაჯერებელ გარემოს ქმნიდა. მიზანსცენები გმირთა შინაგანი განწყობილებიდან გამომდინარეობდა და აქაც ჩვეულებრივ ნორმებს ემთხვეოდა. სადაც კი არ შემისრულებია ეერმონის პარტია, ჩემს მიერ ამ გმირის სახის გახსნა ყველა სპექტაკლს მორგებია.

სპექტაკლის შემდეგ ჩემთან მოვიდნენ კოლეგები, რომლებიც გასტროლებზე თეატრში ყოფნის დროს გავიცანი.

მეგობრული ბანკეტის შემდეგ მატარებლით ბრატისლავას სახელმწიფო თეატრისაკენ გავემგზავრე. ბრატისლავაში ნ. ანდლულაძეს და მე უნდა გვემღერა ოპერაში „აიდა“. ჩვენს გამოსვლას დაემთხვა ქართველ კინემატოგრაფისტთა ჯგუფის ჩამოსვლა, რომლებიც სპექტაკლებს ჩვენი მონაწილეობით დიდი ინტერესით მოელოდნენ. ჩვენს სპექტაკლს დაესწრო აგრეთვე თბილისელი მაცურებლებისათვის კარგად ცნობილი ჩეხი ტენორი გუსტავ პაპი და გამოჩენილი სლოვაკელი კომპოზიტორი ეუგენ სუხონი, რომლის ოპერა „კრუტნიავა“ თბილისში წარმატებით იდგმებოდა.

სუხონს ძლიერ მოეწონა ჩვენი ხელოვნება და ნიშნად ამისა ჩვენთან სამახსოვრო სურათი გადაიღო. ჩემთვის და ჩემი კოლეგებისათვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ჩვენს პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვები. თეატრის დირექტორმა აღნიშნა ქართული ვოკალური სკოლის სიახლოვე იტალიური სიმღერის მანერასთან. აქვე აღნიშნა პოლიფონიურად რთული ქართული ხალხური მუსიკის უაღრესად ძველი კულტურა, ჩვენი ხალხის დიდი ისტორიული წარსული და მისი ნათელი აწმყო.

მეორე დღეს, კომპოზიტორ სუხონის თხოვნით. მე მას. გუსტავ პაპთან ერთად. სახლში ვეწვიე სტუმრად. სუხონი დიდხანს აღფრ-

თოვანებით ლაპარაკობდა ზ. ფალიაშვილზე და დამპირდა მის ერთ ოპერას უსათუოდ დავდგამთ ბრატისლავის საოპერო სცენაზეო. გამოთხოვების დროს მან მისახსოვრა თავისი ახალი ოპერის — „სვიატოპლუკის“ — გამოცემის პირველი საავტორო ეგზემპლიარი საკუთარი წარწერით.

ძველისძველი, უჩვეულო ეშხით სავსე და ზღაპრული ქალაქი ოლომოუცი სამუდამოდ დარჩა ჩემში, როგორც შთაგონებით აღსავსე სიხარულის ფურცელი. ჩემი ასეთი აღტაცება ამ ქალაქმა უპირველეს ყოვლისა გამოიწვია იმით, რომ სპექტაკლი არაჩვეულებრივი წარმატებით ჩატარდა. მე ვიგრძენი შემოქმედებითი სიხარული, რაც ისე ხშირია ხოლმე ხელოვანის ცხოვრებაში. ბევრი წარმატება მქონია, მიგემია მაყურებელთა სიყვარული, ოვაციები, ყვავილები, თაყვანისმცემელთა უამრავი ბარათი. მაგრამ დაუკმაყოფილებელი გრძნობა გამომყოლია ხშირად სპექტაკლიდან. ასე მეგონა უკეთ შემქმლო სიმღერა, ვიდრე ვმღეროდი სპექტაკლში.

იმ საღამოს კი სპექტაკლიდან სავსე გულით გამოვედი, შევედი აქტიორთა საპირფარეოში, უკან მომყვებოდნენ დირექტორი, დირიჟორი და მსახიობები. უცბად ხალხი ორ ნაწილად გაიყო და წინ წამოდგნენ ორკესტრის მსახიობები. ერთ-ერთს ხელში ეჭირა მოოქროვებულ ყდაში ჩასმული მოზრდილი ალბომი, მომიახლოვდა და მოკრძალებით მითხრა:

— როდესაც ჩვენი თეატრის ორკესტრს განსაკუთრებით მოეწონება მომღერალი, მას ვთხოვთ ამ ალბომში დაგვიტოვოს სამახსოვრო ჩანაწერიო. მე სიამოვნებით დავთანხმდი და სანამ ჩაეწერდი, ალბომს თვალიერება დავუწყე. უნდა გამოგიტყდეთ, რომ სიამოვნებისაგან დავიბენი, როცა ალბომის ფურცლებზე ისეთი გვარები ამოვიკითხე, როგორიც არის: მასკანი, ბატისტინი, ბაკლანოვი და სხვა. ალბომში, გულწრფელ სურვილებთან ერთად, აღვნიშნე, რომ დღევანდელ ჩემს დიდ წარმატებაში ღვაწლი მიუძღვის ოლომოუცის საოპერო თეატრის შესანიშნავ ორკესტრს.

მეორე დღეს ქალაქის მერმა სტუმრად მიმიწვია, თან ოპერის დირექტორი და თეატრის მთავარი დირიჟორი მახლდა. მერმა გამომკითხა ოლომოუცში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ, მადლობა გადამიხადა სპექტაკლისათვის და საჩუქრად ბროლის ლარნაკი გადმომცა; თან მთხოვა — ჩემი შთაბეჭდილება ჩამეწერა ალბომ-

ში, რომელშიაც 200 წლის მანძილზე წერდნენ ქალაქის საპატიო სტუმრები. ამ ალბომში შეხვდებოდით მეფეების და სხვადასხვა სახელმწიფოების. მეთაურთა ხელმოწერებს. გულში სიამე ჩამიდგა, როდესაც ერთ-ერთ გვერდზე ქართულ ასოებს მოვკარი თვალი. ეს ჩანაწერი ეკუთვნოდა ჩვენს სახელგანთქმულ მოცეკვავეებს— ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს!

ოლომოუციდან პრალას დავბრუნდი. პრალაში ჩემს კოლეგებს უნდა შევხვედროდი. გზაში ძალიან გაეწვალდი, ღამის ბინდი მძიმე ნისლს უფრო ძალუმად ჩაემუქებინა და გზა აგვიბნია. „ტატრათი“ ძლივს ჩამოვალწიეთ პრალას. როგორც კი სასტუმროში შევედი, მაშინვე თ. მუშკუდიანი მოვინახულე, რომელმაც ჩემი პრალაში არყოფნის დროს ფეხი იტკინა და ახლა თაბაშირში ჰქონდა ჩადებული. თენგიზთან მალე ნოდარ ანდლულაძე შემოვიდა. მე ჩემი სპექტაკლების შესახებ ვუამბე, მან კი გვიამბო ბრატისლავის თეატრში ოპერა „კრუტნიავას“ შესახებ, რომელშიაც ნოდარი მთავარ როლს ასრულებდა. სპექტაკლს კომპოზიტორი სუხონიცი დასწრებიდა და ნოდარისათვის მადლობა გადაუხდია.

სამივენი ვხარობდით მშობლიური ხელოვნების უდავო წარმატებით. მეორე დილით მეშახტეთა პატარა ქალაქ შახტში გავემგზავრე ოპერა „კარმენში“ მონაწილეობის მისაღებად. ქალაქში ერთადერთი ღამაში შენობა თეატრის შენობაა, შესანიშნავი აკუსტიკით და მყუდრო ფოიეებით. საოპერო სპექტაკლები აქ კვირაში ორჯერ იმართება. ისიც გასტროლიორის მონაწილეობით. დანარჩენ დღეებში კი ამ თეატრში დრამატული სპექტაკლები იდგმება. მსახიობები — სცენისმოყვარე შახტის მუშა-მოსამსახურენი არიან.

სპექტაკლის წინ რეჟისორმა, მათი დადგმის შესაბამისად, მიზანსცენები ამიხსნა. ტორეადორის კუპლეტების პირველი ნაწილი უნდა მემღერა შემადლებულ ადგილზე. ეს იყო ადამიანის სიმაღლეზე დადგმული დანადგარი, რომელიც ბორცვის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ასეთი კონტრასტი ძალიან მომეწონა. მოქმედების დროს უფრო ადრე შევხტი ბორცვზე, ვიდრე ეს საჭირო იყო. ჩემი შეხტომა და გაუჩინარება ერთი იყო: ბორცვი ფეხქვეშ ჩამენგრა და მე მთელი ტანით შიგ შევვარდი. საბედნიეროდ სცენაზე მხოლოდ თავი მიჩანდა. მე აღარ დავაყოვნე და მაინც განვაგრძე კუპლეტების

სიმღერა. მაყურებელმა ჩემი საქციელი გმირობად ჩათვალა და აღტაცებული ყიჟინითა და ოვაციებით დამაჯილდოვა.

ჩემი პარტნიორი კარმენის როლში მეტად მომხიბვლელი, გრაციოზული ქალი იყო, რომელსაც სასიამოვნო ტემბრის ლირიკული მეცო-სოპრანო ჰქონდა. თავის პატარა ხმას იგი მშვენივრად იყო დაუფლებული, რასაც არაჩვეულებრივ პლასტიკურობას და ტემპერამენტს უხამებდა.

მთელი სპექტაკლის მანძილზე, სადაც კი კარმენი მღეროდა, მე კულისებში ვიდექი და ვუყურებდი ამ უნიჭიერეს მომღერალ ქალს. რომლის თვალებში, სიმღერაში და მომხიბვლელ მიხრა-მოხრაში ჰეშმარიტ ხელოვანს ვხედავდი.

მეორე დღეს გავემგზავრე ქ. ოპოვაში, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს როგორც ლუდის სამშობლოს. ოპოვაში ჩასვლის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ამ ქალაქს, ლუდს გარდა, საოპერო ხელოვნებაც ძალიან ჰყვარებია. აქ ვიმღერე ოპერა „ტრავიატაში“ ჟერმონის პარტია. სპექტაკლის წინ თავს ცუდად ვგრძნობდი, ტანში მამტვრევდა და თავიც მტკიოდა. ჩემდა საბედნიეროდ ყელის არეში ყველაფერი რიგზე იყო.

გასაკვირიც არ იყო, რომ ავად გავხდი: ცხრა დღეში სხვადასხვა ქალაქში შვიდი სპექტაკლი მქონდა ნამღერი. ამ ხნის განმავლობაში ნორმალურად არ მიძინია. როგორც მოგვხსენებათ, ასეთ პირობებში სიმღერა მეტად ძნელი საქმეა.

ასე იყო თუ ისე, მე სპექტაკლზე სიმღერის თანხმობა განვაცხადე, თუმცა, ისე ცუდად ვიყავი, რომ შემეძლო უარი მეთქვა, მაგრამ, ვინაიდან გასტროლის უკანასკნელი სპექტაკლი იყო, ამიტომ გადავწყვიტე მემღერა. ჩემდა საბედნიეროდ სპექტაკლმა კარგად ჩაიარა. სპექტაკლის შემდეგ ჩემს პატივსაცემად გაიმართა ბანკეტი და მეც სიამოვნებით მივირთვი იქაური ლუდი, რომელსაც თავისი ღირსებით მსოფლიო სახელი აქვს მოხვეჭილი.

ლუდი მართლაც შესანიშნავია. ამაში დამემოწმებთან ჩემი კოლეგები — ნოდარი და თენგიზი, რომლებსაც, გემოს გასასიხჩად, პატარა კასრის მაგვარი ჭურჭლით ეს ლუდი პრალაში ჩავუტანე.

ქ. ბრნოში ყოფნის დროს მოგვისწრო ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულებმა. საზეიმო კონცერტზე სამივეს უნდა მიგველო

მონაწილეობა. ნ. ანდლუღაძე შეეძლოდ გახდა, რაც ჩემთვის დი-  
ლითვე იყო ცნობილი. მუშეუღიანი სადამოს უნდა ჩამოსულიყო  
მეზობელ ქალაქიდან, სადაც მან წინა ღამით „ფაუსტში“ მეფისტო-  
ფელის პარტია შეასრულა.

თენგიზს ველოდი, იგი არ ჩანდა. ველავდი, მაგრამ ჩემი ამბა-  
ნაგები მამშვიდებდნენ — ალბათ არ გამოუშვესო. სადამოს მარტო  
მომიხდა კონცერტზე წასვლა. გამოვდიოდი პროგრამის ბოლო ნომ-  
რად. ვიმღერე ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“ კიაზოს არია  
„დამასხი დამალევინი“. მაყურებელმა რაღაც არაჩვეულებრივი აღ-  
ტაცებით მიმიღო. რამდენჯერმე გამომიძახეს ბისზე და მეც ვემზა-  
დებოდი მეორედ სიმღერისათვის, რომ უცბად კულისებში რაღაც  
ჩოჩქოლი ატყდა. შევამჩნიე, რომ უცნობი ადამიანები ჩემსკენ მო-  
იწვევდნენ, მაგრამ მათ აჩერებდნენ. მე რაღაც უცნაურმა ექვმა შე-  
მიპყრო, გავიფიქრე, ნამდვილად თენგიზს რაღაც უბედურება შეემ-  
თხვა-მეთქი და საშინლად გავნერვიულდი. მაყურებელთა ტაშის  
გრიალმა კულისებამდე გამაცილა. როგორც კი კულისებში გავედი,  
მაშინვე ვიკითხე საქმის ვითარება. მძლოლმა. რომელიც ჩვენ გვატა-  
რებდა, მომაძახა: „მუშეუღიანი კაპუტ“. რას ნიშნავს-მეთქი „კა-  
პუტ“, ვიყვირე და ჩავვექი, დარბაზი ისევ გრგვინავდა. ამ დროს მო-  
ვარდა ჩემთან თეატრის დირექტორი და მშვიდად მითხრა, რომ თენ-  
გიზს ფეხი მსუბუქად დაუზიანდა, ზომები მიღებულა და საშიში  
არაფერიაო. ამან ცოტათი დამამშვიდა, მაგრამ მე უკვე ღონემიხდი-  
ლი ვიყავი. ძლივს დამითანხმეს ბისზე მემღერა. ვიმღერე თავადი  
იგორის არია. ეს არია ნახევრად გოდებაა და ზედ ჩემი განწყობი-  
ლებაც რომ დაერთო, ისეთი დრამატული სიმძაფრით ვიმღერე, რომ  
დარბაზი ტაშისცემისაგან ქუხდა.

ჩვენი გასტროლების დიდი წარმატება ჩეხოსლოვაკიის პრესაში  
აღინიშნა. ჩეხოსლოვაკიის კულტურის სამინისტრომ გასტროლების  
გაგრძელება გვთხოვა. ქალაქები, სადაც ჩვენ არ გვიმღერა, სამინის-  
ტროს სთხოვდნენ გასტროლებზე იქაც გავეშვით. მაგრამ ვინაიდან  
მოსკოვი ჩვენს შემდეგ სხვა გასტროლიორებსაც აგზავნიდა, ჩეხოს-  
ლოვაკიის სამინისტროს განმეორებული თხოვნის მიუხედავად, ნე-  
ბა აღარ დაგვრთეს და ჩვენც სამშობლოში დავბრუნდით.

დღესაც დაუფიწყარია ჩეხოსლოვაკიიდან გამომგზავრების წუ-  
თები. ხელოვნების პრადელი გულშემატკივრები გულთბილად გვე-  
თხოვებოდნენ და გვთხოვდნენ მომავალში კვლავ ვწვეოდით მათ.

დოროტი კირსტენის საგასტროლოდ ჩამოსვლა თბილისში საკამაოდ დიდ მოვლენად იქცა ქალაქის მუსიკალურ ცხოვრებაში. მას მანამდე იცნობდა მსმენელი კინოსურათ „დიდი კარუხოს“ მეშვეობით, სადაც კირსტენი ახმოვანებდა გმირი ქალის როლს. ფირზე აღბეჭდილი მისი ხმა ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებდა მსმენელზე. ლამაზი, გამომსახველი, ემოციური სიტბოთი სავსე სოპრანო ახლობელი შეიქმნა ყველასათვის. სხვებთან ერთად ჩვენ მას აეროდრომზე შევხვდით. იგი არაჩვეულებრივი სისადავით და გულისხმიერებით შემოგვეგება და როგორც ძველ მეგობრებს ისე გადაგვხვია ყველას, ღრმად ამოისუნთქა, და თითქოს დიდი ხნის მოგზაური მშობლიურ კერას დაუბრუნდაო, დამშვიდებული ჩამოჯდა სკამზე და თქვა: — შესანიშნავია! ძალიან კარგია! თითქოს სახლში ვარ!...

აეროდრომში დავტოვეთ და ქალაქის ცენტრისაკენ გამოვსწიეთ. აქ ჯერ ყვავილებით მორთულ სასტუმრო „ინტურისტის“ მისთვის განკუთვნილ ნომერში მოვათავსეთ, ხოლო საღამოთი, თუკი შესძლებდა და დასვენებას მოასწრებდა, ჩვენი სახელოვანი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 80 წლისთავის საიუბილეო საღამო-კონცერტის საზეიმო საღამოზე მივიპატიჟეთ. მართლაც, საკონცერტო განყოფილების დაწყების წინ, ყველას ყურადღება მიიპყრო დარბაზში დოროტი კირსტენის შემოსვლამ თავისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მხლებლებით ანუ „სამდივნოთი“, როგორც თვითონ უწოდებდა თავის თანამგზავრთ.

დაიწყო კონცერტი, რომელშიც თითქმის მთელი ჩვენი წამყვანი ძალები მონაწილეობდნენ. კონცერტი ჩინებული იყო. დოროტი კირსტენი აღფრთოვანებული დარჩა. მეორე დღეს გაზეთის საშუალებით მან ამ კონცერტზე მიღებული შთაბეჭდილება გაგვიზიარა, დიდი მოწონების სიტყვები მიუძღვნა მონაწილეთ. გაზეთ „თბილისის“ 1962 წლის 29 იანვრის ნომერში შემდეგი განაცხადა: „ჩემში ამ კონცერტზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველმა მომღერალმა ბათუ კრავეიშვილმა თავისი შესანიშნავი ხმით და საუცხოო შესრულებით, აგრეთვე მოცეკვავე ვახტანგ გუნაშვილმა“.

მეორე დღეს დოროტი კირსტენი შემღერებაზე მოვიდა. რეპე-



ტიციის დროს მისმა შესანიშნავმა თამაშმა ყველა ალაფრთოვანა-მე პირადად ასეთი მაღალი შთაგონების პარტნიორი ქალი იშვიათად შემხვედრია. გამეგონა, რომ იგი ნამდვილი, მაღალი დრამატული ნიჰის ხელოვანი არისო. მეორე დღეს საორკესტრო რეპეტიციაზე მისმა დიდმა ოსტატობამ მეტად გაგვაოცა.

დოროტი კირსტენი ეკუთვნის მომღერალთა იმ მაღალნიჭიერ ერთეულებს, რომლებმაც მტკიცედ დაიმკვიდრეს საპატიო ადგილი მსოფლიო საოპერო სცენაზე. სწორედ ამით აიხსნებოდა, რომ საოპერო ხელოვნების მოყვარულ თბილისელთა უმრავლესობა ასე მოუთმენლად ელოდა მის სპექტაკლებს.

18 იანვარს კირსტენი პირველად გამოვიდა ვერდის ოპერაში — „ტრავიატა“ ვიოლეტას პარტიაში. მისმა ამ გამოსვლამ ჩვენს საოპერო სცენაზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე. „ტრავიატაში“ იგი მოგვევლინა როგორც მაღალი კლასის მსახიობი, ბრწყინვალე ვოკალისტი და არაჩვეულებრივი მომზიბვლელობით სავსე ქალი.

კირსტენი არ მიპყვება დაშტამპულ გზას, ისე როგორც ვიოლეტას შემსრულებელთა უმრავლესობა. ის არ ცდილობს არიებში მაღალი ნოტების ჩასმით, ან ზომიერებას მოკლებული ფერმატოებით მსმენელთა იაფფასიანი აპლოდისმენტები გამოიწვიოს. ის მხოლოდ და მხოლოდ ჰემმარიტი ხელოვანის მკვეთრი თვალით კითხულობს და სცენაზე მარგალიტებად აფრქვევს ვერდის პარტიტურის უკვდავ სტრიქონებს.

მაღალი თუ დაბალი რეგისტრი მისთვის არა თვითმიზანია, არამედ საშუალება, რათა უფრო მკაფიოდ და რელიეფურად ჩაწვდეს ვიოლეტას რთულ სულიერ განცდათა სამყაროს.

კირსტენს შესანიშნავად აქვს ნაპოვნი სიყვარულისაგან განწირული ქალის სახე. მისი ცხოვრება კონტრასტებით არის სავსე. სწრაფცვალებად ემოციურ განწყობილებებს იგი ყოველთვის მონერხებულად უფარდებს შესატყვის ინტონაციებს. ასეა როცა ის ეერმონთან ატარებს დიალოგს მეორე აქტში. ასეთივე დიდი და კიდევ უფრო ამალღებულია კირსტენი ალფრედთან, ჯერ სიყვარულის და შემდეგ ტრაგიკულ სცენებში. მისი ხმის გამომსახველი ძალა დიდ ზემოქმედებას ახდენს მსმენელზე. კირსტენი გარდასახვის დიდი ოსტატია. მის შემოქმედებაში შემთხვევითობას არა აქვს აღ-

ვილი. ამ დიდი ემოციებისა და გონების ქალს არაჩვეულებრივი სი-  
ზუსტით აქვს შერწყმული მუსიკალური ფრაზა და სცენური მოქ-  
მედება. თან რა დიდი შთაგონებით კითხულობს კირსტენი ტექსტს  
ვიოლეტას უკანასკნელ სცენაში. მოზღვავებულ განცდათა სიტყვიე-  
რი გამოსახვა მხოლოდ დრამის მაღალნიჭიერ მსახიობს თუ შეუძ-  
ლია! კირსტენი ისე, როგორც „ტრავიატაში“, „ჩიო-ჩიო-სანშიც“ არ  
ღალატობს თავის საშემსრულებლო ჩვევებს. ის რჩება სრულყოფი-  
ლი, შთაგონებით სავსე ხელოვანად.

კირსტენი, მიუხედავად ამ საოპერო გვირ-ქალთა სულიერი გან-  
ცდების მსგავსებისა, თავისი სხივმოსილი ნიჭით ნახულობს ახალს,  
რათა ერთმანეთისაგან განსხვავებული სამყარო შეუქმნას თითოე-  
ულს, ყოველი მათგანი აიყვანოს მაღალ აქტიორულ მწვერვალზე  
და მომაჯადოებელი ძალით გახსნას მათი ადამიანური ღირსებებით  
აღსავსე სახეები. დოროტი კირსტენი უჩვეულო აღფრთოვანებით  
მიიღო ჩვენმა ქალაქმა როგორც მსოფლიო საოპერო სცე-  
ნის ჭეშმარიტი მშვენიება.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კირსტენმა წერილიც კი  
მოათავსა ჟურნალ „ამერიკაში“, სადაც ის განსაკუთრებული სით-  
ბოთი და მეგობრული სიყვარულით იგონებდა საქართველოს, მის  
თეატრს და სტუმართმოყვარე ხალხს. თუ რა შთაბეჭდილება დატო-  
ვა მასზე საქართველომ, თეატრმა, მისმა კულტურამ ამაზე მეტყვე-  
ლებს მისი გამოსვლა ინტერვიუში, რომელიც მას გამგზავრების  
წინ საქართველოს რადიომაუწყებლობამ მოუწყო.

— მე ვტოვებ თბილისს! უდიდესი სითბო ვიგრძენი აქ... დი-  
დი მადლობა... მადლობა იმისათვის, რომ შესაძლებლობა მომეცა  
მემღერა ასეთ დიდ ოპერაში, მემღერა თქვენს შესანიშნავ მსახიო-  
ბებთან. რა კარგად შემხვდა თქვენი ხალხი! ეს იყო ჩემი ცხოვრე-  
ბის ერთ-ერთი საუკეთესო დღეები!... მე სიამოვნებით ვუხდი მად-  
ლობას ყველა ჩემს პარტნიორს — პეტრე ამირანაშვილს, ჩემს შე-  
სანიშნავ აღფრედს—თენგიზ ზაალიშვილს, ჩემს სუზუკის—ტატიანა  
მალიშევას, ახალგაზრდა დებიუტანტს ამირან გაგუას და შესანიშ-  
ნავ ღირიყორს გივი აზმაიფარაშვილს, ერთი სიტყვივით ყველას, რომ-  
ლებიც ასეთი კარგები და კეთილები იყვნენ ჩემს მიმართ.

გული მწყდება, რომ ვერ შევძელი მემღერა თქვენს შესანიშნავ  
სოლისტთან ბათუ კრავეიშვილთან მისი ავადმყოფობის გამო. ჩემი

მაქვს შემდეგი ჩამოსვლისას ჩვენ აუცილებლად შევხვდებით ერთ-მანეთს სცენაზე.

ახლა მე ვტოვებ თბილისს და ვტოვებ ჩემი გულის ნაწილსაც. იმედი მაქვს, რომ მალე გინახულებთ.

ნახვამდის, ჩემო საყვარელო თბილისო!

დღოროტი კირსტენს გარდა ჩვენ საოპერო თეატრს ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის საოპერო თეატრიდან სხვა ვარსკვლავებიც ეწვი-ენ: ბანი ჯერომ ჰაინსი, სოპრანო ლუსინ ამარა და სხვა. ჯერომ ჰაინსი თავისი შემოქმედებით საინტერესო ფიგურას წარმოადგენს. გარდა რბილი, მოქნილი, საკმარისად ლამაზი ხმისა, მას არც გამომსახველობა აკლია. თუმცა მგზნებარებას და ტემპერამენტს საგრძნობლად და მოკლებული. მას სცენური გააზრების უნარი და მასშტაბებიც ერთფეროვანი აქვს. მიუხედავად ამისა ჰაინსი თავისი ფიზიკური მონაცემებით (არაჩვეულებრივი სიმაღლით) მაყურებელზე მაინც ახდენს ზემოქმედებას. გარდა ამ თვისებისა, ჰაინსი მუსიკალურია, მის შესრულებაში არ იგრძნობა შეზღუდულობა, დაბნეულობა ან ღირიჟორისადმი შესამჩნევი მორჩილება. ჰაინსი კარგად იყენებს თავის ფიზიკურ მონაცემებს და როლის სცენურ-მუსიკალური სახის გახსნისათვის, სამწუხაროდ, ხშირად მიმართავს იაფფასიან, პროფესიონალისათვის მიუღებელ ხერხებს. ჰაინსის ვოკალურ-სცენური სამყარო ცალკე რომ გავარჩიოთ, ის არ შეიძლება ვოკალური ნიჭის და სცენური გააზრების დიდ აქტიორად ჩაითვალოს.

ამარას შესახებ ბევრი გვსმენოდა რეკლამის მიხედვით: რომ ის მსოფლიო თეატრების წამყვანი სოპრანოა, რომ მისი სიმღერის მანერა „ინსტრუმენტის“ ხმოვანების მსგავსია და ა. შ. მაგრამ როდესაც „აიდაში“ მოვისმინეთ, მაყურებლით სავსე თეატრი გაოცებულად არჩა. ის ჩვეულებრივი რიგითი სოპრანოებისაგან არაფრით განსხვავდებოდა. განსაკუთრებით მდარეა მისი ხმის მონაცემები შუა და დაბალ რეგისტრში. მაღალი რეგისტრი უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ ესეც უნარისხნა მის შუა და დაბალ რეგისტრებთან შედარებით, რაც შეეხება სცენურობას, ისიც გადაჭარბებული ემოციური სიმხურვალით იყო გადატვირთული, რაც სცენურ სისადავეს და უშუალობას აკარგვინებდა მომღერალს. ერთადერთი რითაც ამარა იმსახურებდა მოწონებას, ეს იყო „მეცო-ვოჩე“ (შუა ხმით მღერა), რომელსაც მომღერალი შესანიშნავად ფლობდა. მაგრამ ამასაც ისე

ხშირად და უსაფუძვლოდ ხმარობდა, რომ ვფიქრობთ, შთაბეჭდილებას აქაც ანელებდა. ასევე უფერული და მკრთალი იყო „ჩიო-ჩიო-სანშიც“. ეს ორი მომღერალი ბევრად ჩამორჩებიან დოროტი კირსტენს როგორც ვოკალით, ისე სცენური ოსტატობითაც.

ცნობილი რუმინელი მომღერალი ქალის ზინაიდა პალის გასტროლებს თბილისში ნიადაგ სიხარული მოაქვს.

ზინაიდა პალი მაღალი კლასის ხელოვანია; მისი ვოკალური და სცენური ოსტატობა მაყურებელს ჭეშმარიტ ესთეტიკურ კმაყოფილებას ჰგვრის. პალი უაღრესად ექსპრესიული და შთამაგონებელი მომღერალია. ის თავის მდიდარი ხმის პალიტრას მრავალფეროვანი საღებავებით აფერადებს, მუსიკალური ბგერების საშუალებით ხსნის გმირთა ხასიათებს და სწორედ ამ საღებავების ოსტატურად გამოყენებით და ხალხში გადატანით დასრულებულ ხელოვანად გვევლინება. თბილისში უკანასკნელად იგი 1959 წელს ჩამოვიდა. მახსოვს, მიდიოდა ბიზეს ოპერა „კარმენის“ მესამე მოქმედება. დონ ხოზესთან შერკინების დროს მე (ესკამილიო) ჯერ წაჩოქილი, შემდეგ ზეზე წამოჭრილი კარმენისაკენ გავიჭერი და სწორედ ამ დროს ფეხქვეშ იატაკი ჩამიტყდა, ფეხის ტერფში ვიგრძენი საშინელი წვა, თითქოს ცეცხლი შემინთესო; არაჩვეულებრივი ნებისყოფა გამოვიჩინე, რათა ტკივილები ამეტანა და როგორმე გამეძლო სცენიდან გასვლამდე. ტკივილები სახის გამომეტყველებაზე დამეტყო. ზინაიდა პალი, რომელიც მანამდე ყოველ ჩემს წარბის შეხრასაც კი გრძნობდა და სათანადოდ უპასუხებდა, მიხვდა ჩემს მწუხარებას და გაკვირვებული შემომცქეროდა. იგი უსიტყვოდ ელოდა გარკვევას და თვალებით მეკითხებოდა — რა მოხდაო? მე ჩურჩულით ვუთხარი ჩემი გასაჭირი. ზინაიდამ იგრძნო რა საშინელ ტკივილს განვიციდი. როგორც ბრწყინვალე არტისტს შეეფერება, მთელი დანარჩენი სცენა ისე ჩაატარა. თითქმის არაფერი მომხდარაო, მხარში ამომიდგა და კულისებამდე მიმაცალა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ნეკის ფალანგა შუაში გადამტეხოდა. მიუხედავად იმისა, რომ აუტანელ ტკივილებს ვგრძნობდი, IV მოქმედება როგორც იქნა დავამთავრე და ამ სპექტაკლის შემდეგ ფეხი თვე-ნახევრის განმავლობაში

თაბაშირაში მქონდა. ზინაიდა პალი იმავე დროს მეტად გულთბილი და ყურადღებიანი ადამიანი აღმოჩნდა. იგი იმ ხნის განმავლობაში, რაც თბილისში იმყოფებოდა, სისტემატურად მელაპარაკებოდა ტელეფონით და მამხნევებდა. ამ ქალისადმი მე განსაკუთრებული სიმპათიით ვარ განწყობილი და როდესაც მის შესანიშნავ ხმას და სცენურობას ვიგონებ, იქვე ყოველთვის აღვნიშნავ მის მაღალ ადამიანურ და კეთილშობილურ თვისებებსაც.

1962 წელი იწურებოდა. ყოველი ახალი წლის მოახლოება განსაკუთრებულ განწყობილებას ქმნის ადამიანებში, რაღაც გაურკვეველი სიხალისე ეუფლება დიდსა და პატარას. მოსკოვში, ბელორუსიის სადგურზე, გერმანიაში გასამგზავრებლად შეკრებილ აქტიორთა ჯგუფს, სიხარულთან ერთად, თავისებური სევდაც გამოჰყოლოდა. ყველას უნდოდა ახალ წელს თავის საკუთარ ოჯახში შეხვედროდა.

ამ საკონცერტო ჯგუფის წევრი მეც ვიყავი. ჯგუფში შედიოდნენ მოსკოვის ესტრადის, რადიოს და ფილარმონიის მსახიობები. კონცერტები უნდა გაგვემართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში საბჭოთა არმიის ნაწილებისათვის.

ჩვენთან ერთად მოემგზავრებოდა შესანიშნავი მევიოლინე ნაუმ ლატინსკი, ესტრადის ლაურეატი მომღერალი ქალი ზაიტუნა შაროფეტინოვა, მაღალი კლასის საესტრადო არტისტები — ანტონინა კუზნეცოვა, ანატოლი ბოიკოვი, სტანისლავ ვლადიმეროვი და მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი, შესანიშნავი ქსილოფონისტი კოსტა მიხევევი. აქვე იყო მოსკოვის ესტრადის მსახიობი, ენამოსწრებული და იუმორის ნიჭით დაჯილდოებული გენადი დუდნიკი, რომელიც მსახიობებსა და მათ გამცილებლებს თავისი ოხუნჯობით ართობდა.

ჯგუფის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო მსახიობი — ლიტერატორი ვლადიმერ ლადიენსკი. შეხვედრისთანავე იგი დაინტერესდა ჩემით, ვინაობა გამომკითხა და როცა გაიგო ვინ ვიყავი, მითხრა:

— ნაცნობი სახე გქონდათ, თუმცა ვერ გიცანით; შავგვრემანი სახის მიხედვით ვიგულისხმე რომ ქართველი იქნებოდით. ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენთან ერთად გხედავთ. უკაცრავად, — თავაზიანად დაუმატა მან, — როგორ მოგმართოთ?

— უბრალოდ ბათუ დამიძახეთ, — ასე მეძახიან შინაურულად-თქო.

— თქვენ ერთბაშად დაგვიპყარით, — სიცილით თქვა მან და ჯგუფის დანარჩენ წევრებს წარმადგინა.

მთელი გზა ახალ გაცნობილ ამხანაგებთან სასიამოვნო საუბარში გავატარე. ვიგონებდი ყველაფერს, რაც ჩემს ხელოვნებაში ღირსშესანიშნავი იყო და ვუამბობდი მათ. როგორც ვატყობდი ყველა გულდასმით მისმენდა, მოსწონდათ ჩემი ქართული აქცენტით ნაუბარი რუსული და კეთილი ღიმილით შემომცქეროდნენ. გერმანიაში ჩასვლამდე ყველანი დაგმეგობრდით. გზაში პატარა უსიამოვნება შეგვემთხვა: უეცრივ ფოლკლორული ანგინით ავად გაგვიხდა ა. ბოიკოვი. მე, როგორც ყოფილმა ექიმმა, სასწრაფო ზომები მივიღე; გაუჟკეთე პენიცილინი და ამით ავადმყოფობას გართულების საშუალება არ მივეცი. გერმანიაში ჩასვლისთანავე ანატოლი 10 დღის განმავლობაში ჰოსპიტალში იწვა, შემდეგ კი გამოჯანმრთელდა და კონცერტებში მონაწილეობდა.

დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ მატარებელი გერმანიის სამხედრო ქალაქის პატარა სადგურ ვიუნზდორფში გაჩერდა. ეს ის ქალაქია, სიადანაც 1941 წელს ჰიტლერის დივიზიები საბჭოთა ქვეყნის გასანადგურებლად დაიძრა.

პირველი კონცერტი ამ ქალაქში ჩავატარეთ. კონცერტი დავიწყე მე, ვიმღერე რახმანინოვის „ალეკოდან“ ალექოს კავატინა. საბჭოთა არმიის ოფიცერთა სახლი სავსე იყო გენერლებით და ოფიცრებით. კონცერტმა ბრწყინვალედ ჩაიარა. საკონცერტო პროგრამაში ყველაზე მაღალმხატვრული გამოსვლა ნაუმ ლატინსკისა იყო, რომლის ბრწყინვალე ტექნიკამ განაცვიფრა ყველა. ვისაც უნახავს კინოფილმი „ძოწის სამაჯური“, მას შეუძლია წარმოიდგინოს ამ შესანიშნავი მუსიკოსის ხელოვნება. მისი ვირტუოზული დაკვრა განსაკუთრებით მომაჯადოებელი იყო მოცარტის ნაწარმოებების შესრულებისას. კონცერტების ჩასატარებლად ქალაქიდან ქალაქში გვიბდებოდა გადასვლა. ხშირად 300 კილომეტრი გზის გავლის შემდეგ იმავე საღამოს კონცერტს ვატარებდით. შემოვიარეთ ქალაქები: დრეზდენი, ფიურსტენველდი, მაისენი, ჰალლე და სხვა. გერმანიისათვის უჩვეულო ცივი ზამთარი იდგა. ყინვა ხშირად 25 გრადუსს აღწევდა. ავტოსტრადების ზედაპირი თოვლით იყო დაფარული. გზები კარგი იყო და ეს გვიადვილებდა ქალაქიდან ქალაქში. დროულად გადასვლას.

გარდა სამხედრო ნაწილებისა, ჩვენ კონცერტებს ფართო მოსახლეობისთვისაც ვმართავდით. ასეთ კონცერტებზე მე ვასრულებდი შუპანის, მოცარტის, შუბერტის ნაწარმოებებს გერმანულ ენაზე, რაც ხალხის მოწონებას და აღტაცებას იწვევდა.

„საბჭოთა მსახიობებმა გვიჩვენეს ექსტრა კლასი. ეს შეფასება უპირველეს ყოვლისა ეკუთვნის ბათუ კრავეიშივლის“ წერდა „საქმიანი გაზეთის“ კორესპონდენტი მარგარიტა რისტერი.

ერთ-ერთ კონცერტს ჩემი დაბადების დღე დაემთხვა. დილით ამის შესახებ ნაუმ ლატინსკის ვუთხარი, მინდოდა ერთ ადამიანს მაინც სცოდნოდა ამის შესახებ და პატარა სასმისით დაველოცე. საღამომდე მე ყველაფერი გადამეიწყადა და გამოსვლისათვის დავიწყე მზადება. კონცერტი დასასრულს უახლოვდებოდა. როგორც კი დამთავრდა მეორე განყოფილება, ესტრადაზე გამოვიდა ოფიცერთა სახლის უფროსი, პოლკოვნიკი. გაკვირვებულმა, სმენად გადაქცეულმა გავიფიქრე — მთავრობის რაიმე საყურადღებო ბრძანებულება ხომ არ უნდა წაიკითხოს-მეთქი. მაგრამ პოლკოვნიკმა საზეიმო ვითარებაში მაყურებელთა სახელით დაბადების დღე მომილოცა. ჩემთვის ეს მოულოდნელი და მეტად სასიხარულო ამბავი იყო. ამხანაგების ყურადღებამ აღმაფრთოვანა, გადმომცეს მისალოცი ადრესი. საჩუქრები და მრავალი გულწრფელი, თბილი სიტყვა და კეთილი სურვილი გამოთქვეს.

მეგობრების სიურპრიზს მე ქართული სიმღერებით ვუპასუხე, ვმღეროდი მთელი გულით და გრძნობით.

— რაღაც განსაკუთრებული ეშხათ იყო დღეს შენი სიმღერა გამთბარი, — მეუბნებოდა ნაუმ ლატინსკი და ბავშვივით შემომხაროდა. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი მისი ინიციატივით იყო მოწყობილი და მეც დიდხანს მადლობას ვუხდიდი გულისხმიერ მეგობარს ყურადღებისათვის.

ამ შემთხვევამ მე და ნაუმ ლატინსკი ძალიან დაგვაშეგობრა. თავისუფალ დროს ხშირად ერთად დავდიოდით და ვათვალიერებდით ქალაქის ქუჩებს. ბერლინში ერთი დავალება მქონდა შესასრულებელი. ერთ დილას, საუზმის შემდეგ, ჩემოდნიდან ამოვიღე ფოტოსურათები, რომელზედაც საქართველოს ხედები იყო აღბეჭდილი. ეს ფოტოები ბერლინში რედაქციისათვის უნდა ჩამებარებინა; მე და ნაუმი კითხვა-კითხვით მივადექით რედაქციის კარებს. რედაქ-

ციაში ადვილად ვიპოვეთ ის პირი, ვისთვისაც ფოტოები უნდა გადამეცა. პირველად მან ბუნებრივი სისადავით და თავაზიანობით მიგვიწოდო, მაგრამ, როგორც კი ვუთხარი, რომ გურამ თიკანაძის ფოტოები ჩამოგიტანეთ-მეთქი, ხმამაღლა შეჰყვირა — ბრავო! შემდეგ ფეხზე წამოიჭრა და ორივეს გადაგვეხვია.

— სწორედ დღეს ვიგონებდით გურამს, — გვითხრა გერმანელმა და მეორე ოთახიდან ამხანაგებს მოუხმო. მან ჩვენი თავი მათ წარუდგინა, თან ისე გახარებული უამბობდა გურამზე, რომ ნაუმ ლატინსკიმ გადმომილაპარაკა:

— ეტყობა ძალიან უყვარს თავისი თბილისელი მეგობარი. შეხედე, ამ ერთ წუთში სულ გარდაიქმნა, შეიცვალა. შეგვხვდა როგორც დარბაისელი და დინჯი კაცი. ახლა კი ბავშვივით აღფრთოვანებულია, ცოცხლად ტრიალებს და აღარ იცის სიხარული როგორ გამოხატოსო.

გერმანელმა კარადიდან სასმისი გამოიღო, ჭიქები შეავსო და თქვა:

— მე არ შემიძლია დიდი პატივისცემით და სიყვარულით არ მოვიგონო საქართველო, რადგან იქ დავტოვე ჩემი გულის ნაწილი, მთებში, მთაგრეხილებში დავკარგე მეუღლე. მე მინდა მისი მოსაგონარი შევსვა. ჩვენ უხმოდ დავლიეთ გერმანელი ქალის შესანდობარი, რომელსაც ბედმა საქართველოს მთებში არგუნა განსვენება.

— ამ მძიმე წუთებში, — განაგრძობდა იგი, — მე განუყრელად თან მახლდა შესანიშნავი ვაჟკაცი, ქართველი რაინდი გურამ თიკანაძე, რომელმაც ჩემი ჭირი და ვარამი გულწრფელად გაიზიარა: ახლაც თვალწინ მიდგას მისი მოღიმარი, ვაჟკაცური სახე, მზის სხივებზე ბრინჯაოსაგან ჩამოსჩმულ რომაელთა ღმერთს რომ მაგონებდა. თქვენმა დანახვამ მომაგონა გურამიც და ზღაპრული საქართველოც.

შემდეგ მთხოვა გურამისათვის გადამეცა — რაც შეიძლება მეტი ფოტოსურათი გამოეგზავნა მისთვის. განზრახული გვაქვს ოიკანაძის ნამუშევართა ალბომის გამოცემაო.

გამომშვიდობებისას ვთხოვე საღამოს კონცერტზე დაგვეწვებოდა და ბილეთები გადავეცი.

ეს იყო გამოსათხოვარი კონცერტი. მეორე დღეს ჩვენმა სა-



კონცერტო ბრიგადამ დატოვა ბერლინი და მატარებლით მოსკოვი-საკენ გამოვეშურეთ.

გერმანიაში დიდი ყინვები იყო, მაგრამ არც თბილისში დამხვედრია სიტბო: აქაც ყინვა და ქარი მძვინვარებდა. ხალხში იცინან თქმა: თუ ზამთარი ცივია, ზაფხული თბილი იქნებაო.

ზამთარიც მალე დაიღია და აი, ზაფხულის ერთ მზიან დღეს, ჩემთან სახლში გურამ თიკანაძე მოვიდა. ღიმილით გასწივოსნებულ სახეზე სიხარული ეტყობოდა. გადამეხვია, გადამკოცნა და მითხრა:

— დღეს ჩემი გერმანელი მეგობრისაგან წერილი მივიღე, მატყობინებს, რომ ჩემ ნამუშევართა გამოფენას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია გერმანულ საზოგადოებაზე. მალე ალბომიც გამოიცემა და თან თქვენ მოკითხვას გითვლით. წერს, თქვენი კონცერტი დღემდე ყველას ანსოვს, განსაკუთრებით ის რომანსები, რომლებიც თქვენ გერმანულ ენაზე შეასრულეთ. ერთიც და მეორეც მე ძლიერ მიხარია, ბიძია ბათუ!

გურამის აბალგაზრდული ალტაცება მეც გადამედო, რადგან მასში არ იყო არაფერი ხელოვნური და ყალბი. იგი სილაღით იყო სავსე და მეც გავხალისდი. ცოტა ხნის შემდეგ დედამისიც შემოგვიერთდა. ჩემმა მეუღლემ ყველანი სუფრასთან მიგვიწვია.

ჩენს მხიარულებას, ოხუნჯობას და სიცილს გურამის დედა გულჩახვეული სევდით ხვდებოდა. შეჰყურებდა თავის პირმშოს და თითქოს ვერ ძღებოდა მისი ყურებით. შინაგანი მღელვარება, რაღაც შეუცნობი წინაგრძნობა არ ასვენებდა: დაჭდებოდა, ისევ ადგებოდა. ყველა ვგრძნობდით, რომ ამ ქალს რაღაც აწუხებდა. ჩემმა მეუღლემ, თითქოს მიუხვდაო დედის ფარულ წუხილს, თანაგრძნობით ჰკითხა:

— რა იყო, ტანია, რაშია საქმე? რა გაწუხებს, გვითხარი! ტანის თითქოს არც გაუგონია ეს სიტყვები, შეშფოთების დასაფარავად ნაძალადევად გაიღიმა. მაგრამ დიდხანს მაინც ვერ დაფარა ბოლმა და შვილს მიმართა:

— შვილო, გემუდარები, ჩამოშორდი მთას, გულზე ლოდვივით მაწევს დარდი. ნულარ მიდიხარ, რაც საჭირო იყო საკმარისად აღბეჭდე, ყველაფერს აქვს დასასრული. კმარა მთამსვლელობა, შემოგვევლოს დედაშენი, დამასვენე, გული ცუდს მითქვამს, შვილო!

ამ სიტყვებზე გურამის დედა ტანტზე ჩაიკეცა და აქვითინდა.

გურამმა დამშვიდება დაუწყო დედას.

— მე სვანეთში მხოლოდ დასასვენებლად მინდა ჩავიდე. მიყვარს, როცა გარშემო მთები მარტყია! თანაც, — დაუმატა მან ჩვეული ღიმილით, — ბიძია ბათუს და ჩემს გერმანელ მეგობარს სვანური ქულები უნდა ჩამოვუტანო.

დედამ თითქოს დაუჩერაო, ცოტათი დამშვიდდა. გურამმა უფრო მოიღწინა, ცეკვავდა, მღეროდა, მთლად სიხარულად გადაიქცა ჩვეული სიღინჯის ნატამალიც კი გამქრალიყო მასში.

— ბიძია ბათუ! თხუთმეტ დღეში მე აქ ვიქნები და თავზე საზეიმოდ უნდა დაგახუროთ სვანური ქული!

ეს საღამო სამუდამოდ ჩარჩა ჩემს მეხსიერებაში.

სულ მალე ჩამოცხა, თბილისელები აგარაკებზე იგაიხიზნენ. ამ სიცხეში თბილისში მომიხდა ყოფნა. ხშირად შემოვიდოდა ხოლმე გურამის დედა და შემოგვივლებდა: უკვე ათი დღეა რაც გურამი არაფერს მწერსო. მე ვამშვიდებდი; ამ პაპანაქება სიცხეში კაცი რომ სვანეთის მთებს შეაფარებს თავს, რაღა გაახსენდება. ბედნიერია გურამი, რომ მთებში წავიდა-მეთქი!

გადიოდა დღეები. ერთხელ, დღის 4 საათი იქნებოდა. სახლში უგუნებოდ დავბრუნდი. ჩემი შვილი — თამრიკო — ჩვეულებისამებრ არ შემომგებებია. ოთახის კარები შევალე და მაშინვე დავეძახე:

— თამრიკო! თამრიკო!...

თამრიკო ხმას არ მცემდა. შევშინდი, ჩემს დაძახილზე ჩემი გონა ყოველთვის სიხარულით მეპასუხებოდა ხოლმე. ახლა კი...

— თამრიკო! უფრო ხმამაღლა დავიძახე და პასუხად ყრუ, ჩამქრალი ხმა შემომესმა.

— მამა!

— რა იყო, შვილო? — მივევარდი მვილს, დიდრონი თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, — რატომ ტირი, რა მოხდა?

— მამა! გურამი დაიღუპა!

ეს სამი ჰიტყვა, სამი ნასროლი ტყვიასავით ჩამეჭკვდა გულში. გურამს უნდოდა დაეძლია მთის სიჯიუტე, დაპატრონებოდა მის მწვერვალს, მოედრიცა მთის ნებისყოფა და იმ დროს, როცა ის გამარჯვებას ზეიმობდა, მთამ სიავე განიზრახა, შავი ღრუბლების საბურველი შემოახვია და პირზე ნათელი ღიმილი ჩაუქრო.

ჩემთვის მარადუამს მძიმეა ამ ამბის გახსენება. გონების თვალ-

წინ აღიმართებინა კავკასიონის მწვერვალები, გურამის მცინაზე სახე და დანაპირები სვანური ქუდი...

გურამში მე მხიბლავდა მისი უშუალოება და უანგარობა. თავისი ქვეყნის სილამაზით შთაგონებულნი, უჩვეულოდ აღიქვამდა იგი გარემოს. მის მიერ გადაღებული ყოველი ფოტო-კადრი ხალხისა და მშობლიური ბუნებისადმი მიმართულ გულწრფელ სიძლევას წაავადდა. ის უკეთესიდან უკეთესის ძიებით გატაცებული მხატვარი იყო და ამიტომ მასთან მეგობრობა სახალისოც იყო, სასურველიც. განსაკუთრებით დიდ სულიერ მეგობრობას გრძნობდა ადამიანი, რომელსაც გურამივით თავისი ქვეყნის სულიერი სიმდიდრე, მისი გამარჯვებებისავე ღტოლვა ამოძრავებდა. ჩემი, როგორც მსახიობის, წარმატებები ყოველთვის ბავშვივით ახარებდა გულწრფელ ცაქკაცს. და არა მარტო ჩემი, არამედ ყველასი, ვინც კი ასე თუ ისე ასახელებდა შის ერს, მის ქვეყანას...

1964 წელს თბილისის საოპერო თეატრი საგასტროლოდ მოსკოვს გაემგზავრა. სპექტაკლები ჩავატარეთ კრემლის ყრილობათა სასახლეში. ყველანი ძალზე ვლელავდით. კომპოზიტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე არჩილ ჩიშკაძე ერთი წელი იყო რაც თეატრის დირექტორად მუშაობდა; მისი მოადგილე, ოპერის ყოფილი სოლისტი ნ. ჭაფარიძეც თეატრის ახალი მუშაკი იყო. თეატრის წინაშე კი რთული ამოცანები იდგა. ხუმრობა ხომ არ არის — რესპუბლიკის სახელით წარსდგე მოსკოვში, სადაც ხშირად იმართება მაღალმხატვრული საღამოები და, ამას გარდა, უამრავი უცხოელი იყრის თავს. რეპერტუარი საინტერესოდ იყო შერჩეული: ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, პროკოფიევის „სემიონ კოტკო“, ვერდის „ტრუბადური“, გუნოს „ფაუსტი“, ბალეტები: მაკავარიანის „ოტელო“, ს. ცინცაძის „დემონი“ და ა. კვერნაძის საბალეტო მინიატურები.

ყველაზე სასიამოვნო ის იყო, რომ სალაროებში ბილეთები მაშინვე დაიბატონეს და წარმოდგენის დაწყების წინ, როდესაც თეატრში მივდიოდით, მაყურებლები პირდაპირ გვემუდარებოდნენ ზედმეტი ბილეთი ხომ არ გეგულებათო. ეს იყო ჩვენი ქართული ხელოვნების წარმატება და ვისაც კი პატრიოტული გრძნობით უცემდა გული,

ყველა ამაყად შედიოდა ხალხით გაქედნილ უზარმაზარ დარბაზში. ჩვენს სპექტაკლებს ხშირად ესწრებოდნენ დიდი თეატრის სოლისტები. განსაკუთრებით ი. კოზლოვსკი გულშემმატკივრობდა, შემოდინოდა და გვეტყოდა ხოლმე: ყოჩაღ, ქართველებო! ამდენი მაცურებელი არც ერთი რესპუბლიკის ხელოვნებას არა ჰყოლია. მე ვაკვირდები და მიხარია, რომ თითქმის ყოველ სპექტაკლს უამრავი ხალხი ეტანება. ეს ყველაფერი ბევრის მთქმელია და უპირველესყოვლისა თეატრის მხატვრულ ავტორიტეტზე და მის მაღალ შემოქმედებაზე მეტყველებსო.

ერთ დღეს მე და კოზლოვსკი დირექციის ლოჯიდან ერთად ვუსმენდით ს. პროკოფიევის ოპერას „სემიონ კოტკო“. პროკოფიევი კოზლოვსკის ახლო მეგობარი იყო და მე მინტერესებდა მისი აზრი. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ კოზლოვსკი მაღალი წარმოდგენის იყო თვით პროკოფიევზე, როგორც საბჭოთა მუსიკის ერთ-ერთ წამყვან კომპოზიტორზე. საინტერესო იყო, — რა შთაბეჭდილება დარჩებოდა კოზლოვსკის ჩვენს ამ სპექტაკლზე, რომლის დადგმა განახორციელა მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანიჩკოს სახელობის მუსიკალური თეატრის რეჟისორმა მიხაილოვმა. კოზლოვსკიმ განაცხადა, რომ პროკოფიევი უდაოდ დიდი შემოქმედია, მაგრამ... ეს „მაგრამ“ ჩემში მაშინაც და დღესაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დარჩა, მიუხედავად გენიალურად გადაწყვეტილი რიგი სცენებისა; თანამედროვე სიუჟეტისა და ფორმის თავისებურება ჯერ კიდევ ვერ იმკვიდრებს საყრდენს ტრადიციულ საოპერო ნიჟადაზე; რადგან წარმოშობს ერთგვარ უჩვეულობას, რის გამო, ასეთ ოპერებში, მომღერალი ვერ დგას თავისი მოწოდების სიმადლეზე. ვოკალური ხაზი უჩვეულოა, იგი ძალიან დიდ საშემსრულებლო სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ხმის ზედმეტი დაძაბვის გამო მომღერალი ხშირად კარგავს მთავარს. ალბათ მომავალში თანამედროვე ოპერის საკითხი უფრო დიდი მადლით ალაპარაკდება; დღეს კი ის უსააუოდ ვერ არის მთლიანად გახსნილი და ათვისებული. როგორც ჩანს, ამით აიხსნება, რომ მაცურებელში იგი ვერ ნახულობს მყარ და სტაბილურ ადგილს. თანამედროვეობის ამასხველი ოპერა „სემიონ კოტკო“ ჯერ კიდევ ვერ შერჩა საოპერო სცენას, როგორც მისი ხშირა სტუმარი. შემდეგ მან შემომხედა, გამიღიმა და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: ვნანობ, რომ აქამდე „აბესალომ და ეთერის“ ლუეტი ვერ შევასრულეთ და მთხოვა ახლო მომავალში

უსათუოდ ვიმღეროთ ერთადო. გუშინწინ მოვისმინე ოპერა „აბესალომ და ეთერი“, მომეწონე მურმანის როლში, კარგად ქდერდი და მიხარია, რომ ისევ ისე გამოიყურებო.

დასვენით კონცერტს კოზლოვსკი აღარ დასწრებია. ის გაემგზავრა გასტროლებზე ქ. ფორკში. წასვლის წინ სასტუმრო „ლენინ-გრადსკაიაში“ (სადაც მე ვცხოვრობდი) ჩემთვის პატარა ბარათი და საჩუქარი დაეტოვებინა. ბარათში მწერდა: „ძვირფასო ბათუ! ვწუხვარ, რომ ვერ გამოგეთხოვე, მჯერა, ღრმად მჯერა, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ უნდა შევხვდეთ. გადაეცათ ჩემი მოკითხვა თქვენს მშვენიერ ოჯახს.

მარად თქვენი მოსიყვარულე კოზლოვსკი“.

მოსკოვში გასტროლები კარგად ჩატარდა. სპექტაკლებს უამრავი მაყურებელი ესწრებოდა. ყოველ სპექტაკლზე მზურვალე ტაში გრიალებდა, ისმოდა შეძახილები და იმართებოდა ოვაციები. მოსკოვმა ამჯერადაც გულთბილად მიღო ჩვენი თეატრი.

პრესა თითქმის ყოველდღე აქვეყნებდა რეცენზიებს, მეგობრულ წერილებს, რომლებშიც დადებითთან ერთად, ობიექტურად კრიტიკულ შენიშვნებსაც არ ერიდებოდნენ. საერთოდ კი ჩვენი უკანასკნელი გასტროლები მოსკოვში დიდი ტრაუმფით აღინიშნა, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქართული საოპერო და საბალეტო თეატრი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო თეატრთაგანია. რომელსაც მოსკოვში უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. თეატრში თითქმის ყოველ სპექტაკლზე ვხედავდით მოხუც კაცს, რომელიც დარბაზში მოზღვავებული მაყურებლის აპლოდისმენტებს თავისი სუსტი ტაშის ცემასაც უერთებდა. მოხუცს თვალები ყოველთვის ცრემლებით უბრწყინავდა და ვგრძნობდით, რომ ის ჩვენთან ერთად სარობდა ჩვენი ხელოვნების გამარჯვებით.

ერთ დღეს დავინახე, რომ შთაბეჭდილებათა წიგნში ათროლოგებულ ხელით რაღაცას წერდა. დავინტერესდი მისი ვინაობით. მიუხალოვდი და გამოველაპარაკე.

— იცი მე ვინა ვარ? — იკითხა უცნობმა. — მე ვარ მეფე ერეკლე ვ. დოლიძის „ლეილაში“! გამიკვირდა. გვარი ვკითხე. იგი წელში გასწორდა და ამაყად მიიხრა:

— მე გახლავართ კრუზო! ერთ დროს თქვენს სახელოვან თეატრში ტენორის წამყვან პარტიებს ვმღეროდი.

მე უცნაურად მომეჩვენა ძიის გვარი და ეროვნება ვკითხე. მოხუცმა ჩაიციინა და მითხრა:

— ჩემს გვარს საინტერესო ისტორია აქვს: უწინ ჩვენ ფოკინები ვიყავით. ბატონყმობის დროს რუსეთში ერთი რუსი მებატონე ცხოვრობდა, რომელიც გატაცებული იყო სათავგადასავლო რომანების კითხვით. ეს ბატონი, სხვებთან შედარებით, მეტად კეთილი კაცი იყო და სულ მცირე გამოსასყიდით ათავისუფლებდა თავის ყმებს. მაგრამ გათავისუფლებულ ყმებს, ნაცვლად თავიანთი მამაპაპური გვარისა, მისგან შერქმეული გვარი უნდა მიეღოთ. ახარებული მებატონეც ზოგს „სლედოპიტს“ არქმევდა, ზოგს „კოჟანი ჩულოკს“ და ა. შ. ჩემი ახლო ნაცნობის — ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის წინაპრებისათვის, ყმობისაგან განთავისუფლების შემდეგ, ფოკინების ნაცვლად, მხიარულ ბატონს რობინზონ კრუზოს გვარი მიუწიებდა!..

როცა ჩემი შემოქმედების მეორე პერიოდს ვაკვირდები, ხელოვნებაში მრავალ სასიქადულო და საამაყო სიახლეს ვიგონებ, საოპერო სცენაზე ღირსეულ ცვლას ვხედავ. ეს ბუნებრივია, რადგან ჩვენს ეროვნულ ხელოვნებას შესანიშნავი ტრადიციები აქვს.

მე მინდა შევჩერდე იმ მოწინავე ახალგაზრდობაზე, რომელმაც ქართულ საოპერო ხელოვნებაში თავისი სახელოვანი წინაპრების გზა ღირსეულად განაგრძო და თავისი ნიჭი და მუყაითი შრომით ჩვენს ეროვნულ მუსიკალურ კულტურას ახალი ელფერი მოჰფინა. ერთ-ერთი საინტერესო ფიგურაა მედეა ამირანაშვილი, რომელიც ბედნიერი იარემოს შვილია. მისი მშობლები ათეული წლების მანძილზე ემსახურებოდნენ ქართულ საოპერო თეატრს. მათი ყოველდღიური ცხოვრება თეატრალური ცხოვრებისაგან განუყოფელი იყო. მედეაც ბავშვობიდანვე თეატრალურ ატმოსფეროში იზრდებოდა. მისთვის ყველაზე დიდი შთაგონებას წყარო თეატრი აღმოჩნდა. 16 წლის ასაკში იგი უკვე ამღერდა და რაკი ხმამაც ხელი შეუწყო — დანარჩენი მისთვის უკვე ნაცნობი და ახლობელი იყო. ხმის ფორმირების შემდეგ იგი სცენამ გაიტაცა და ფრთებსხმული მალე ფართო ასპარეზზეც გამოვიდა.

მე სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, როდესაც ახლადკურსდამთავრებული მედეა მოუთმენლად ისწრაფოდა რაც შეიძლება

მალე ჩარიცხულიყო საოპერო დასში. შედეგად ეს სანუკვარი ოცნება თითქოს არ უნდა ყოფილიყო შორეული, მაგრამ თეატრის სპეციფიკა იმდენად თავისებური და რთულია, რომ ბევრჯერ წინასწარ ვერ იგრძნობს ტალანტს და ვერ უღებს ალლოს მის მომავალს. მე დაბეჯითებით ვწამდა მისი მომავალი და მასთან ერთად თამამად ვიბრძოდი მის დიდ გზაზე გამოსასვლელად, ბედნიერი ვარ იმით, რომ დღეს შედეგ ამირანაშვილმა, თავისი სანამუშოო შრომისმოყვარეობით და ნიჭით, რაც მისი დღევანდელი და შემდგომი წარმატების საწინდარია, სიხარული მოჰფინა არა მარტო მის ახლობლებს, არამედ ვოკალურა ხელოვნების მოყვარულთ. საზოგადოდ შედეგ ამირანაშვილმა სულ მოკლე დროის მანძილზე მაღალი ვოკალურა ოსტატობით განახორციელა სოპრანოს არა ერთი ურთულესი პარტია. მის შესრულებას პირველ ყოვლისა ახასიათებს ნაწარმოების იდეური არსისადმი ღრმად ჩაწვდომა, ვოკალური და სცენური სიმაღლეების დაპყრობა და მათი ხალასი არტისტიზმით გამოსახვა.

ჩემს პარტნიორებს შორის შედეგ ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია. მე მასთან ვიმღერე „დაისი“, „ევგენი ონეგინი“, „ჯამბაზები“, „ტრაფიატა“, ა. ბუკიას ოპერა „არსენა“ და სხვა. მისი შემოქმედება გამთბარია ღრმა ადამიანური თვისებებით. ეს ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერალი ქალი, როგორც ხელოვანი, განუზრელად იზრდება.

ასევე მინდა აღვნიშნო ჩემი უცვლელი პარტნიორი ქალი — ოლღა კუზნეცოვა. მისი ხმა არაჩვეულებრივად თბილი ტემპრითაა დაჯილდოებული. მის ხმაში რაღაც უჩვეულო ემოციური სიტყბო გამოსჭვივია. ამას თან ერთვის ჰაეროვანი სირბილე და ყველაფერი ეს მის სიმღერას განსაკუთრებულს და მიმზიდველს ხდის.

ო. კუზნეცოვა იმდენად შესანიშნავი ნინოა ოპერაში „ჩრდილოეთის პატარძალი“, რომ მის გარეშე ეს სახე ვერ წარმოიძღვინია. ის ქეშმარიტად გრძობედოვის თბილი და მოსიყვარულე ოცნებაა. ურთულეს სცენებშიც კი მსახიობი ქალი. უტყუარი ინტუიციით. ადვილად უმკლავდება სიმწელებებს და მაღალი აქტორული შთავონებით აღიქვამს თავის როლს.

ასეთივე გამომსახველი ძალით ასახიერებს იგი ტატიანას სპეტაკ სახეს ოპერაში „ევგენი ონეგინი“. შესანიშნავია ოლღა—ტატიანა ლარინების მეჯლისში, გრემინთან მეჯლისში და განსაკუთრებით — დასკვნით სცენაში. აქ მისი მღელვარებით აღსავსე, სიყვარულით გამთბარი ხმა განსაკუთრებულად ელვარებს და დიდ მხატვ-

რულ დამაჯერებლობას აღწევს. მისი უკანასკნელი ფრაზა ონეგინთან განშორებისას ჩემში ყოველთვის ღრმად ემოციურ გამოძახილს იწვევს. ამის გამოა, ალბათ, რომ ონეგინის უკანასკნელი ფრაზა: „Поэтор, тоска, о, жалкий жребий мой!“ — თითქოს დაცარიელებული გულის სიღრმიდან აღმოჩნდება.

განსაკუთრებული სიხარულით მინდა შევეხო ზურაბ ანჯაფარიძის ბრწყინვალე წინსვლას. აი სად შეიძლება აბსოლუტური სიზუსტით აღვნიშნო ის ძირითადი და გარდუვალი, რის გარეშედაც მოქალაქის წარმატება არასოდეს არ შეიძლება იყოს სრულყოფილი და სრულფასოვანი. ესაა ვოკალისა და სცენური ოსტატობის მთლიანობა, თანატოლობა, თანააზრობა, როცა ვოკალით გადმოცემული ფერები შუქს ფენს და აძლიერებს სცენურ მოქმედებას და პირიქით. მართალი და ლოგიკური სცენური მოქმედება მაღლა სწევს სიმღერის შინაარსს. სწორედ ამ რთულ და ერთეულებისათვის მისაწვდომ „გაბაღებს“ მიაგნო ზურაბ ანჯაფარიძის თვითმყოფადმა ნიჭმა და ნაყოფიერად გამოიყენა იგი თავის შემოქმედებით მუშაობაში. ის შესანიშნავი ნიჭისა და მაღალი მხატვრული ტაქტის მქონე პარტნიორია. ყოველთვის, როცა მასთან სცენაზე ყოფნა მიხდება, უღოდეს არტისტულ კმაყოფილებას განვიცდი.

არასდროს დამავიწყდება 1962 წელი, როცა ლენინგრადში „დაიპით“ გავხსენით საგასტროლო სეზონი. მოხდა ისე, რომ ბოლო აქტში, მალხაზმა და მე მარო ავანსცენაზე დავტოვეთ და ორივენი, ყოველგვარა წინასწარი შეთანხმების გარეშე, სცენის სიღრმეში შემალლებულ ადგილზე ვიდექით. დაიწყო III მოქმედების კულმინაციური ტრიო. აქ მალხაზი იწყებს სიმღერას: „ჩაიფერფლა მოთმინება. დამნაშავეს ზეცა იფანჯის, მართალს უშველის განგება“. ამ ფრაზას ჩამოართმევს მარო, ხოლო კიბო მას განაგრძობს და აწვითარებს. მისი სიმღერა ამძაფრებს სიტუაციას და თითქოს ცეცხლს უკიდებს თავის მოქიშპეს. ეს სიტყვები ქარიშხალივით ედება სცენას. ამ დროს ზურაბმა დამიცადა, თითქოს წინასწარ იგრძნო, რომ მეც ქვევით ვაპირებდი ჩასვლას და ჩემს სიტყვაზე — „ჩაიფერფლა“, როგორც ნიაღვარი. ჩემთან ერთად დაეშვა ძირს და ორივენი მაროს ფეხებთან დავეცი. მედია ამირანაშვილი წინ იგავარდა, თორემ შეიძლება ჩვენს შუაში მოქცეულიყო. ამ იმპროვიზაციულ, მაგრამ სავსებოთ გამართლებულ მოქმედებას ტაშის გრიალი მოჰყვა.

ერთხელ აბესალომისა და მურმანის ცნობილ დუეტში, როცა



გმირთა ვნება უმაღლეს მწვერვალს აღწევს სიტყვებზე: „უკვდავების წყალსა დროით ცხრა წყაროსა მივაწვდიდე“, მე აბესალომ-ანჯათარიძისაჲენ გავჰანდი. მან რაღაც თვალის დახამნაშებებში იგრძნო ჩემი ჩანაფიქრი და ისიც დაუყოვნებლივ შემომეგება. კარგა ხანს დავრჩით ასე შემართულნი, რადგან სცენამ ეს უჩვეულო მიზანსცენა შეიშნო. ამით მე მიზნა ხაზი იგავუსვა ზ. ანჯათარიძის აქტიორულ ალღოს, რომლითაც ნიჭიერმა და აზრიანმა მსახიობმა, მხატვრული ზომიერების გრძნობით, შეიძლება ექსპრომტად ახალი მიზანსცენა შეთხზას სცენაზე. ასევე შესანიშნავია იგი „ტოსკაში“, „აიდაში“ და სხვა. რაც შეეხება მის ვოკალურ მონაცემებს და მღერის მომხიბვლელ მანერას, ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ რიცხვმრავალ დარამატულ ტენორებს შორის მხოლოდ ზურაბ ანჯათარიძე მოიჩინეს ყველაზე შესატყვისად გერმანიის როლის ვოკალურად განსაზიერებაში ცნობილ კინოსურათში „პიკის ქალი“. არანაკლებ მეტყველია ისიც, რომ დღეს, ეს ნიჭიერი ქართველი მომღერალი მოსკოვის დიდი თეატრის ერთ-ერთ წამყვან, საამაყო ძალას წარმოადგენს. მას სავსებით დამსახურებულად მიენიჭა სსრკ სახ. არტიტის წოდება.

ნოდარ ანდღულაძე, ისე როგორც ზურაბი, ჩვენი საოპერო სცენის ქაშუალო თაობის ბრწყინვალე წარმომადგენელია. ნოდარის ომანინი, ვაჟკაცური ბგერებით გამოჩენილი ხმა გაბედულად მოიკვლევს გზას საოპერო ხელოვნების მწვერვალებისაკენ. ვოკალთან ერთად იგი დიდ ყურადღებას აქცევს თავის გმირთა ლოგიკურად გამართლებულ სცენურ მოქმედებას. მისი მზარდი ოსტატობა გაბირობებულა ნიადაგ ახლას ძიებით; მან გააზრებულად აითვისა იტალიური სასიმღერო სკოლის ძირითადი მეთოდი, რითაც შესამჩნევად გაზარდა თავისი სამემსრულებლო ტექნიკა. ნოდარი ჩინებული პარტნიორია, გამგები, ინციტატივიანი, რომელთანაც ადვილია სცენური კონტაქტის დამყარება.

ასევე შესანიშნავია ჩვენი თეატრის თვალსაჩინო წარმომადგენელი, კოლორატურული სოპრანო ნათელა ტულუში. მისი გამჭვირვალე, მოქნილი, ფართო დიაპაზონის ხმა განსაკუთრებით კოლორატურისათვის დამახასიათებელ როლებში მელანდრება. ასეთია. მაგალითად. დონიკეტის „ლუჩია დი ლამერმური“, სადაც ნათელა აღწევს ლუჩიას ტექნიკურად რთული სახისა და მისი კონტრასტული შინაგანი სამყაროს დამაჯერებლად გახსნას.

ვარდა ამისა ლუჩიას ვოკალურად და სცენურად რთულ სახე მომღერალი ქალისაგან მოითხოვს მის ვოკალურ შესაძლებლობათა რაციონალურად განაწილებას, აქტიორული გარდასახვის დიდ ოსტატობას. ნათელა ტულუში ყველა ამ თვისებებს ჯეროვნად ამჟღავნებს ლუჩიას როლში.

მე დიდხანს მემახსოვრება 1965 წელს ლენინგრადში ჩატარებული გატროლების პირველი სპექტაკლი „ლუჩია დი ლამერმურა“. მერე აქტში, ჩემთან (ჰენრიხთან) სცენაში, ნ. ტულუში უჩვეულო მაღალი შთაგონებით მღეროდა და ალბათ ის დიდი წარმატება, რაც ამ სპექტაკლს მაშინ ხვდა წილად, მისი პირადი დამსახურებაც იყო. ასევე მშვენიერია ნათელა—ვიოლეტა და კიდევ უფრო კარგი—ჯილდა. მისი ხმის დამახასიათებელი თვისებებია: სრული დიაპაზონი, მოქნილობა, ტექნიკური სრულყოფა, სინაზე და ტემბრალური ფერადოვნება, რაც ესოდენ საჭიროა პირველხარისხოვანი კოლორატურისათვის.

მე არა ერთხელ აღმინიშნავს, რომ თუ ტენორებს და ბარიტონებს ჩვენი სცენაზე ბევრი სახელოვანი წინამორბედი ჰყავდა, ჩვენი ბანება, სამწუხაროდ, ამით ვერ დაიკეცხიან. დიდხანს არ უმღერია საოპერო სცენაზე პირველ ქართველ გამოჩენილ ბანს — ფილიმონ ქორიძეს. თავის დროზე ყურადღებას აპყრობდა მძლავრი ხმის მქონე ბანი ვასო შარაშიძე, რომელსაც უმთავრესად ქართულ ოპერებში ეხერხებოდა გამოსვლა. რაც შეეხება დიმიტრი მჭედლიძეს. — იგი ჯერჯერობით რჩება ერთადერთ გამოჩენილ ქართველ ბანად. რომელმაც დირსეულად აითვისა რუსული ვოკალური სკოლის რეალისტური ტრადიციები. დიდ თეატრში ხანგრძლივი არტისტული მოღვაწეობის შედეგად სავსებით დასრულებულ ოსტატად მოევლინა ეროვნულ საოპერო სცენას. დ. მჭედლიძე — ფართო არტისტული გაქანების მომღერალია, რომლის რეპერტუარში საპატიო ადგილი უკავია ბანის წამყვან პარტიებს ქართული, რუსული და უცხოური ოპერებიდან.

ჩვენს ახალგაზრდა ბანებს მომეტებული შრომა და ყურადღების დაძაბვა მართებთ, რათა ნიადაგ მაღალ მოთხოვნილებათა დონეზე ასახიერებდნენ ბანის რთულ პარტიებს.

ამ მხრივ თენგიზ მუშკუდიანი გამოირჩევა თავისი მდიდარი ბუნებრივი თვისებებით, შესანიშნავი ხმით, ბრწყინვალე გარეგნობით, სიმღერის მართებულნი, დამაჯერებელი მანერით და მაღალი მუსიკა-

ლური გემოვნებით. თენგიზ მუშეუდიანმა დიდი აღიარება ჰპოვა, როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, ისე ჩესოსლოვაკიაშიც. მისი ბორის გოდუნოვი, დონ ბაზალიო, მეფისტოფელი — მაღალი პროფესიული თვისებებით გამორჩეული გმირებია. მუშეუდიანი სავსეა შემოქმედებითი ცეცხლით და, ჩვენდა სასიქაღულოდ, ბევრს ახალს და ღირსშესანიშნავს ქმნის. მინდა აგრეთვე აქვე აღვნიშნო მზარდი, გონიერი მომღერალი ირაკლი შუშანიანი, რომელმაც ბევრი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა თბილისის საოპერო თეატრის ინტორიაში. მისი ლეპორელო მოცარტს „დონ ეუანში“; ტუჩინკო — „სემიონ კოტკოში“ ნიჭიერი მომღერლის უსათუოდ დიდი მიღწევია. ბრწყინვალე ხმების პატრონებია: ვახტანგ გლუნჩაძე, რომელმაც თავი ისახელა მთელ რიგ წამყვან სატენორო პარტიებში, რევზ გორგიძე, თენგიზ ზაალიშვილი, — სასიამოვნო ტემბრის ღირსი კული ტენორი, რევზ კაკაბაძე, თენგიზ ზეინკლიშვილი, ამირან გაგუა, კუკური მალრაძე, მერაბ დონაძე, ვანო კოკოლია, ნუკოლოზ ნადიბაიძე და სხვები. ხმის სიახლე და ელვარება ბევრას შემძლეა, თუ ბუნების მიერ მიმადლებულ ნიჭს თავიანთ შრომასა და ჭაფას შეაგებებენ და, ხმის მდიდარი მონაცემების შესატყვისად, იბრძოლებენ ჯეროვანი სცენური გარდასახვის ხერხებს ათეაბებისათვის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ჭეშმარიტი მუსიკალური ღირებებით შემკული, სცენური ნიჭით აღსავსე თამარ თაქთაქიშვილი. მისი ეთერი და განსაკუთრებით ტოსკა — მომღერალი ქალის საშემსრულებლო ოსტატობის უტყუარი აღიარებაა. თ. თაქთაქიშვილი ჩიოჩიო-სანში — უაღრესად არტისტული და ქალური სინაზითა სავსე.

მდიდარი ხმითაა დაჯილდოებული ნუნუ ქაჯაია, მოპიბვლელია თამარ გურგენიძე და არუსია მურადოვა. თავისი შესაძლებლობების ფარგლებში უაღრესად პროფესულია ტანია მალიშვილი. ჩემს ძველ პარტნიორთა შორის დიდი სიყვარულით მინდა აღვნიშნო უბრწყინვალესი სილამაზის ხმის მეცო-სოპრანოს პატრონი ლეილა გოცირიძე, რომელიც უკვე თვრამეტი წელია რაც კეთილსინდისიერად ემსახურება ჩვენს საოპერო სცენას. მისი ხმის სიმძლავრე და ნაჯიფეროვნება ნიადავ ხიბლავდა მსმენელს. არტისტულმა ტემპერამენტმა და სცენურმა ეშხმა მომღერალს ფართო სახელი შეუქმნა. მისი კარმენი, ამნერისი, აზუჩენა ჩვენს სცენაზე დარჩება როგორც მსახიობის შესანიშნავი ქმნილებანი. მრავალი წელი მიმდებარე ლეილა გოცირიძესთან ერთად, განსაკუთრებით „კარმენში“ და თითქმის

ყოველთვის დიდი კმაყოფილების გრძნობით ვიგონებ ამ სპექტაკლებს.

საოპერო თეატრში ღირიყორი მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ამიტომ მის ნიჭსა და შრომისუნარიანობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ღირიყორი-მუსიკალურ ნაწარმოებთა ფორმისა და იდეების გამსწნელი და წარმმართავი ძალაა, მომღერლის აღმზრდელი და გზის მაჩვენებელი, სპექტაკლის მუსიკალურად მორგანიზებელი და პასუხისმგებელი. სპექტაკლის მზადების პერიოდში ღირიყორი ყველაგან, ყველა სფეროში უნდა ატარებდეს ყოველდღიურ, დაძაბულ მუშაობას, სრულყოფილად ახორციელებდეს კომპოზიტორის ჩანაფიქრს. ღირიყორი ვალდებულია იზრუნოს არამარტო ტემპების თუ შესრულების ხასიათის სიზუსტეზე, არამედ, რაც მთავარია, უნდა უხსნიდეს შემსრულებელთ მუსიკალური დრამატურგიის არსს, კომპოზიტორის აზროვნების სტილის თავისებურებებს და სხვა. ასევე ორკესტრი და გუნდიც ორგანულად უნდა იყოს ჩართული ყველა საშემსრულებლო ძალებთან ერთად, რათა მთელი სისრულით მოხდეს საოპერო სპექტაკლის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის გახსნა და მისი დამაჯერებელი წარმოსახვა. ღირიყორის უშუალო ხელმძღვანელობით უნდა ხდებოდეს, როგორც ცალკეულად სოლისტების, ისე ანსამბლების შემღერებები, ჭერ ცალკეულ საკრავთა, ხოლო შემდეგ — ჯგუფებისა და მთლიანად ორკესტრის რეპეტიციებში. ასეთი მეთოდური მუშაობის შემდეგ შეიძლება დაიწყოს მზადება სპექტაკლის მთლიანობაში მოსაყვანად. როცა ამ დიდ და ძირითად სამუშაოს ღირიყორი უკან მოიტოვებს, მას შეუძლია დამწვიდებთ უცადოს ფარდის ახდას. თუ ფარდის აწევამდე ის იყო მთავარი და ძირითადი, შემქმნელი იყო ყველაფრის, რაც სპექტაკლის მუსიკალურ მხარეს შეეხება, ფარდის ახდის შემდეგ ის უკვე წარმმართველია იმისა, რაც სცენაზე და ორკესტრში ხდება. თუ მომღერალს რაიმე ფათერაკი შეემთხვა, ღირიყორი ვალდებულია იყოს მოქნილი და შესაძლებლობის ფარგლებში შექმნილი მდგომარეობიდან გამოიყვანოს, როგორც მომღერალი, ისე ორკესტრი და გუნდი.

დიდი მუსიკალური ნიჭისა და საშემსრულებლო ტექნიკის მქონე ღირიყორს ს. სამოსუდს არ უყვარდა არავითარი გადახვევები

ავტორისეული ორიგინალიდან. მაგრამ სპექტაკლებში არასოდეს არ იჩენდა განსაკუთრებულ აქტივობას. ის წინასწარ მტკიცედ მოამზადებდა სოლისტებს, გუნდს და ორკესტრს, თითქმის ყოველგვარი „კარნახის“ გარეშე ატარებდა სპექტაკლებს. ერთხელ დიდ თეატრში „იოლანტას“ გენერალური რეპეტიცია ისე ჩაატარა, რომ არც ერთ მომღერალს შესავალს არ აძლევდა. რა თქმა უნდა სპექტაკლის მსვლელობის დროს ის უფრო „გულუხვი“ იყო, მაგრამ მაინც თავშეკავებული.

ომის წინა პერიოდში დიდ თეატრში იღმებოდა „ბორის გოდუნოვი“. სპექტაკლს მუსიკალურად და სცენურად ამზადებდა სამოსუდი. ეს ოპერა დ. შოსტაკოვიჩის რედაქციით უნდა წასულიყო. მე დავალებული მქონდა ანდრეი შჩელკანოვის პარტია. რეპეტიციებს უკვე გავდიოდით, პატარა, მაგრამ საპასუხისმგებლო პარტია დირიჟორის ყოველგვარი დახმარების გარეშე მიმყავდა. სამოსუდი შესავალს არასოდეს არ მაძლევდა. რეპეტიციის დროს იგი ხშირად ზურგს შეგვიქცევდა ხოლმე, — აეთა იყო ამ დიდი მუსიკოსის მომთხოვნი პრინციპი, რითაც დიდ შედეგს აღწევდა. მისი სპექტაკლები ყოველთვის სანაქებო სიზუსტით, მაღალი მნატვრული ღირსებით და, რაც მთავარია, კომპოზიტორის იდეურ ჩანაფიქრთან სიხლოვით გამოირჩეოდა.

ა. მელიქ-ფაშაევი კი სულ სხვა თავისებურებების მქონე დირიჟორი იყო. მას უყვარდა სპექტაკლამდე მთელი ძირითადი მუშაობის ჩატარება, ხოლო სპექტაკლის მსვლელობის დროსაც კი მომღერალთან იყო და ყოველ შესავალს, ყოველ ფრაზას თვითონაც დირიჟორული ხერხებით გამოყოფდა და განსაკუთრებულად გადასცემდა მომღერალს. ის ხშირად, მომღერალთან ერთად, ჩუმი ლილინით მღეროდა კიდევ. იგი თავისი ხალასი არტისტიზმით უშუალო კონტაქტში იყო სცენასთან და ორკესტრთან. მე მასთან მომიმზადებია და მიმღერია დიდ თეატრში: მურმანი („აბესალომ და ეთერი“), ელეცკი („პიკის ქალი“) და ჟერმონი („ტრავიატა“). ის ყველგან ერთი პრინციპის და ერთი მიმართულების დამცველი იყო ბოლომდე, პულტიდან მომღერლის უშუალო თანაშემწე და თანაშემოქმედი.

მელიქ-ფაშაევი თბილისშიც ჩამოვიდა ამ რამდენიმე წლას წინათ. მისი თხოვნით მასთან „აიდაში“ ამონაპრო ვიმღერე. ის ისეთივე მელიქ-ფაშაევი იყო, როგორსაც მას ძველად მოსკოვში ვიცნობდი — დიდი მუსიკოსი და საოპერო ხელოვნების ბრწყინვა-

ლე ოსტატი. ის თავისი შემოქმედების მიზანსა და დანიშნულებას პარტიტურის გახსნისას, კომპოზიტორის ჩანაფიქრის ფაქიზად აღქმაში ხედავდა, რადგან მას არ უყვარდა ავტორისეულ მხატვრულ კონცეფციაში, მის შემოქმედებით პრინციპებში „ბრძნული“ ჩარევა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვალერი ბერდიაევი, სამოსუდი და მელიქ-ფაშაევი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ემსახურებოდნენ საოპერო ხელოვნებას. ამავე დროს მე შევხვედრივარ მთელ რიგ დირიჟორებს, რომელთაც ბევრი გაუმართლებელი და კომპოზიტორის განზრახვისაგან დაშორებული „სიახლენი“ მიუტმასნებიათ საოპერო პარტიტურის გახსნისას. მაგალითისათვის მინდა მოვიყვანო ნიაზი — უდაოდ ნიჭიერი დირიჟორი, რომლის მიერ ზოგიერთი ოპერის გააზრება, კერძოდ ისეთი პოპულარული ნაწარმოებისა, როგორიცაა „კარმენი“ — განცვიფრებას იწვევს. სილაღით, ვაჟკაცობითა და სიშმაგით სავე ტორეადორის ცნობილ კუპლეტებს ნიაზი ორჯერ შენელებულ ტემპში ასრულებს. რომელი მსრიდანაც არ უნდა მივუდგეთ ტორეადორის სახეს, მის შინაგან ბუნებას, იგი ნიადაგ ერთსა და იმავეს მეტყველებს, სახელდობრ იმას, რომ თავისი გამბედავი მედგარი სულით გააფთრებამდე მისულ ხარებს სიცოცხლეს უსპობს, რომ ის გმირია და ხალხიც, რომელსაც იგი თავის თავგადასავალს უამბობს, აღფრთოვანებით და შეძახილებით ახალისებს მას. გარდა ამისა, თუ ხელოვნების დამახასიათებელი მძლავრი თვისებაა კონტრასტები, ჯანა შეიძლება ტორეადორის კუპლეტები იმავე მდორე და შენელებული დინებით მიდიოდეს, როგორითაც დონ ხოზეს არია? ეს დამახინჯებაა როგორც ბიზესი, ისე ესპანელი ტორეადორის მჩქეფარე ბუნებისა, დამახინჯებაა მომღერლის, რომელიც ამ როლს ასეთ მოდუნებულ ტემპში იმღერებს. როცა ნიაზის შევეჭითხე, თუ რითი ხელმძღვანელობდა იგი როლის ასეთი გაგებისას, მან მოკლედ მიპასუხა: — მე ასე მენმისო!

ერთი ასეთი შემთხვევა (გარდა ბაქოსი), ჩეხოსლოვაკიაშიც მქონდა, როცა „ტრავიატაში“, ვიოლეტასთან ჩატარებულ დუეტში: დირიჟორი რაღაც უცნაურად შენელებულ ტემპს მოხოვდა. ეს ყველაფერი, ჩემი აზრით, ან დაუღვერობას უნდა მიეწეროს, ან კიდევ ნაძალადეგ „ნოვატორულ“ მისწრაფებას. მართლაც, როცა მუსიკოსი, მუსიკის ძირითად და დიდი ხნით დადგენილ ნორმებს გაუმართლებლად და უხეშად არღვევს, მას ჰგონია, რომ იგი თავისი „ორი-

გინალური: ძიებით. თითქოს ახალს. სხვისაგან შეუმჩნეველსა და აღმოუჩინელს აჩენს.

1947 წლის 7 სექტემბერს ქ. მოსკოვი თავისი დაარსების 800 წლისთავს ზეიმობდა. მთელი საბჭოთა ქვეყანა სადღესასწაულოდ იყო განწყობილი. მოსკოვისაკენ განუწყვეტლივ მიედინებოდნენ სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლები. მოქმედათ ათასგვარი საჩუქრები და, რაც მთავარია, გულთაღა სიყვარული. საქართველოს დელეგაციაში შედიოდნენ: ზ. კეცხოველი, აკადემიკოსი ვ. კუპრაძე, საბჭოთა კავშირის გმირი დავით ბაქრაძე, ნინო ევანია, ვ. გოგუა და მე. დღესასწაულზე მე უნდა მემღერა კომპოზიტორ რევაზ გაბრიჭაძის მიერ სპეციალურად ამ თარიღისადმი მიძღვნილი სიმღერა. მოსკოვი არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობით შეგვხვდა, იგრძნობოდა ნამდვილი სახალხო ზეიმი. ქუჩებში მოეწყო ღია ესტრადები, იამოდა მასობრივი სიმღერები. საზღვარგარეთიდან უამრავი სტუმარი იყო ჩამოსული.

საზეიმო დღეებში, საქალაქო აღმასკომის წინ, საძირკველი ჩაუყარეს მოსკოვის დამაარსებლის — იური დოლგორუჟის ძეგლს. დაგვათვალე რებინეს მოსკოვის დაარსებასთან დაკავშირებული ღირსშესანიშნავი ადგილები. იმართებოდა წვეულებები. ზეიმს საოცრად დიდი მასშტაბი მიეცა. მოსკოვის აღმასკომმა დიდი წვეულება მოაწყო. წვეულებაზე საქართველოდან მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ზ. კეცხოველი. ამ დიდი სახალხო ზეიმის კულმინაცია იყო გრანდიოზული საიუბილეო საზეიმო საღამო, რომელიც დიდი თეატრის სცენაზე გაიმართა.

მეორე დღეს დელეგატები მოსკოვის დაარსების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სპეციალური მედლებით დაგვაჯილდოვეს.

1948 წლის 24 იანვარს უკრაინა ფართოდ აღნიშნავდა საბჭოთა წყობილების 30 წლისთავს. ზეიმზე მოწვეული იყო ყველა მოძვე რესპუბლიკა. საქართველოს დელეგაციის წევრებს შორის. ხელოვნების მუშაკთაგან იყვნენ: გიორგი ლეონიძე, თამარ ქავჭავაძე. ნადეჟდა ხარაძე და მე. კიევში გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით მიგვიღეს.

საზეიმო ნაწილას დამთავრების შემდეგ გაიმართა დიდი კონ-

ცერტი: სადაც უკრაინული ხელოვნების მუშაკებმა ჰალალი ოსტა-ტობა გვიჩვენეს.

მეორე დღეს დილა ადრიან ჯავემგზავრეთ ქალაქის ღირსშესა-ნიშნავი ადგილების დასათვალიერებლად. სამი საათის შემდეგ დავ-ბრუნდით სასტუმროში. გიორგი ლეონიძემ მთხოვა — მიკოლა ბა-ქანთან მივდივარ და თუ ვინმემ მიკითხოს — აი მისამართი და თუ საჭირო იქნება მომხახეთო.

მე დაღლილი ვიყავი და ნომერში ჩავიკეტე. ის-ის იყო ძილი დავაპირე, რომ კარებზე კაკუნი მომესმა, სასწრაფოდ ზეზე წამოვი-ჭერი და კარები გავაღე. ჩემს წინ გენერლის ფორმაში გამოწყობი-ლი ვაჟკაცი იდგა. სახის იერი და აქცენტი მის ქართველობაზე მეტ-ყველებდა.

— ამხანაგო კრავეიშვილო! მე ვთხოვ საქართველოს დელეგა-ციის მთელ შემადგენლობას დღეს ჩემთან მობრძანდეთ სადილად!

ეს სიტყვები მან უკვე გამართული ქართულით მითხრა.

— კი ბატონო, მე ყველას გადავცემ! — წუთით შევჩერდი. რად-გან არ ვიცოდი ვინ ველაპარაკებოდი.

— მე გახლავართ ვასილ მქავანაძე!

— კი ბატონო, დიდი სიამოვნებით და მადლიერებით, უსათუ-ოდ გესტუმრებით დღეს.

სასწრაფოდ ყველას შევატყობინე ჩვენი მიზანმიმართული ამბავი და დანიშნულ დროს ვასილ პავლეს ძე მქავანაძესთან ვიყავით. იგი დიდი სტუმართმოყვარეობით მხეგვხვდა. მისი ოჯახი გულუხვად გა-გვიმასპინძლდა.

ამ საზეიმო დღეებში ნადეჟდა ხარაძემ და მე წინასწარ დაგეგ-მილი კონცერტი ჩავატარეთ და რადიოშიც გამოვედით სოლო კონ-ცერტებით.

1948 წლის ივლისში აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე, პოეტი იოსებ ნონეშვილი და მე რიგაში ჩავედით. რიგა საბჭოთა წყობილე-ბის 15 წლისთავს დღესასწაულობდა. ისედაც კეკელუცი, თავისებური სილამაზის ქალაქი, კიდევ უფრო ლამაზად და მორთულ-მოკაზმულად გამოიყურებოდა. რიგელი მეგობრები თავს გვევლებოდნენ. საზეი-მო საღამო რიგის საოპერო თეატრში გაიმართა. მოხსენება საბჭოთა-ლატვიის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ძირითად სა-კითხებზე — ცნობილმა მწერალმა, ლატვიის მინისტრთა საბჭოს თავ-მჯდომარემ ვილის ლაცისმა გააკეთა.



ლაციას მოხსენების შემდეგ მისაალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების დელეგატები. ლაციის მშრომლებს საქართველოს რესპუბლიკის სახელით მიესალმა აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე. მან დილა შთაბეჭდილება მოახდინა თავისი ბრწყინვალე გამოსვლით. ვიქტორმა ზეპირად მიმართა ხალხს, პაღალი შემართებით, დიდი ორატორული დამაჯერებლობით და, რაც ჰთავარია, პოეტური შთაგონებით. თავისი შესანიშნავი გამოსვლამან ნონეშვილის ლექსის რუსული თარგმანით დააარულა.

ჩვენი ნიჭიერი პოეტი იოსებ ნონეშვილი სწორად კითხულობდა თავის შესანიშნავ ლექსებს და მსმენელთა აღფრთოვანებას იწვევდა. დანარჩენი დღეები მოსკოვის დელეგაციასთან ერთად გავატარეთ. ვსაეირნეთ ბალტიას ზღვაზე, დავესწარიით საოპერო სპექტაკლებს და საღამოთი, ტრადიციის შესაბამისად, წვეულებაზე ვიყავით მიპატივებულნი. იქ მე, ინსტრუმენტის ექონლობის გამო, აშუღივით მომიხდა სიმღერა. ვიმღერე ქართული რომანსები და რუსული სიმღერები, რისთვისაც ვილის ლაციისსაგან მივიღე პირადი საჩუქარი, რომელიც დღესაც ამშვენებს ჩემს „საჩუქართა კარადას“.

1949 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თარიღთან დაკავშირებით, ნადეჟდა ხარაძე, დირიჟორი შალვა აზმაიფარაშვილი და მე უკრაინაში მიგვიწვიეს სიმფონიურ ორკესტრთან ქართული მუსიკის საღამოების ჩასატარებლად.

პირველი კონცერტი ჩვენ გავმართეთ ქ. ოდესაში, სახელმწიფო ოპერას თეატრში. ხალხით სავსე თეატრი აღფრთოვანებით შესვდა ქართული მუსიკის ოსტატებს. კონცერტებზე შესრულებული იყო არიები და მუსიკალური ნაწყვეტები სხვადასხვა ქართული ოპერებიდან. ამ საღამოს ფართოდ გამოეხმაურა პრესა. გაზეთებმა დაბეჭდეს გამოჩენილი უკრაინელი კომპოზიტორის — კ. დანკევიჩის ეებით აღსავსე წერილი. კონცერტები გავმართეთ აგრეთვე ხარკოვში, ხერსონში, ნიკოლაევში და სხვა. ქართული მუსიკის საღამოებს გაზეთები მეგობრობის დღესასწაულად აცხადებდნენ.<sup>1</sup>

საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში ვარ ნამყოფი, ყველასთან მაკავშირებს ძვირფასი მოგონებები. ჩვენ ცხოვრებას ალამაზებს ადამიანებთან შეხვედრები, მეგობრული ურთიერთობა. ბევრი რამ მინდა მოვიგონო, თუმცა ყველაფერს ვერ ვასწვდება ადამიანის მეხსიერება. მაგრამ არის მოგონებები, რომლებიც არ გტოვებენ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. და აი მეც არ შემო-  
10. ბ. კრავიშვილი

ძლია არ მოვიგონო ყირგიზეთის რესპუბლიკაში გატარებული დღე-ღებო.

1951 წლის თებერვალს ბაქოდან, ადგილობრივ დელეგაციასთან ერთად, კასპიის ზღვის გადავლით, გავფრინდით ყარაყუმის დაუსრულებელი ტრაპალებით ჯერ ტაშკენტში; აქედან, 5 საათის ფრენის შემდეგ, ყირგიზეთის დედაქალაქ ფრუნზეში დავეშვიით. საქართველოდან სამნი ვიყავით. ირაკლი აბაშიძე, გიორგი კიკნაძე და მე. საცხოვრებლად ქალაქგარეთ სააგარაკო ბინა მოგვცეს. ეს ადგილი 10—15 კილომეტრითაა დაშორებული ფრუნზეს და საკმაოდ ლამაზ ადგილს წარმოადგენს. იქიდან ზღაპრულ სანახაობასავით მოჩანდა ტიან-შანის თეთრად მოელვარე მწვერვალები, ხოლო ჩვენი საცხოვრებელი „კოტეჯი“ მთლად თოვლში იყო ჩაფლული. ირაკლი გვეხუმრებოდა: სახლიდან რომ გამოვდივართ, რატომღაც მთამსვლელებს უფრო ვგავართ; ტიან-შანის ძირში მოკალათებულნი, თოვლში ჩაფლულები, თითქოს წვრთნას იგავდივართ—ისე ვართ დაკაპიწებულებიო.

ჩვენი ბინა იმერული ხის სახლს ჩამოჰგავდა თავისი ძველებური ბუხრით. როცა ცეცხლი ენთო — თბილოდა, მაგრამ, როდესაც კი ცეცხლი ჩაქრებოდა — იმ წუთშივე აცივდებოდა. ამ დროს, ჩვენ ყველას გვეღვიძებოდა და იწყებოდა გადალაპარაკება. ირაკლი ილაშქრებდა სიცივის წინააღმდეგ და წყევლას უგზავნიდა ტიან-შანს.

— ალბათ მისგან მოდის ეს საშინელი სუსხიო! — ამასთან ხშირად იგონებდა ჩვენს ტურფა ქვეყანას, ლექსებს გვიკითხავდა და ისე ჩაგვეძინებოდა. დილით ადრე დარაჯი ბუხარს აგვიგიზგიზებდა და სითბოთი მოცოცხლებულნი ვხვდებოდით ყირგიზულ დილას. ჩვენ აქ გვანახვეს ბევრი ხალხური თამაშობა, იჭაური ზნე-ჩვეულება, ბერკუტით ნადირობა, ნეფე-დედოფლის ცხენოსანების მიერ მოტაცება, ყირგიზული ჯირითი-შეჯიბრი და სხვა. შემდეგ „იურტაში“ მიგვიწვიეს, სადაც შუაეცეხლის ირგვლივ, ფეხმორთხმული მაჰაინძლის ხელიდან უნდა გვეჭამა ბრინჯითა და ერბოთი მოხელილი ფლავი.

ასეთივე წესით უნდა გვეჭამა ცხვრის ზორცი, რომელიც ჩვენს წინ დიდ ქვაბში იხარშებოდა; მას მასპინძელი თავისი ხელით გლეჯდა და გვაწვდიდა. ირაკლი ამბობდა — თუ მე ამ იურტის ცხვარს და ფლავს გადავურჩი, მერე ვერაფერი მომერევაო. მრავალი წვეულებისა და საინტერესო შთაბეჭდილებების შემდეგ დავემშვიდობეთ სტუმართმოყვარე ყირგიზეთის მიწას.

ყველა მომღერალს, მიუხედავად მისი ხმისა და სცენური ოსტატობის ხარისხისა, თანდაყოლილი ინდივიდუალური თვისებები და ჩვეულება აქვს. რა ბრწყინვალეც არ უნდა იყოს მისი ვოკალური მონაცემები, რა იშვიათი აქტიორული ნიჭითაც არ უნდა იყოს იგი შემკული, როგორც კარგადაც არ უნდა გახანას მან ესა თუ ის ვოკალურ-სცენური სახე, თავისდაუნებურად ათასჯერ დეტალში მანაც გამოამჟღავნებს თავის მეობას. დრამატული თეატრის მსახიობს შეუძლია მიაღწიოს სრულ გარდასახვას, რადგან მას საშუალება აქვს, გარეგნობასთან ერთად, შეიცვალოს ქცევა, ინტონაცია და შინაგანი არსი, ე. ი. მთლიანად იქცეს სხვად. ოპერის მომღერალი კი, რადგან მტკიცედ ზის მუსიკალურ ჩარჩოში, ამ მხრივ შეზღუდულია მუსიკის სპეციფიკის გარდაუვალი კანონებით; ამიტომ მომღერლისათვის უფრო რთულია სრული გარდასახვის მიღწევა. მსოფლიო საოპერო ხელოვნების ისტორიაში თითებზე ჩამოსათვლელია მომღერლები, რომელთაც შეძლეს ვოკალური ხელოვნების დრამატულ ხელოვნებასთან შეერთება.

საოპერო სპექტაკლი მაყურებელს შეუძლია მოისმინოს მრავალჯერ, დრამატულ სპექტაკლს კა, შედარებით, ხშირად არ ნახულობენ. ყოველ შემთხვევაში იმდენჯერ არა, რამდენჯერაც ეჩხა და იმავე ოპერას. ამის საიდუმლოება საოპერო ჟანრის თავისებურებაში უნდა ვეძიოთ; იგი მრავალმხრივი, მრავალფეროვანი სინთეტური ხელოვნებაა. ოპერაში მაყურებელი, შესაძლოა, საორკესტრო ფაქტურამ გაიტაცოს, ან მომღერლის შესანიშნავმა ხმამ, ან მისმა სცენურმა მოქმედებამ, ან კიდევ მხატვრობამ. ამ მრავლის შემაერთებელ ხელოვნებას, თუ ის დიდი და შთამაგონებელია, ხანგრძლივი სცენური სიცოცხლე უწერია, მისი შემოქმედების ძალა მარადიულია.

ხალასი ნიჭის მქონე მომღერალი მსმენელს ჭერპირიტი ოსტატობით გადაუხსნის გმირის შინაგან სამყაროს და ამით მას ღრმად ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს. მაგრამ, როგორც არ უნდა გაამდიდროს მან ეს სახე, ერთი და იმავე როლის შესრულება ბოლოს მანაც მოსაწყენი, უინტერესო ხდება და მაყურებელიც მას უკვე აუღელვებლად იღებს. მსმენელის რეაქცია უთუოდ მოქმედებს მომღერალზე; იგი გრძნობს მსმენელის მისდამი გულგრილობას, რის გამო მას-

ში შემოქმედებითი ცეცხლი ნელდება. ასეთ შემთხვევაში მომღერალმა უნდა გამოიკვალოს ასპარეზი, დროებით მოშორდეს შეჩვეულ გარემოს და ახალ გარემოცვაში გადაინაცვლოს.

ყოველი გამოჩენილი მომღერალი ჩშირად მოგზაურობს ერთი ქალაქიდან მეორეში, რადგან ახალი გარემო ძალთა ახლებურ დაძაბვას, ფანტაზიას, ვალვიცებას და შემოქმედებითი ენერჯის გაცხოველებას იწვევს.

როცა კარუზოს სთხოვეს მილანში დაბრუნება, მან უპასუხა: „არა, გეთაყვა, მე ახლახან წამოვედი მანდედან და ერთი-ორი წელი კიდევ არის საჭირო, რომ ხალხს მოვენატროო“.

კარუზოს ეს სიტყვები მისი საშემსრულებლო გამოცდილებით იყო ნაკარნახევი. მსახიობს მაშინ ედება შემოქმედებითი ცეცხლი, როცა მაყურებლით სავსე დარბაზი მისი მაგიური ძალის ქვეშა მოქცეული. რა თქმა უნდა მხოლოდ დიდ აქტიორულ ძალას შეუძლია იქონიოს მაყურებელზე ასეთი გავლენა, მაგრამ რაგინდ დიდი ნიჭით იყოს დაჯილდოებული მსახიობი, მაყურებელი თუ ძალიან ჩშირად ხვდება მომღერალს ერთსა და იმავე როლში, ეჩვევა მას და კარგავს მისდამი ინტერესს.

მხოლოდ დიდ და მრავალფეროვან რეპერტუარს შეუძლია მაყურებლის დაინტერესება ერთი და იმავე მომღერლით. მიღწევა იმისა, რომ ერთსა და იმავე მაყურებელს უყვარდეს მუდმივად, ყოველთვის ალტაცებით გვხვდებოდეს და აღელვებდეს შენი შემოქმედება, — მეტად ძნელია, თითქმის შეუძლებელიცაა.

მსახიობის მამოძრავებელი ძალა, მისი ოსტატობის ზრდის წყარო — ხალხია; ამიტომ გრძნობათა განახლებისათვის — მაყურებელთა გარემოს განახლებაც არის საჭირო. უამისოდ კი ოპერის აქტორი ჩლუნგდება, კარგავს სიხალისის სიხარულის გრძნობას და სიმღერის გათავებული მანერით (გადამეტებულ ექსტიკულაცია და მიმიკა) ეგრეთ წოდებულ „შტამპში“ ვარდება.

რა ბოხოქარი ნიჭის პატრონიც არ უნდა იყოს მომღერალი, მას მაინც არ ძალუძს სუთმეტი-ოცი წლის მანძილზე ერთნაირი ძალით მოქმედებდეს ერთსა და იმავე მაყურებელზე. ამიტომ მე გულწრფელად თანავუგრძნობ მაყურებელს, რომელიც ათეული წლების მანძილზე ერთსა და იმავე მომღერალს ერთსა და იმავე როლში უყურებს და უსმენს.

ამ საჭირბოროტო საკითხში, როგორც უკვე მოგახსენეთ, მსა-

ხიობს ძლიერ ეხმარება რეპერტუარის მრავალფეროვნება, საწინა-  
აღმდეგო განცდათა სხვაობაზე ავებული ხასიათის სცენური გან-  
სახიერება. გარდასახვის ხერხებით მას შეუძლია ხაზი გაუსვას თა-  
ვის გმირთა განმასხვავებელ თვისებებს, რელიეფურად გამოკვეთოს  
მათი ქანებები.

ახალ გამოქმადველ საშუალებათა შემწობით ახალი ხასიათე-  
ბის ძერწვა მომღერალ-შემოქმედს ახალსებს, ენერგიას მატებს,  
პორიზონტს უფართოებს და მის შემოქმედებას აახალგაზრდავებს.

სიმღერის შემოქმედების ძალას მსმენელი ისევე ინდივიდუა-  
ლურად აღიქვამს, როგორც ინდივიდუალურია მომღერლის ხმის ძა-  
ლა და ხარისხი ანუ ტემბრი. ზოგჯერ პირველხარისხოვანი ხმის მქო-  
ნე მომღერალი ვერ ახდენს გავლენას მსმენელზე, ხოლო საშუალო  
ხარისხის ხმის მქონე მომღერალი კი ნამდვილ სხარულს ანიჭებს  
მას. ასეთი ფაქტების „საიდუმლოების“ ამოხსნა სიმღერის და თან-  
დაყოლილი არტისტიკული ნიჭის სიმდიდრეში უნდა ვეძიოთ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მომღერლის წარმატების  
„საიდუმლოება“ მარტო მის ზოგადკულტურული განვითარებით და  
მაღალი ვოკალური ტექნიკით როდი გამოიხატება. იგი კემმარტი  
არტისტიზმითაც უნდა იყოს დაჯილდოებული. მას ნიადაგ უნდა ახ-  
სოვდეს, რომ თავისი ხმის სილამაზე, მოქნილობა და ბგეროვანი გა-  
ნომსახველობა გამოიყენოს განსახიერებულ გმირთა ფსიქოლოგიუ-  
რად რთული შინაგანი სამყაროს დამაჭერებლად, სრულყოფილად  
განსახიერებისათვის, რომ ოპერა „კონტუმერებულ კონცერტი“ ან  
არიების უბრალო შეკოწიწება და თანმიმდევრობა კი არ არის, არა-  
შედ ღრმა იდეებით მდიდარი და ემოციებით გაჯობარი დარგია ზე-  
ლოვნებისა, რომელშიაც კომპოზიტორი მთელ თავის შემოქმედე-  
ბით ძალას აქსოვს.

საოპერო მომღერლის წინაშე უადრესად ძნელი და რთული  
ამოცანები ისახება. მისი სცენაზე გამოსვლის პირველი წუთიდან  
მოყოლებული ფინალურ აკორდებამდე იგი მეტად თავისებური საო-  
პერო სცენის იურთულეს გარემოცვაში ექცევა. მომღერალთა თან-  
მხლები ორკესტრი, თავისი „დაუნდობელი“ სიზუსტით (რომელიც  
დროის, რიტმისა და ტემპის უმცირესი ერთეულების ზუსტ დაცვას  
მოითხოვს) მას მკვეთრად განსაზღვრულ ჩარჩოებში აყენებს. საკმა-  
რისია მომღერალმა შეათვლია წამით დაიგვიანოს ან საკირო ტემპს  
ოდნავ გადაუხვიოს, რომ გამოიწვიოს არგვ-დარევა საოპერო მუსი-

კის მწყობრ მდინარებაში და საქმე ხიფათამდე მიიყვანოს, შესამჩნევად დასწიოს სპექტაკლის მხატვრული დონე. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ საოპერო მომღერალი, მაშინაც კი, როცა ის საკმაოდ კარგ „ფორმაშია“, ზედმიწევნით აქვს შესწავლილი. გააზრებული და ყოველმხრივ ათვისებული თავისი პარტია, სცენაზე მაინც ხმის ხმოვანების ხარისხს აქცევს უმეტეს ყურადღებას, მის სწორ, ძალდაუტანებელ მართვაზე ფიქრობს. ყოველივე ეს მომღერალში არაჩვეულებრივ ნერვულ დაძაბულობას ქმნის, რისი ატანა ყოველ ადამიანს როდი შეუძლია. ამიტომაცაა, რომ ზოგ შემთხვევებში შესანიშნავი, ბრწყინვალე ვოკალური მონაცემებისა და მოხდენილი სცენური გარეგნობის მქონე მომღერლები იძულებულნი ხდებიან დატოვონ საოპერო სცენა, რადგან ვერ უძლებენ მათთან დაკავშირებულ სისტემატურ ნერვულ დაძაბულობას, მომეტებულ მღელვარებას.

იმისათვის, რომ ხმა წინაარსით აავსო, მისცე მას ცხოველყოფელი ძალა, საჭიროა სიმღერაში მონაწილეობდეს სხვა ფაქტორებიც, როგორცაა ინტელექტი და ემოციები. ინტელექტი სწორ და უტყუარ მიმართებას აძლევს ემოციებს; იგი განსაზღვრავს აგრეთვე მხატვრულ ზოშიერებასაც. ინტელექტი ხელს უწყობს ნაწარმოების იდეური შინაარსის ღრმად და სრულყოფილად გახსნას, აფართოებს აზროვნების მასშტაბებს. რაც შეეხება ემოციას, — იგი სხივით მოსავს აზროვნებას, ადამიანურს ხდის მას და მსმენელში მუსიკის ზემოქმედებას მეტ სიმძაფრეს ანიჭებს. ემოციის გარეშე უსულგულო, უსიცოცხლო და უფერულია ხელოვნება. ასეთი მომღერალი მანეკენს ემსგავსება, მისი მუსიკალურ-გამომსახველი საშუალებები უღიმღამო და შეზღუდულია, მოკლებულია ყოველგვარ ამაღლებულობას. ამ ძირითადი ფაქტორების გარეშე არ შეიძლება ხელოვანი სრულყოფილი გახდეს, იგი ვერ შეძლებს მსმენელთან სასურველი კონტაქტის დამყარებას.

არის შემთხვევა, როდესაც ამ თვისებებს მოკლებული, მაგრამ შესანიშნავი ხმის მქონე მომღერალი, წარმატებას ვერ აღწევს, რადგან მეტად პრიმიტიულია მისი საშემსრულებლო ოსტატობა.

იტალიური სკოლის (ბელკანტოს) კლასიკური რაობა მარტო ხმისადმი ალერსით როდი შემოიფარგლება; ის ამ ბელკანტოში აზრებს ზიტყვისა და სიმღერის თანაფარდობას.

როცა იტალიელი მღერის, მისი შესრულება, ფორმით და შინა-

არსით სრულყოფილია, ე. ი. სიტყვა და მუსიკალური ფაქტურა ორგანულად ერწყმის ერთმანეთს და ორივენი ნაწარმოების არაიდან გამომდინარეობენ. სწორედ აქედან იწყება იტალიური ვოკალის განმაზოგადოებელი თვისება, როგორც სიმღერის ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე მართებული სახეობისა.

იტალიაში ვოკალური ხელოვნების განვითარებას ხელი შეუწყო იტალიური ენის თვისებებმაც. იტალიური ენა მუსიკალური და მღერადია. ამ ენაში თანამოვან ბგერებს სკარბობს ხმოვნები, რაც ენას ძალიან გამომსახველს, სიმღერისათვის მოხერხებულს, მოქნილსა და უღერადს ხდის.

იტალიური ენის სიმშვენიერეს და მელოდიურობას არ შეეძლო არ წარმოეშვა თავისივე შესატყვისი ვოკალური მელოდია. იტალიური სიტყვა თუ ვოკალი თავისი ტემპრით ერთნაირად მომხიბვლელია, ზეაწეული და რომანტიკული. ამ გარემოებას ძირითადი შემქმნელი ფაქტორი იტალიის ზღაპრულად ულამაზესი მხარე, რბილი ჰავა და გულუხვი მზეა, რაც მაღალი ხელოვნებისათვის საჭირო განწყობილებას ქმნის.

კაცობრიობის კულტურის დონემ, მის განვითარებასთან ერთად, ხელოვნების უმაღლეს წერტილს მიაღწია. აქტიორული ხელოვნების ტექნიკამ მრავალგვარი ცვლილება განიცადა და ძიებებსა და სხვადასხვა მიმდინარეობებთან ჭიდილში მეოცე საუკუნემდე მოატანა. დღეს მაყურებელი მსახიობისაკენ სამართლიანად მოითხოვს არა მარტო სიმღერას, არამედ სიმღერის საშუალებით გმირის შინაგანი არსის გადმოცემასაც. თუ ძველი იტალიური ბელკანტოს ბრწყინვალე ოსტატები მარტო სიმღერით და ამათ გამოწვეული ემოციურობით კმაყოფილდებოდნენ, დღეს ეს უკვე საკმარისი აღარაა. დღეს გვჭირდება უფრო მრავალმხრივი შემოქმედება მუსიკალური გმირის სახის სრულფასოვანი გახსნის საქმეში. XX საუკუნის მაყურებელი ერთნაირად მოითხოვს როგორც სრულყოფილ ხმას, ისე როლის შთაგონებულ, მრავალმხრივ გააზრებულ გადმოცემას, აქტიორის სრულ სცენურ გარდასახვას.

ეს დიდი ისტორიული მისია საოპერო სცენაზე პირველად წილად ხვდა დიდ რუს მომღერალ-მსახიობს ფეოდორ შალიაპინს. რომელმაც ძველი იტალიური „მდგრადი“ ვოკალური ხელოვნება აამოძრავა, დრამატული სული ჩაბერა და ქმედითი გახადა.

შალიაპინის უკვდავება. მისი დიდი ნიჭის ძალა სწორედ იმაშია,

რომ მან დაამსხვრია ძველი საოპერო „შტამპი“. სიმღერას შთაბერა ძალა, აზრი, პლასტიკა, მიმიკა და თვითმყოფადი ეპიკურა სიღრნეჯე გააზრებულ მოქმედ სცენურ სიტუაციებში გააცოცხლა.

გენიალური რუსული საოპერო ქმნილებანი, — „ბორის გოდუნოვი“. „პსკოველი ქალი“, „ალია“ და სხვა — შალიაპინამდე არსებობდნენ, მაგრამ მათი არნახულ მხატვრულ სიმალემდე აზიდვა მხოლოდ შალიაპინის გენიამ შეძლო.

შალიაპინისათვის, როგორც დიდი ხელოვანისათვის, ყველა საოპერო ნაწარმოები ადვილად დასაძლევია იყო. მის მიერ შექმნილი მეფისტოფელი გუნოს ოპერაში „ფაუსტი“, დონ ბაზილიო როსინის „სევილიელ დალაქში“ და მეფისტოფელი ა. ბოიტოს ოპერაში „მეფისტოფელი“, მსოფლიო საოპერო სცენაზე შექმნილ გმირთა შორის, შედევრებადაა აღიარებული. შალიაპინის აქტიორული და ვოკალური გენია ნიადაგ ფართო მასშტაბებით იყო მოხაზული. რუსულ ეროვნულ ოპერებში კი იგი განუმეორებელია. შალიაპინი, მუსორგსკის კონგენიალური ძალით აღრმავებს ბორისის ტრაგიკულ სახეს; ამით იგი დიდ მუსიკოს-მოაზროვნის ჭეშმარიტი თანავეტორია. სწორედ ამაშია უდაო და განუმეორებელი დამსახურება გენიალური მომღერლისა თავისი ერის მუსიკალური კულტურის წინაშე. და განა მარტო თავისი ერის? შალიაპინის შემდეგ ათეული თუ ასეული მომღერალი ცდილობდა მიახლოებოდა მის მიერ შექმნილ ტრადიციებს. და ვინც თავისი ნიჭით ახლოს მიდის შალიაპინის ღრმად გააზრებულ სახეებთან, ის ბედნიერია, გამარჯვებას ზეიმობს. შალიაპინი დარჩა და ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს დარჩება მსოფლიო საოპერო სცენის დიდოსტატად, რომელმაც თავისი გიგანტური ნიჭით მთელი რევოლუცია მოახდინა მსოფლიო საოპერო ხელოვნების რთულ და მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

გარდა ზემოთქმულისა, მინდა შევნიშნო, რომ ხელოვანის სრულფასოვნება ყველაზე უფრო მშობლიურ, ეროვნულ ოპერებში მყდვენდება. შალიაპინის მაღალი ნიჭი, რა თქმა უნდა, სისხლსავესდ რუს კლასიკოსთა ქმნილებებში გამოიმყლავნდა. მისი ბორისი, მეწისქვილე, თუ დოსითეოსი მშობლიური აზრისა და ეროვნული თვისებების მატარებელია. მშობლიური სამყაროდან აღმოცენებული ნაწარმოებები მისთვის ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა; ამ ნაწარმოებების გმირთა ხასიათები ახლოს იდგა მის ხასიათთან, მის მშობელ მიწასთან. მისი ხალხის სულიერ სინამდვილესთან.



როგორც მწერალი და პოეტი — არტისტიც მესაიდუმლეა მშობელი ხალხის, მის ზნე-ჩვეულებათა მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა. არტისტიც პოეტიც; თუ მასში არ არის ხელოვნების მწვერვალები-საქენ მისწრაფება, თუ ის ჯეროვნად ვერ გრძნობს და ვერ გამოჰყოფს ძირითადს და მთავარს ნაწარმოების შესრულებისას, მაშინ ის ვერასდროს ვერ ავა სრულყოფამდე. ნამდვილად აზრიანი მომღერალი ყოველ ფრაზას ისე უნდა აჩუქებდეს, თითქოს ეს ფრაზები ახლახან იბადება პოეტური მუზით აღსავსე მის გონებაში. კარგ მომღერალს მუსიკალურ მოვლენათა მხატვრულ-იდუური განზოგადობების უნარიც უნდა ახასიათებდეს. განა შეიძლება სევდიანი აზრებით გამსვევალული ონეგინის მონოლოგის „И здесь мне скучно...“ წაკითხვა ისე, რომ იქ არ იგრძნო გმირის სულიერ განწყობილებათა თავისებურება. ან იაგოს არიის შესრულებისას არ განიცადო მისი სასიცოცხლო credo, რომელსაც ასე სახიერად გადაგვიშლის იგი?

აქტიორი ყოფით საკითხებშიც უნდა ერკვეოდეს საკმარისი ძალით, სახასიათო და ქანრობრივი როლების განსახიერების დროს მას უნდა ესმოდეს უბრალო, ზოგჯერ ობივატელური ქცევის დამახასიათებელი ნიუანსები და აქტაორული ხერხებით ანსხვავებდეს გმირთა სხვადასხვა ხასიათებს.

საოპერო არტისტი ფერების შესანიშნავი შემგრძნობიც უნდა იყოს. ფერების სხვადასხვა დროს გემოვნებით გამოყენება ახალისებს და აცოცხლებს გმირის სახეს. მოქლერლის ხმა არ შეიძლება ყოველთვის ერთი ფერით იყოს შეფერადებული. მოსაწყენი რომ არ შეიქმნეს, ხმის ცვალებადობას, ტექსტის შესაბამისად, სხვადასხვა ფერებში ელვარება სჭირდება. მაგალითად, როდესაც შ. მშველიძის ოპერა „დიდოსტატის მარჯვენაში“ მე გიორგი მეფის ვოკალურ პარტიას ვსწავლობდი, დიდხანს ვფიქრობდი იმაზე, თუ III მოქმედების ფინალში როგორ შემღერა ერთ-ერთი მუსიკალური ფრაზა.

როცა გაუბედურებული და თითქმის დატყვევებული შორეხა გიორგი მეფის წინაშე დგას და ამხელს მას, როგორც მამამისის მკვლელს; გიორგი მეფე მას პასუხობს: „შენ დღეს მოქალი კაცი იგი, კაცი გიორგი, მაგრამ კვლავ დარჩა მბრძანებელი გიორგი მეფე“. აქ კომპოზიტორს ჩანიშნული აქვს forte, მე კი ამ ფრაზის პირველ ნახევარს წარმოვთქვამ თითქმის ჩურჩულით. აქ გიორგი გამშრალია, მას არ შეუძლია ბგერის ხმამაღლა წარმოთქმა, მას სურს გამოერკვეს.

გონზე მოსვლის შემდეგ გიორგი ისევ იბრუნებს ჩვეულ სიმშვილეს და მომდევნო ფრაზაც მკაცრ კონტრასტულ ელერადობაში გადაჰყავს.

ა. კერესელიძის ოპერაში „ბაში-აჩუკი“ აბდუშაჰილის როლს ვასრულებდი. აბდუშაჰილის არიის დასაწყისი და ფინალი კომპოზიტორის მძაფრ დრამატულ ტონებში აქვს მოცემული. არიაში გმირი დასტირის მტრის მახვილით ორად გაპობილ მშვენიერ ასულს. რომელიც აბდუშაჰილს თავისი სატრფო ჰგონია, სინამდვილეში კი— მისი სატრფოს ტყუპისცალია. არიის ტექსტი ასეთია:

— „შენ გაემგზავრე და სულ უცხო გზას დაადექი“, ამ სიტყვებს მე ვმღეროდი ნახევარ რეჩიტატივში, ჩამქრალი. არიის ბოლო ნაწილში, სადაც ჯამდება აბდუშაჰილის მოთქმა, დრამატიზმი კულმინაციას აღწევს და გოდებაში გადადის. ამ ნაწილში მე ვცდილობ ხმას თავი მოვუყარო და თავშეკავებულ ტემბრალურ ფერებში გადმოვცე გმირის შინაგანი ტანჯვით სავსე განცდები. ამ დროს ხმა უნდა მიაგავდეს მთიდან მოვარდნილ ნიაღვარს, რომელსაც წინ გზა გადაულობს.

ვერდის ოპერაში „ტრავიატა“ (მე-II მოქმედებაში) ჟერმონის პარტიის შემსრულებელთა უმრავლესობა პირველსავე მუსიკალურ ფრაზას მკაცრი ტონით იწყებს, რითაც თავიდანვე გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ვიოლეტასადმი: ისეთი ფრანგი ბურჟუა-ინტელიგენტი, შვილების უაღრესად მოსიყვარულე მამა, როგორც ყოველ ეგრემონია, არ შეიძლება სხვისი შვილისადმი უხეში ყოფილიყო. ვიოლეტას მე მივმართავდი თავაზიანად, რბილი, თავშეკავებული ბგერებით: („Вы ли Виолета Валери?“) მხოლოდ ნაწარმოებისადმი ასეთი მიდგომით შეიძლება გმირის ხასიათის მართებულად გახსნა. კომპოზიტორის მიერ შექმნილი მუსიკა სხვადასხვა მომღერალს სხვადასხვაგვარად შეუძლია გაიგოს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მუსიკალური ქარგა გმირის შინაგან არსს უნდა ემთხვეოდეს.

დიდი გატაცებით ვმუშაობდი გრიბოედოვის როლზე. მსურდა გრიბოედოვის სახით მაყურებლისათვის მეჩვენებინა პოლიტიკური მოღვაწე, პოეტი და ღრმად შეყვარებული ადამიანი. როლზე მუშაობის პერიოდში ხელმეორედ გადავიკითხე სათანადო ლიტერატურა, გავეცანი მის მიწერ-მოწერას და მნიშვნელოვანი ფაქტების აღმნიშვნელ წერილებს დეკაბრისტებთან. სულ მახსოვდა პუშკინის სიტყვები: „გრიბოედოვი რუსეთში ყველაზე ჰკვიანი კაცი იყო“.

გრიბოედოვის, როგორც მოღვაწისა და პოეტის თვისებების გადმოცემის საშუალებას ტექსტი იძლევა I მოქმედებაში, ხოლო მისი გრძნობების გამოვლენა, ნინოსადმი თავდავიწყებული სიყვარული ჩანს II მოქმედებაში და მეც ამას უფრო გავუსვი ხაზი.

მოვიგონე გრიბოედოვის მიერ პეტერბურგში თავისიანებისადმი მიწერილი ბარათი, რომელშიაც წერდა: „თუ გინდათ გაიგოთ როგორია ნინო, ერმიტაჟში ნახეთ მურილიოს მადონა. — ან გრიბოედოვის წერილი ნინოსადმი: — „ცოტა კიდევ და მე ჩამოვალ საქართველოში და სამუდამოდ დავსახლდებით წინანდალში — ამ ულამაზეს წალკოტში“.

გრიბოედოვის, როგორც პოეტის გამოსახვის საშუალება მომეცა სცენაში, როდესაც იგი „წინანდლის წალკოტში ხვდება ნინოს და ლექსებს უკითხავს საქართველოზე.

ჩემი გმირის ამოცანები ისე დავსახე, რომ სცენური დამაჯრებლობით, მოცემული ვოკალური საშუალებებით, მაყურებლისათვის დამეხატა ამ საინტერესო ადამიანის ამდღეობის მხატვრული სახე.

ოპერაში „დაისი“ კიაზოს ურემზე ლოცვისას მომღერლები ჩვეულებრივი სიძლიერით წარმართავენ ხმას. მე ამ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ უფრო გამართლებულია ლოცვა, ნამდვილი ლოცვა, ლოცვისას კი ადამიანი რაღაც რელიგიური ზეგავლენის ქვეშ არის, თავმციკმულია და ხმაც მიმქრალი უნდა იყოს.

აქ მე ხმას ვუხსნი ტემბრალურ თვისებებს, ვტოვებ მას სწორ-ხაზოვანს და „ჩამქრალ“ ხმოვანებაში გადაწყავს. ხმის ასეთი წარმართვა მას საეკლესიო გალობის მაგვარ იერს აძლევს, რაც მთლიანად ემთხვევა ზ. ფალიაშვილის ჩანაფიქრს.

თანამედროვე დიდი გერმანელი რეჟისორი ფელზენშტეინი ამბობს: „მომღერალმა იმიტომ კი არ უნდა იმღეროს, რომ მას ლამაზი ხმა აქვს და სწავლობს სიმღერას, არამედ იმიტომ, რომ მან იგრძნო თავის განცდათა დრამატული სიტუაციები. მან ემოციებით უნდა დაგარწმუნოს იმაში, რომ მის განკარგულებაში გამოსახვის არავითარი საშუალება არ არსებობს, გარდა სიმღერისა“.

სტანისლავსკი წერდა: „ოპერაში საჭიროა არა მარტო კარგი ხმის მომღერალი, არამედ კარგი მსახიობიც. საჭიროა დრამატული და ვოკალურ-მუსიკალური ხელოვნების თანაფარდობა“.

მომღერლის ხმის ელფერი, ეშხი; ყოველი სუნთქვა, ყოველ-

თვის უნდა ამეღავნებდეს მის ეროვნულ, თვითმყოფად წარმოშობას. ამიტომაც რომ მსახიობს, ისე როგორც პოეტს, კომპოზიტორს. ყველაზე უფრო მძლავრად თავის მშობლიურ ხელოვნებაში შეუძლია მთლიანად გამოამყლავნოს თავის შინაგან განცდათა სიუხვე.

მე მინახავს და მომისმენია ბევრი გამოჩენილი მომღერალი, მათ შორის რუსი, იტალიელი, ბულგარელი, ამერიკელი, რუმინელი, ქართველი, მიმღერია მათ გვერდით და მთლიანად ამიწონ-დამიწონია მათი სწორუპოვრობა და ყოველთვის მათი გამოხველების შემდეგ დამიკვნესია, რომ ყველანი, განუჩივლად მათი მასშტაბობისა, უბრწყინვალესნი მხოლოდ თავიანთ მშობლიურ რეპერტუარში არიან. როგორც ზემოთ აღვნიშნე, შალიაპინი უკვდავი და განუმეორებელია იქ, სადაც ის ახლოა თავის ეროვნულ ხელოვნებასთან.

ასევე შეუდარებელი იყო ტიტა რუფო „რიგოლეტოში“. კარუზო — „აიდაში“, სობინოვი და ხოხლოვი — „ევეგენი. ონეგინში“. შესანიშნავი იყო ხანაევი — აბესალომში, მაგრამ ის ვერასოდეს ვერ ავიდოდა ვანო სარაჯიშვილის სიმღლემდე ამ როლში.

წარსულის უტყუარი მემკვიდრეანი გადმოგვცემენ, რომ ბატისტინი, რუსეთში გასტროლებზე ყოფნის დროს, ონეგინსაც მღეროდა. მაგრამ ვინაიდან ამ ოპერაში მას წარმატება არ ჰქონდა, მისი ანტრეპრენიორის მითითებით, ანტრაქტებში იგი ასრულებდა ნაწყვეტებს იტალიური ოპერებიდან.

ტიტა რუფოს ხმა სავსეა ომანიანობით, მაგრამ მას შეიძლება გასჭირებოდა კიაზოს სულიერი სიმძაფრის სრულყოფილი გადმოცემა, ვერ მოენახა შესატყვისი შემართება კიაზოს ქართული ბუნების სრული გახსნისათვის და ვეკვობ, რომ რომელიმე გამოჩენილ ქართველ მომღერალზე უკეთ ემღერა კიაზოს „სულო ბოროტო“.

ხალხი, რომლის ტრადიციებს საუკუნოვანი ისტორია აქვს, არის პირველადი მხატვრული ძალა, რომელშიც იბადება ნიჭი. ნიჭის საზომი — შემოქმედებითი მასშტაბებია. ნიჭი ვულკანისებური მოვლენაა, რომელსაც სრულიად მოულოდნელად შეუძლია ამოხეთქოს ყველგან, ყოველ დროს. ნიჭის გაშლას და სწორ გზაზე დაყენებას ბევრი და დაუღალავი შრომა სჭირდება; შრომისა და ჯაფის გარეშე კი ნიჭი — ნიჭად რჩება და ვერასოდეს ფრთებს ვერ შეისხამს.

ნიჭი გულისხმობს არა მარტო ვოკალურ და აქტიორულ მონაცემებს, არამედ დიდ მხატვრულ ზომიერებასა და მხატვრულ ტაქტს.

ზომიერებას მოკლებული ხელოვანი ვერასოდეს ვერ მიაღწევს

შემოქმედებით მწვერვალებს. მას არ შეუძლია სტილის შეგრძნება და მისი თავისებურების გადმოცემა. ზომიერება ხელოვნებაში — მხატვრული გემოვნების ერთ-ერთი მაჩვენებელია.

მხატვრული ზომიერება, ტაქტი და პარტნიორის გრძობა ისევე აუცილებელია ოპერის მომღერლისათვის, როგორც დრამატული მსახიობისათვის და მომღერალ-მსახიობის დიდ დასაფასებელ თვისებას წარმოადგენს.

ოპერის ყოველი მომღერალი ვერ ფლობს ვოკალური კამერული მუსიკის საშემსრულებლო ოსტატობას. ხშირად ოპერებში გამოსადეგი ხმა ვერ ეგუება კამერულ სინატიფეს. კამერული საშემსრულებლო ხელოვნება მომღერლისაგან მოითხოვს მაღალ ოსტატობას და, ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული შინაარსის ჭეროვნად გადმოცემისათვის, ყველა გამომსახველ საშუალებათა გამოყენებას. ყოველი კომპოზიტორი თავისებურად, სუბიექტურად აღიქვამს გარემოს. მას დამოუკიდებელი აზროვნების და წერის ორიგინალური მანერა ახასიათებს. ეს ასეა ოპერაშიც. მაგრამ იქ, არტისტს, სცენის სხვა კომპონენტების (გრიმი, კოსტუმი, დეკორაცია) მოშველებით, უადვილდება სიძნელეებისათვის თავის გაართმევა. ესტრადაზე კი მომღერალი მართლა სცენაზე თავისი ხმის ამარა და ყოველივეში თვით არის პასუხისმგებელი.

ხშირად მიმღერია: მოცარტის, შუბერტის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, ბოროდინის, ბრამსის, გრიგის, არაყიშვილის და სხვათა რომანსები. ყველა ამ კომპოზიტორთა ვოკალური პიესები დიფერენციურად მიდგომას მოითხოვს. ყოველი რომანსი თუ მხატვრული სიმღერა თავისი ავტორის დამახასიათებელ, მისი სტილის შესატყვის შესრულებას უნდა შეუფარდო. მაგალითად, შუბერტის „ორეული“ ან სხვა. ერთი შეხედვით უბრალოდ დაწერილი მცირე ფორმის ნაწარმოები მომღერლისაგან დიდად გააზრებულ, მხატვრულად განზოგადოებულ შესრულებას მოითხოვს. შუბერტის სიმღერათა უბრალოებაში უნდა ვიგულისხმოთ არა ყოფითი, არამედ მხატვრული უბრალოება, რომელიც დამაჯერებელს ხდის ნაწარმოების არსს. ასეთი კამერული ხასიათის ქმნილებანი მომღერალს სისადავითა და ნათელი აზრით გასხივოსნებულ გადმოცემაზე მიუთითებენ.

ჩაიკოვსკის რომანსების უმრავლესობა, ღრმა ლირიზმითა და ამადლებული სიყვარულით გამთბარი, ასევე თავისებურ, „ჩაიკოვსკისებურ“ შესრულებას საჭიროებს. ჩაიკოვსკი უბრწყინვალესად

ვრძობს ვოკალური მელოსის ძალას და ამიტომაც, რომ მისი ყოველი, დიდი თუ პატარა ფორმის ვოკალური ნაწარმოები, პირველ ყოვლისა, მომღერლის ხმის მოქნილობას და უკიდურეს გამომსახველობას მოითხოვს. თუმცა ჩაიკოვსკი. განსხვავებით მუსორგსკისაგან, ასეთივე დიდ ყურადღებას არ ანიჭებს ცალკეულ სიტყვას, საზოგადოდ ტექსტს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს მის რომანსებში სიტყვის, ფრაზის მკაფიოდ გამოთქმის უგულვებელყოფას.

ყოველივე ეს და მრავლი სხვა რამ ახასიათებს სხვადასხვა დროის, ეპოქის და მხატვრულ მიმართულებათა წარმომადგენელ კომპოზიტორთა შემოქმედებას. ამიტომაც კამერული მომღერალი მაშინაა ნამდვილი მუსიკოსი-ხელოვანი, თუ იგი კომპოზიტორის სტილის განმასხვავებელ ნიშანდობლივ თვისებებს ანგარიშს უწევს და გამომსახველად გადმოგვცემს მის იდეურ-ემოციურ ჩანაფიქრს. მომღერალს აგრეთვე უნდა ესმოდეს ხმის რაციონალურად გამოყენების საკითხებიც. ის არ უნდა „დაიხარჯოს“ იქ, სადაც ამას არ მოითხოვს მუსიკალური მასალა; გარკვევით უნდა გამოიყენოს ხმის ძალის, მისი ტემბრალური ფერების გამომსახველი საშუალებანი. ყველა დინამიკური ნიშანი (პიანო, ფორტე, მეცო-ფორტე, კრეშენდო, დიმინუენდო, აჩელერანდო, რიტენუტო და სხვა). ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიქმნება ნამდვილად სახიერო, კვამარიტად ხარისხოვანი ხელოვნება.

●  
აღბათ ყოველი ადამიანი, რომელიც 50 წელს მიაღწევს, მისდაუნებურად უკან მოიხედავს, რათა თვალი გადაავლოს განვლილ ცხოვრებას. მეხსიერებაში გააცოცხლოს ის, რაც ყურადსაღები და ღირსშესანიშნავი იყო ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე.

მე, ჩემი ცხოვრების 50 წლისთავზე, მშობლიურმა სამტრედიამ დიდი სიხარული განმაცდევინა: აღნიშნა ჩემი დაბადების 50 და სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავი.

კონცერტში მონაწილეობის მისაღებად წამოვიდნენ: პროფ. პ. ხუჭუა, ოპერის სოლისტები: ვ. გლუნჩაძე, ო. კუზნეცოვა, გ. ტორონჯაძე, შ. მეძველია, თ. ჯობთაბერიძე, ბალეტის სოლისტები: ლ. მითაიშვილი, ვ. აბაშიძე და სხვა.

უღელტეხილს კიდევ აჩნდა თოვლის ნატერფალი. კრიალა სუსხი-

ანი დღე იყო. წყაროსთან შევისვენეთ. ვიდექი მთის ფერდობზე და ვხედავდი ჩემს დაბლა როგორ წყნარად დასრიალებდნენ ღრუბლები. უნებურად გამახსენდა ჩემი ბავშვობა, როცა გულის ძგერით გადმოვლახე მთები და თბილისისაკენ დავეშვი. თან მომქონდა იმედებით სავსე გული, ნათელი მომავლისაკენ ლტოლვა და წინსვლის სურვილი. დღეს იმავე გზით უკან ვბრუნდებოდი, ჩემს ქალაქში, სადაც ნათესაეები, მეზობლები, ჩემი სიყრმის მეგობრები მელოდნენ, როგორც საპატიო სტუმარს.

თვალწინ დამიდგა ჩემი აღმზრდელი პედაგოგების კეთილი სახეები, ქალაქის განაპირა უბნები. ფეხშიშველას, ძროხის მწყემსთან ერთად ბევრჯერ რომ შემომირბენია, სკოლა, საბავშვო სალამო-კონცერტები, კინოსურათები, რომლითაც ძლიერ ვიყავ გატაცებული, ჩემი საყვარელი კინომსახიობები: მონტი ბენსკი, ჩარლი ჩაპლინი, ბესტერ კეიტონი, ჰაროლდ ლოიდი, მერი პიკფორდი, დუგლას ფერბენკსი, ჰარი პილი, ნატო ვაჩნაძე და სხვა.

ყველაფერი თვალწინ დამიდგა, რითაც სავსე იყო ბავშვობის წარუშლელი შთაბეჭდილებებით სავსე დღეები.

სამტრედიამ ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიგვიღო. ქალაქის ქუჩებში გაეკრათ აფიშები. ადგილობრივ გაზეთში მოთავსებული იყო ჩემს შესახებ ვრცელი წერილი. თეატრის შენობის ვესტიბიულში მოეწყობა ჩემი ცხოვრების ამსახველი გამოფენა. სამტრედია მშობლიური ალერსით შემხვდა. სალამო ბრწყინვალედ ჩატარდა. ჩემი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა მუსიკისმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პავლე ხუჭუა. უამრავი საჩუქარი, გულთბილი სიტყვა და ყვავილი მივიღე. სალამოს მეორე განყოფილებაში უჩვენეს ნაწევრები კინოფილმებიდან („დაკარგული სამოთხე“, „ქეთო და კოტე“) და ჩავატარეთ კონცერტი ჩემი მონაწილეობით. სალამოს შემდეგ გაგვიმართეს დიდი ბანკეტი, რომელიც მეორე დღემდე გაგრძელდა და, ჩემს კოლეგებთან ერთად, პატივისცემით უაღრესად შადლიერნი, თბილისში დავბრუნდით.

აქვე მინდა მოვიყვანო ლექსი, რომელიც ჩემმა სიყრმის მეგობარმა პოეტმა ანდრო თევზაძემ წაიკითხა იმ სალამოს. ანდრომ სიყვარულით მოიგონა ჩვენი ბავშვობის წარსული დღეები და პოეტური შთაგონებით გადმომცა იგი:

## ბათუ კრავიწვილს

თანაკლასელ მეგობარს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს,  
50 წლის შესრულების გამო.

რა შორს გაფრინდა ჩვენი ბავშვობა,  
თითქოს არა ჩანს კვალი არსაით,  
ყრმობის დღეებიც უხმოდ გაგვშორდა,  
შორით ციმციმებს, როგორც ვარსკვლავი.

და ის, რაც თითქოს ქცეულა სიზმრად,  
დღეს გეგებება კალთა გაშლილი,  
შენი ქალაქი გხვდება მასპინძლად,  
სტუმრად მოუხვედ ძვირფასი შეილი.

აქ დარჩა ჩვენი ახალგაზრდობა  
და ჰაბუკუური ოცნების მთები,  
გავდა ტოტებზე კვირტის გასკდომას  
შენი სიმღერის პირველი ხმები.

შენ იყავ ჩემი ყრმობის ბულბული,  
შენი ხმით გავხდი მეც ნასეტყვარი,  
დღესაც იმ ჰანგით ვარ მოხიბლული,  
მას შემდეგ გული შენი ტყვე არი.

შენ აქ ბუნებამ სხვა გზა გაჩენა  
გულს შთაგაგონა მუსიკის ენა,  
მერე ანკარა წყაროს ჩანჩქერად  
გადაედვარე ოპერის სცენას.

და შენშიც გაჩნდა უკვდავი რწმენა,  
როცა ქუხილად ავიარდა ტაში,  
რომ ხელოვნებამ იცის გაფრენა  
ბედნიერების უღრუბლო ცაში.

შენს მსმენელს გრძნობა მძლევედა ბოლო დროს,  
ზოგჯერ მინდოდა მართლა მეტირა,  
შენი ნამღერი „სულო ბოროტო“  
მესახებოდა სულში კეთილად.

სიმღერა შენი ვით არ მიყვარდეს,  
როცა ის გულში თაფლად მელვრება;  
განუწყვეტელად ტაშს რომ გიკრავდე,  
შენთვის ხელები არ დამეღლება.



ზოგჯერ სურვილით სული მევესება,  
ბევრჯერაც ნდობით გული შეირხა,  
რომ მომავალში ჩემმა ლექსებმა  
შენი სიმღერის ფრთებიც შეიხსნა.

კვლავ მსურს მოგიძღვნა ხოტბა და ტაში,  
შენს სიმხნეს წლები ვერ მოერიოს,  
ჩვენი სამშობლოს დიდების ხმაში  
შენი ჰანგები მეტი ერიოს.

რადგან სიყვარულს ასე აქვს წესად,  
მინდა ღღეს ძმურად მეც მოგეფერო;  
იციოხლე დიდხანს, გასციდი ას წელსაც  
და მუდამ ასე ტყბილად გემღეროს.\*

იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეხვედრა მომიწყო. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. აქ იყვნენ სტუდენტები, პროფესორები და სტუმრად მოსული ადამიანები.

სცენა ყვავილების კალათებით ავსილიყო. პრეზიდენტში ისხდნენ: აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი, პროფესორები: ნ. ქოიავა, პ. ხუჭუა, ა. ციციშვილი, დოცენტი თ. ჩოჩუა. გულწრფელი სიტყვით მომესალმა ჩვენი მხცოვანი აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი, რომელმაც ილაპარაკა ხელოვნების დიდაქტიკურ მნიშვნელობაზე და მის როლზე ახალგაზრდობისა და ხალხთა ესთეტიკურად აღზრდის კეთილშობილურ საქმეში. გიორგი ახვლედიანმა ბევრი ჩემი ნამოღვაწარი სიყვარულით და მადლობით მოიხსენია. ასევე გულწრფელი იყო პროფესორ ნიკო ქოიავას მისასალმებელი სიტყვა. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ჩემს მოღვაწეობას ესტრადაზე.

— მე, — თქვა პროფ. ქოიავამ. — ყოველთვის მიზიდავდა რომანის ფორმა და მისი უბადლო შემსრულებელი, გამოჩენილი ქართველი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი. ვანოს შემდეგ ქართული რომანის პროპაგანდისტი არცთუ ისე ბევრი გვყავს და ვინც გვყავს და გვყოლია მათ შორის თვალსაჩინო ადგილი ბ. კრავეიშვილს უკავია.

ამ საღამოს უნივერსიტეტის დირექციისაგან მივიღე მადლობის სიგელი, რომელსაც ხელს აწერს თხუთმეტამდე აკადემიკოსი და პროფესორი, მათ შორის უნივერსიტეტის იმდროინდელი რექტორი, გამომჩენილი ასტრონომი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე.

საზეიმო საღამოს II ნაწილში გაიმართა კონცერტი ჩემი და ჩემი კოლეგების — ნ. ანდლულაძის, თ. მუშკუდიანის, ვ. გლუნჩაძის, ო. კუზნეცოვას, თ. ჯონთაბერიძის, პიანისტ ნ. ვაბუნიას მონაწილეობით. საღამო დაგვირგვინდა ვახშმით, რომელიც მხიარულ და მეგობრულ ვითარებაში წარიმართა.

შემოქმედებითი საღამო მომიწყო კახეთმაც. როცა ამის შესახებ თელავიდან ცნობა მივიღე, გულახდილად უნდა ვაღიარო, ცოტათი გავვოცდი კიდეც, რადგან ჩემი მოღვაწეობის მანძილზე კახეთისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ გამომიჩენია. მაგრამ კახეთის ჭარმაგი ხალხის სიბრძნე სწორედ იმაშია, რომ ის ყველგან და ყოველთვის გრძნობს თავის შვილთა წინაშე მამაშვილურ ვალდებულებას — პატივი სცეს მათ და თავისებური ბარაქიანი სტუმართმოყვარეობით აღნიშნოს მათი ღვაწლი.

თბილისიდან გავემგზავრეთ: ვ. გლუნჩაძე, გ. ტორონჯაძე, შ. მეტეღია, ო. კუზნეცოვა, დ. ჯიტავა, ნ. მესხი, კ. ლაზარევა, პ. თომაძე, მე და სხვები. ადრე ჩასვლა გვინდოდა, ამიტომ გომბორის გზით ვირჩიეთ გადასვლა. წინ გვხვდებოდა მწვანით შემოსილი მთები, მდუმარე ასწლიანი ხეები. მივაღექით ცივსა და გორიზად აღმართულ გომბორს. აღმართს რომ მოვრჩით და დაღმართისაკენ უნდა დავშვებულებიყავით, სწორად მაშინ გავვიფუქდა მანქანა. საგონებელში ჩავვარდი. გომბორის გზით მანქანები თითქმის არ დადილობდნენ, რადგან თურმე გზის შეკეთება მიმდინარეობდა. შემთხვევით რომ საბარგო მანქანა არ გამოჩენილიყო, ჩვენი საღამო უსათუოდ ჩაიშლებოდა, მაგრამ ბედზე მანქანამ უკან გამოგვიბა და თელავში დროზე ჩავედი.

თელავის პატარა თეატრი ხალხით იყო სავსე. ფარდა აიხადა, გაისმა ერთსულოვანი ტაში. მოხსენება ჩემს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წაიკითხა თეატრმცოდნე ნ. მესხმა. მოხსენების შემდეგ თელავმა საზეიმოდ შედგენილი პროგრამა შემოგვთავაზა. მრავალი გულთბილი და მეგობრული სიტყვა ითქვა. თელაველებმა ფეხქვეშ შემომიგორეს ყელზე წითელი ბაფთით დამშვენებული ბატკანი, რომელიც ყოველ ჩემს სიმღერას „ბეეს“ გაბმული ბლავილით პასუხობდა...

დასასრულს გაიმართა კონცერტი. შესრულებული იქნა ფრაგმენტები ოპერებიდან „დაისი“ და „ჩრდილოეთის პატარძალი“ გრიმში და კოსტუმებში. საღამომ შესანიშნავად ჩაიარა, კმაყოფილი ხალხი

დიდხანს არ ტოვებდა დარბაზს. სალამოს შემდეგ თელაველებმა შუამთაში ვახშამი მოგვიწყვეს. სუფრაზე გუგუნებდა კახური სიმღერები. შესანიშნავი თამადა, ყანწით ხელში, მადლიანი სადღეგრძელოებით ალამაზებდა ისედაც ლამაზსა და გულუხვ ქართულ სუფრას. ყოველივე ამან აღმაფრთოვანა და ექსპრომტად ლექსიც კი მათქმევინა, რომლითაც მინდოდა კახეთის მიწისა და მშვენიერი ცისათვის, მადლობასთან ერთად, ქებაც მიმეძღვნა.

50 წელი დიდი დროა, განსაკუთრებით ისეთი ხელოვანისათვის, რომელსაც 30 წელი მომღერლის ძნელი საქმისათვის შეუწირავს. სხვა პროფესიის მქონე ადამიანებთან შედარებით, მომღერლებს ახალგაზრდობა უფრო ადრე გვტოვებს. ჩვენი საქმე კი ახალგაზრდული შემართების გარეშე უფერული და უსიცოცხლოა.

განვლილი ცხოვრების შესაჯამებლად ზოგი კალამს მიმართავს, ზოგი იუბილეს იხდის, ზოგი კი, მარტოდ დარჩენილი, მოგონებებით ირთობს თავს. ყოველ ასაკს თავისი მომხიბვლელი აქვს.

## შენსრულეზული როლზბი

1. დონიცეტი „ლუჩია დი ლამერმურა“ — ჰენრიხი.
2. ვ. ა. მოცარტი „ფიგაროს ჰორწინება“ — ფიგარო.
3. ჯ. პუჩინი „ტოსკა“ — სკარპია.
4. ჯ. პუჩინი „ჯანი სკიკი“ — ჯანი სკიკი.
5. ჯ. როსინი „სევილიელი დალაჰი“ — ფიგარო.
6. ჯ. ვერდი „აიდა“ — ამონასრო.
7. ჯ. ვერდი „რიგოლეტო“ — რიგოლეტო.
8. ჯ. ვერდი „ოტელო“ — იაგო.
9. ჯ. ვერდი „ტრაეიატა“ — ჟერმონი.
10. ჟ. ბიზე „კარმენი“ — მორალესი.
11. ჟ. ბიზე „კარმენი“ — ტორედორი.
12. რ. ლეონკავალო „ჯამბაზები“ — სილვიო.
13. ი. შტრაუსი „ბოშათა ბარონი“ — ბარინკაი.
14. ჟ. ოფენბახი „პერიკოლა“ — პიკოლო.
15. პ. ჩაიკოვსკი „პიკის ქალი“ — ელეცკი.
16. პ. ჩაიკოვსკი „ევეგენი ონეგინი“ — ონეგინი.
17. პ. ჩაიკოვსკი „მაზეპა“ — მაზეპა.
18. პ. ჩაიკოვსკი „იოლანტა“ — რობერტი.
19. პ. ჩაიკოვსკი „ორლეანელი ქალწული“ — დიუნუა.
20. ს. რახმანინოვი „ალეკო“ — ალეკო.
21. ა. ბოროდინი „თავადი იგორი“ — იგორი.
22. მ. მუსორგსკი „ბორის გოდუნოვი“ — რანგონი.
23. ფალიაშვილი „აბესალომ და ეთერი“ — მურმანი.
24. ზ. ფალიაშვილი „დაისი“ — კიაზო.
25. ზ. ფალიაშვილი „ლატავრა“ — ვეზირი.
26. მ. ბალანჩივაძე „დარეჯან ცბიერი“ — გოჩა.
27. შ. მშველიძე „ამბავი ტარიელისა“ — აეთანდლილი.
28. შ. მშველიძე „დიდოსტატის მარჯვენა“ — მეფე გიორგი.

29. ა. მაკავეარიანი „დედა და შვილი“ — კიაზო.
30. ა. კერესელიძე „ბაში-აჩუკი“ — აბდუშაჰილი.
31. აკ. ანდრიაშვილი „ლაშქარა“ — ბიძინა.
32. დ. თორაძე „ჩრდილოეთის პატარძალი“ — გრიბოედოვი.
33. დ. თორაძე „გოლა“ — გორდა.
34. ივ. გოციელი „პატარა კახი“ — ლევანი.
35. ვ. დოლიძე „ქეთო და კოტე“ — კოტე.
36. ვ. დოლიძე „ქეთო და კოტე“ — ლევანი.
37. ა. ბუკია „არსენა“ — კუპატნელი.
38. ა. ბუკია „არსენა“ — შიოლა.
39. ა. ბუკია „დაუპატიყებელი სტუმრები“ — აგრონომი.

გამომც. რედაქტორი ლ. ლლონტი  
მხატვარი ზ. რაზმაძე  
მხატვ. რედაქტორი ირ. ჯანაშვილი  
ტექრედაქტორი თ. შამფორია  
კორექტორი ც. ქაროსანიძე

•

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/VIII 66 წ., ქალაქის  
ზომა 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ნაბეჭდი თაბახი 9,76  
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 11,82

უე 00344,

ტირაჟი 4 000,

შეკვ. № 2120

ფასი 1 მან. 05 კაპ.

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“  
თბილისი, პლენანოვის 179

Бату Ираклиевич Кравеншвили  
Встречи с прошлым  
(На грузинском языке)  
Издательство «Литература да хеловнеба»  
Плеханова 179  
Тбилиси  
1966